საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილ[illegible] – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

№1 (6[illegible] – 1 იანვარი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



გვ. 70

რატომ შეხვდა ლევან ფაცაცია დის გათხოვებას ტირილით და რატომ დაიჩაგრა თიკას გამო მისი ძმა

გვ. 22

ვიხილავთ თუ არა შორენა ბეგაშვილს ეკრანზე მითხუნ ჩაკრობორტთან და რის გამო ტიროდა მისი ქალიშვილი – ევა



გვ. 71

ვის მიუძღვნა თავისი მეგაპოპულარული ჰიტი „განგნამ სტაილი“ PSY-მ და იცნობს თუ არა ის ბერკლის ქართველებს



გვ. 74

რატომ ჩაუწვინა ანრი ჯოხაძეს დედამ უცხო ქალი ლოგინში და როგორ შეულოცავს ის შვილის პერანგებს

ISSN 1987-569X
9 771987 569002



რა გამოცდა მოუწყო ნიუ-იორკში საკუთარ თავს ლაკო ბუკიამ და რატომ გადაწყვიტეს მისი პროექტის დადება „პარსონსის“ საიტზე

გვ. 46



გვ. 18

როდის დაიწყო ლელა მჭედლიძისა და პლასიდო დომინგოს მეგობრობა და როგორ მოხვდა ის მსოფლიო ორკესტრის შემადგენლობაში



ვინ არის ნუგზარ ბაგრატიონის ოჯახის მეკვლე და როგორ ხვდებიან ისინი ახალ წელს

გვ. 19



გვ. 14

რა წესებს არ არღვევდა ვალერი ჩხეიძე უშიშროების სამსახურში 30 წელი და რატომ მოაწერა მის ჩეკისტურ ნათლობას ხელი იური ანდროპოვმა



რატომ არის საქართველო მეჯვდ მელექის მეორე სამშობლო და რა აკავშირებს მას გოგი დოლიძესთან

გვ. 75

# გილოცავთ ახალ წელს!

# რატომ უწოდებენ სუპერმარკეტ „სმარტს" „ჩემს სუპერმარკეტს"

*რა კრიტერიუმით ირჩევს მომხმარებელი სავაჭრო ცენტრს? – ეს არის მაღალი ხარისხი, მისაღები ფასები, პროდუქციის ფართო არჩევანი, კომფორტული მომსახურება და სასიამოვნო გარემო, ეს ყველაფერი კი რუსთაველის „სმარტშია". „სმარტი" ყოველთვის ბევრ სიახლესა და აქციას სთავაზობს საზოგადოებას. სავაჭრო ცენტრში შესულს, შემოგეგებებათ „სმარტის" ციყვი, რომელიც კარგ განწყობას ქმნის და განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს. მოგეხსენებათ, საჩუქრის შერჩევა თითოეული ჩვენგანისგან დიდ დროსა და ნერვებს მოითხოვს, „სმარტში" კი ამას ადვილად მოაგვარებთ, რადგან, ამ სავაჭრო ცენტრში საჩუქრების ფართო არჩევანია. თქვენ მოგემსახურებიან ტრენინგგავლილი კონსულტანტები და გაგიწევენ სათანადო კონსულტაციას ნებისმიერი პროდუქტის შესახებ. „სმარტი" სხვადასხვა საქველმოქმედო აქციის ინიციატორია. ამჟერადაც, სავაჭრო ცენტრში შესული, შემთხვევით აღმოჩნდი ერთ-ერთი აქციის მომსწრე: ულამაზეს ნაძვის ხესთან აგვისტოს მოვლენების შედეგად დაღუპული გმირების ბავშვებისთვის იმართებოდა საახალწლო საქველმოქმედო ღონისძიება – „სმარტმა" ბავშვებს საახალწლო საჩუქრები დაურიგა და მათ ერთი დღე გაულამაზა.*






*„სმარტი" ნებისმიერი გემოვნების ადამიანისთვისაა გათვლილი. აქ 30 000-მდე სახეობის პროდუქტი და დიაბეტური კუთხეცაა. „ტრუჩილოს" ყავა – „ლატე", „ამერიკანო", „კაპუჩინო", „ესპრესო" – ყველაფერი 2 ლარად, შეგიძლიათ, სპეციალური აპარატიდან შეიძინოთ, თან, ადგილზე მიტანით. პროდუქციის ყიდვის შემდეგ, შეიძლება, დაისვენოთ „სმარტის" კაფეტერიაში, სადაც უგემრიელესი საკონდიტრო ნაწარმისა თუ 150-მდე მზა კერძის დაგემოვნების საშუალებაც გექნებათ; ასევე, ისარგებლოთ უფასო ინტერნეტით – Wi-Fi-ით. ულამაზესი და უგემრიელესი ტორტები 15 ლარიდან იწყება, თან, საკონდიტრო ნაწარმის წინასწარ შეკვეთაც შეგიძლიათ. აქ ბელგიური შოკოლადების გამორჩეული ასორტიმენტია, რომელიც ხელითაა დამზადებული და დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში – „ნობლეს" შოკოლადები კარგი საჩუქარია ახლობელი ადამიანებისთვის.*

*„სმარტი" გთავაზობთ გერმანული, ჰოლანდიური, ფრანგული, ამერიკული, ესპანური, იტალიური პროდუქტების დიდ არჩევანს; ასევე, „სტარბაქსის" ყავას, რაზეც დიდი მოთხოვნაა და ექსკლუზიურად არის „სმარტის" ქსელში. ბრენდული პროდუქცია არავის დატოვებს გულგრილს.*



**იზოლდა ტრაპაიძე** *(დიასახლისი):* კმაყოფილი ვარ „სმარტის" მომსახურებით. ხშირად ვიძენ ხოლმე აქ პროდუქტებს და ყოველთვის ვიცი, რომ ის ხარისხიანია და ვადიანი. ფასებითაც არ ვარ უკმაყოფილო. ჩემს არჩევანს ყოველთვის „სმარტზე" ვაკეთებ და სხვასაც ამას ვურჩევ.

**ბექა ჯიჯელავა** *(სტუდენტი):* „სმარტი" ტერიტორიულად ისეთ ადგილზეა, რუსთაველზე, რომ თითქმის ყოველდღე შევდივარ ლექციების შემდეგ. მომწონს აქაური გარემო, ვსარგებლობ Wi-Fi-ის მომსახურებით და ხშირად მივირთმევ უგემრიელეს ხაჭაპურს.

**თამაზ ნანობაშვილი** *(პენსიონერი):* „სმარტში" ყველა ის პროდუქტია წარმოდგენილი, რომელიც ოჯახს სჭირდება. აქ ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი და სხვა სავაჭრო ცენტრში შესვლა აღარ მიწევს. აქ ხშირად ვაკეთებ შენაძენს და კმაყოფილი ვარ ხარისხითა და ფასებით.

*„სმარტის" კომპანიის მაღალი იმიჯი, წარმატებული საქმიანობა და მუდმივი ზრუნვა მაღალ ხარისხზე, არავის რჩება შეუმჩნეველი. მრავალ ჯილდოსთან და აღიარებასთან ერთად, რამდენიმე დღის წინ, „სმარტმა" წლის ბრენდის ტიტული მიიღო „ოქროს პერგამენტის დაჯილდოებაზე".*

*კომპანია სამომავლოდაც აპირებს, უამრავი სიახლე და სიურპრიზი შესთავაზოს საზოგადოებას, რაც განსაზღვრავს კიდევ მისადმი ნდობასა და სიყვარულს.*

**სოფი ლორია**

# ენამოქარგულები

## ანუ, მიწა „უხმარ არს ბრიყვთათვის“

„ალბანელი ქალი აჩენს 7 შვილს, სერბი ქალი იკეთებს 7 აბორტს, ესე იგი, ეს მიწა ალბანელებს უფრო სჭირდებათ, ვიდრე სერბებს. ამიტომაც, ღმერთმა კოსოვოსა და მეტოქიის მიწები ისე გადაანაწილა, როგორც საჭიროდ მიიჩნია“.

***პატრიარქი პავლე სერბელი***

თუნდაც, საყველპურო ლოგიკის გამო, **ახალი ცოცხი კარგად გვისო**, მოსახლეობის **უმრავლესობა,** ყოველ შემთხვევაში, **ის ნაწილი მაინც, ვინც საკუთარი საარჩევნო ხმა კოალიციას უწილადა**, **2013 წელს იმედიანად შეჰყურებს**. თუ ზედაც დავამატებთ, რომ **ოპტიმიზმი ადამიანის თვითგადარჩენის ინსტინქტის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელია**, სულ მცირე, **იმას მაი-**



**ნც მოველით, რომ 2013 წელი 2012-ზე უკეთესი იქნება**, მით უფრო, რომ **ხელისუფლების ორად გახლეჩილი შტოები ერთმანეთს არ აცლიან ამომრჩევლისთვის სიამოვნების მინიჭებას**.

ერთი სიტყვით, რაკი მიზეზი გვაქვს (ახალი წელია), **სამშობლოს სადღეგრძელოებსაც მრავალჯერ შევსვამთ** და **მის გამთლიანებასაც გულით ვისურვებთ**, იმის პარალელურად, რომ **ინვესტორების ცვენასაც ვინატრებთ**, ცხადია, სამუშაო ადგილების გამრავლების მოლოდინით.

მეორე მხრივ, **დემოგრაფია კვლავ აქილევსის ქუსლად გვრჩება**. უფრო მეტიც, ბოლო **რამდენიმე წელია**, ერთი საინტერესო (რაღა საინტერესო, უფრო **ტრაგიკული) ტენდენციაც შეინიშნება**: ჩვენთან, განსხვავებით დანარჩენი მსოფლიოსგან, **ახალდაბადებული ვაჟები გოგონებს სჭარბობენ**, რაც დემოგრაფებს აფიქრებინებთ, რომ **აბორტებს ჩვენი თანამემამულეები სასურველი სქესის შვილის დაბადების ინსტრუმენტად იყენებენ**. სპეციალისტები **ამ ტენდენციას ჩვენი საზოგადოების პატრიარქალურ ბუნებას უკავშირებენ** (თუმცა, ის ვაჟებიც ხომ ქალებმა უნდა გააჩინონ?!).

ასეა თუ ისე, **რაკი გამრავლება ჩვენი პრიორიტეტი არ ყოფილა**, ბუნებრივად **იბადება მთავარი კითხვა: მაშინ, ვისთვის გვინდა ენამოქარგულად მრავალგზის ნადღეგრძელები სამშობლოს გამთლიანება?!**

# განწბილებულები

## რაც მოგივა - არა მარტო დავითაო

რაკი **ციხე ერთ-ერთი ჩაკეტილი დაწესებულება იყო** და **არც შუშაბანდები ჰქონია**, ბუნებრივია, **ინფორმაციას ვერც გისოსებს მიღმა არსებული სამყაროდან ვიღებდით**, თუმცა, **სინათლის ფანჯარა სულ პირველად ამ აუღებელ ციხეში მას შემდეგ გაიჭრა**, რაც **ციხის სკანდალური კადრები გამოქვეყნდა**. ამის შედეგად და წყალობით (**თუ ამას წყალობა ჰქვია), მონიტორინგის ჯგუფი ჯერ კიდევ ხელისუფლების ცვლილებამდე შეიქმნა** და მის მუშაობაში **მონაწილეობას ჟურნალისტებიც იღებდნენ**, თუმცა, სულ **ახლახან, ჩემი კოლეგები მონიტორინგის ჯგუფს ჩამოაშორეს**.



სავსებით ცხადია, რომ **ციხის ადმინისტრაცია მაინც ციხის ადმინისტრაციაა** და, ბუნებრივია, **ზედმეტი თვალი, თუნდაც, დემოკრატიულად დაკვირვებული, მისთვის უსიამოვნოა**, ამდენად, **მათი მოტივაცია გასაგებია.** მაგრამ, **თუ ობიექტურობასაც მოვიშველიებთ**, სასჯელაღსრულების დაწესებულებას **საშარო არგუმენტი ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამაც მისცა** და მეტად მარტივი მიზეზით: დაწესებულებათა **მონიტორინგის პროცესში მონაწილე ჟურნალისტებმა პატიმრებისგან ინტერვიუები აიღეს.** ამ ფაქტში **არაფერი იქნებოდა საოცარი** (რადგან, ბოლოს და ბოლოს, ინფორმაციას ავრცელებდნენ), მაგრამ, **თუ გავიხსენებთ, რომ ამ გზით მიღებულ მასალებს, ზედაც, „ექსკლუზივებიც“ დაარქვეს** და საკუთარი გამოცემების პოპულარიზაციისთვის გამოიყენეს, შედეგმაც არ დააყოვნა: **საპატიმრო დაწესებულებების მონიტორინგს ჟურნალისტების გარეშე ჩაატარებენ**, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან, **ექსკლუზივები საკუთარი ტყავით მოიპოვება** და **არა – მდგომარეობის გამოყენებით**!

# სინათლე ჩვენს ქალებში

## სკამაყანწყალებულები

რთული სათქმელია, **როგორი იქნება 2013 წელი**, მაგრამ, **ერთის თქმა უკვე დაბეჯითებით შეიძლება: ელექტროენერგიის ტარიფი შეთხელდება**, თუმცა **მთლად ყველასთვისაც არა.** მხოლოდ ისინი შეძლებენ, **ისარგებლონ გაიაფებით, რომლებიც ყოველთვიურად 300 კილოვატ-საათზე ნაკლებს მოიხმარენ**. შესაბამისად, **100 კილოვატ-საათის მომხმარებლები ამიერიდან კილოვატ ელექტროენერგიაში 10 თეთრამდე გადაიხდიან**, ხოლო **100-დან 200-მდე კილოვატსაათის მომხმარებლები – 13 თეთრამდე**. ამის მიუხედავადაც, **დედაქალაქის მერია უკმაყოფილოა**, ისევე, **როგორც სრულიად „ნაციონალური მოძრაობა“,** მოტივით, **ჩვენი 1 000-ლარიანი ვაუჩერი ჯობდაო** (შეგახსენებთ, რომ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირების მიხედვით, თუკი კვლავაც ხელისუფლებაში დარჩებოდნენ, ოთხი წლის განმავლობაში **თითოეულ ოჯახს ყოველთვიურად 20 ლარს ჰპირდებოდნენ კომუნალური გადასახადებისთვის).** მაგრამ, რადგან **თავადაც იგრძნეს, რომ მხოლოდ უკმაყოფილოს პოზა მათ იმიჯს ვერ უშველიდა**, დედაქალაქის **მერი**, მთავრობის მიერ ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების პასუხად, **თბილისელებს 5 თვის განმავლობაში 20-20 ლარის დარიცხვას დაჰპირდა აი, იმ ქვითარზე, სამი – ერთი რომ არის და მაინც სამია** (ამ 20-ლარიდან 8,45 ლარი უშუალოდ ელექტროენერგიას მოხმარდება, დანარჩენს კი **ნაგავი და წყალი გაინაწილებენ**).

ერთი სიტყვით, **მერია დარწმუნებულია, რომ ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია, ამომრჩეველი ზემოდან გამოწვდილ წყალობაზე იყოს დამოკიდებული**, ხოლო **ფინანსთა მინისტრს სჯერა, რომ ზემოდან მომავალ და პატიოსან გვამთა კეთილ ნებაზე დამყარებულ წყალობას ტარიფების დაკლება სჯობს, თუმცა,** მე რომ მკითხოთ, **საუკეთესო ვარიანტი ობიექტური ტარიფების დაწესებაა**. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ელექტროენერგიის საფასურის დაკლება საქართველოს მოსახლეობას**, მთლიანობაში, **ყოველწლიურად 35 მილიონ ლარს დაუზოგავს**, რაც, ბუნებრივია, **იმას ნიშნავს, რომ წინა წლებში ამ ოდენობის თანხა ამოდიოდა მათი ჯიბეებიდან,** ვფიქრობ, კომპენსაციის სახით, **მერიამ თავი მხოლოდ 5 თვის განმავლობაში 20-20 ლარით თავი ვერ უნდა დაიძვრინოს!**

რაც მთავარია, თვით **ამ 20-20 ლარიან და 5-თვიან გულმოწყალებას** ერთი დიდი მიზეზი აქვს – **სახელისუფლო შტოები და დონეები**, ბუნებრივია, **ამომრჩევლის ხმის დაბევებას ცდილობენ** (მოგეხსენებათ, **ის ჯიბეზეც გადის**), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ, **სანამ იქ, ზემოთ, სკამს წყალი არ შეუდგება, „დემოსი“** (ანუ ხალხი) **ნაკლებად ახსენდებათ.** ასე რომ, **რაც ხშირ-ხშირად შევუყუენებთ, ერის წყლულიც მით უფრო საფუძვლიანად დააჩნდებათ საკუთარ წყლულად.**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**
პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14 სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან)
ტელ: 233-42-24; 599 10-15-20 221-31-12
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 221-31-34
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „განდობილები“

## მთავარი „სანეხვე“

იმ მარტივი მიზეზითაც, რომ, **ადრე უმრავლესობა იყო, ახლა კი უმცირესობაა,** ერთ დროს **თავს უბრალო ამომრჩეველსაც რომ არ უყადრებდა** (ჟურნალისტებს ხომ არ უყადრებდა და არ უყადრებდა), მის **წარმომადგენლებს პროკურატურაშიც იბარებენ**, რა თქმა უნდა, **დაკითხვაზე**. ოღონდ, **ისიცაა, რომ ეს ჩვენი უმცირესოელი ხალხის რჩეულები სამართალდამცველებს ბუზადაც არ აგდებენ.**



ამ საქმის **პიონერი ნაპროკურორალი დეპუტატი ბ-ნი საყვარელიძეა**, მის **კვალს მიმდევარი კი,** ასევე, **ნაპროკურორალი და აწ კი ხალხის რჩეული ბ-ნი ახალაიაა**. ჩვენ **არ ვიცით, რად შემოუწყრნენ თავიანთ ყოფილ უწყებას ხსენებულები** ან **არად რატომ დაგიდევენ სამართალდამცველთა მოთხოვნებს**, თუმცა, ეს უკანასკნელი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „უკანასკნელში“ ბ-ნ **ახალაიას** ვგულისხმობ) **მხოლოდ საჯარო დაკითხვასაა ყაბულს**. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **მისი პროკურორობისას საჯარო არაფერი ყოფილა** (ცოცხალ პროკურორსაც ოდენ „რუსთავი-2-ის“ ეთერში თუ მოჰკრავდი თვალს), რთული სათქმელია, **რამ შეაყვარა ასე უცებ და უსაშველოდ საჯაროობა.**

როგორც უნდა იყოს, **მას შემდეგ, რაც ნახელისუფლარმა დეპუტატებმა პროკურატურას გამოძახებებზე წიხლი უკრეს**, პარლამენტის თავმჯდომარემ **უმცირესოელი კოლეგები დაამშვიდა: თუ პარლამენტის წევრს ჩვენების მიცემა არ სურს, მისი უფლება დაცული იქნებაო**. ბ-ნმა უსუფაშვილმა კონსტიტუციის ის მუხლი მოიშველია, რის მიხედვითაც, **„პარლამენტის წევრს უფლება აქვს, ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს“**.

თუ გავითვალისწინებთ, რომ **ნაპროკურორალებს, ნაკლებად სავარაუდოა, თავიანთი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე იბარებდნენ**, წინ **არაერთი საინტერესო, ზედაც, „ექშენ“-სანახაობა გველის სამართალდამცველებისა და ხალხის რჩეულთა ჭიდილისა.**

უფრო მეტიც, მაგალითად, ბ-ნი **უსუფაშვილი ეთანხმება** ბ-ნ **გაბაშვილს იქ, სადაც ეს უკანასკნელი ამბობს,** რომ **„პარლამენტის წევრი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს თავისი ფუნქციების განხორციელებას, თუ მას არ ექნება ეს პრივილეგია** და, მისი, როგორც პარლამენტის წევრის საქმიანობა, ამ ნორმით არ იქნება დაცული.“ ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **პარლამენტარები ერთობ პრივილეგირებული ფენა ბრძანდება** (თვით, ვიდრე მიქელ-გაბრიელს არ შეეყრებიან, ჯვარი სწერიათ!), ზემოთქმული მოწმობს, რომ **ეს ჩვენი კანონშემოქმედებითი ორგანო კვლავაც ერთ-ერთი „სანეხვეა“** (პათოსით: ბედი მომეც, სანეხვეზე გადამაგდეო!).

# ჯიბეგაქსუებულების ლაშქარი

## მაკედონელის ნოსტალგია

მართალია, ხალხის რჩეული და ექსპროკურორი ბ-ნი ახალაია თავის **საჯარო დაკითხვას მოითხოვს, თუმცა, აქამომდე ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით, რა ხელფასს იღებდნენ ავღანეთში, „აისაფის“ ოპერაციაში მონაწილე ქართველი სამხედროები**. ხოლო, რაკი ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ყოველივე დამალული ცხადდება** (იმედია, ახლები მხოლოდ ძველების დამალულების გაცხადებას არ დასჯერდებიან და საკუთარსაც ყველაფერს გამოგვიმზეურებენ), **შევიტყვეთ, რომ ავღანეთში მყოფი ქართველი რიგითის ხელფასი 715 დოლარი** ყოფილა, **კაპრალის – 790, უმცროსი სერჟანტის – 845, სერჟანტის კი – 910.** სხვათა შორის, **მაშინ, როდესაც, მაგალითად, სამხარეო პროკურორების საბიუჯეტო შემოსავალი ყოველთვიურად 10 000-ს სცილდებოდა.**



მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, **მომავალი წლიდან ავღანეთში მყოფ ჩვენს სამხედრო კონტინგენტს ხელფასები 200-დან 300-მდე აშშ დოლარით გაეზრდება.**

რაც მთავარია, როგორც ირკვევა, **ქართველ სამხედროებს პრემია მხოლოდ ერთხელ აუღიათ**, ისიც – **365 ლარი,** თუმცა, მაგალითად, ჯანდაცვის მინისტრ ბ-ნ **ჭიაბერაშვილის 2012 წლის აგვისტოში მხოლოდ პრემიამ 10 000 ლარი „ს ჩემ ტო“ შეუდგენია** (და ის ერთადერთი არ არის, უბრალოდ, სამაგალითოდ გამოვიყენე).

თუ ამ სახელფასო მაჩვენებლებს იმასაც დავამატებთ, რომ **„აისაფის“ ოპერაციაში მონაწილეობა ერთადერთია, რის გამოც ნატოელი და აშშ-ელი მაღალჩინოსნები მადლობებს უხდიდნენ ყოფილ ხელისუფლებას** (ახლებსაც გადაუხდიან, ვინაიდან, საქართველო არ აპირებს, შეამციროს თავისი კონტინგენტის რაოდენობა ავღანეთში) და, ზედაც, **გავითვალისწინებთ, რომ ისინი თავიანთ სიცოცხლეს რისკავენ**, სხვათა შორის, **ქვეყნისათვის,** იმისდა მიუხედავად, სად შეხვდება ახალ წელს მთავარსარდალი, ჩნდება ეჭვი, რომ, **არც მას და არც მის სახელმწიფო მოხელეებს ყურმოკვრითაც არ გაუგონიათ, რატომ ღვრიდა ჯარის თვალწინ თავის კუთვნილ წყალს მართლაც მთავარსარდალი!**

უცნაური ლოგიკაა: მისგან **სიცოცხლეს ითხოვდე, შენ რომ იხეირო** და მისთვის **ნებისმიერი სახელმწიფო უწყების პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის ხელფასის ნახევარი გემეტებოდეს!**

# დაბრძენებულები

## ანუ, სხვის „ომში“ გამოჰუმანურებულები

რაკი **კონკურენცია ფრიად დალოცვილი რამაა** (ან კი როგორ არ იქნება დალოცვილი, როდესაც ნებისმიერი პროგრესი სწორედ მისი დამსახურებაა), **ჰუმანურობის ნიშნები თვით თბილისის მერიასაც კი შეეტყო**. თვით-მეთქი, რადგან, **საქალაქო სამსახურები ისე თავგანწირვით ებრძოდნენ ხოლმე გარემოვაჭრეებს**, ზედაც, **იმგვარი ენთუზიაზმით აცამტვერებდნენ ავტოფარეხებსა** და **მიშენებულ ლოჯიებს, ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ** (აღარაფერს ვიტყვი თაბუკაშვილის ქუჩაზე დანგრეულ სახლზე), უნებურად **იფიქრებდი, დიდგორის ბრძოლის რეინკარნებული მებრძოლები არიანო** (ოღონდ, **თურქ-სელჯუკთა გაერთიანებული ლაშქრის ნაცვლად, სრულიად უიარაღო მოქალაქეებს შებმულნი**).



თუმცა, ხანი გამოხდა და, **მიუხედავად იმისა, რომ გარემოვაჭრეები ისევ თვითნებობენ** (ან კი **როგორ არ ითვითნებებენ, როდესაც ლუკმაპური უჭირთ**?!) და **არც ავტოფარეხების** (მათ შორის, უკანონოდ აგებულების) **ნაკლებობას ვუჩივით, დედაქალაქის მესვეურები კიდეც გახავერდოვნდნენ** და **კიდეც გაენაწყლიანდნენ** (მოვლენა რაა, თვით ყველაზე უმნიშვნელოც, რომ არ განმარტონ).

სახელდობრ, მას შემდეგ, **რაც ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოვაჭრეები და საპატრულო პოლიცია შეიბნენ**, თბილისის **მერიამ მსწრაფლ გაავრცელა განცხადება** (მომყავს ციტატა): „საინფორმაციო საშუალებებით **მცდარი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს თბილისის საპატრულო პოლიცია გარე ვაჭრობის აკრძალვას თბილისის მერიის დავალებით ახორციელებდა**. აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.“

ზედაც დასძინა, რომ **„თბილისის მერია გმობს საპატრულო პოლიციის მიერ დღეს განხორციელებულ ქმედებას“,** რადგან, **ჰოი, საკვირველებავ და, „ჩვენი მიზანი ამ ადამიანების მდგომარეობის არა გაუარესება, არამედ, შემსუბუქება უნდა იყოს“.**

ბუნებრივია, **ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს** (მათ შორის, **გამოჰუმანურებაც**), თუმცა, **რაკი გაკეთილების ტენდენცია მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც ჩინოვნიკებს მათ ქვეშ სკამი უყანყალდებათ,** თითეული **ამომრჩევლის წმიდათაწმიდა მოვალეობაა, არავის და არც არასდროს არ მოვაკლოთ ეს სიამოვნება** (რასაკვირველია, სკამების შეყანყალება)!

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
მობილურებიდან
0902 200 244

ზარი ფასიანია

**ჩვენებურმა ნავთობიმპორტიორებმა წინასაახალწლოდ საწვავი ისევე აუხსნელად გააიაფეს, როგორც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აძვირებდნენ ხოლმე. ეს ფაქტი იმ მარტივი მიზეზითაა აღნიშვნის ღირსი, რომ, მაგალითად, პირველ ოქტომბრამდე, როგორც წესი, თითქმის ყველა ნავთობიმპორტიორის ბენზინგასამართ სადგურზე საწვავი იდენტური ფასი ღირდა (შიგადაშიგ თუ გამოანათებდა 2-თეთრიანი სხვაობა) და, ჩვეულებისამებრ, უნისონში აძვირებდნენ და აიაფებდნენ, თანაც, როგორც წესი, 5-5-თეთრით. ევროკავშირის ქვეყნებში დეტალურადაა ცნობილი, თუ რატომ ღირს ამა თუ იმ ქვეყანაში საწვავი კონკრეტული ფასი (ევროკავშირის ენერგოპორტალზე ნებისმიერი ცნობისმოყვარისთვისაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუ რა მდგენელებისგან შედგება საწვავის ფასი, მათ შორის, კომპანიის მოგების ჩათვლით), თუმცა საქართველოში ამ ინფორმაციის მოძიება მხოლოდ ვარაუდებით და სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცნობების შეჯერებით თუა შესაძლებელი.**

**ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტთან, ნოდარ ჭიჭინაძესთან ერთად განვიხილავთ, თუ რა უნდა ღირდეს ბენზინი ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა ადგილობრივი გადასახადებისა და შემოტანილი საწვავის ხარისხის გათვალისწინებით (აქვე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ, მაგალითად, აზერბაიჯანი საწვავის „ევრო-3-მ" სტანდარტზე 2012 წლის პირველი ივლისიდან გადავიდა, რაც წყალგაუსვლელად ნიშნავს იმას, რომ, ყოველ შემთხვევაში, „სოკარს" ჩვენს ქვეყანაში „ევრო-2" ტიპის საწვავი შემოჰქონდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ უფრო მაღალი სტანდარტის საწვავის შემოტანით თავს არც დანარჩენი იმპორტიორები შეიწუხებდნენ. თუმცა, მაგალითად, ევროკავშირში მხოლოდ „ევრო 5-ის" სტანდარტის საწვავის გაყიდვაა დაშვებული).**

# რამდენი უნდა ღირდეს საქართველოში ერთი ლიტრი საწვავი მისი ხარისხის გათვალისწინებით



**მეტ-ნაკლებად ზუსტი გათვლებით, საქართველოში ერთი ლიტრი ბენზინის ფასი, დაახლოებით, 1,7-1,9 ლარის ფარგლებში უნდა იყოს, თუმცა დღეს არსებული ფასები 40-50 თეთრით მეტია**

**– ფასები აირია ბენზინგასამართ სადგურებზე. ერთი და იმავე ტიპის საწვავს შორის ღირებულება 10-თეთრითაც კი განსხვავდება. რა ხდება?**

– დავიწყებ ცოტა შორიდან. არის დიდი ეჭვი, რომ ნავთობპროდუქტების რეალიზატორებს შორის არის კომერციული შეთანხმება საწვავის ფასზე, რის გამოც, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ან ინდენტური ფასი იყო ყველა ბენზინგასამართ სადგურზე, ან მათ შორის უმნიშვნელო განსხვავება არსებობდა. მეც მიმაჩნია, რომ კომპანიებს შორის რაღაც გარიგება იყო და ასეთ მცირე პერიოდში ეს გარიგება ვერ ჩაიშლებოდა. განვიხილოთ საწვავის ბაზარზე არსებული ბოლო 5 წლის ტენდენცია: ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, 2003-2004 წლებში საცალო რეალიზაციის ბაზარზე რეალიზატორების რაოდენობა, დაახლოებით, რამდენიმე ათეული იყო, დღეს კი ბაზარზე მხოლოდ 5 მსხვილი მოთამაშეა დარჩენილი. 2006 წელს მსხვილი კომპანიების წილი 80 პროცენტი იყო ბაზარზე, დღეს კი უკვე 93 პროცენტს აღწევს, ანუ ბაზარი, ფაქტობრივად, გადავიდა მსხვილი მოთამაშეების ხელში, რამაც კონკურენცია მნიშვნელოვნად შეამცირა.

**– ოპონენტები ამბობენ, რომ მსხვილ კომპანიებს პროდუქციაზე ფასის დაგდების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე წვრილ კომპანიებს.**

– სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, მსხვილ კომპანიებს უფრო აქვთ ფასის შემცირების შესაძლებლობა, თუმცა მე აბსოლუტურად საპირისპირო ტენდენციას ვხედავ. მაგალითად, 2009 წელს „ვე ტი აის" ნავთობის ფასი, ეს არის ნავთობის მარკა, რომლის ამოღებაც ხდება აშშ-ში და, როგორც წესი, ძირითადად, განაპირობებს ბენზინის ფასს მსოფლიოში, შეადგენდა 82 დოლარს ბარელზე, 2011 წელს კი 100 დოლარამდე ავიდა, ანუ, დაახლოებით, 26 პროცენტით გაძვირდა. საქართველოში კი იმავე პერიოდში 35-40 პროცენტით, ანუ ორჯერ უფრო მეტად გაძვირდა ბენზინი. ეს ის პერიოდია, როდესაც ბაზრის 93 პროცენტი გადავიდა მსხვილი კომპანიების ხელში. ამდენად, პირადად ჩემთვის, ეს არგუმენტი მიუღებელია და ასეთი ფასთა სხვაობა საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განპირობებული იყო იმ გარიგებით, რაც ბაზრის მოთამაშეებს შორის იდებოდა.

**– მომხმარებელს გვამადლიან, რომ ევროპაში საწვავი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე საქართველოში, არადა საქართველოში იმპორტირებული საწვავის ხარისხი ცასა და დედამიწასავით განსხვავდება ევროპული საწვავის ხარისხისგან. ადეკვატურია ევროპული და ქართული ფასების შედარება?**

– ხარისხს რომ თავი დავანებოთ, ევროპული და ქართული ფასების შედარება არასწორია, იმიტომ რომ ერთია ფასი და მეორე – როგორია ქვეყანაში შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე.

**– თუმცა აქვე ვთქვათ, რომ ბენზინის საწყისი, ანუ პლაცის ფასი ერთი და იგივეა ყველგან, მიუხედავად იმისა, როგორია შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე.**

– რა თქმა უნდა, მსოფლიო ბაზარზე ბენზინის საწყისი ფასი ერთი და იგივეა. მაგრამ პირდაპირი შედარება შეუძლებელია იმის გამო, რომ ევროპასა და ჩვენთან ცხოვრების განსხვავებული დონეებია. ამას გარდა, ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირი დაბეგვრის სისტემებია. გაგაცნობთ ინფორმაციას, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყანაში ბენზინის საშუალო ფასი გადასახადების ფაქტორის გამოკლებით.

მაგალითად, საქართველოში გადასახადების გარეშე ბენზინის საშუალო ფასი 1,7 ლარია, გერმანიაში – 1,45 ლარი; შვედეთში – 1,4 ლარი, აშშ-ში – 1,38 ლარი, თუმცა იქ ბენზინი საერთოდაც, 1, 63 ლარი ღირს, ანუ ჩვენთან შედარებით გაცილებით იაფი.

**– ეს როგორ ხდება, რომ ჩვენთან გადასახადების გარეშე ერთი ლიტრი ბენზინი 1,7 ლარი გამოდის, ამერიკაში კი – 1,38?**

– ერთადერთი და მთავარი მიზეზი არის შეთანხმება კომპანიებს შორის, რის გამოც მათ შედარებით მაღალი მარჟა აქვთ დაწესებული და ამის წყალობით მსუყე მოგება ხვდებათ.

**– როდესაც ვამბობთ, რომ გადასახადების გარეშე ერთი ლიტრი ბენზინის საშუალო ფასი 1,7 ლარია, ამ ფასში იგულისხმება ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯები და კომპანიის მოგება?**

– რა თქმა უნდა. აქ იგულისხმება ყველაფერი, გარდა სახელმწიფო გადასახადებისა. მე ხელთ მაქვს მეტ-ნაკლებად ზუსტი გათვლები, თუ რამდენი უნდა ღირდეს ერთი ლიტრი ბენზინი საქართველოში ნორმალურ პირობებში. ხარისხიდან გამომდინარე, ერთი ტონა ბენზინის ფასი 1 500 ლარის ფარგლებში მერყეობს, პლუს-მინუს 50-50 ლარი, ხარისხის მიხედვით. ამას ემატება ტრანსპორტირების ხარჯი, რაც ტონაზე, დაახლოებით, 40 ლარს შეადგენს. ბენზინის აქციზის გადასახადი ერთ ტონაზე 250 ლარი. ამას ემატება დღგ და დავამატოთ სხვა ხარჯები. ეს, დაახლოებით, 200 ლარია ერთ ტონაზე, თუ მოგების კომპონენტსაც დავიანგარიშებთ, ერთი ლიტრი ბენზინის ფასი, დაახლოებით, 1,7-1,9 ლარის ფარგლებში უნდა იყოს, თუმცა დღეს არსებული ფასები 40-50 თეთრით მეტია. ვიმეორებ, ეს ვერ იქნება ხარჯების 100-პროცენტიანი კალკულაცია, თუმცა, დაახლოებით, ასახავს რეალურ სურათს.

**– ხშირად მომისმენია მძღოლებისგან, რომ, რადგან მანქანა კარგად მუშაობს, ესე იგი, საწვავი ხარისხიანიაო, თუმცა მანქანა კარგად მუშაობს, როდესაც ბენზინის ოქტანობაა მაღალი. ოქტანობის გაზრდის ორი გზა არსებობს: იაფი და ძვირად ღირებული. იაფია ტყვიით გამდიდრება, რაც ოქტანობას ზრდის და ანადგურებს ეკოლოგიას. მანქანა არ ფუჭდება, მაგრამ გამოუსწორებლად ფუჭდება ჩვენი ჯანმრთელობა.**

– არსებობს სამთავრობო დადგენილებები ბენზინისა და დიზელის ხარისხის შესახებ. კანონითაა განსაზღვრული, არანაკლებ რამდენი ოქტანობის ბენზინი უნდა შემოდიოდეს საქართველოში და კანონი აკონტროლებს ხარისხის ამ ნორმებს.

**– აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებით, დასაშვებია ბენზინში ტყვიისა და სხვა მავნე მინარევების არსებობა, რაც აკრძალულია ევროკავშირში. იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში ვერ შემოვა ევროპული საწვავი, ამდენად, აბსურდია იმის მტკიცება, რომ რომელიმე ნავთობიმპორტიორს „ევრო-5" სტანდარტის ბენზინი შემოაქვს.**

– მე მაქვს სტატისტიკა საქართველოში მოხმარებული საწვავის სტრუქტურის შესახებ. 74-75 პროცენტამდეა რეგულარის ტიპის საწვავი, 92 ოქტანობის; 22 პროცენტია 95 ოქტანობის საწვავი და მხოლოდ 2 პროცენტია 98 ოქტანობის საწვავის მოხმარება მთლიან სტრუქტურაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა მეთოდებით ხდება ამ სტანდარტებამდე მისვლა, თქვენც ახსენეთ ტყვიით გამდიდრება, ჩვენთან მოხმარებული ბენზინის 80 პროცენტი საკმაოდ დაბალი ხარისხისაა, რაც, თავისთავად, გავლენას ახდენს ეკოლოგიურ პირობებზე. ანუ, ამ მხრივ, არცთუ სახარბიელო ვითარებაა მოხმარებული ბენზინის ხარისხთან დაკავშირებით.

**– ამდენად, არასწორია, როდესაც ამბობენ, რომ ჩვენთან შემოდის ევროპული ხარისხის საწვავი. ჩვენთან შემოაქვთ ევროპაში ნამყოფი საწვავი.**

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება, აზერბაიჯანიდან შემოტანილი ბენზინი, რომელიც, მაქსიმუმ, 300 კილომეტრიდან შემოდის იმავე ღირებულების იყოს, როგორც 6 000 კილომეტრიდან შემოტანილი თითქოს ევროპული ხარისხის ბენზინი?! რადგან ერთი და იგივე ფასი ადევს ამ ორ პროდუქტს, ჩნდება ეჭვი, რომ ან აზერბაიჯანული ბენზინის ფასია ძალიან გაბერილი, ან ევროპიდან შემოტანილი ბენზინი არ არის ისეთი ხარისხის, რომ მისი ფასი აღემატებოდეს აზერბაიჯანიდან შემოტანილს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჟურნალ „თბილისელების" რედაქცია სამძიმარს უცხადებს თამარ ჯავახიშვილს, კახა და გია გიორგაძეებს, მეუღლისა და ძმის

**თემურ გიორგაძის**

გარდაცვალების გამო.

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი" 2012 წელს საბანკო სექტორის პრესტიჟული რეიტინგის მფლობელი გახდა

*მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალს" ქართული საზოგადოება კარგად იცნობს. „კრისტალი" საქართველოს ხუთ რეგიონში, 16 ფილიალის მეშვეობით, ათობით ათას ადამიანს მრავალფეროვან სერვისს მარტივი და გამჭვირვალე, სწრაფი და ხარისხიანი პროცედურებით სთავაზობს. 2012 წელს „კრისტალმა" მოიპოვა პრესტიჟული რეიტინგი – „BBB", რომელიც საერთაშორისო ხარისხის აღიარებად ითვლება საბანკო სექტორში. რა არის „კრისტალის" სტაბილურობის გარანტი და რა სახის მომსახურებას სთავაზობს ის მომხმარებელს, ამის შესახებ „კრისტალის" აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ მალხაზ ძაძუას გავესაუბრეთ.*

**– როგორ შეაფასებდით 2012 წელს და რამდენად წარმატებული იყო ის „კრისტალისთვის"?**

– 2012 წელი საკმაოდ საინტერესო და წარმატებული იყო „კრისტალის" მთელი 14-წლიანი ისტორიის განმავლობაში. მიმდინარე წელს კომპანიამ აჩვენა არა მხოლოდ შთამბეჭდავი ფინანსური შედეგები, არამედ, მოახერხა წარმატებით გამკლავებოდა გარემო სირთულეებს, რაც გამოწვეული იყო დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდითა და, ზოგადად, ბიზნესში საკუთრების უფლების დაცვის მხრივ არსებული პრობლემებით.

წელს ჩვენი კომპანია თითქმის 25 პროცენტით გაიზარდა. დღეისათვის „კრისტალი" მართავს 32 მილიონი ლარის აქტივებს, მათ შორის, 25 მილიონი ლარის საკრედიტო პორტფელს, სადაც სესხების უმეტესობა (56 პროცენტი) სოფლად გაცემული კრედიტებია. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად სწრაფი ზრდისა, „კრისტალის" საკრედიტო რისკები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია სექტორში და ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა შეადგენს მხოლოდ 1 პროცენტს, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, თამამად განაგრძოს გაფართოების გეგმა და მოიზიდოს მეტი ინვესტიცია საერთაშორისო ფინანსური ბაზრებიდან.

2012 წელს საერთო ჯამში, „კრისტალმა" მოიზიდა 8,5 მილიონი დოლარის ფინანსური რესურსები საერთაშორისო ინვესტორებისგან. აღსანიშნავია, რომ მათ შორის 4 მილიონ დოლარზე მეტი მიღებულ იქნა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის ფინანსურმა პარტნიორებმა პოზიტიურად შეაფასეს არჩევნების შედეგად ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები და ნდობით განეწყვნენ როგორც თავად „კრისტალის", ასევე, ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილურობისა და ბიზნესგარემოს პერსპექტივების მიმართ.



წლის ბოლოს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Microfinanza-მ ჩაატარა „კრისტალის" მორიგი სარეიტინგო შეფასება, რომლის მიხედვითაც ჩვენმა ორგანიზაციამ ერთბაშად 3 საფეხურით წაიწია წინ და მიიღო „BBB" რეიტინგი, რომელიც უფრო მაღალი შედეგია, ვიდრე რამდენიმე წამყვანი ბანკისა და თავად ქვეყნის სუვერენული რეიტინგი.

**– რა სახის მომსახურებას სთავაზობთ მომხმარებელს, რომელ რეგიონებში და რა უპირატესობები გაქვთ სხვა ბანკებთან შედარებით?**

– დღეისთვის კომპანია ემსახურება 16 000-მდე კლიენტს და წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს 5 რეგიონში 16 რეგიონული ფილიალის მეშვეობით (იმერეთი, სამეგრელო, გურია, ზემო სვანეთი და მცხეთა-მთიანეთი).

„კრისტალი" გასცემს 50 000 ლარამდე სესხებს ნებისმიერი ფინანსური საჭიროებისთვის, მათ შორის, დამწყებ მეწარმეებსა და აგროსექტორზე. სესხის აღების მთავარი წინაპირობაა ოჯახის საერთო შემოსავლებისა და ხარჯების საკმარისი თანაფარდობა. საპროცენტო განაკვეთებია: 1,8-3 პროცენტი თვეში. ვადის ხანგრძლივობა 4 წლამდე. 10,000 ლარამდე სესხები გაიცემა გირაოს გარეშე;

ჩვენი ძირითადი უპირატესობაა მარტივი და გამჭვირვალე პროცედურები, სწრაფი და ხარისხიანი მომსახურება და ოფისების ფართო ქსელი რეგიონებში. გარდა მიკროსესხებისა, მომხმარებელს, ასევე, ვთავაზობთ სხვა ფინანსურ პროდუქტებს: სწრაფი ფულადი გზავნილები, კომუნალური გადახდები, ვალუტის გაცვლა, სალომბარდე სესხები და ასე შემდეგ.

**– რა გეგმები გაქვთ 2013 წელს და როგორია თქვენი სტრატეგია?**

– 2012 წლის შედეგები და მიღწეული წარმატებები საფუძველს გვაძლევს, შედარებით უფრო ამბიციური გეგმები დავსახოთ მომდევნო პერიოდისთვის. დაგეგმილია გეოგრაფიული არეალის მნიშვნელოვანი გაფართოება და ახალი ფილიალების გახსნა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც უმთავრესად მიმართული იქნება აგროსექტორისა და სოფლის მეურნეობის ფინანსური მხარდაჭერისკენ.

ასევე, ვაპირებთ მომსახურების სისწრაფისა და ხარისხის კიდევ უფრო გაზრდას, პროცესების გამარტივებას, ახალი სერვისების შეთავაზებას მომხმარებლისთვის და, რაც მთავარია საპროცენტო განაკვეთების თანდათანობით შემცირებას. პარალელურად, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, „კრისტალი" აქტიურად გააგრძელებს სხვადასხვა სოციალური პროექტების დაფინანსებასა და მხარდაჭერას.

*თბილისი. წერეთლის გამზირი №117.*
*ტელეფონი: 032 235-39-05;*
*ქუთაისი, წერეთლის გამზირი №1.*
*ტელეფონი: 0431 25-22-44.*
*ვებ-გვერდი: www.crystal.ge*

**თამუნა ნიჟარაძე**

**– ვიცით, რომ „სოკარი" მუშაობს პლაცის ფასით და ერთი დღე-ღამე უნდა რკინიგზით საწვავის შემოტანას საქართველოში, არადა, ისიც სხვა ნავთობიმპორტიორების მსგავსად რეაგირებს მსოფლიო ბაზარზე ფასის ცვლილებისას: უცბად აძვირებს და ნელა აკლებს. ვითომ იმდენ მარაგს იკეთებს „სოკარი" საქართველოში, რომ ფასის დასაწევად ამოყიდვას ელოდება?**

– საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც „სოკარს" აქვს საცალო ქსელი, სხვა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს „სოკარის" ბენზინგასამართი სადგურები და ის არსად იღებს მონაწილეობას საცალო რეალიზაციაში. ამდენად, საქართველოს ბაზრით დაინტერესება და აქ მოცულობითი საცალო ქსელის შექმნა, რომ სავარაუდოდ, „სოკარს" აქვს შესაძლებლობა, საკმაოდ ძვირად გაყიდოს თავისი იაფი რესურსი. აზერბაიჯანში ძალიან იაფი ღირს ბენზინი, ჩვენი კურსით – 1,1 ლარი და იმავე საწვავს, რომლის ტრანსპორტირებაც იაფი უჯდება, საქართველოში ჰყიდის ორმაგ ფასად. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ყოველწლიურად, დაახლოებით, მილიარდი დოლარის საწვავი შემოდის და „სოკარი" ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა ბაზარზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის საკმაოდ დიდ მოგებას ნახულობს.

**– რეალური კონკურენციის პირობებში „სოკარს" შეეძლო ფასის დაგდება და ბაზრის უფრო დიდი სეგმენტის დაკავება?**

– ამიტომაც ვახსენე შეთანხმება კომპანიებს შორის.

**– როგორც ვიცი, ისინი ვერ აწარმოებენ „პრემიუმსა" და „სუპერს", იმიტომ რომ, ოფიციალური ინფორმაციით, აზერბაიჯანი 2012 წლის პირველი ივლისიდან გადავიდა „ევრო-3" სტანდარტის ბენზინის წარმოებაზე.**

– რამდენადაც ვიცი, აზერბაიჯანი ვერ აწარმოებს „პრემიუმს", თუმცა ჩვენთან ბაზრის 75 პროცენტი უჭირავს „რეგულარის" ტიპის ბენზინს.

**– შეთანხმების სქემა როგორი უნდა იყოს ნავთობიმპორტიორ კომპანიებს შორის?**

– კარტელური შეთანხმების დროს თანხმდებიან არა მარტო ფასზე, არამედ ბაზრის გადანაწილებაზეც, ანუ ვინ რას შემოიტანს, რა მოცულობით და რა ფასად. თავისი უპირატესობა ყველა კომპანიას ექნება რომელიღაც მიმართულებით: ზოგს – „პრემიუმის", ზოგს – „სუპერის", ზოგს – „ევრორეგულარისა" თუ „რეგულარის" მიმართულებით.

**– სავსებით ბუნებრივია კომპანიის დაინტერესება, რომ მაქსიმალური მოგება მიიღოს. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კომპანიები იძულებული გახდნენ, დააწესონ გონივრული ფასი ჯანსაღი კონკურენციის მიხედვით.**

– დავიწყოთ იმით, რომ, უპირველესად, ბიზნესი არ უნდა იზღუდებოდეს იმაში, რომ თავისი შეხედულებისამებრ დააწესოს ფასი და მიიღოს მოგება, ოღონდ ეს უნდა ხდებოდეს კონკურენციის და არა სხვა კომპანიებთან შეთანხმების საფუძველზე. თუ კონკურენციის ფაქტორი აძლევს საშუალებას, ჰქონდეს 100-პროცენტიანი მარჟა, კი ბატონო, ჰქონდეს 100-პროცენტიანი მარჟა. მაგრამ, თუ მფლობელები შეთანხმდებიან და დააწესებენ ერთიან ფასს, კონკურენციის ფაქტორის გაუთვალისწინებლად და ამის ხარჯზე მიიღებენ მაღალ მოგებას, ეს უნდა აღმოიფხვრას და ბაზარი უნდა იყოს კონკურენტულ მდგომარეობაში, ამ შემთხვევაში მთავარი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, მაგრამ არა დირექტიული ჩარევის მექანიზმით, არამედ კანონმდებლობის ფარგლებში. ეს იქნება საფუძველი ისეთი ორგანოს შექმნისა, რომელსაც რეალურად ექნება შესაბამისი დამოუკიდებლობა და უფლებამოსილება, რომ შეისწავლოს, რა ხდება ამა თუ იმ ბაზარზე, მათ შორის, ნავთობპროდუქტების ბაზარზე და გამოავლინოს კარტელური გარიგებები. კომპანიებს მოსთხოვოს, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან. ეს, რა თქმა უნდა, თავის თავში გულისხმობს სხვადასხვა სანქციის გამოყენებას. მე ვემხრობი იმას, რომ, თუ ადამიანი ისჯება კანონის გადახვევის გამო, უნდა დაისაჯოს კომპანიაც, თუ ის არღვევს კონკურენციის პირობებს, იმიტომ რომ კონკურენციის შეზღუდვის შედეგად მოყენებული ზიანი გაცილებით მეტია, ვიდრე, თუნდაც, კონკრეტული ადამიანის მიერ ჩადენილი კანონგადაცდომა. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ საკითხს და ნებისმიერ ბაზარზე უნდა აღიკვეთოს კონკურენციის შეზღუდვა.

**– როგორც ვიცი, ამჟამად მოქმედი „სისხლის სამართლის კოდექსი" ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, პატიმრობას კარტელური შეთანხმებისა და მონოპოლიური საქმიანობის გამო?**

– ეს ასეა, მაგრამ მე არ მახსენდება ამ მუხლით საქმე აღძრულიყო ან ეჭვი გამოთქმულიყო, ძიება დაწყებულიყო და, ჩემი აზრით, ეს უნდა დარეგულირდეს ანტიმონოპოლიური სამსახურით და არა სხვადასხვა მუხლით „სისხლის სამართლის კოდექსში". უნდა არსებობდეს ცალკე ორგანო, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხის მოგვარებით და მოწესრიგებით იქნება დაკავებული, როგორც ეს ხდება ცივილიზებულ სახელმწიფოებში.

**– მაგალითად, ნავთობიმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ამბობს, რომ ბენზინი ძვირი ღირს, რადგან ბენზინგასამართ სადგურებზე ინფრასტრუქტურა მაღალი დონისაა, მაგალითად, ევროდონის ტუალეტებიაო. მე, მომხმარებელმა, უნდა ავუნაზღაურო კომპანიას ამ ტიპის ხარჯებიც?**

– ბენზინგასამართ სადგურზე მთავარია, გქონდეს კარგი აპარატი. თუ სხვა ობიექტია ბენზინგასამართ სადგურზე, ეს ცალკე შემოსავალს იძლევა. კაპიტალური ხარჯი ერთჯერადია. საერთოდ, ნებისმიერი ბიზნესის მიზანია, მაქსიმალურად შეამციროს დანახარჯები. კონკურენციის პირობებში ყველა კომპანიის მიზანი იქნებოდა მეტი მყიდველის მოზიდვა. ამ მიზნის მისაღწევად შესაძლებელია ხარისხის გაუმჯობესება, ფასის დაწევა და სხვა. ამიტომ ჩემთვის ეს არგუმენტი მიუღებელია, რომ ბენზინი ძვირი ღირს ინფრასტრუქტურის გამართულობის გამო.

**ნინო ხაჩიძე**



რატომ ითვლება, რომ საბჭოთა კავშირის გაყოფა შეიძლებოდა, საქართველოსი არა?! რა საფუძველზე?!

**მიუხედავად იმისა, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ნავსი გატყდა (აგერ უკვე ციტრუსის პირველი პარტია გაამგზავრეს დიდ რუსეთში), სავსებით ცხადია, რომ როგორც ქართული, ისე რუსული ოფიციოზი თავს იკავებს ზედმეტი ლაპარაკისას, რათა რომელიმეს ზედმეტი არ წამოსცდეს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ პოლიტიკური ვაჭრობა უნდა დაიწყოს და თითოეული მხარე ცდილობს, მეორეს რამე მაინც წამოაცდენინოს, რაც მოლაპარაკების სათავისოდ გამოყენებაში დაეხმარება. მართალია, კონსტანტინ ზატულინი რფ-ის ოფიციალურ ხელისუფლებას არ წარმოადგენს, მაგრამ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ, ჯერ ერთი, გასული საუკუნის 90-იან წლებში უშუალოდ იყო ჩართული რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებში აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით და, რაც მთავარია, ამჟამად დსთ-ის ინსტიტუტის დირექტორია, უფრო მეტის გაგების მიზნით, სწორედ მას დავუკავშირდით და შექმნილი ახლებური რეალობის ანალიზი ვთხოვეთ.**

# რის სანაცვლოდ შეუშვა რუსეთმა თავის ბაზარზე ქართული პროდუქცია და რა შეკითხვები აქვს კონსტანტინ ზატულინს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან

**– რეალობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ბოლოს ვისაუბრეთ რამდენიმე წლის წინათ. ჩვენ ყველას გვახსოვს რუსეთის როლი ვარდების რევოლუციაში, როდესაც მინისტრი იგორ ივანოვი ჩამოვიდა. ამ პროცესშიც ხომ არ იღებდა მონაწილეობას რუსეთი რამე ფორმით, პასიურად მაინც?**

– თქვენ ცხოვრობთ საქართველოში და ამიტომ შემიძლია, ეს კითხვა თქვენ დაგისვათ: იგრძენით რამე, რაც დაადასტურებდა რუსეთის მონაწილეობას?! სადმე დაფრინავდა რუსეთის თვითმფრინავები თუ თბილისის სიახლოვეს ტაქსების ნაცვლად რუსული ტანკები მოძრაობდნენ?!

**– მე ასეთი მონაწილეობა არ მიგულისხმია, თქვენ მიმიხვდებოდით. მონაწილეობა პასიურად, ხელის არშეშლის პრინციპით?**

– რაც შეეხება ვარდების რევოლუციას: ივანოვი აღმოჩნდა მოვლენათა რეგისტრატორი და არანაირი როლი არ შეუსრულებია. მე პირადად, სერგეი ანატოლის ძისადმი პატივისცემის მიუხედავად, არასდროს დამიმალავს, რომ უკიდურესად გაკვირვებული ვიყავი, რომ სხვის ფაფაში გაერია. არავის სჭირდებოდა, შეგვექმნა ილუზია, რომ რუსეთი რამენაირად იღებდა მონაწილეობას ვარდების რევოლუციაში. ივანოვი იწევდა თბილისისკენ, ყველასთვის ცნობილი მიზეზებით, მისთვის სულერთი არ არის საქართველოს ბედი. თუმცა ყველას ესმოდა, რომ რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა, არ იყო რუსული თამაში. თუ გნებავთ უცხოელი მონაწილეების პოვნა, უნდა მიხვიდეთ თბილისში ამერიკის საელჩოში, რომელიც შესანიშნავად გრძნობს თავს იქ.

**– ვფიქრობ, მოსკოვშიც შესანიშნავად გრძნობს ამერიკის საელჩო თავს?**

– მაგრამ ისეთი კავშირი არ აქვს რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან, როგორიც საქართველოში. რაც შეეხება მიმდინარე სიტუაციას: მე არ მგონია, რუსეთს ჰქონოდა რეალური ბერკეტი, გავლენა მოეხდინა საქართველოს არჩევნების შედეგზე. მით უმეტეს, მას არ ჰქონდა საშუალება, გავლენა მოეხდინა საქართველოს მოქალაქეების არჩევანზე. თქვენი კითხვა ასე შეიძლება, გადაკეთდეს: გვაქვს თუ არა ჩვენ რამე კავშირი თავად ტრიუმფატორის პიროვნებისადმი და არის თუ არა ბატონი ივანიშვილი, გამოვიყენებ ასეთ ტერმინს, იმედია, არ მიწყენს, ცომი, რომელიც რუსულ ღუმელში გამოცხვა. ასეთ შემთხვევაშიც კი, მე გიპასუხებთ: არა, ბატონი ივანიშვილი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა რუსეთში, მაგრამ რუსეთში იმავე პეროდში, ასევე, მუშაობდა ძალიან ბევრი ქართველი, იმაზე მეტი ქართველი კი ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. ივანიშვილმა რუსეთში ფული გამოიმუშავა იმავე პერიოდში, როდესაც რუსეთში ფული იშოვეს ხადარკოვსკიმ, აბრამოვიჩმა, ბერეზოვსკიმ, გუსინსკიმ და სხვებმა. მათი ნაწილი უცხოეთშია, ნაწილი რჩება მოქმედ რუს მეწარმეებად და ზოგიერთი მათგანი კი ზის ციხეში, მაგრამ რას ამტკიცებს ეს?! აბსოლუტურად არაფერს! იყო პერიოდი, როდესაც ივანიშვილი მხარს უჭერდა სააკაშვილს, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მე ჯეიმს ბონდის ზღაპრების სტილშიც კი არ მჯერა, რომ დიდი ხნის წინათ, როდესაც მან მიიღო გადაწყვეტილება, დაბრუნებულიყო მშობლიურ მხარეში, მანამდე ლუბიანკაზე მიიღო ფარული დავალება, რომ დიდი ხნის შემდეგ გამოსულიყო პოლიტიკურ სცენაზე, რომ დაპირისპირებოდა საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას. ეს კონსპირაციული თეორია აბსურდულია იმ ვერსიებს შორისაც კი, რომელთა მოსმენა ასე უყვართ საქართველოში.

**– სხვანაირად გკითხავთ: რუსეთისთვის ხელსაყრელია საქართველოში ხელისუფლების ცვლილება? რუსი პოლიტოლოგები არ მალავდნენ, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში თავს კომფორტულად გრძნობდა რუსეთი, იმიტომ რომ შეეძლო ეთქვა, მე ამ ხელისუფლებას არ დაველაპარაკებიო და ასეც იქცეოდა.**

– რაღაც თვალსაზრისით, რუსული დიპლომატიური სამსახურისა და ხელისუფლებისთვის 2008 წლის შემდეგ ეს კომფორტული იყო. ანუ ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით ჩვენი მოქმედების სიმართლეში, როდესაც საქართველოს ვაიძულეთ მშვიდობა და შემდეგ ვაღიარეთ აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“. ჩემი აზრით, ეს უფრო ადრეც უნდა გაგვეკეთებინა, მაშინ შესაძლოა, თავიდან აგვეცილებინა 2008 წლის მსხვერპლი. მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და ამის შემდეგ პრეზიდენტის პოსტზე სააკაშვილის ყოფნა ჩვენ საშუალებას გვაძლევს, იოლად გავუმკლავდეთ ამ სტატუს-კვოს შესაცვლელ ნებისმიერ არგუმენტს. იგნორირება გავუკეთოთ მოსაზრებას, რომ აი, საქართველომ გადაწყვიტა, რისხვა შეცვალოს გულმოწყალებით და ამიტომ ახლა უნდა, რომ რუსეთმა ამის გამო უკან წაიღოს თავისი აღიარება. ჩვენ ასეთ არგუმენტს მარტივად ვპასუხობთ: სანამ ბატონი სააკაშვილი არის პირველი პირი, როგორ ვენდოთ ასეთ საქართველოს, როდესაც სააკაშვილი გვპირდებოდა ერთს და აკეთებდა მეორეს?! მან მოთელვა გაიარა აჭარაში და ამის შემდეგ დაასკვნა, რატომ არ შეიძლება, იგივე გამოვიდეს „იუჟნაია ოსეტიაში“ და შემდეგ კი – აფხაზეთში?! სხვათა შორის, გარკვეული დანაშაული, რომ სააკაშვილმა თავი იგრძნო დაუსჯელად, არა მარტო ამერიკელებს, არამედ ზოგიერთ ჩვენს ხელმძღვანელსაც მიუძღვის. ჩვენ ვიყავით და ვართ, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით, აჭარის ავტონომიის გარანტი, მაგრამ ჩვენ თითებს შორის შევხედეთ იმას, რომ ეს ავტონომია, ფაქტობრივად, განადგურდა, როგორც ავტონომია.

**– ჩვენ ვიცით, რომ ყარსის ხელშეკრულება არის საერთაშორისო და იქ თურქეთის ინტერესით ჩაიდო აჭარის ავტონომია, რის გაუქმებასაც ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ყველა, ანუ ხუთი ქვეყნის თანხმობა სჭირდება, მაგრამ თქვენ ნუ წუხხართ აჭარის ავტონომიიის დაკნინებაზე, აჭარლებს არ უნდათ ეს ავტონომია, უბრალოდ მას ზემონახსენები მიზეზით ვერ ვაუქმებთ.**

– საიდან დაასკვენით ეს?! ეს ხომ ზეწოლით გაკეთდა?!


## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია



2013 წლიდან განაგრძობს მიღებას შემდეგ პროფესიულ სპეციალობებზე: 1. ტურიზმი, გიდი (I, II, III საფეხურები); 2. ინტერნეტ-ტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) (II, III საფეხურები); 3 კორესპონდენტი (III საფეხური).

**მიღების მოთხოვნები:**

ყველა სპეციალობისთვის აუცილებელია საბაზო/საშუალო განათლება ან არაფორმალური განათლების აღიარება; გასაუბრება უცხოურ ენაში.

ყოველ საფეხურზე გაიცემა სახელმწიფო დიპლომი.

**დირექტორი – პროფესორი ამირან მექვაბიშვილი.**

საბუთების მიღება ყოველდღე, 10.00-17.00 საათამდე.

**საჭირო:** 1. ატესტატი (დედანი); 2. 4 ფოტოსურათი – 3/4; 3. პირადობის მოწმობა.

**მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.**
**ტელეფონები: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24.**

**– მე არ მინდა, ჩვენ უსაგნოდ ვიდავოთ. არანაირი ზეწოლა არ ყოფილა: აჭარლები ისეთივე ქართველები არიან, როგორც კახელები, იმერლები, ქართლელები, გურულები, მეგრელები და სხვა.**

– მე არ ვამბობ იმას, როგორი ქართველები არიან ისინი, მაგრამ ისინი განსხვავებული ქართველები არიან, იმიტომაც ჰქვიათ აჭარლები.

**– კახელებსაც კახელები ჰქვიათ, მაგრამ, რა, ქართველები არ არიან?!**

– ეს არ არის პრობლემა, ლაპარაკია აჭარის ავტონომიის სტატუსზე. მე ვამბობ, რომ იმ სპეცოპერაციის შემდეგ აჭარის ავტონომია დაიკარგა და ჩვენ ეს არ გავხადეთ განგაშის საფუძვლად. ჩვენ მიხეილ სააკაშვილს შევუქმენით შთაბეჭდილება, რომ ასე იქნებოდა ყოველთვის.

**– იმას გეკითხებით, ახლებური რეალობის გათვალისწინებით, როგორ წარმოგიდგენიათ რუსულ-ქართული მოლაპარაკებები?**

– მე არ შემიძლია იმის თქმა, რომ ეს არის სრულიად საქართველოს მთავრობის პოზიცია, რადგან პრეზიდენტი სააკაშვილი პრეზიდენტია და მას აქვს დიდი უფლებამოსილებები.

**– გადაწყვეტილებას იღებს პრემიერ-მინისტრი.**

– დიახ და საპირისპირო გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი და უახლოეს მომავალში ვნახავთ, ეს რითაც დამთავრდება. მას ვადა ეწურება, მაგრამ უარი არ უთქვამს რევანშზე, ამიტომ ჩვენ არ ვიცით ზუსტად, როგორ დასრულდება ეს ისტორია. ამიტომ, როდესაც რუსულ-ქართულ ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, ეს მხოლოდ თეორიული მსჯელობაა, თუმცა არც ის შეგვიძლია, რომ სულ არ შევამჩნიოთ, რაც ხდება. ჩვენ ვხედავთ, რომ არის მოწოდებები ურთიერთობის დარეგულირებაზე, მაგრამ ისევ მანტრასავით იმეორებენ, რომ ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიას“. ჩვენ ველით, როდის გაერკვევა საქართველო თავისი მიზნების პრიორიტეტულობაში. მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ვერ გამოვა ამ რთული ვითარებიდან, სანამ არ აღიარებს რეალობას. რეალობა კი ისაა, რომ აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“ მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ცხოვრობენ დამოუკიდებელი ცხოვრებით.

**– თუმცა პუტინმა ნათლად თქვა, რომ რუსეთი უკან ვერ წაიღებს თავის აღიარებას და მას ესმის, რომ ვერც საქართველო აღიარებს თავის სეპარატისტულ რეგიონებს. თქვენ არ ეთანხმებით პუტინს?**

– ამ ეტაპზე ცხადია, რომ ქართული ელიტა არის მზად ამისთვის, არც ერთ ქართულ პოლიტიკოსს არ ეყოფა სითამამე, გამოვიდეს და აღიაროს რეალობა.

**– რუსეთს ეყოფოდა სითამამე, რომ ეღიარებინა ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ბაშკირსტანი, თათარსტანი?**

– რუსეთს ეყო სიმამაცე ან, გნებავთ, სიბრიყვე, რომ თავმჯდომარე ყოფილიყო იმ სხდომაზე, რომელზეც დაიშალა საბჭოთა კავშირი.

**– შეიძლება, ქართველ პოლიტიკოსებს არ უნდათ, გამოიჩინონ იგივე სიბრიყვე და ამიტომაც არ აღიარებენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს?**

– საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად, იყო რუსეთის იმპერია, მაგრამ ჩვენ ხომ მისი დაშლის გამო ომები არ გვიწარმოებია?! რატომ ჰგონია საქართველოს, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნას უნდა უწოდოს ოკუპაცია და ამასთან ამ ოკუპაციის შედეგად მასთან მოხვედრილი აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“ თან უნდა წაიღოს?!

**– ვიმეორებ, არ მინდა, კამათი, მაგრამ იმის თქმა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საბჭოთა კავშირიდან ერგო საქართველოს, მეტისმეტია. ისტორიულ პროექტშიც არ ყოფილა არათუ საბჭოთა კავშირი, რუსეთის იმპერია, როდესაც ცხინვალის რეგიონი იყო ჩვენი, აფხაზებთან ერთად ხომ საერთოდ ერთი სახელმწიფო გვქონდა?!**

– როდის გქონდათ თქვენ ერთიანი სახელმწიფო? უბრალოდ მაინტერესებს, ჩვენ სერიოზულად ვლაპარაკობთ თუ...

**– რაკი თქვენ მოგყავთ ისტორიული მაგალითი, მეც მომყავს ისტორიული მაგალითი. ისტორიისთვის 200 წელი იგივეა, რაც 800. ერთიანი სახელმწიფო შევქმენით 10 საუკუნის წინათ და ერთიანი საქართველოს დაშლამდე ვიყავით ერთად, შემდეგ – სხვადასხვა სამეფოებად.**

– მეც კარგად ვიცი საქართველოს ისტორია. ერთ სახელმწიფო სივრცეში, ერთიან პოლიტიკურ სივრცეში იყავით თამარ მეფის დროს.

**– იყო კიდევ ერთი პერიოდი გიორგი ბრწყინვალის დროს, თუ იცნობთ საქართველოს ისტორიას, ესეც გეცოდინებათ.**

– ოდესღაც ამას ერქვა ქართულ-აფხაზური სამეფო. როდესაც 1994 წელს ჩემთან სახელმწიფო სათათბიროში მოვიდა ზურაბ ჟვანია, მაშინ ის უბრალოდ „მწვანეების“ ლიდერი იყო. მე მას ვუთხარი, რომ აუცილებელი იყო, გვეპოვა გამოსავალი კონფლიქტიდან. მაშინ ლაპარაკი მიდიოდა ფედერაციულ მოწყობაზე და დავარქვათ-მეთქი ამას ქართულ-აფხაზური ფედერაცია. ზურაბ ჟვანიამ თქვა, რომ ეს არ იქნებოდა არასდროს. თამარის დროს ეს შეიძლებოდა და 8 საუკუნის შემდეგ ქართული პოლიტიკა ისე დეგრადირდა, რომ იმის წარმოდგენაც კი არ შეუძლია, რომ აღიაროს აფხაზების, როგორც მოვლენის, არსებობა?! 1991 წელს რუსეთმა არ იდავა ყირიმისთვის, დონბასისთვის, დასთანხმდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, მაგრამ საქართველომ არათუ იდავა, იომა. რატომ ითვლება, რომ საბჭოთა კავშირის გაყოფა შეიძლებოდა, საქართველოსი არა?! რა საფუძველზე?! აი, ჩემი პასუხი თქვენს კითხვაზე.

**– თუ სწორად გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ რეალური რუსულ-ქართული დიალოგი დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაირკვევა, ვინ არის საქართველოს რეალური ხელისუფლება, რომელიც შემდეგ აღიარებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს?**

– დიალოგი არ შემწყდარა, ის უბრალოდ სხვა დონეზე და სხვა აქტორების მონაწილეობით მიმდინარეობდა. დღეს, საქართველოში ორხელისუფლებიანობის პირობებში, ეს დიალოგი ამაღლდა სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის დონეზე, რომელიც შეხვდა ჩვენს წარმომადგენელს, რაც არ მომხდარა 2008 წლის შემდეგ. ეს სხვა ეტაპია არსებული დიალოგის, მაგრამ ახალი ეტაპი დადგება მას შემდეგ, რაც, ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, ვინ არის საქართველოს ხელისუფლება და ვის აქვს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. თქვენ მე მაწყენინებთ, თუ მეტყვით, რომ დღეს ცხადია, ვინ არის საქართველოს ხელისუფლება. როგორც „ნათლიმამაშია“: ნუ აყენებთ შეურაცხყოფას ჩემს გონებას. როდესაც ეს ნათელი გახდება, დიალოგი წავა, თუმცა შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ სააკაშვილმა მოახერხოს გადათამაშება, მან აჯობოს „ოცნებას“ და აიღოს რევანში. ამ შემთხვევაში ის, რასაც ახლა ვამბობთ, აღარ გამოგვადგება, თუ სხვანაირად მოხდება, მაშინ დამატებითი პირობები შეიქმნება, რომ განვიხილოთ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა, როგორც ერთადერთი პარტნიორი და პასუხისმგებელი ძალა.

**– როგორც ჩანს, ჩვენი ურთიერთობა დარეგულირდება პროდუქციის დონეზე, ანუ მწვანილისა და ღვინის დონეზე ვრჩებით ჯერჯერობით?**

– ამის შესახებ პუტინმა უკვე თქვა, რომ ქართული პროდუქციის შემოშვება შესაძლებელია, თუმცა ისიც საკითხია, ეს ვისთვისაა უფრო ხელსაყრელი: საქართველოსთვის თუ რუსეთისთვის.

**– ჩვენ ორივე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ვართ და რუსეთს მაინც მოუწევდა იმ ქართული პროდუქციის შეშვება, რომელსაც აქვს ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი.**

– მე ახლა არ ვიღებ მონაწილეობას ამ გადაწყვეტილებების მიღებაში, მაგრამ მუშაობა მიდის, რომ მოიხსნას ეს ბარიერები.

**– არის ერთი საინტერესო დეტალი: პუტინი ამბობს, რომ ემბარგო მოიხსნება, არადა რუსეთს ემბარგო არ გამოუცხადებია ჩვენთვის, დაიწუნეთ უხარისხობის მოტივით. ანუ აშკარად ითქვა, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო?**

– ხომ ყველასთვის ცხადია, რომ ეს გადაწყვეტილება იყო პოლიტიკური?! მსოფლიოში უამრავი საშუალებაა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებებს უზადო იურიდული ფორმა მისცენ, ამ შემთხვევაში გამოიყენეს ხარისხი. უაზროდ გამოვჩნდები, რომ ვთქვა, ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონდა-მეთქი, მე კი თვალთმაქცი არ ვარ.

**– დავუშვათ, რომ ივანიშვილი ერთადერთი ძალაა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას. დიალოგი გულისხმობს ორმხრივ კომპრომისს: თქვენი აზრით, რა კომპრომისებზე შეუძლია, წამოვიდეს რუსეთი, თუ აპირებს მათზე წასვლას და რას ელის საქართველოსგან?**

– მახსოვს, 1994 წელს უკრაინის პრორუსი ძალები გვთხოვდნენ დახმარებას. როდესაც მათთან ჩავედით, ვკითხეთ, როგორია თქვენი აზრი სევასტოპოლისა და რუსული ენის სტატუსზე, შავი ზღვის ფლოტის გაყოფაზე. გვიპასუხეს, რას ამბობთ, ამაზე ლაპარაკიც არ შეგვიძლია, რადგან, თუ კრინტს დავძრავთ, მეხუთე კოლონად გამოგვაცხადებენო. მაშინ რად გვინდა ისეთი პრორუსი ძალები, რომლებიც არანაირ თემაზე არ აპირებენ ლაპარაკს და მხოლოდ კომპრომისებს ელიან ჩვენგან?! ამიხსენით, როგორ აპირებთ მომავალში დიალოგს აფხაზეთთან და „იუჟნია ოსეტიასთან“? აპირებთ ისევ ჩაერიოთ ჩრდილოეთ კავკასიაში?! ვხედავთ, რომ რაღაც გადაწყვეტილებები მიიღეთ: დახურეთ პირველი კავკასიური ტელევიზია. გაგრძელდება ეს პოლიტიკა? აპირებთ თუ არა ნატოში შესვლას?

**– ერთია, ჩვენ რას ვაპირებთ და, მეორე, მიგვიღებს თუ არა ნატო?**

– მაგრამ თქვენს მისწრაფებად ისევ რჩება თუ არა ნატო?! ეს გვითხარით და ამის შემდეგ გეტყვით, ჩვენ რაზე შეგვიძლია წამოსვლა. თქვენ ამბობთ, ჩვენ ამ თემებზე ლაპარაკი არ შეგვიძლია, არც აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიაზე“ ლაპარაკი შეგვიძლია. აბა, რა არის თქვენი დათმობები? მაშინ რატომ ელით დათმობებს ჩვენგან?!

**– მე პარალელურად ვიკითხე, ბალანსი დავიცავი.**

– რატომ უნდა წამოვიდეთ დათმობებზე, იმიტომ რომ სააკაშვილი შეიცვლება ივანიშვილით?!

**– თქვენც გვითხარით, „პიკი“ დაიხურა, სოჭის ოლიმპიადაში ვიღებთ მონაწილეობას, რასაც პირადად მე არ ვეთანხმები.**

– პუტინმა აკრძალვა მოხსნა ქართულ პროდუქციაზე. სოჭის ოლიმპიადა ჩატარდება და წავა, ქართული საქონლის მოძრაობა კი შემოსავლის მიღების შესაძლებლობაა და ის დარჩება.

**– მე მესმის, რომ ფრთხილად ლაპარაკობთ, თქვენც არ გინდათ თქვათ ზედმეტი, გირჩევნიათ, გაიგოთ, ქართული მხარე რის დათმობაზეა წამსვლელი და ამის შემდეგ წამოაყენოთ უფრო მკაფიოდ თქვენი პირობები.**

– მე გადამდგარი რუსი პოლიტიკოსი ვარ, სამი მოწვევის დეპუტატი ვარ და ისევ გახლავართ დსთის ინსტიტუტის დირექტორი. მაქვს გავლენა საზოგადოებაში და ჩემს აზრს ყურს უგდებენ, შესაბამისად, ვამბობ იმას, საითკენაც მიდის საქმე.

**– და საით მიდის?**

– გარკვეული მოლაპარაკებები დაიძვრება, თუ გაირკვევა, ვინ არის ხელისუფლება საქართველოში. თუ თქვენ არ აღიარებთ ამ რესპუბლიკებს, რაღაცნაირად მაინც გამონახავთ მათთან თანაცხოვრების საშუალებას, ჩვენ კი რაღაცნაირად შევინარჩუნებთ ამ აღიარებას და განვაახლებთ ადამიანურ კავშირებს.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 20 0 200
SMS – 93094

ზარი ფასიანია



**იმიტომ ხდება აგრესიული პოსტკონფლიქტური ქვეყანა, რომ მოუნელებელი ტკივილები აწუხებს. ტრავმა ჯერ გადადის ფრუსტრაციაში, შემდეგ კი – აგრესიაში და ეს წამლეკავი ბოროტი ძალაა**

**ქვეყნის გარედან – საერთაშორისო კვლევებიც და რეკომენდაციები მოწმობს, ქვეყნის შიგნით კი – სახელისუფლო შტოებში ქალბატონების რაოდენობა, რომ ქალთა უფლებები ჩვენს ქვეყანაში, მაინცდამაინც, დაცული არ არის (აღარაფერს ვიტყვი ქალების მიმართ ძალადობის ფაქტებზე როგორც ოჯახებში, ისე სამუშაო ადგილებზე, თუ ვინმეს ისე გაუმართლა და მუშაობს). შესაბამისად, არასამთავრობო სექტორის ყურადღებაც სწორედ ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ იყო მიპყრობილი, თუმცა ბოლო დროს გაირკვა, რომ ჩვენს ქვეყანაში არანაკლები (რიგ შემთხვევებში, თუ მეტი არა) სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მამაკაცია, რაც, თავისთავად, კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. ნინო ციხისთავთან ერთად შევეცდებით იმის დადგენას, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, როდესაც მისი წევრების უმეტესობა, განურჩევლად სქესისა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ძალადობის მსხვერპლია; აქვს თუ არა მომავალი ტოტალურად დათრგუნულ საზოგადოებას და როგორ არის შესაძლებელი მსხვერპლის რეაბილიტაცია.**

# რატომ მიიჩნია გაერომ, რომ გაუპატიურებას, როგორც დანაშაულს არ აქვს ხანდაზმულობის ვადა და რატომ არ უმატებენ პატიმრებს სასჯელს ევროპულ ქვეყნებში გაქცევის მცდელობის გამო

**– როგორ მდგომარეობაშია საზოგადოება, როდესაც ძალადობის მსხვერპლნი არიან ორივე სქესის წარმომადგენლები? ზოგადად, როგორი ტიპის საზოგადოება აღმოჩნდება ხოლმე ასეთი პრობლემის წინაშე?**

– ამ საკითხზე ფართო მსჯელობა არ გამართულა, თუმცა საზოგადოება მყისიერად რეაგირებს ძალადობის თითოეულ ფაქტზე. რეაგირება სხვადასხვანაირია: დისკუსია, შეფასება, სამართლებრივი თუ პოლიტიკური რეაგირება. ოღონდ ჯერჯერობით საუბარი არ დაწყებულა ძალადობის მოზაიკაზე: სად ხდება, როგორ არის გადანაწილებული დროში და ასე შემდეგ. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამას აქვს რამდენიმე მიზეზი. ერთი ტიპის კვლევები ადასტურებს, რომ ძალადობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია ეკონომიკური მდგომარეობა.

**– უმუშევრობა, სიღარიბე ხდება ძალადობის საბაბი?**

– დიახ. ასევე, არის მეცნიერების ჯგუფი, რომლებიც ამბობენ, რომ არასტაბილურობა წაახალისებს ქვეყანაში ძალადობას, მხედველობაში მაქვს პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობა ან ამის საპირისპირო, როგორც უნდა გაგვიკვირდეს, ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ძალადობის მექანიზმს იყენებს მართვისთვის. მეცნიერების სხვა ჯგუფს ძალადობის საფუძვლად მიაჩნია პოსტკონფლიქტური ვითარება, ამაში იგულისხმება როგორც შეიარაღებული, ისე გაყინული კონფლიქტები. საქართველოს, ჩემი შეფასებით, ყველა ზემოჩამოთვლილი პარამეტრი ესადაგება და, ამდენად, ნოყიერი ნიადაგი იყო შექმნილი ძალადობისთვის. მეტსაც გეტყვით, როდესაც ჩემს უცხოელ კოლეგებთან ერთად ვსაუბრობთ ხოლმე პრობლემებზე, ისინი ხშირად ამბობენ, რომ მათთვის მაინც პარადოქსად რჩება საქართველოს მდგომარეობა, რადგან უკვირთ, რატომ არ გამოხატავს საზოგადოება თავის პროტესტს აგრესიული ფორმით. ჩვენ ხშირად გვინახავს განვითარებულ და დალხენილ ქვეყნებში როგორ ლეწავენ მოქალაქეები მაღაზიებს, წვავენ ავტომანქანებს და ჩვენზე გაცილებით აგრესიული პროტესტი ახასიათებთ. რა თქმა უნდა, ეს მე არ მწყინს, პირიქით, ძალიან კარგია, რომ ჩვენთან ასე არ ხდება, თუმცა ეს ყველაფერი შესასწავლია და ერთი ადამიანის გონება ამას უბრალოდ ვერ გასწვდება.

**– მეც ხშირად მიფიქრია ჩვენი საზოგადოების პროტესტის არააგრესიულობაზე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ისტორიულად არასტაბილურ და საფრთხის შემცველ გარემოში ვცხოვრობდით. ხანდახან მგონია, რომ უცხოსადმი კეთილგანწყობა, გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა იმას ხომ არ ეფუძნება, რომ ყოველთვის ვიჩაგრებოდით? ეს გამოხატვის არააგრესიულობა ერთგვარად გადარჩენის, თავდაცვის მექანიზმი ხომ არ იყო და არის?**

– მე გამიჭირდება, შევაფასო, ეს თვითგადარჩენის ინსტრუმენტია თუ ბუნებით ვართ ასეთები, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს რესურსი სულ უფრო და უფრო ნაკლები გვრჩება. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ქუჩაში ნებისმიერი დისკომფორტისას ვკარგავთ წონასწორობას.

**– ეს უნდა მეკითხა სწორედ: საზოგადოებრივი პროტესტისას ფოთოლს არ ვარხევთ, მაგრამ პერსონალურ ურთიერთობებში უცებ ვფეთქდებით.**

– დიახ, განსაკუთრებით, როდესაც სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც სიმბოლურად სხვადასხვა მხარეს დგანან. მაგალითად, ფეხით მოსიარულე და მძღოლი. იშვიათად მინახავს სოლიდარობა იყოს ამ ორ ჯგუფს შორის. თუ რომელიმე მძღოლი უთმობს გზას ფეხით მოსიარულეს, გაოცებულ და მადლიერ მზერას იღებს პასუხად, რადგან გზის დათმობა არ არის ტიპური ქცევა მძღოლებისგან. მაშინ, როდესაც რიგ ქვეყნებში ტრადიციაა, რომ ფეხით მოსიარულეს უნდა დაუთმო გზა. ავიღოთ სხვა ჯგუფები: მყიდველი და გამყიდველი, თითქოს მტრული დამოკიდებულებაა მათ შორის და საკმარისია მცირე მიზეზი, რომ აფეთქდეს ერთი, ან მეორე და მთელი დაგროვილი ბოღმა გადმოანთხიოს. ეს ძალიან ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა. ზემოჩამოთვლილ სამ მიზეზს, რომლებიც საზოგადოების აგრესიულობას ეხებოდა, მე კიდევ ერთს დავამატებდი: ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე ტრადიციად ქცეულ დაიარლიყებას ამისისტებად და იმისისტებად. ეს ძალიან ცუდი მეთოდია, რომელსაც ყველა ქვეყანაში იყენებდნენ და, ალბათ, გამოიყენებენ, მაგრამ, რაც შეიძლება, მალე უნდა მოვერიოთ ამას, რადგან საზოგადოება, რომელსაც სჭირდება, რომ ვინმეისტი იყოს, ვერ განვითარდება.

როდესაც 2003 წელს რევოლუცია მოხდა, ჩამოსული იყვნენ ჩემი ბალტიისპირელი კოლეგები და მათ თქვეს, თქვენთან პირველი სამი წლის განმავლობაში თანამდებობები განაწილდება იმის მიხედვით, ვინ იყო ახლოს მმართველ ძალასთან, მაგრამ შემდეგ, იმედი გვაქვს, რამენაირად დაძლევთ ამ პრობლემას და წინ წახვალთო. მათ ეს სირთულე საბჭოეთიდან გასვლის ხუთი წლის შემდეგ დაძლიეს. ვწუხვარ, მაგრამ ჩვენ ეს პრობლემა დღესაც არ გვაქვს დაძლეული. საზოგადოების ნებისმიერ სეგმენტში იგრძნობა, რომ მთავარი წყალგამყოფია, ვინ ვისი მომხრეა. ესეც დიდი პრობლემაა და, იმავდროულად, ზრდის აგრესიას მოსახლეობაში.

**– დეპარდიეს უთქვამს ასეთი რამ: რაკი სარკოზი დამარცხდა, უარს ვამბობ ასეთ საფრანგეთში ცხოვრებაზე და საფრანგეთის მოქალაქეობაზეო. იმის თქმა მინდა, რომ „მწყერები“ ყველგან ჰყავთ ადამიანებს, არა მარტო ჩვენთან.**

– მეც ვნახე ეს ინფორმაცია, თუმცა ისიც ითქვა, რომ მას გადასახადებთან მიმართებაში ჰქონია პრობლემა. ისევ ჩვენს სათქმელს რომ დავუბრუნდეთ: სახელმწიფოს ვალდებულებაა, ყველანაირი მექანიზმი გამოიყენოს საზოგადოებაში ამ აგრესიის ჩასაქრობად. ეს არ ეხება მხოლოდ სოციალური მუშაკების ინსტიტუტს, რომელიც საქართველოში არ მუშაობს. პრობლემის სათავე არის დასაქმებისა და უმუშევრების საკითხი. აქ არსებობს კონკრეტული მექანიზმები და ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. ამ პრობლემას რომ გაუმკლავდე, მინიმუმ, უნდა აღირიცხოს უმუშევრების რაოდენობა. ყველა წინა ხელისუფლების დროს მუდმივად ვაპროტესტებდი იმას, რომ თვითდასაქმებულს განიხილავდნენ, როგორც დასაქმებულს.

**– ეს სტატისტიკის გასაკეთილშობილებლად კეთდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულების შემოსავალი, როგორც წესი, საარსებო მინიმუმზე, ნაკლებია არათუ საშუალო ხელფასზე.**

– რა თქმა უნდა. შესაბამისად, ამას უკავშირდება დაზღვევის, პენსიის, გადასახადების პრობლემები. მთავარი მაინც დასაქმებაა, რადგან ადამიანის მთავარი უფლებაა, იყო საჭირო შენს ქვეყანაში, ესე იგი, დასაქმებული და რეალიზებული.

**– შემაძრწუნებელი ფაქტები გაირკვა მამაკაცების გაუპატიურების შესახებ. არც კი ვიცი, ქალი უფრო ბევრი გვყავს ამგვარი ძალადობის მსხვერპლი თუ მამაკაცი. ეს საკმაოდ მძიმე ტრავმაა ადამიანისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. გამოსავალი რა შეიძლება, იყოს?**

– ჩვენ ვიცით, რომ დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ძალოვან სტრუქტურებში და, თუ გავითვალისწინებთ, იქ არსებულ მძიმე მდგომარეობას, ძალადობის პროცენტი ძალიან მაღალი გამოდის. სამწუხაროდ, ამ პრობლემას ერთადერთი საშველი აქვს – დრო, მეტი არაფერი. თუმცა იმავდროულად გადასადგმელია ძალიან კონკრეტული ნაბიჯები: სამართლის აღდგენა არის პირდაპირი სალბუნი ღირსების შელახვაზე, უსამართლობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს კომპენსაციის გაცემის პრაქტიკაც.

**– შალვა შავგულიძე დაგვპირდა, რომ და-**

**ზარალებულებზე გაიცემა არა მარტო მატერიალური კომპენსაცია, არამედ მორალურიც: სახელმწიფო მოუხდის ბოდიშს, სულ მცირე, თუმცა არ ვიცი, რამდენად მოხდება ეს.**

– არ ვიცი, მივა თუ არა ბოლომდე ეს პროცესი. ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, არ არის ქვეყნის განვითარების ჩვეული რიტმი. ეს არ არის ჩვეულებრივი ქვეყნის მორიგი ხელისუფლება, ეს სხვა მდგომარეობაა, რასაც მე ვაახლოებ გარდამავალ მართლმსაჯულებასთან. ეს პროცესი მიმდინარეობს ისეთ ქვეყნებში, რომლებიც დიდი კატასტროფიდან გამოდიან. აი, ასეთი დიდი კატასტროფიდან გამოსვლისას საზოგადოება თანხმდება რაღაც კონკრეტულ ნაბიჯებზე: ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა, მატერიალური კომპენსაციის გაცემა. სხვათა შორის, მორალური კომპენსაცია არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილება და მატერიალური კომპენსაცია. ეს საზოგადოებას აძლევს კმაყოფილების შეგრძნებას და იმის საშუალებას, რომ წინ წავიდეს. ამის გარეშე განვითარება ძალიან რთულია.

არ ვიცი, რამდენად რელევანტურია ეს მაგალითი, მაგრამ წლების წინათ გაეროში განიხილებოდა ქალთა გაუპატიურების საკითხი. დღემდე მიდის საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად არის ფორმულირებული კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა შორის ქალის გაუპატიურება, როგორც ომის იარაღი. ბევრი რეზოლუცია მიიღო ამასთან დაკავშირებით გაერომ და საზოგადოება მაინც უკმაყოფილოა. მაგრამ ერთ-ერთი დებატისას განიხილავდნენ ვადებს და დადგინდა, რომ გაუპატიურების დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. ეს არის მოუნელებელი ტრავმა, რომელიც ადამიანს შესაძლოა, წლების შემდეგ ამოუტივტივდეს. იმიტომაც ხდება აგრესიული პოსტკონფლიქტური ქვეყანა, რომ მოუნელებელი ტკივილები აწუხებს. ტრავმა ჯერ გადადის ფრუსტრაციაში, შემდეგ კი – აგრესიაში და ეს წამლეკავი ბოროტი ძალაა.

**– ჩვენთან ქალებიც კი მალავენ გაუპატიურების ფაქტს, მით უმეტეს, მამაკაცები ხომ ამას არ იტყვიან?**

– არ იტყვიან და ეს მათი უფლებაა.

**– მე არ ვამბობ, რომ უნდა თქვან, მაგრამ ამის ჩამდენი ამ დუმილის გამო დაუსჯელი ხომ რჩება?**

– მიუხედავად ამისა, შესაძლოა, ისე აიგოს სახელმწიფო პროგრამა, რომ დაეხმარო ამ ადამიანებს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ინფორმაციის გახმაურების შემდეგ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პატიმრების ოჯახის წევრებიც. ამიტომაც უფლებათა დაცვისას აუცილებელია სტანდარტების დაცვა, რომ ისეთი რამ არ თქვა, რაც ზიანს მოუტანს პატიმრის ოჯახის წევრს. ადამიანი არ უნდა გამოჭიმო ტელეეთერში, არ უნდა დაასახელო მისი ვინაობა და შენი, თუნდაც, უფლებათადაცვითი საქმიანობით, რაც შეიძლება, ნაკლები ზიანი მიაყენო მას. ამის შემდეგი ეტაპია პატიმრების რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დასაქმება და ასე შემდეგ. ეს დიდი და ვრცელი პროგრამაა, რომელიც უნდა აამუშაოს სახელმწიფომ.

**– არსებობს ქვეყნები, რომლებშიც გაქცევის მცდელობისას, თურმე, პატიმარს სასჯელს არ უმატებენ, რადგან მიჩნეულია, რომ ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ადამიანისთვის გაქცევა ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ამის გამო მისი დასჯა უსამართლობაა.**

– სამაჯურის ტარებაც ფეხზე ან ხელზე, ხომ იმის ნიშანია, რომ ადამიანს აძლევენ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას, რადგან ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა ადამიანისთვის რთულად მოსანელებელია. ძალიან ბევრს ამის გამო კლაუსტროფობია უვითარდება, თუმცა არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს. რა თქმა უნდა, უნდა დაისაჯოს...

**– მეჩვენება, რომ ჰუმანურობის დიდი დეფიციტი გვაქვს, რაც ჩვენთვის არ არის ბუნებრივი, რადგან, ისტორიულად, ქართული სამართალი, დასჯის ფორმების მიხედვით, ყოველთვის გაცილებით ჰუმანური იყო, ვიდრე მისი თანამედროვე, მათ შორის, ევროპული სამართალი, თუმცა დღეს საპირისპირო სურათია.**

– ეს ძალიან დიდი საუბრის თემაა. მთავარია, ადამიანებმა იგრძნონ, რომ ისინი სჭირდება ქვეყანას. არსებობს მარტივი გზა: მოვალ, გამოგკითხავ, ჩავიწერ შენს მონაცემებს, შენ შეხვალ ინტერნეტში და ნახავ, რომ მახსოვხარ და მჭირდები. რატომ არის დემონსტრაციის დროს ადამიანებს შორის ასეთი სოლიდარობა? რადგან ეს ის ფორმაა, როდესაც ადამიანები გრძნობენ, რომ სჭირდებიან ერთმანეთს, ქვეყანას. მით უფრო სჭირდებათ ამის შეგრძნება ასაკოვან ხალხს და სულ ახალგაზრდებსაც, რომლებსაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ, რომ ჩვენი საზოგადოების წევრები არიან.

**– რა ჯობია, გამოვუშვათ ეს დაგროვილი აგრესია თუ დავთრგუნოთ? არის საფრთხე, რომ ერთ არამშვენიერ დღეს აფეთქდეს?**

– თუ არ გამოუშვი, აუცილებლად აფეთქდება რთულ ფორმებში. გამოშვების სხვადასხვა მექანიზმი არსებობს. ვენტილაცია აუცილებელია, რომ ეს ნეგატივი გარდაიქმნას პოზიტივად. ძალიან მომწონს, რომ ამ ბოლო დროს საზოგადოება განათლებულ პროტესტს გამოხატავს. დარგობრივად აყენებს საკითხებს. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, საწყენია, რომ ამ ადამიანებს არ აქვთ მოგვარებული პრობლემები, მაგრამ, მეორე მხრივ, საზოგადოება მობილიზდა და ადვილად მოსატყუებელი აღარ არის. ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა მითხრა, დემოკრატია ჰგავს ჰორიზონტს, რომლისკენაც დაუსრულებლად მიდიხარო და, მართლაც, ასეა.

**ნინო ხაჩიძე**


# კრეზამი

## გიყვართ გემრიელად ჭამა?..

**1. რა იწვევს საჭმლის მონელების დარღვევებს?**

საჭმლის მონელების დარღვევები ვითარდება საჭმლის მომნელებელი ფერმენტების უკმარისობის შედეგად.

***ხელშემწყობი ფაქტორებია:***

* არარაციონალური კვება
* ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბი მოხმარება
* კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავისა და სანაღვლე სისტემის დაავადებები
* გენეტიკური ფაქტორები.

**1. რა ნიშნებით ვლინდება?**

* სიმძიმე ჭამის შემდეგ
* მუცლის ტკივილი
* შებერილობა
* ბოყინი
* ფაღარათი
* წონაში კლება.

**2. რა მივიღოთ?**

**კრეზამი** – საჭმლის მონელების დარღვევების სამკურნალო ეფექტური ფერმენტული საშუალება

**3. რითი ჯობია კრეზამი სხვა პრეპარატებს?**

* **კრეზამი** შეიცავს საჭმლის მომნელებელი ფერმენტების იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია სრულყოფილი ეფექტის მისაღებად.
* **კრეზამი** თანამედროვე ტექნოლოგიითაა დამზადებული
* **კრეზამის** კაფსულა ფერმენტებს მცირე ზომის გრანულების სახით შეიცავს, რაც უზრუნველყოფს კუჭში პრეპარატის სწრაფ და მაქსიმალურ შერევას საკვებთან.
* სწორედ ამიტომ **კრეზამი** ყველაზე სწრაფად ხსნის სიმძიმეს და დისკომფორტს ჭამის შემდეგ და ეფექტურად აწესრიგებს საჭმლის მონელებას.

გიყვარს გემრიელად ჭამა?

გაწუხებს ჭამის შემდეგ სიმძიმის შეგრძნება?

გინდა მსუბუქად იგრძნო თავი?

მიიღე

## კრეზამი

პანკრეატინი 300მგ №10

საჭმლის მონელების დარღვევების სამკურნალო ეფექტური ფერმენტული საშუალება

- კრეზამის კაფსულა შეიცავს თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებულ ფერმენტულ მინიმიკროსფეროებს
- მინიმიკროსფეროები უზრუნველყოფენ საჭმელთან სწრაფ შერევას და ქმნიან მაქსიმალური შეხების ზედაპირს საჭმლის მასასთან

სწორედ ამიტომ კრეზამი

ყველაზე სწრაფად ხსნის სიმძიმის შეგრძნებას და აადვილებს საჭმლის მონელებას




GMP ჯი-ემ-პი

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.
პრეპარატის მიღებამდე ყურადღებით გაეცანით ანოტაციას

# რა ანიჭებს სიამოვნებას მილიარდერ ჩაკ ფინის და რა მიზეზით არ არის ის „ფორბსის" მილიარდერთა რეიტინგში

მას არავინ იცნობს, ის არც ერთ რეიტინგში არ ფიგურირებს და „ფორბსის" მილიარდერების გვერდით მას ვერ იხილავთ. არადა, მისი კაპიტალი 7,5 მილიარდი ამერიკული დოლარია. ის მაღაზიათა გლობალური ქსელის „დიუთი ფრის" დამფუძნებელი და ყველაზე დიდი ქველმოქმედია ქველმოქმედთა შორის. 7,5-მილიარდიანი კაპიტალიდან ამერიკელმა ჩაკ ფინიმ საკუთარ თავს ცხოვრების განმავლობაში 2 მილიონი დოლარი დაახარჯა, დანარჩენი კი მთლიანად კეთილ საქმეებს მოახმარა.

ჩაკ ფინი – ქველმოქმედების ჯეიმს ბონდია. უკანასკნელი 30 წელია, ფილანტროპი მსოფლიოს ქვეყნებში მოგზაურობს და ქველმოქმედებაზე 7,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს ხარჯავს. ეს ის თანხაა, რომელიც მან 1997 წლამდე გამოიმუშავა, სანამ კომპანია „დიუთი ფრის" ფლობდა. მის ფონდ „ატლანტიკ ფილანტროპისს" უკვე დახარჯული აქვს 6,2 მილიარდი დოლარი განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში: ამერიკაში, ვიეტნამში, ავსტრალიაში, ბერმუდის კუნძულებზე, სამხრეთ აფრიკასა და ირლანდიაში. ფონდის ანგარიშზე დარჩენილი 1,3 მილიარდი დოლარის დახარჯვას ჩაკ ფინი 2016 წლის დასრულებამდე აპირებს, ხოლო 2020-ში პენსიაზე გასვლა აქვს გადაწყვეტილი. ქველმოქმედების გზაზე ფინი 1980-იან წლებში დადგა, რაც დააარსა საქველმოქმედო ორგანიზაცია „ატლანტიკ ფილანტროპისი," რომელიც „დიუთი ფრის" სტრუქტურიდან შექმნა და მოგვიანებით, ცალკე ორგანიზაციად აქცია. „ხშირად მეკითხებიან, თუ რა მანიჭებს სიამოვნებას და მე ვპასუხობ, ადამიანებისთვის სიკეთის კეთება," – ამბობს ჩაკ ფინი, ადამიანი, რომელმაც საკუთარ თავს, მიუხედავად იმისა, რომ მილიარდების მფლობელი იყო, მხოლოდ 2 მილიონი დოლარი დაახარჯა. ცნობისთვის, ფონდის დაარსებიდან, პირველი 15 წლის განმავლობაში, ფინი ასაიდუმლოებდა თავის საქმიანობას და ყველა ხერხით ეწინააღმდეგებოდა პრესაში ან ტელევიზიით მის ხსენებას.

ჩაკ ფინი დიდი დეპრესიის პერიოდში დაიბადა, ირლანდიური წარმოშობის ოჯახში. კორეის ომის დროს ის სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა და ომის დასრულების შემდეგ კორნელის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლაში მოეწყო „სასტუმროს მენეჯმენტის" პროფესიის დასაუფლებლად, შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, სადაც გაუნუბაჟებელი ალკოჰოლის ყიდვა-გაყიდვაზე ააწყო ბიზნესი. ფინი ალკოჰოლს, ძირითადად, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მსახურთა შორის ყიდდა. დიდი კონკურენციის მიუხედავად, ბიზნესის წარმოებაში ფინის სამხედრო წარსული დაეხმარა. მას უადვილდებოდა საერთო ენის გამონახვა ეკიპაჟის წევრებთან. გარდა ამისა, ის პორტის მეძავეებთანაც თანამშრომლობდა, რომელთა საშუალებითაც სამხედრო გემების პორტში შესვლისა და გასვლის გრაფიკს იგებდა. იმ პერიოდში ფინის კომპანიონი იყო ბობ მილერი, მისი კურსელი კორნელის უნივერსიტეტიდან. სწორედ მათ სახელს უკავშირდება პირველი „დიუთი ფრი" მაღაზიების ქსელის გახსნა. ალკოჰოლური სასმელების შემდეგ ფინიმ და მილერმა ასორტიმენტი გაამრავალფეროვნეს – სუნამოების, საიუველირო ნაწარმისა და სხვა პროდუქციის გაყიდვა დაიწყეს. ეს პროდუქცია მეზღვაურებსა და უბრალო ტურისტებში პოპულარული იყო. მოგვიანებით, ფინისა და მილერს იურისტი ტონი პილარი და ბუღალტერი ალან პარკერი შეუერთდნენ. 1964 წლისთვის კომპანია „დიუთი ფრი შოპერსი" მსოფლიოს 24 ქვეყანაში ფუნქციონირებდა და მასში 200 ადამიანი იყო დასაქმებული.

პატარა, მაგრამ მომგებიან ბიზნესს საცალო



ვაჭრობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სავაჭრო ქსელად გადაქცევაში იაპონური ეკონომიკური ბუმი დაეხმარა. 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, იაპონიის მთავრობამ თავის მოქალაქეებს უცხოეთში გასვლის უფლება მისცა. ეს კი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აკრძალული იყო, ქვეყნიდან ვალუტის გადინების დაცვის მიზნით და იმ ხნის განმავლობაში, რაც იაპონელები ქვეყნიდან ვერ გადიოდნენ, აგროვებდნენ ფულს და ამ ფულის ხარჯვა მოგზაურობაში დაიწყეს. ფინიმ მაქსიმალურად გამოიყენა ეს შანსი და „დიუთი ფრის" მაღაზიებში იაპონელი გამყიდველები აიყვანა – მომხიბლავი ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც იაპონელ ტურისტებს მათთვის უცხო, საინტერესო პროდუქციას სთავაზობდნენ. ფინის ანალიტიკოსების ჯგუფი ჰყავდა დაქირავებული, რომლებიც იაპონელი ტურისტების მოგზაურობას შეისწავლიდნენ და შემდეგ ფინის ურჩევდნენ, თუ სად გაეხსნა „დიუთი ფრის" მაღაზიები. ასე გაიხსნა „დიუთი ფრი" სან-ფრანცისკოში, ანკორიჯისა და გუამზე. საიპანზე კი, მცირე ზომის ტროპიკულ კუნძულზე, სადაც იაპონელ ტურისტებს უყვარდათ დასვენება, არ არსებობდა აეროპორტი. იმ მიზნით, რომ იმ აეროპორტში „დიუთი ფრის" მაღაზია გახსნილიყო, ჩაკ ფინიმ 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა აეროპორტის მშენებლობაში 1976 წელს.

იაპონურ ტურიზმზე გათვლილმა სტრატეგიამ გაამართლა და 1967 წელს ფინის დივიდენდების სახით, 12 ათასი დოლარის მოგება ჰქონდა. 1977 წელს თანხამ 12 მილიონი შეადგინა, ხოლო 1987 წლისთვის ფინის ანგარიშზე უკვე 334 მილიონი დოლარი იყო. ამ ფულით მან დაიწყო სასტუმროების, მაღაზიების, საკერავი ფაბრიკების შეძენა და ბიზნესის ახალი სფეროების დაპყრობა. ამის მიუხედავად, ის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა და თითქმის არსად ჩნდებოდა. 1988 წელს ჟურნალმა „ფორბსმა" პირველად გამოაქვეყნა 400 ყველაზე მდიდარი ამერიკელისგან შემდგარი რეიტინგი და კომპანია „დიუთი ფრის" ოთხგვერდიანი მასალა მიეძღვნა. მოგვიანებით, ფინი იხსენებდა, რომ ამ მასალამ ის შოკში ჩააგდო. „ფორბსის" ჟურნალისტებმა დეტალურად განიხილეს „დიუთი ფრის" მაღაზიათა ქსელის რენტაბელურობა და დაადგინეს, რომ ჰავაის კუნძულებზე მდებარე 1 კვადრატულ მეტრზე გაშენებული მაღაზია წელიწადში 200 ათასი დოლარის მოგებას იძლეოდა 1980-იან წლებში. ამჟამინდელ ეკვივალენტში ეს თანხა დაახლოებით 400 ათასი დოლარის ტოლფასია და მნიშვნელოვნად აჭარბებს თანამედროვე „ეპლის" 1 კვადრატული მეტრის ფართობის მაღაზიის მოგებას. 1988 წლის რეიტინგში ფინის 31-ე პოზიცია ეკავა 1,3 მილიარდი დოლარით. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ ფინის რეალური კაპიტალი 7 მილიარდს აჭარბებდა და მთლიან თანხას ის ქველმოქმედებაზე ხარჯავდა. მაშინ ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ „ფორბსის" ჟურნალისტები, რომ იმ დროს მილიარდერს საკუთარი ავტომობილიც კი არ ჰყავდა. „ფორბსის" რეიტინგში ფინი 1996 წლამდე ინარჩუნებდა პოზიციას, თუმცა შემდგომ წლებში კი გაქრა და არც არავის მოუკითხავს, თუ სად დახარჯა თავისი მილიარდიანი კაპიტალი. ჩაკ ფინის ქველმოქმედების შესახებ 1997 წელს გავრცელდა ცნობები – მას შემდეგ, რაც მან კომპანია „დიუთი ფრი შოპინგის" საკუთარი წილი ფრანგ მილიარდერს, ბერნარ არნოს მიჰყიდა. ცნობისთვის, მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ფილანტროპები – ბილ გეითსი და უორენ ბაფეტი ჩაკ ფინის თავიანთ შთაგონების წყაროდ ასახელებენ, რომელმაც მათ ქველმოქმედებისკენ უბიძგა.

თავის პირველ მეუღლესა და ხუთ შვილს ჩაკ ფინიმ ქონების დიდი ნაწილი დაუტოვა, სულ 140 მილიონი დოლარი. პირველ ოჯახთან ცხოვრების პერიოდში ის ფლობდა დიდ სასახლეებს. თუმცა, შემდგომ ეს ყველაფერი გაყიდა და ამჟამად მეორე მეუღლესთან ერთად, ფონდის ბალანსზე არსებულ მომცრო ბინებში ცხოვრობს, სან-ფრანცისკოში, დუბლინსა ან ბრისბენში. ნიუ-იორკში ყოფნის პერიოდში კი ქალიშვილთან ჩერდება. ფინის ფონდის მთავარი ოფისი დუბლინში მდებარეობს და სწორედ თავისი წინაპრების ისტორიულ სამშობლოში ატარებს ის ცხოვრების უმეტეს დროს.

ამბობენ, რომ ჰოლივუდში ჩაკ ფინის ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღებას აპირებენ და ამ პროექტის განხორციელებით თვით ჯორჯ კლუნია დაინტერესებული. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ მსახიობს მიიწვევენ მთავარი როლის შესასრულებლად. თუმცა, ერთხელ ჩაკ ფინის ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ ვის ისურვებდა ის მთავრ როლში და მსოფლიოში ყველაზე უცნობმა ქველმოქმედმა მათ ღიმილით უპასუხა – დენი დევიტოს.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

**ჩვენს მკითხველს უკვე არაერთხელ ვესაუბრეთ ქართული ბუნებრივი წარმოების პრეპარატის, „კამელინის“ ეფექტური სამკურნალო თვისებებისა და მასზე ჩატარებული კვლევების შესახებ. ასევე, მკითხველს ხშირად ვთავაზობთ ინტერვიუებს მათგან, ვინც საკუთარ თავზე, ან ოჯახის წევრებზე გამოსცადა ამ პრეპარატის სამკურნალო თვისებები და დადებითი შედეგები მიიღო – ზოგი მთლიანად განიკურნა ისეთი საშინელი დაავადებისგან, როგორიც სიმსივნეა, ზოგს კი სიცოცხლე გაუხანგრძლივდა და დაკარგული იმედი დაუბრუნდა. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ „კამელინის“ სხვადასხვა ფორმის, განსაკუთრებით კი, „კამელინ ფლუს“ გამოყენება ეფექტურია გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებების, ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.**

# როგორ დავიცვათ თავი „კამელინის“ დახმარებით ზამთარში ვირუსული, ბაქტერიული დაავადებებისა და გრიპისგან და როგორ აღადგენს ის იმუნურ სისტემას

## კომპანია „კამელინი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** გრიპი მძიმე ვირუსული დაავადებაა და ხასიათდება მაღალი სიკვდილიანობით, განსაკუთრებით პატარა ბავშვებისა და ხნიერი ადამიანების შემთხვევაში. გრიპის ეპიდემია ყოველ წელიწადს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში ასნებოვნებს დედამიწის მოსახლეობის თითქმის 15 პროცენტს. გრიპოზული ინფექციის დროს ზიანდება ორგანიზმის, პრაქტიკულად, ყველა სისტემა, განსაკუთრებით კი – იმუნური. კვებეკის, მონრეალის, ბერნის, ილინოისის, ბრაზილიის სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში დადგინდა, რომ „კამელინი“ შესანიშნავი ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და იმუნური სისტემის გამაძლიერებელი, ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატია. მისი გამოყენება გრიპოზული დაავადებისა და მისი პროფილაქტიკის მიზნით, იდეალური საშუალებაა. მონრეალის ლედი დევისის შიდსისა და ვირუსული დაავადებების ცენტრის კვლევებით დადგინდა, რომ პრეპარატ „კამელინის“ ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი მთლიანად აინჰიბირებს (აჩერებს) ნეირამინიდაზას აქტივობას. ეს კი ვირუსის ჯანმრთელ უჯრედში შეღწევის უნარის დაკარგვას იწვევს. იმ შემთხვევაში კი, როცა ვირუსი უკვე უჯრედშია, ხელს უშლის მის გამოსვლას ინფიცირებული კერიდან და სხვა უჯრედებზე გავრცელებას. ამავე დროს, ორგანიზმის იმუნიტეტს საშუალებას აძლევს, გაანადგუროს უჯრედში ლოკალურად შემოჭრილი ვირუსები. რაც ყველაზე მთავარია, „კამელინის“ საშუალებით, ვირუსს ხელი ეშლება, თავისი დამანგრეველი გენეტიკური მონაცემები ჩანერგოს ორგანიზმის ჯანმრთელ უჯრედში. ყველაზე ხშირად გრიპოზული დაავადების გართულება პნევმონიაა. მონრეალის ლედი დევისის შიდსისა და ვირუსული დაავადებების ცენტრის, ბერნის უნივერსიტეტის, ილინოისის უნივერსიტეტის, ბრაზილიის უნივერსიტეტის მკვლევრებმა დაადგინეს, პრეპარატი „კამელინი მ 1“ არა მარტო შესანიშნავად უსწორდება გრიპის გამომწვევ ვირუსს, არამედ პნევმონიის გამომწვევ აღნიშნულ ბაქტერიებსაც (მდგრადი რომ არის დღეისთვის ხმარებაში არსებული უმეტესი ანტიბიოტიკების მიმართ) ძალზე დაბალ კონცენტრაციებში სპობს. სხვა, მეორადი ბაქტერიული ინფექციები, რომლებიც ხშირად გრიპის შემდგომ პერიოდში აღმოცენდება, ამ შემთხვევაში „კამელინი მ 1-ის“ გამოყენება ჩაწვეთებით თუ ინჰალაციის სახით, საუკეთესო შედეგს იძლევა. როგორც „კამელინი მ 2“, ასევე, „კამელინი მ 1“ და „კამელინი მ 4“ შესანიშნავი ანტიოქსიდანტი და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებია, ისევე, როგორც „კამელინი მ 3“ – მალამო, რომელიც იოლად აღწევს ანთების კერამდე და მომენტალურად აქრობს მას.

**– როგორც ცნობილია, ასევე ეფექტურია „კამელინ ფლუს“ გამოყენება ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებები, ანთებითი პროცესები.**

– სხვადასხვა უცხოურ სამეცნიერო ცენტრში, კვებეკისა და ბერნის უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევების შემდეგ დავადგინეთ, რომ „კამელინის“ გარკვეულ ფრაქციებს აქვს ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო უშუალო მოქმედება, ხელს უწყობს პირის ღრუში რეგენერაციის პროცესს და ეფექტურია მისი გამოყენება ანგინის დროს. ანუ, ამ პრეპარატის შექმნის მიზეზი იყო ის, რომ გვინდოდა, მომხდარიყო მისი ამ თვისებების გამოყენება. შესაბამისად, შეიქმნა ახალი პრეპარატი, რომელიც ანთებების, გაციების დროს პირის ღრუში შესხურებისას, ძალიან კარგ ეფექტს იძლევა. პრეპარატში არის ის კომპონენტები, რომელიც ლორწოვან გარსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩერებს პრეპარატის აქტიურ ნივთიერებებს და შესაბამისად, ეს უფრო მეტად ეფექტურია. როდესაც პირის ღრუში არის ბაქტერიული, სოკოვანი კერები, პროცესს ძალიან მალე აქრობს „კამელინ ფლუ“. ასე რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, სპრეიში ჩაგვედო, განგვევითარებინა ის თვისებები, რაც „კამელინის“ აქტიურ მოლეკულებს ახასიათებს – ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციული პროცესი. რაც მთავარია, როგორც „კამელინის“ სხვა ფორმებს, ასევე სპრეისაც სხვა წამლებთან მიმართებაში უკუჩვენება არ აქვს და მისი გამოყენება შეიძლება, თითქმის ყველა მედიკამენტთან ერთად. თუ კლასიკური თერაპია ამ დაავადებებს გარკვეულ პერიოდში კურნავდა, „კამელინთან“ კომბინაციაში შედეგი უფრო ეფექტური იყო. რაც მთავარია, გართულებები, პრაქტიკულად, არ ყოფილა და გამოჯანმრთელებაც უფრო მალე ხდებოდა, აღსანიშნავია, რომ ამ პრეპარატს არ გააჩნია გვერდითი მოვლენები.



**– თუ შეიძლება მისი გამოყენება „კამელინის“ სხვა ფორმებთან ერთად?**

– რა თქმა უნდა, შეიძლება. მოგეხსენებათ, რომ „კამელინი“ ძლიერი იმუნომოდულატორია. „კამელინ ფლუს“ შემთხვევაში, ის უშუალოდ ეხება ბაქტერიას, ანადგურებს, მაგრამ ამ ბაქტერიას ხომ აქვს თავისი მოქმედება, რაც იმუნიტეტთან მჭიდრო კავშირშია. შესაბამისად, თუ ინფექცია უფრო სერიოზული და რთულია, არ იქნება ცუდი, „კამელინ ფლუსთან“ ერთად, „კამელინის“ სხვა ფორმის გამოყენებაც, რომელიც იმუნიტეტს გაგვიძლიერებს და მკურნალობაც, რა თქმა უნდა, უფრო ეფექტური იქნება. თუმცა, ამ კომბინაციაში რომელ ფორმას გამოვიყენებთ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, უბრალოდ, საინიექციო საშუალება უფრო სწრაფად აღწევს იმ კონცენტრაციას, რომელიც საჭიროა ორგანიზმისთვის, თან სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს. მოვიდა გაციების, ყელის ტკივილების, სასუნთქი გზების ანთებების სეზონი. თუ ადამიანი ოდნავ მაინც შეიგრძნობს დისკომფორტს პირის ღრუში, ყელის არეში, კარგი იქნება, მაშინვე შეისხუროს „კამელინ ფლუ“. ის მომენტალურად ჩააქრობს დაავადების, გაციების კერებს, თავიდან აგვაცილებს მომავალ გართულებებს. რაც მთავარია, „კამელინ ფლუ“ ძალიან კარგი პრეპარატია ბუნებრივი ნივთიერებებით, ამიტომაც არანაირ გვერდით მოვლენას არ იწვევს.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები, ან გსურთ კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89, 599 58-09-07, 599 23-03-33, 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87. ასევე პრეპარატი შეგიძლიათ მოიკითხოთ „ჯიპისის“ ქსელში.***

**ნათია უტიაშვილი**

# რა წესებს არ არღვევდა ვალერი ჩხეიძე უშიშროების სამსახურში 30 წელი და რატომ მოაწერა მის ჩეკისტურ ნათლობას ხელი იური ანდროპოვმა

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე, ერთი-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც ნაციონალური ხელისუფლების დადგომის შემდეგ თბილისს გაერიდა და ასევე, პირველი მაღალჩინოსანია, ვინც რვა წლის შემდეგ ქვეყანაში დაბრუნდა. უშიშროების სამსახურის გენერალი, რომლის წარსულზეც ლეგენდებს ყვებოდნენ, დღეს უკვე თავისუფლად საუბრობს საყვარელ საქმეზე, რომელსაც 30 წელი ემსახურა და რომელიც უგზო-უკვლოდ გამქრალი აგენტის ძებნით დაიწყო.**



**ჩვენმა ჯგუფმა 1978 ადამიანი გაატარა ფილტრში, რომ იმ სამის კვალთან მისულიყავით**

**ვალერი ჩხეიძე:** 16 დეკემბერს რვა წელი და ხუთი თვე გახდა, მას შემდეგ, რაც საქართველოდან წავედი. მე იოლად „გამიშვეს" საქართველოდან, არსად გავპარულვარ, არც ლევან მაისურაძის პასპორტი დამჭირვებია, ჩემს თავს არ ვაკადრებდი ამას. მე ასეთი ეჭვიც მქონდა, რომ მათ აწყობდათ ჩემი წასვლა. არ ვიყავი მათთვის „მსუყე" ლუკმა – რა უნდა წაეღოთ ჩემგან? საჩუქრები, იარაღები, რომლებიც ჩემმა უცხოელმა კოლეგებმა მომცეს? პროკურატურამ შეისწავლა ის ბინძური ბრალდებები, რომელიც აგორდა ჩემ წინააღმდეგ. სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო ფაქტებთან დაკავშირებით. ეს მე თვითონ მოვითხოვე ჭეშმარიტების დასადგენად, მაგრამ, როცა ეს პროცესი გაიწელა, დავრეკე პროკურატურაში და წასვლის ნებართვა მოვითხოვე. ვფიქრობ, მაშინ, როცა წასვლის გადაწყვეტილება მივიღე, ალღომ არ მიმტყუნა. მხოლოდ სამი თვე ვიმუშავე ძველ ხელისუფლებასთან, მაგრამ ამ პერიოდმა მაჩვენა, რომ მათ არაფერი გააჩერებდათ და ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ.

**– თქვენი წასვლის შემდეგ აქ მოვლენები დრამატულად განვითარდა, დააკავეს ბევრი მაღალჩინოსანი, ბევრმა თავს გაქცევით უშველა, როგორ ჩანდა შორიდან აქაური ამბები?**

– ჩემი წასვლის შემდეგ მართლაც სულ აიწყვიტეს, ყოველდღე ველოდი, რომ რაღაც მოხდებოდა. პირველი სერიოზული სიგნალი იყო ზურაბ ჟვანიას სიკვდილი. მე მასთან მქონდა საქმიანი შეხება. მას იმ ხალხმა უღალატა, ვინც ხელჩაკიდებულები მოიყვანა ქართულ პოლიტიკაში. ძალიან ცუდი ის იყო, რომ ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებს თავი კიტრებივით მოჰქონდათ და ეგონათ, რომ ყველაფერი იცოდნენ. 30 წელზე მეტი ვიმუშავე უშიშროების სისტემაში, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი კონტრდაზვერვაში ვიყავი, გარკვეული პერიოდი დაზვერვის სამსახურშიც ვმუშაობდი, მაგრამ დღესაც ვერ ვაძლევ თავს იმის თქმის უფლებას, რომ ამ სფეროებში ყველაფერი ვიცი. მაქსიმუმ 10-15 პროცენტი ცოდნა მქონდეს იქიდან, რასაც მოიცავს ეს სფერო. ვერ ვიტყვი, რომ ისინი ჩემს პროფესიონალიზმს სათანადოდ არ აფასებდნენ, ჯანდაბას, ეს პირადად მე მეხებოდა და ამაზე არ ვდარდობდი. პრობლემა ის იყო, რომ ისინი კატასტროფულად ანგრევდნენ ერთიან, ისედაც ძლივს შექმნილ უსაფრთხოების სისტემას.

**– ვინ ვინ და თქვენ ყველაზე უკეთ იცით ეს სისტემა, წლების განმავლობაში თქვენ შესახებ საოცარ ლეგენდებს ყვებოდნენ, სად და როგორ დაიწყო ეს გზა?**

– ახლა უკვე შეიძლება ამაზე საუბარი, 1975 წელს დასადგენი და მოსაძებნი გახდა ერთი ჩვენი აგენტი, რომელიც სისტემიდან „დაგვეკარგა". მას საინტერესო ოპერატიული პოზიციები ჰქონდა, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან. ამ ადამიანს ჰქონდა სადაზვერვო დივერსიული საქმიანობის გამოცდილება, საინტერესო წარსული გერმანული „აბვერის" სადაზვერვო სკოლის ჩათვლით. მაშინ მე არანაირი ჩეკისტური განათლება არ მქონდა, ისტორიული ფაკულტეტისა და სავალდებული სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ მიმიღეს სამუშაოდ, ბრძანება 0127-ით, რომელსაც ხელს იური ანდროპოვი აწერდა. უფროსმა სისტემიდან „დაკარგული" აგენტის მოძებნა მე დამავალა. მას შეცვლილი ჰქონდა ძველი მისამართები, არაფერი იყო ცნობილი მისი ადგილმდებარეობის შესახებ. ეს იყო ჩემი პირველი საქმე, დაკარგული აგენტის ძებნა დავიწყე დასავლეთ საქართველოში. წარმოგიდგენიათ, რა ფართომასშტაბიანი სამუშაო იყო? თან, ისე უნდა მომეძებნა, რომ არ გამომჟღავნებულიყო ჩვენი ინტერესი, სხვებისთვის და თავად აგენტისთვის, რადგან არ ვიცოდით, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ის. დაახლოებით ერთი წელი მომიწია მისი ძებნა რაიონიდან რაიონში, სოფლიდან სოფელში, ბოლოს ქუთაისში ვიპოვე – ჩვეულებრივ მუშად მუშაობდა ერთ-ერთ წარმოებაში. როცა თავზე დავადექი, მაშინდელი, მასთან ერთად დათქმული პაროლი ვიხმარე და გამომეცნაურა.

**– ჩეკისტური სერიალების მიხედვით, ეს პაროლები ძალიან უცნაური იყო.**

– ანეკდოტიც დადიოდა ამაზე – აგენტს ეკითხებიან: „ზდეს პრადაიოტსა სლავიანსკი შკაფ?" ის პასუხობს: „სლავიანსკი შკაფ, უჟე პროდან, ნო ზახადიტე ზავტრა". ეს ირონიით და ხუმრობით გავრცელებული ჩეკისტური პაროლი იყო, მაგრამ მე დაკარგულ აგენტთან არქივში მოძიებული სხვა სიტყვა გამოვიყენე. ეს იყო პირველი საქმე, მაგრამ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ეს იყო უშიშროების ანა-ბანა ***(იცინის).*** ძალიან მიყვარდა ჩემი სამსახური, ზედაპირულად არაფერს მივდგომივარ, რადგან ჩემი აზრით, ეს ძალიან საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა თავისი დაუწერელი „წესებით" – ის, რომ არ უნდა შელახო ოფიცრის ღირსება, რაც არის სინდისი, ნამუსი, კანონმორჩილება. უნდა გახსოვდეს, რა გვარის ხარ და რა არის შენს ზურგს უკან.

**– ეს ყველაფერი საბჭოთა ჩეკისტს ჰქონდა?**

– კი, ჰქონდა. ახლა რომ ზოგიერთი უვიცი აუგად ახსენებს მაშინდელ სპეცსამსახურებს, მართლა ასე კი არ იყო. იცით თქვენ, რომ კარგი განათლებისა და ინტელექტის გარეშე, სპეცსამსახურში ვერ იმუშავებდი? თანამშრომლების უმეტესობას, არა მხოლოდ ერთი, რამდენიმე უმაღლესი განათლება ჰქონდა. უნდა სცოდნოდა რამდენიმე უცხო ენა. მოსმენა და მოთმინება რომ არ შეძლებოდა კაცს, ის სპეცსამსახურში ვერ იმუშავებდა. ამიტომაა, რომ მე ვიცი მოცდა და მისი ფასი, არასდროს ვჩქარობ. აღმოსავლური სიბრძნეა ასეთი – თუ მოთმინების უნარი გაქვს, ადრე თუ გვიან შენი სახლის წინ შენი მტრის გვამს ჩაატარებენო.

**– წლების განმავლობაში თქვენ მუშაობდით მუსლიმანურ ქვეყნებში, რთული არ იყო საბჭოთა ჩეკისტებისთვის იქ?**

– მე მომიწია მუშაობა შუა აზიის რესპუბლიკებში – უზბეკეთსა და ტაჯიკეთში, ასევე, ორჯერ ვიყავი ავღანეთში. მაშინ უფროსი ოპერ-რწმუნებული ვიყავი, უფროსი ლეიტენანტის, ოფიცრის სამხედრო წოდებით ჩავედი შუა აზიაში და როცა იქიდან წამოვედი, უკვე პოდპოლკოვნიკი ვიყავი. ავღანეთში ოთხწელიწად-ნახევარი გავატარე. როცა პირველად ჩავედი, დიდხანს არ დავრჩენილვარ, მერე დავბრუნდი საბჭოთა კავშირში, გამიშვეს აკადემიაში, სადაც ვისწავლე ავღანური ენა – დარი. ეს საქმისთვის მჭირდებოდა.

**– ვინ იყავით ავღანეთში, ტაქსის მძღოლი თუ კარადებით მოვაჭრე?**

– არც ერთი არ ვყოფილვარ, ოფიციალურად ავღანური უშიშროების სამსახურის მრჩევლის სტატუსი მქონდა. ავღანელებს სისტემის ჩამოყალიბებასა და შექმნაში ვეხმარებოდით, ადგილზე ვასწავლიდით პრაქტიკულ ჩვევებს. მარტო თეორია ჩვენს სფეროში ბევრს არაფერს ნიშნავს. ეს ცოდნა ოპერაციებში, პრაქტიკულ საქმეში თუ არ გამოიყენე, ისე რა გამოვა? წლების შემდეგაც კი, მე შემიძლია, სიამაყით ვთქვა, რომ ავღანეთში ჩემი მეორე მივლინებისას, უშუალოდ ჩემი მითითებით, ჩარევითა და რეალიზებით მოხდა რამდენიმე საბჭოთა ჯარისკაცის გამოხსნა მოჯაჰედების ტყვეობიდან. ეს იყო რთული ოპერატიული საქმე, რომელიც ყველაფერს მოიცავდა. მოჯაჰედებს საბჭოთა ჩეკისტები მუდმივად მიზანში ვყავდით – თვალყურს გვადევნებდნენ, მაგრამ ეს რთულ ფორმებამდე არ მისულა. მე მაშინ არ ვიყავი მაღალი რანგის პირი, თუმცა რაც დრო გავიდა, დავრწმუნდი, რომ შესაძლებელია, მოჯაჰედებს ეხმარებოდა პაკისტანის, ირანის სპეცსამსახურები და თავი და თავი – ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ალბათ, არსებობდა ფარული შეთანხმება საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურის ხელმძღვანელობასა და ამერიკის სადაზვერვო სამმართველოს შორის, რომ ხელი არ ეხლოთ ერთმანეთის სპეცთანამშრომლებისთვის. ბევრ მოჯაჰედურ დაჯგუფებაში უცხოეთიდან ჩამოსული ინსტრუქტორები მუშაობდნენ.

მე ვიყავი ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ეძებდა პიროვნებებს, რომლებიც თვითნაკეთი ბომბით მოსკოვის მეტროს აფეთქებას ცდილობდნენ. ბომბი ორ სადგურზე იყო დამონტაჟებული, ერთი არ აფეთქდა იმ მიზეზით, რომ ტრანსპორტირების დროს დაირღვა ელექტრონული სისტემის ერთიანი ციკლი. მეორე კი, აფეთქებას წუთები აკლდა, როცა გაანეიტრალა მეტრ-

(გაგრძელება მე-17 გვერდზე)




უდიდეს მადლობას ვუხდით და შობა-ახალ წელს ვულოცავთ გურამ ქარაზანაშვილის კლინიკის (სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები") მთელ პერსონალს. განსაკუთრებული მადლობა მთავარ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გურამ ქარაზანაშვილსა** და უროლოგ **გიორგი კალანდიას**, ასევე **პაატა გიორგაძეს**. თქვენი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერების წყალობით, ნამდვილად დგახართ ქვეყნისა და ერის სამსახურში! კიდევ მრავალი პაციენტი გამოგვჯანმრთელებინოთ!

**მადლიერებითა და პატივისცემით – ახობაძეების ოჯახი**

AVON

the company for women

# AVON – 5 წელი ქართველი ქალბატონების გვერდით!

## Avon-ის საახალწლო პროგრამის – ავტომობილის მფლობელი ქუთაისელი ქალბატონი გახდა

**Avon-ის ისტორია თითოეული ქალბატონის ცხოვრების ისტორიას ჰგავს და, ალბათ, ამიტომაცაა „ეივონის" პროდუქცია ქალბატონებისთვის ძვირფასი და სასურველი. ეს ყველაფერი კი 125 წლის წინათ დაიწყო: მეცხრამეტე საუკუნის მიწურული, ჩიკაგოს წიგნების მაღაზია, სადაც კომივიაჟერი დევიდ მაკკონელი წიგნების რეალიზაციას ახდენს... ის თავის კლიენტ ქალბატონებს წიგნის შეძენისთვის საჩუქრად აძლევს სუნამოს პატარა ფლაკონს. ეს პატარა საჩუქარი იმდენად პოპულარული გახდა მის კლიენტებს შორის, რომ დევიდი მიხვდა: ქალბატონები ხშირად სუნამოს გამო ყიდულობდნენ წიგნებს და სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა. დევიდ მაკკონელმა გაცილებით უფრო დიდი პერსპექტივა დაინახა პარფიუმერიაში და 1886 წელს გასაყიდად გამოუშვა პირველი პროდუქტი – პარფიუმერიული ნაკრები Little Dot Perfume Set. – სწორედ ასე ჩამოყალიბდა 1886 წელს კომპანია Calipornia Perfume.**

**Avon ქართულ ბაზარზე 2008 წელს გამოჩნდა, მას შემდეგ უკვე მეხუთე წელია, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართველი ქალბატონების ცხოვრებაში. Avon ყველა ქალს აძლევს შანსს, გახდეს თავდაჯერებული საკუთარ თავში, მოირგოს ახალი იმიჯი, ამასთან ერთად, დაეხმაროს ოჯახს დამატებითი შემოსავლით, მართოს საკუთარი ცხოვრება, იყოს ჰარმონიული და აიხდინოს ოცნებები. 2011 წელს Avon გახდა ნომერ პირველი კომპანია კანის მოვლის პროდუქტების კატეგორიაში საქართველოს კოსმეტიკურ ბაზარზე. Avon-ის პროდუქციის ხაზი მრავალფეროვანია, ის გთავაზობთ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დამზადებულ, სახის კანის მოვლის მაღალხარისხიან საშუალებებს ნებისმიერი ასაკის ქალბატონებისთვის, მათ შორის, პროდუქციას გამონაყარისკენ მიდრეკილი კანისთვის. Avon-ის დეკორატიული კოსმეტიკა გამოირჩევა თანამედროვე სტილით, მაღალი ხარისხის ფორმულებითა და ფართო ფერთა სპექტრით. აქ თქვენ შეარჩევთ სასურველ კოსმეტიკას ასაკისა და კანის ტიპის შესაბამისად. Avon გთავაზობთ სუნამოების მრავალფეროვან სამყაროს – სუნამოების ფართო არჩევანს როგორც ქალებისთვის, ასევე, მამაკაცებისათვის. თქვენ შეძლებთ, შეარჩიოთ როგორც კლასიკური სტილის, ასევე, ყოველდღიური მოხმარების სურნელოვანი არომატი... Avon – ეს არის კომპანია მთელი ოჯახისთვის: პროდუქცია როგორც ჩვილი ბავშვებისთვის, ასევე, თინეიჯერებისა და მამაკაცებისთვის. Avon-ის კიდევ ერთი მიმზიდველი ხაზია აქსესუარები: სამკაულები, მათ შორის – მოვერცხლილი და მოოქროვილი ბიჟუტერია, ჩანთები აქტუალური და თანამედროვე დიზაინით...**

### რა არის Avon-ის წარმატების „საიდუმლო"? – მრავალწლიანი გამოცდილება და ტრადიციები

Avon-ის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია დაფუძნდა ქალაქ საფერნში, ნიუ-იორკის შტატში, 1897 წელს. ინოვაციისკენ სწრაფვა დაფუძნების დღიდან გახდა მისი სავიზიტო ბარათი. ჯერ კიდევ მაშინ, ხის კედლებს მიღმა, ათი თანამშრომელი ქმნიდა მთელი დროის საუკეთესო სურნელებს. 1899 წელს ლაბორატორიის შენობა ორჯერ, ხოლო მეოცე საუკუნის ბოლოს – 20-ჯერ გაიზარდა. 2005 წელს გაიხსნა ახალი შენობა – კვლევისა და განვითარების გლობალური ცენტრი, რომელიც გადაჭიმულია 68 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე და აშენდა საერთაშორისო სტანდარტებით. დღეს ეს ცენტრი არის Avon-ის გული – სწორედ აქ იქმნება Avon-ის თანამედროვე კოსმეტიკური საშუალებები, რომლებიც მალევე ხდება 300 მილიონი მყიდველის ცხოვრების ნაწილი მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში.

Avon პირდაპირი გაყიდვების ერთ-ერთი პირველი კომპანიაა მსოფლიოში. ეს ტრადიცია საუკუნეზე მეტი ხნის წინ იღებს სათავეს – „კალიფორნიის პარფიუმერიული კომპანიის" პირდაპირი გაყიდვების უნიკალური სტრუქტურის შექმნის საავტორო უფლება ეკუთვნის კომპანიის პირველ თანამშრომელს, მისის პერსის ფოსტერ იმს ალბის. სწორედ ის მიხვდა, რომ ქალები მშვენივრად გაუმკლავდებიან თანამშრომლის როლს მეგობრების, მეზობლებისა თუ ნათესავებისთვის პარფიუმერიის შეთავაზების გზით. ქალბატონებმა ხომ ყველაზე უკეთ იციან ერთმანეთის მოთხოვნილებები და სურვილები. ეს იყო ურთიერთობის, შემოსავლის მიღებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობა, რომელსაც კომპანია სთავაზობდა ქალებს და, შესაბამისად, ეს იყო ჭეშმარიტად რევოლუციური გადაწყვეტილება, რადგანაც, მეცხრამეტე საუკუნეში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდათ. ეს იყო ფანტასტიკური იდეა, რომელიც საშუალებას აძლევდა დასაქმებულ ქალს, წარმატებით შეეთავსებინა სამსახური და ოჯახური ვალდებულებები. ნებისმიერ ქალს შეეძლო, გამხდარიყო „კალიფორნიის პარფიუმერიული კომპანიის" თანამშრომელი. ერთადერთი სამუშაო პირობა იყო ის, რომ მათ უნდა შეეთავაზებინათ პროდუქცია მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მას იცნობდნენ. ასეთი გზით ქალბატონები იხვეჭდნენ ნდობას ადგილობრივ მომხმარებლებს შორის.

*კომპანია პირდაპირი გაყიდვების უნიკალურ მეთოდს დღემდე არ ღალატობს. ამ საქმიანობაში მხოლოდ საქართველოში ათასობით ქალბატონია ჩართული. კომპანია ყველა ქალს აძლევს საშუალებას, იყოს არა მხოლოდ კომპანიის მაღალხარისხიანი პროდუქციის მომხმარებელი, არამედ, თავად მოსინჯოს საკუთარი ძალები ბიზნესში, მოახდინოს თვითრეალიზაცია. სწორედ ესაა Avon-ის უდიდესი მიღწევა. Avon არა მხოლოდ ზრუნავს ქალბატონების გარეგნულ სილამაზეზე, ის არის დიასახლისისთვის, პედაგოგისთვის, ინჟინრისთვის თუ ექთნისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო. ამ გზით მრავალი ქართველი ქალბატონი გახდა უძრავი ქონების თუ სხვა სახის კაპიტალის მფლობელი...*

*საახალწლოდ კომპანიამ აქტიური და წარმატებული კოორდინატორებისთვის არაჩვეულებრივი საჩუქარი მოამზადა – პროგრამის გამარჯვებულს საჩუქრად ავტომობილი „ნისან მიკრა" ერგო. ეს ქალბატონი, კომპანიის ერთ-ერთი წარმატებული კოორდინატორი, ქუთაისში მცხოვრები ირმა ნემსაძე გახდა.*

**– ირმა, გილოცავთ Avon-ის საახალწლო პრიზს. როდის და როგორ დაუკავშირეთ თქვენი ცხოვრება კომპანია Avon-ს?**

– 2008 წელს, მაშინ, როდესაც Avon ქართულ ბაზარზე პირველად გამოჩნდა, საკმაოდ სტაჟიანი ეივონელი ვარ ***(იცინის).*** იმ პერიოდში მე არსად არ ვმუშაობდი, ვეძებდი ისეთ სამსახურს, რომელიც დამეხმარებოდა, როგორც ოჯახური ბიუჯეტის გაზრდაში, ასევე საკუთარი თავის რეალიზებაშიც. ერთ დღეს ჩვენი ოჯახის ახლობელმა ელისო ფრუიძემ, რომელიც გასაუბრების შედეგად თავად გახდა Avon-ის მენეჯერი, შემომთავაზა, რომ მეც გავსულიყავი გასაუბრებაზე და გამომეცადა საკუთარი თავი. ორი შვილი მყავს, უფროსი ქალიშვილი მაშინ აბიტურიენტი იყო, უმცროსი 6 – წლის და ოჯახს დამატებითი შემოსავალი ნამდვილად დაეხმარებოდა და ერთ დღესაც, მივედი კომპანიაში, დღეს კი უკვე საკმაოდ დიდ და აწყობილ სტრუქტურას ვუძღვები.



**– ამ პოზიციამდე იოლად მიხვედით?**

– მაშინ, როდესაც მუშაობა დავიწყე არანაირი გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ, მქონდა მიზანი – შემექმნა ადამიანების ჯგუფი და მიმეღწია კოორდინატორის პოზიციისთვის, მით უმეტეს, რომ Avon-ში ეს ნამდვილად შესაძლებელია. გამოცდილი მენეჯერების მიერ მუდმივად გვიტარდებოდა ტრენინგები. ყველაფერი დაიწყო პროდუქციით, რომლითაც თავად ვსარგებლობდი და ჩემს საახლობლო წრეს გავაცანი, შემდგომ ეს წრე გაფართოვდა. მან, ვინც ერთხელ მაინც მოსინჯა ჩვენი კომპანიის ხარისხიანი კოსმეტიკური პროდუქცია და აქსესუარები, ჩვენი ერთგული მომხმარებელი გახდა. მე პირადად, პირველად Avon-ის ტონალური კრემი და „კრისტიან ლაკრუას" სუნამო გამოვიყენე, მომეწონა მისი სურნელი და დღესაც მისი ერთგული ვარ. მალე ჩემს ოჯახში Avon-ის პროდუქციის გარდა, სხვა ბრენდის ნაწარმს ვერ იპოვიდით და ეს ახლაც ასეა. Avon-ის პროდუქციით სარგებლობენ ჩემი შვილები და მეუღლეც, რადგან, Avon არის ბრენდი არა მხოლოდ ქალბატონების, არამედ მამაკაცებისთვისაც. ჩემი მეუღლე არა მხოლოდ Avon-ის მომხმარებელია, ის ჩემთან ერთად არის ჩართული ამ საქმიანობაში და ჩემს წარმატებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის.




**– გქონდათ იმედი, რომ Avon-ის საახალწლო პრიზს „ნისან მიკრას" მოიგებდით?**

– ცხოვრებაში არაფერი მომიგია. რამდენჯერმე სხვადასხვა სახის ლატარიის ბილეთებიც შევიძინე, მაგრამ, როგორც წესი, მოგების გარეშე ვრჩებოდი ხოლმე. ახლა, როდესაც შევიტყვე, რომ Avon საახალწლოდ ავტომობილს ათამაშებდა, რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ჩემი გახდებოდა და ასეც მოხდა. Avon-ს ბევრი წარმატებული კოორდინატორი ჰყავს, შესაძლოა, სხვას ჩემზე მეტი მოგების შანსი ჰქონდა, მაგრამ, მანქანა ისე მომეწონა, ჩემთვის მინდოდა ***(იცინის).*** თქვენ წარმოიდგინეთ, სანამ გავიგებდი, რომ ავტომობილის მფლობელი მე გავხდი, მანქანის მართვის კურსებზეც კი ჩავეწერე.

**– უკვე გაქვთ მართვის მოწმობა?**

– დღეს უკვე მართვის მოწმობაც მაქვს და ავტომობილიც მყავს. მიჭირს სიტყვებით იმ ემოციების გადმოცემა, რასაც ვგრძნობდი, როდესაც შევიტყვე, რომ ავტომობილი ჩემი გახდა. მინდა, მადლობა გადავუხადო კომპანიას ამ სიურპრიზისთვის და წარმატებები ვუსურვო Avon-სა და სრულიად საქართველოს 2013 წელს! მინდა, მოვუწოდო ყველა ქალბატონს: გახდით ეივონელი, თქვენც გაქვთ შანსი, აიხდინოთ ოცნებები...

***AVON გილოცავთ შობა-ახალ წელს, ჯანმრთელობას და სილამაზეს გისურვებთ!***

**თამუნა ნიჟარაძე**

**AVON მომხმარებელთა მომსახურების განყოფილება: 2 508-508.**

# ინტიმური საუბრები

## ახალი წლიდან ჩემს ოჯახში ვიცხოვრებ

ეს წერილი დედაჩემმა რომ წაიკითხოს, ალბათ, ძალიან გამიბრაზდება, მაგრამ მაინც გწერთ.

ვარ 13 წლის. უკვე ხუთი წელია, ბავშვთა სახლში ვცხოვრობ. მამა რომ გარდამეცვალა, დედამ ჩემი რჩენა ვერ შეძლო (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს) და ინტერნატში ჩამაბარა. მიუხედავად იმისა, რომ აქ გვაჭმევენ, გვასმევენ, გვასწავლიან და ცუდად არ გვექცევიან, მაინც სახლში მირჩევნია ყოფნა, თუმცა იქ გაცილებით ცუდ პირობებში ვცხოვრობდი. სანამ მამაჩემი გარდაიცვლებოდა, ჩვენს ოჯახში სულ ჩხუბი იყო. მამა ბევრს სვამდა, მერე კი მეც და დედასაც გვცემდა. ხშირად მომისმენია ხან ერთისგან, ხან მეორისგან, რომ ჩემი თავიდან მოშორება უნდოდათ. რამდენჯერ უთქვამს გამწარებულ დედაჩემს, ამ ბავშვს „პრიუტში" ჩავაბარებ და აქედან გადავიკარგებიო. მაშინ არ ვიცოდი, რა იყო „პრიუტი", თუმცა, ამ სიტყვის გაგონებისაც მეშინოდა და სულ ვცდილობდი, კარგად მოვქცეულიყავი, რომ დედაჩემის გული მომელბო და თუ სადმე წავიდოდა, მეც თან წავეყვანე, მაგრამ, მაინც აქ მოვხვდი. მართალია, არც ისეთი საშინელებაა, როგორიც მეგონა, მაგრამ, თავიდან მაინც ძალიან გამიჭირდა შეჩვევა, მით უმეტეს, რომ დედა ძალიან იშვიათად მოდიოდა ჩემს სანახავად და, ისიც, ცოტა ხნით, უფრო ბებია (დედის დედა) მაკითხავდა ხოლმე, მოჰქონდა საჭმელი, ტკბილეული, სათამაშოები, ტანსაცმელი, ჩამისვამდა ხოლმე კალათში, მეფერებოდა და ტიროდა. მის ცრემლებს რომ ვხედავდი, მეც ვტიროდი და ვეხვეწებოდი, შენთან წამიყვანე-მეთქი (დედისთვის, რატომღაც ეს არასდროს მითხოვია), მაგრამ, ბებოს არ მივყავდი. როგორც დიდი ხნის შემდეგ გავიგე, თურმე, ამაზე დედის თანხმობა ყოფილა საჭირო, ის კი ბებიას ამის უფლებას არ აძლევდა.

ამ ერთი თვის წინ დედა მოვიდა ჩემს სანახავად და მითხრა, სამუშაოდ მივდივარ უცხოეთში რამდენიმე წლით და, მე რომ ჩამოვალ, შენ უკვე დიდი ბიჭი იქნებიო. მე ტირილი დავიწყე. ყველაფრის მიუხედავად, დედა მაინც ძალიან მიყვარდა და სულ მენატრებოდა, მაგრამ, ის მაინც ვიცოდი, რომ რამდენიმე თვეში ერთხელ ვნახავდი, ახლა კი რა უნდა მექნა?! დედამ მიყურა, მიყურა და მითხრა: თუ გინდა, ბებიაშენი წაგიყვანს თავისთანო. მე სიხარულით ცას ვეწიე. ერთი კვირის შემდეგ ბებომ მინახულა და მითხრა, საახალწლოდ ჩემთან წაგიყვან და დედაშენის ჩამოსვლამდე სულ ჩემთან იცხოვრებო. მართალია, დედა მაინც მომენატრება და ძალიან დიდხანს ვერ ვნახავ, მაგრამ, ბებიასთანაც კარგად ვიგრძნობ თავს, რადგან, ვიცი და ვგრძნობ, რომ ძალიან ვუყვარვარ და სითბოსა და მზრუნველობას არ მომაკლებს, მით უმეტეს, რომ ჩემ მეტი შვილიშვილი არ ჰყავს.



ბებოს ნახვის დღიდან საათებსა და წუთებს ვითვლი, ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება დეკემბერი. ეს ახალი წელი ყველაზე ბედნიერი იქნება ჩემს ცხოვრებაში, რადგან ჩემს ოჯახში, ჩემს საყვარელ ბებიასთან ვიცხოვრებ და ერთად დაველოდებით დედაჩემს.

**სოსო, 13 წლის.**

## ახალ წელს ქმარს ვურიგდები

10 წელია, გათხოვილი ვარ. მყავს ორი შვილი – ქალ-ვაჟი. დალხენილი ცხოვრება მას შემდეგ აღარ მქონია, რაც გავთხოვდი. ჩემს ქმარს ბინა არ ჰქონდა და ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. თავიდან კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ დედაჩემსა და ვასიკოს შორის უსიამოვნებები დაიწყო და აღარც დასრულებულა დედის გარდაცვალებამდე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს, მაგრამ, დედაჩემი ნამდვილად არ იყო „კანფეტი", ანუ, საკმაოდ მძიმე ხასიათი ჰქონდა: არ იცოდა დათმობა, ოჯახში ერთპიროვნული „ბელადი" იყო და კატეგორიულად ვერ იტანდა ოჯახის წევრების დაუმორჩილებლობას და მით უმეტეს – წინააღმდეგობის გაწევას. მეც კი მიჭირდა მასთან მშვიდობიანი თანაარსებობა და, თუკი უსიამოვნებები არ გვქონდა, ეს მხოლოდ ჩემი მოთმინებისა და ნერვების ხარჯზე ხდებოდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ სიძესთან გაცილებით უფრო თავშეკავებული იყო, ვიდრე ჩემთან, მაგრამ, ოჯახის მეთაურის „პოსტს" არ თმობდა, რაც ჩემს ქმარს ძალიან აღიზიანებდა. ყველაზე მეტად მიუღებელი და გამაღიზიანებელი დედაჩემისგან კი ის იყო, რომ, ყველა შესაძლო შემთხვევაში, ყველასთან ხაზს უსვამდა იმას, რომ ვასიკო ზედსიძეა და მის ბინაში ცხოვრობს. დამეთანხმებით, კაცისთვის ეს, მსუბუქად რომ ვთქვათ, სასიამოვნო ნამდვილად არ არის. ამიტომ, ხშირად იყო მათ შორის კონფლიქტები, რასაც საშინლად განვიცდიდი და, რაც მთავარია, ამით ურთიერთობა მიფუჭდებოდა ქმართან.

ვასიკო კარგ ადგილას მუშაობდა, მაგრამ, ერთ დღეს დააწინაურეს და საკმაოდ დიდ თანამდებობაზე დანიშნეს. დედაჩემის თანხმობის შემდეგ, გადავწყვიტეთ, სამაღარიჩო სუფრა ოჯახში გაგვემართა და ვასიკოს თანამშრომლები დაგვეპატიჟა. ძალიან დიდი სამზადისი გვქონდა. დედაჩემი საუკეთესო დიასახლისი იყო და თავი მოიქაჩლა – ვიღაცის მოთითხნილს სახლში როგორ შემოვიტან, ყველაფერი ჩემი ხელით უნდა გავაკეთოო და მართლაც საუკეთესო პურმარილი გააწყო. ვასიკო ძალიან კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო და სულ ხელებს უკოცნიდა და მადლობებს უხდიდა სიდედრს, მოკლედ, გუგულებივით იყვნენ.

სტუმრები რომ მოვიდნენ, იმ წუთიდან ვასიკო სულ იმას ცდილობდა, მე და დედაჩემი ბინიდან არსად გავსულიყავით, ყველაფერზე თვითონ გვეგზავნებოდა პატარა ბიჭივით. მე ეს ცუდად მენიშნა, მაგრამ, ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე, დედაჩემი კი აღფრთოვანებული იყო და ძალიან მოსწონდა, რომ სიძე მის გარშემო დარბოდა და თვალებში უყურებდა.

მშვენიერი საღამო გამოვიდა. ვასიკომ ხმამაღლა გამოაცხადა, ყველაფერი ჩემი სიდედრის ნახელავიაო, რითაც ძალიან ასიამოვნა დედაჩემს. სტუმრები ძალიან კმაყოფილები წავიდნენ. სუფრა რომ ავალაგეთ, დაღლილები ვიყავით და ყველანი დასაძინებლად დავწექით დედას გარდა. გვითხრა, ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურებ და მერე დავწვებიო. ახალი ჩაძინებულები ვიყავით, დედაჩემის კივილმა რომ შეძრა მთელი სახლი. გულგახეთქილები წამოვცვივდით, ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. ბოლოს კი გაირკვა, რომ შუაღამისას დედას პარკებით ნაგავი წაუღია გადასაყრელად და უკან რომ დაბრუნებულა და ბინის კარისთვის შეუხედავს, დაუნახავს, რომ მასზე მიკრულ ფირფიტაზე მამაჩემის გვარის ნაცვლად ვასიკოს გვარი ეწერა. თურმე, ვასიკოს შეუცვლია დროებით – არ უნდოდა, რომ თანამშრომლებს გაეგოთ მისი ზედსიძეობის შესახებ, მაგრამ, წვეულების დამთავრების შემდეგ ნასვამი იყო და დაავიწყდა, ისევ შეეცვალა ფირფიტები (ანუ ძველი ფირფიტა დაებრუნებინა თავის ადგილას). ეს კი დედაჩემმა არ აპატია და ისეთი სკანდალი მოუწყო, საწყალმა კაცმა იმავე ღამეს ჩაალაგა თავისი ნივთები და სახლიდან წავიდა. მეორე დღეს კი შემომითვალა, ან ახლავე ჩემთან ერთად წამოხვალ ნაქირავებში, ან ხვალვე განცხადებას შევიტან გაყრაზეო. დედაჩემი ისეთ ისტერიკაში იყო, ისე ცუდად გრძნობდა თავს, სასწრაფოს სასწრაფოზე ვიძახებდი და ამიტომ, ვასიკოსთან ერთად ვერ წავედი სახლიდან, რაც მან არ მაპატია და მართლა შეიტანა განცხადება გაყრაზე, ერთ თვეში ქმარს გავეყარე, თუმცა, ბავშვების გამო (ცხადია, დედაჩემის ჩუმად) მაინც გვქონდა ურთიერთობა.

წელს, სექტემბერში, დედაჩემი გარდაიცვალა. ვასიკო მოვიდა გასვენებაში, მომისამძიმრა და მაშინვე წავიდა, თუმცა დაკრძალვის ყველა ხარჯი მან გადაიხადა. ორმოცზე რომ მოვიდა, შერიგება მთხოვა. მეც მინდოდა, შევრიგებოდი, მაგრამ, ის უარს ამბობს ჩემს ბინაში ცხოვრებაზე და აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ამას წინათ დამირეკა და მითხრა, დეკემბრის ბოლომდე ველი შენგან პასუხს. თუ უარს მეტყვი, სამუდამოდ დავშორდებით ერთმანეთს, ხოლო, თუ შერიგება მართლა გინდა, ახალი წლის ღამეს ჩემს ახალ ბინაში გეპატიჟები ბავშვებიანადო. არც კი ვიცოდი, რომ განვადებით უყიდია ბინა ახალაშენებულ კორპუსში და, რომ გავიგე, სიხარულით ცას ვეწიე.

ახლა გამალებით ვემზადები შესარიგებლად: ვიყიდე ახალი ტანსაცმელი, დავდივარ სპა-სალონში და ასე შემდეგ. მოკლედ, მინდა, რომ თვალისმომჭრელად ლამაზი ვიყო და ეს ახალი წელი მთელი ცხოვრება ორივეს დაგვამახსოვრდეს.

**ლიკა, 32 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შეეხებათ თუ არა არასრულწლოვნების ასაკში დანაშაულის ჩამდენ პირებს ამნისტია და, თუ შეეხებათ – როგორ?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ამნისტია სრულად ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან პირს, რომელმაც არასრულწლოვნების ასაკში ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, გარდა დანაშაულისა, რომელსაც მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა; ხოლო, გაუნახევრდებათ სასჯელი ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე პირებს, რომლებმაც არასრულწლოვნების ასაკში ჩაიდინეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, გარდა დანაშაულისა, რომელსაც მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ამნისტიით თავისუფლდებიან თუ არა პასუხისმგებლობისაგან ის პირები, რომლებსაც ბრალად ედებათ დანაშაულის მცდელობა?**

**პასუხი:** დიახ. გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონით სრულად თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის მომზადება ან მცდელობა. ხოლო, გაუნახევრდებათ სასჯელი ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება ან მცდელობა.

**კითხვა: მაინტერესებს, ეხებათ თუ არა ამნისტია გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირებს და, თუ ეხებათ, ვის და რა დოზით?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სრულად თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენი პირები, გარდა სამსახურებრივი გულგრილობისა და იმ დანაშაულის ჩამდენი პირებისა, რომელსაც მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ამნისტია ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან სასიკვდილო შედეგით დასრულებული გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირებსაც, თუ ყველა დაზარალებულის უფლებამონაცვლე გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას გამოთქვამს ამ პირის მიმართ ამნისტიის აქტის გამოყენებაზე, ანუ, თუ დაზარალებულის უფლებამონაცვლე პრეტენზიას არ აცხადებს.

**კითხვა: ჩემს უახლოეს ნათესავს ავტოავარიის დროს შემოაკვდა ადამიანი. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ გარდაცვლილის ოჯახისთვის შეგვემსუბუქებინა მდგომარეობა და მატერიალური კუთხით სრულად დავაკმაყოფილეთ. ამჟამად ვერ ვპოულობთ გარდაცვლილის მეუღლეს, რომელიც უფლებამონაცვლე იყო, რადგან ის საქართველოში არ იმყოფება. მაინტერესებს, როგორ გადაწყდება ჩემი ნათესავის მიმართ ამნისტიის გამოყენების საკითხი და შეეხება თუ არა მას ამნისტია?**

**პასუხი:** დიახ, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია ამნისტიის გამოყენება თქვენი ახლო ნათესავის მიმართ. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის უფლებამონაცვლე გარდაცვლილია ან ვერ იძებნება, ეს ამნისტია გამოყენებული იქნება პირის მიმართ, თუ აღნიშნულის შესახებ, ამნისტიით გათვალისწინებული წესით თანხმობას გამოთქვამს დაზარალებულის ოჯახის ყველა წევრი: დედა, მამა, მეუღლე და შვილი.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, რა სახით ეხებათ ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირებს ახლახან პარლამენტის მიერ გამოცხადებული ამნისტია?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ამ ამნისტიით სრულად გათავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, ასევე, იმავე კოდექსის 261-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირები, თუ მათ მიერ ჩადენილი ქმედება არ კვალიფიცირდება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპიული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების გასაღების ნიშნით და, ამასთან, ის არ არის ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი, გარდა ნარკოტიკული დანაშაულისა, რომელიც არ კვალიფიცირდებოდა გასაღების ნიშნით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირებს გაუნახევრდებათ სასჯელი, თუ ჩადენილი ქმედება არ კვალიფიცირდება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის გასაღების ნიშნით და, ამასთან, ისინი არ არიან ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირები, გარდა ნარკოტიკული დანაშაულისა, რომელიც არ კვალიფიცირდებოდა გასაღების ნიშნით. რაც შეეხება ნარკოტიკების მომხმარებლებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირები სრულად თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**



# რა წესებს არ არღვევდა ვალერი ჩხეიძე უშიშროების სამსახურში 30 წელი და რატომ მოაწერა მის ჩეკისტურ ნათლობას ხელი იური ანდროპოვმა

**(მეთოთხმეტე გვერდიდან)**

ოს მილიციის თანამშრომელმა. ინსტრუქციით მას ამისი უფლება არ ჰქონდა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ეს მოხდა 1989 წელს, მაშინ რუსულ-ქართული ურთიერთობა 9 აპრილის ფონზე უკვე დაძაბული იყო. კვალი საქართველოსკენ, თბილისისკენ წამოვიდა. შეიქმნა ჯგუფი, რომლის უფროსადაც მე დავინიშნე. ზუსტად ერთი წლის თავზე აღმოვაჩინეთ სამკაციანი ჯგუფი, რომელიც ამ დანაშაულის უშუალო შემსრულებელი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ პერიოდში, როცა არ იყო კომპიუტერიზაცია, მობილური ტელეფონი, ოპერატიულმა ჯგუფმა გამოცდილებისა და ცოდნის შედეგად, 1978 ადამიანი გაატარა ფილტრში, რომ იმ სამის კვალთან მივსულიყავით. არ ვიცი, მათი დოსიე შემორჩა თუ არა უშიშროების არქივს, მაგრამ თავში კი მაქვს ***(იცინის).***

– **როგორ ცხოვრობდით ეს წლები, როცა საქართველოში ჩამოსვლა არ შეგეძლოთ?**

– საქართველოდან წასვლის შემდეგ წელიწადნახევარი ვცხოვრობდი კიევში. ჩემი მეგობარი იყო უკრაინის საზღვრის დაცვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი, ის ძალიან დამეხმარა. პირველი წელი ძალიან რთული იყო სამსახურთან დაკავშირებით. ამას ისიც ემატებოდა, რომ პირველი დღიდან მქონდა აქაურობის ნოსტალგია. პრეტენზიული ადამიანი არ ვარ, კარავშიც შემიძლია ცხოვრება, მაგრამ ყოფითი პრობლემების მოგვარებას ხომ სჭირდება ფინანსები. თავიდან ჩემი მეგობარი მეხმარებოდა, შემდეგ ის გარდაიცვალა და მარტო დავრჩი. ერთხელ დაგეხმარებიან მეგობრები, ორჯერ და მერე თავს უნდა მიხედო. მე გადავედი ქალაქ სტავროპოლში, სადაც ჩემი მეგობრები ცხოვრობენ. ცხონებული დედაჩემიც წარმოშობით უკრაინიდან იყო, მაგრამ სტავროპოლში ცხოვრობდა, სადაც ნათესაური კავშირები მქონდა. მე არც კი მეგონა, ამათი ხელისუფლება თუ ამდენ ხანს გასტანდა. სულ მეგონა, რომ თბილისში ხშირად ჩამოვიდოდი. როცა დედას გარდაცვალება შემატყობინეს, მაშინვე გადავწყვიტე, საქართველოში წამოსვლა, მაგრამ თბილისიდან დამირეკეს და გამაფრთხილეს: არავითარ შემთხვევაში არ ჩამოხვიდე, შენი გვარი გადაცემულია და საზღვარზე დაგაკავებენო. დრო რომ გავიდა, მერე გავიგე, როგორ დაძვრებოდნენ დედაჩემის დასაფლავებაზე „კუდის“ თანამშრომლები, რომელთაც ეგონათ, რომ მე ბაღდადში ვიყავი. მე მაგ ასაკიდან გამოსული ვარ და საზღვარზე ჩუმად გადმოსვლას არ ვიკადრებდი. სტავროპოლში მეგობრების დახმარებით ჩავერთე სავაჭრო-სამშენებლო კომპანიის მუშაობაში, რომელსაც ჩვენებური, ბორჯომელი ბერძენი ხელმძღვანელობს. მე დღესაც ამ კომპანიაში ვმუშაობ და ახლაც შვებულებით ვარ წამოსული.

– **თქვენი შვებულება სამუდამო ხომ არაა, ანუ არ რჩებით აქ?**

– ჯერჯერობით ვერ დავრჩები, იანვრის პირველ ნახევარში მოსკოვში გულის ოპერაცია მაქვს გასაკეთებელი, მერე ვნახოთ, რა იქნება. თუ ვინმეს ჩემი გამოცდილება გამოადგება, ღმერთმა ხელი მოუმართოს, თორემ მე თანამდებობისკენ არ მივისწრაფი. ზოგიერთს, ვინც ჩემს ზარს არ პასუხობს, სულ ტყუილად ჰგონია, რამე უნდა ვთხოვო. ისინი რამდენი წლისანიც არიან, მე იმხელა სტაჟი მაქვს ***(იცინის).*** წამოსვლამდე მოველაპარაკე ჩემი ფირმის ხელმძღვანელს, და ალბათ, ოპერაციის შემდეგ, როცა რეაბილიტაციის პერიოდი გაივლის, დავბრუნდები საქართველოში, ოღონდ ეს იქნება დაბრუნება „შვებულების“ გარეშე.

**თამუნა სამადაშვილი**

**თავად ამბობს, რომ გაუმართლა, თუმცა, ყველაფერს გამართლებას ვერ მიაწერს... „ორკესტრი მშვიდობისათვის" ერთადერთი ქართველი წარმომადგენელი, თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სიმფონიური ორკესტრის მთავარი კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე უკვე წლებია, მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე გამოდის...**

# როდის დაიწყო ლელა მჭედლიძისა და პლასიდო დომინგოს მეგობრობა და როგორ მოხვდა ის მსოფლიო ორკესტრის შემადგენლობაში

– ის ორკესტრი, სადაც მე ვმოღვაწეობ, როგორც საქართველოს წარმომადგენელი, გახლავთ „მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისათვის"... ორკესტრი დაარსდა 1993 წელს, გამოჩენილი, მსოფლიოში ცნობილი დირიჟორის, სერ გეორგ შოლტის მიერ. სერ გეორგ შოლტი წარმოშობით უნგრელი იყო. ცხოვრების დიდი ნაწილი მან ბრიტანეთში გაატარა და ბუკინგემის სასახლემ და დედოფალმა ელისაბედმა, დიდი ბრიტანეთისთვის გაწეული ღვაწლის გამო, დააჯილდოვა წოდებით – „სერ." წლების განმავლობაში სერ გეორგ შოლტი ლონდონის სიმფონიური, სამეფო ორკესტრის მთავარი დირიჟორი იყო; ასევე, გახლდათ მიუნჰენისა და ფრანკფურტის საოპერო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელი, ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი... წელს სერ გეორგ შოლტის 100 წლის საიუბილეო თარიღი შესრულდა და ეს თარიღი ორკესტრმა და ზოგადად კლასიკური მუსიკის სამყარომ დიდი ღონისძიებებით აღნიშნა. ერთ-ერთი კონცერტი ნიუ-იორკში, კარნეგი-ჰოლში გაიმართა, ხოლო მეორე – ჩიკაგოს სიმფონიურ ცენტრში, სადაც მოხდა კონცერტის ჩაწერა და შემდეგ ტრანსლაცია ევროპული არხებით. ჩანაწერი გამოვა დივიდის სახითაც. ორივე კონცერტს უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად.

– **როგორც ვიცი, ეს ორკესტრი მსოფლიოში გამორჩეულია...**

– დიახ, ორკესტრს 1998 წლიდან, სერ გეორგ შოლტის გარდაცვალების შემდეგ, ვალერი გერგიევი ხელმძღვანელობს... ვალერი გერგიევი ძალიან დიდი შემოქმედია, ქარიზმატული ადამიანია და ქართველებსაც გვაინტერესებს, როგორც პიროვნება, რადგან, მასთან არის დაკავშირებული უამრავი ჭორი თუ მართალი... ის, პირველ ყოვლისა, ძალიან დიდი მუსიკოსია, უდიდესი ტალანტი. ყველაზე ცნობილი მოვლენა იყო, როდესაც თვითმფრინავმა დაიგვიანა სტოკჰოლმში ჩაფრენა და შვედეთის მეფე 20 წუთის განმავლობაში ელოდა კერძო აუდიენციაზე. ასეთი მოვლენა არ ახსოვთ, მეფე ვინმეს დალოდებოდა... ორკესტრს ლედი ვალერი შოლტი უწევს პატრონაჟს. ლედი შოლტი სერ გეორგ შოლტის მეუღლე გახლავთ. იგი წარსულში ძალიან ცნობილი ჟურნალისტი იყო და სწორედ ინტერვიუს აღების დროს გაიცნო მომავალი მეუღლე. ეს არის ქალი აბსოლუტურად დაუღალავი და უშრეტი ენერგიით. ის გეგმავს ყოველ პროექტს, ეძებს სპონსორებს და ასე შემდეგ... ამერიკაში გამართული ღონისძიებები მილიონ ხუთასი ათასი დოლარი დაჯდა. ამხელა ფინანსების მოძიება ფინანსური კრიზისის დროს ადვილი არ არის, მაგრამ, სერ გეორგ შოლტს გარდაცვალების შემდეგაც უდიდეს პატივს სცემენ და ის დიდი სიყვარულით სარგებლობს.

– **როდის დაარსდა ეს ორკესტრი და თქვენ როდიდან მოღვაწეობთ იქ?**

– ორკესტრი 1993 წელს დაარსდა, მაგრამ, მე 2003 წელს შევუერთდი, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. ჩემი პირველი გასვლა ამ ორკესტრთან ერთად იყო პეტერბურგის 300 წლის იუბილეზე და მოსკოვის სააღდგომო ფესტივალზე. შემდეგ BBC-ის ფესტივალზე ლონდონში – როიალ ალბერტ ჰოლში, ჩინეთში, პეკინის საიმპერატორო ქალაქში – კულტურის სასახლეში, ბერლინის ფილარმონიაში, მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ბელგიაში, ბრიუსელში ცნობილი კულტურის სახლში, ხოლო კონცერტის შემდგომ რამდენიმე მუსიკოსს, მათ შორის მეც, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, აუდიენცია გვქონდა ნიდერლანდების დედოფალ ბეატრიქსთან; შემდეგ იყო ისრაელის სახელმწიფოებრიობის 60 წლისთავის აღსანიშნავად გამართული ღონისძიება იერუსალიმის თეატრში... 2009 წელს პოლონეთში, კრაკოვში გაიმართა პრემიერ-მინისტრების უმაღლესი დონის შეხვედრა, სადაც, აგრეთვე, შევხვდით რომის პაპს, ბენედიქტე მეთექვსმეტეს. 2011-ში ახალ წელს შევხვდით აბუ-დაბის ფესტივალზე არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. აქ მასპინძლობა თავად აბუ-დაბის შეიხის, ალ ნაჰიანის ოჯახმა გაგვიწია... სულ ახლახან კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში გავმართეთ ორი კონცერტი და, საბედნიეროდ, ქარიშხალ „სენდისაც" რამდენიმე დღით გამოვასწარი ***(იცინის)...*** ეს ორკესტრი, ალბათ, ყველა მუსიკოსისთვის საოცნებოა და ჩემთვისაც უმაღლესი მწვერვალია. ორკესტრში განსაკუთრებულად მაღალი დონის პროფესიონალები მოღვაწეობენ. ორკესტრის ბევრი წარმომადგენელი უძვირფასეს ინსტრუმენტზე უკრავს.



**ორკესტრის ყველა წევრი იუნესკომ „მშვიდობის არტისტის" წოდებით დაგვაჯილდოვა. გვაქვს სერტიფიკატი იმის შესახებ, რომ, რომელ ქვეყანაშიც მივდივართ საგასტროლოდ, სათქმელს მუსიკის ენით გამოვხატავთ**

– **იქნებ, მეტი გვითხრათ ბოლო ორი კონცერტის შესახებ...**

– ბოლო ორი კონცერტი განსაკუთრებული იყო იმ მხრივაც, რომ არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ. ძალიან წარმომადგენლობითი პუბლიკა იყო: ამერიკის სენატის, გაეროს, სახელოვნებო სფეროს მდიდარი წარმომადგენლობა და, თუკი რამ შტაბ-ბინაა ამერიკაში. ჩიკაგოს კონცერტი ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, რადგან, გავიცანი დიდი ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე. მას შორიდან ვიცნობდი და როგორც აღმოჩნდა, თვითონაც მიცნობდა. შემხედა თუ არა, მითხრა, მე თქვენ გიცნობთო.

რამდენიმე დღის განმავლობაში რეპეტიციები გვქონდა ჩიკაგოს სიმფონიურ დარბაზში, სადაც შესასვლელში იდგა შვეიცარი, რომელიც რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ მუსიკოსებს გარეგნობითაც გვცნობდა (არტისტების შესასვლელი ხომ ცალკეა და ჩვენს კოდს კრეფდა)... კონცერტის წინ მობრძანდნენ ლექსო თორაძე და მისი პროდიუსერი, აგრეთვე არაჩვეულებრივი ქართველი პიანისტი, გიორგი ვაჩნაძე, თავის იაპონელ მეუღლესთან ერთად. ცნობილია, რომ ლექსო თორაძეს და ვალერი გერგიევს ძალიან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. კონცერტის წინ მათ მაესტრო გერგიევის ნახვა სურდათ და, შესაბამისად, საარტისტოდან უნდოდათ შესვლა, მაგრამ, რადგან იქ მხოლოდ არტისტების შესასვლელია, ამიტომ დაბრკოლება შეხვდათ. მე რომ დამინახა, შვეიცარმა მიცნო და მითხრა: მე თქვენ გიცნობთ და, თუ გარანტიას მომცემთ, რომ ესენიც ხელოვანები არიან და მაესტრო ვალერი გერგიევთან შემოდიან, იმ შემთხვევაში შემოვუშვებო. ასე გაგვაცილა პერსონალური გასასვლელით ჩვენს საგრიმიოროში. ბატონი ლექსო უხვადაა დაჯილდოებული იუმორის გრძნობით და შემდეგ ამბობდა: აი, რას ნიშნავს ლამაზი ქალი, მისთვის ყველა კარი გახსნილიაო... ვალერი გერგიევს რომ ვესტუმრეთ საგრიმიოროში, ძალიან თბილად მიგვიღო. მათ შეხვედრაზეც ეტყობათ, თუ რა დიდი სიყვარული აკავშირებთ ერთმანეთთან. როცა ვალერი გერგიევმა ჰკითხა ბატონ ლექსოს, ლელას თუ იცნობო, მან უპასუხა, არა მხოლოდ ვიცნობ, ლელა რომ არ შეგვხვედროდა, საერთოდაც არ შემოგვიშვებდნენო...

– **თქვენ ხართ ქართველი მუსიკოსი, რომელსაც განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებს პლასიდო დომინგოსთან...**

– სხვათა შორის, ამერიკაში გამართულ ღონისძიებებში პლასიდო დომინგოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს ინფორმაცია რამდენიმე თვით ადრე ჩვენმა მენეჯერმა ბრიტანეთიდან შემატყობინა... მინდა, წავიტრაბახო და ვიამაყო იმით, რომ პლასიდო დომინგოსთან მეგობრობა მაკავშირებს... ეს მეგობრობა დაიწყო, იმ კონცერტიდან, რომელიც პლასიდო დომინგომ საქართველოში გამართა. ბათუმში კონცერტი 25 ნოემბერს იყო და კონცერტის წინ, გენერალურ რეპეტიციაზე, მითხრა დომინგომ, 3 დეკემბერს კონცერტს ვმართავ ერევანში და თუ შეძლებ კონცერტზე დასწრებას, როგორც სპეციალური სტუმარიო. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, ფრთები შემესხა და იმ წუთის სიხარულს ვერანაირი სიტყვებით ვერ გადმოგცემთ... პლასიდო დომინგოს ჩემი სავიზიტო ბარათი მივეცი და თვითონაც დამიტოვა ტელეფონის ნომერი, მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ ვფიქრობდი: ეს არის ადამიანი, რომელიც ამდენს მოგზაურობს, დგამს უამრავ სპექტაკლს, რადგან, თავად არის დამდგმელი დირიჟორი, მონაწილეობს უამრავ კონცერტში, ნეტავ, თუ ემახსოვრება თუნდაც ერთ-ერთი ულამაზესი კონცერტის შემდეგ თავისი დაპირება-მეთქი. ჩავთვალე, რომ ეს იყო ჩემ მიმართ, როგორც პირველი ვიოლინოს მიმართ გამოხატული პატივისცემა... რამდენიმე დღის შემდეგ, მეგობრებთან ერთად კაფეში ყავას რომ მივირთმევდი, ჩემმა ტელეფონმა დარეკა და მამაკაცის ხავერდოვანი, ყველასგან გამორჩეული ხმა მეუბნება, პლასიდო დომინგო ვარო. ეს ჩემთვის ბომბივით იყო, არასდროს მავიწყდება, თუ როგორ გამივარდა ხელიდან ყავის ფინჯანი და აბსოლუტურ შოკში ჩავვარდი. არ ვიცი, რა სიტყვა მოვძებნო, რა ფრაზა, რომ გადმოგცეთ ის ემოცია, რაც იმ წუთში დამეუფლა. დავიჯერე, რომ დიდი ადამიანები მხოლოდ ლეგენდებში, წიგნებსა და ფილმებში არ არიან. ძალიან ბევრ ისტორიას ყვებიან მის დიდსულოვნებაზე და ბევრი ლეგენდა მსმენია, მაგრამ, როდესაც შენ შეგეხება და პირადად შენს თავს ხდება, უკვე დაუჯერებელია... მითხრა, მე რომ კონცერტზე დაგპატიჟე, ჩემი მხრიდან ეს სიტყვები ძალაშია და თქვენკენ ხომ არ შეიცვლა რამეო. ვუთხარი, არაფერი შეცვლილა, პირიქით, დიდი სიხარულით დავესწრები თქვენს კონცერტს ერევანში-მეთქი. შემდეგ პირადად ჩაერთო და ტრანსპორტი, სასტუმრო და ყოველდღიური ხარჯები თავად უზრუნველყო... რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი იყო ჩემთვის, მან კონცერტზე რამდენიმე ნომერი პირადად მომიძღვნა. შემდეგ ჩვენ ძალიან თბილი და ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. როცა გავიგე, რომ, შეიძლებოდა, დომინგოს მონაწილეობა მიეღო ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს კონცერტებში, რასაკვირველია, ძალიან გამიხარდა. მან არ იცოდა, მე თუ მსოფლიო ორკესტრში ვუკრავდი და მივწერე ამ ორკესტრში ვმოღვაწეობ, როგორც საქართველოს წარმომადგენელი და, თუ ერთმანეთს შევხვდებით, უბედნიერესი ვიქნები-მეთქი... მიპასუხა, რომ უსაზღვროდ გაახარა იმ ფაქტმა, მე რომ ამ ორკესტრში ვუკრავ და თავად ძალიან სურდა, კონცერტზე თუნდაც რამდენიმე ნომრით წარმდგარიყო, მაგრამ, არ იცოდა, ამას როგორ შეძლებდა, რადგან, ძალიან გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა. მოგვიანებით კი ისევ მომწერა: ჩემო საყვარელო ლელა, მე, სამწუხაროდ, ვერ მივიღებ კონცერტში მონაწილეობას, რადგან, კონტრაქტის თანახმად, ამ პერიოდში ევროპაში ვიქნები, სევილიის თეატრში, სადაც „ტაისი" უნდა დაიდგას. თუმცა, მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ერთმანეთს აუცილებლად შევხვდებით. ჩემს ნებისმიერ კონცერტზე, როდესაც შენ გამოხატავ სურვილს, მზად ვარ, კვლავ სპეციალურ სტუმრად მოგიწვიოო...

**კატო ქლენტი**

**ვფიქრობ, ჟურნალისტისთვის დიდი პატივია და განსაკუთრებულად საინტერესო, ამგვარი ინფორმაციის მოსმენა, როცა მისი რესპონდენტები საქართველოს სამეფო სახლის მეთაური, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, მისი მეუღლე – თავადიშვილი ლეილა ყიფიანი და მათი განუყრელი მეგობარი, სამეფო სახლის კანცლერი კახა ქორიძე არიან. მათი მეგობრობა „ღიმილის ბიჭებიდან" იღებს სათავეს.**

# ვინ არის ნუგზარ ბაგრატიონის ოჯახის მეკვლე და როგორ ხვდებიან ისინი ახალ წელს

**ბატონიშვილი ნუგზარი**: ადრე თუ გვიან, ქართველი ერი მივა იმ დასკვნამდე, რომ ეს ისტორიული სამართლიანობა აუცილებლად ოდესმე უნდა აღდგეს, რადგან, ეს სამართლიანობა ერთ დროს ქართველი ერის სურვილის საწინააღმდეგოდ და თანაც, უცხო ქვეყნის გავლენით, უკანონოდ განხორციელდა. რაც შეეხება სახელმწიფოს მოწყობის ფორმას, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო მისაღები ჩვენი ქვეყნისთვის არის საკონსტიტუციო მონარქია. მონარქიის პირობებში მონარქი გარანტია ქვეყნის სტაბილურობისა, სამართლიანობისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისა. ის მაღლა დგას ყოველივე პარტიულ ინტერესებზე, სიმბოლოა საკუთარი ქვეყნისა და დამცველია ეროვნული ფასეულობებისა.

ხშირად მესმის – სამეფო ოჯახს რა შეინახავსო. მე ასე ვიტყვი, რომ მონარქმა თვითონ უნდა შეინახოს თავისი ოჯახი ხელფასით. მეფეს პროფესია უნდა ჰქონდეს და არავის შესანახი არ უნდა იყოს. თავისთავად, ერის ინტერესში იქნება, რომ მონარქი წარმოჩინდეს, როგორც ერის სიმბოლო. უნდა იყოს ისე, როგორც რიგ ევროპულ ქვეყნებში, მეფე მეფობს, მაგრამ, არ მართავს.

**კახა ქორიძე**: თუმცა, იმ ქვეყნებში, სადაც მონარქიული წყობა არ არის, ისევე, როგორც დღეს საქართველოში, სამეფო ოჯახისა და მისი მეთაურის უფლებები დაცული და აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ, როგორც „არატერიტორიული სუვერენისა". მათი უფლებები, მოქმედ მონარქებთან შედარებით, რასაკვირველია, შეზღუდულია, მაგრამ, საერთაშორისო სამართლით მათ შენარჩუნებული აქვთ შემდეგი უფლებები: იყოს აღიარებული, დაფასებული, დაცული და იწოდებოდეს შესაბამისი ტიტულით – „მისი სამეფო უმაღლესობა"; ასევე, გააჩნია უფლება სხვისთვის პატივის მინიჭებისა და დაჯილდოებისა. ეს უფლებები მემკვიდრეობითია და, რა წყობაც არ უნდა იყოს ქვეყანაში, მას ამ უფლებას ვერავინ ჩამოართმევს.

– **მაშინ, დავიცავ ეტიკეტს და ბატონიშვილ ნუგზარს სწორად მივმართავ: თქვენო სამეფო უმაღლესობავ, მაინტერესებს, ვინ ითვლება თქვენ შემდეგ ტახტის მემკვიდრედ?**

**ბატონიშვილი ნუგზარი**: ჩემ შემდეგ სამეფო სახლის მეთაური იქნება ჩემი უფროსი ქალიშვილი – ანა. ჩემი სურვილია, რომ, ქართული და საერთაშორისო დინასტიური სამართლის თანახმად, პატარა გიორგიმ ანას (დედის) ხაზით მიიღოს მომავალში ეს მემკვიდრეობა, რადგან, მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ჩემი სიძის, დავითის მიმართ, ის გახლავთ ბაგრატიონ-მუხრანელების თავადური განშტოების და არა სამეფო ხაზის წარმომადგენელი.

**კახა ქორიძე**: აქვე მინდა დავამატო, რომ, ქართული ისტორიული სამართლის თანახმად, როდესაც სამეფო ოჯახში არ იყო ვაჟი, ქალი ადიოდა ტახტზე. ასევე, ვაჟი უსწრებდა უფროს დებს ტახტის მემკვიდრეობით რიგში; მაგრამ, დღეს უკვე, ევროკავშირის მითითებების გათვალისწინებით, ევროპის სამეფო სახლებმა, ადამიანის გენდერული უფლებების დაცვის გათვალისწინებით, შეცვალეს დინასტიური წესი და ტახტის მემკვიდრეებად გამოაცხადეს უფროსი შვილები, მიუხედავად მათი სქესისა. ამ წესს დღეს იაპონიის საიმპერატორო სახლიც კი შეუერთდა, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ, ღვთის წყალობით, პატარა გიორგი გახდება ტახტის მემკვიდრე და საქართველო მომავალში ევროკავშირის წევრი იქნება და ტახტის მემკვიდრეს ქორწინებიდან პირველი შეეძინება ქალიშვილი და მეორე ვაჟი, ტახტის მემკვიდრეობას ქალიშვილი მიიღებს.

– **როდესაც ინტერვიუზე მინდოდა შეთანხმება, ბატონიშვილმა ნუგზარმა მითხრა, კანცლერს, ბატონ კახა ქორიძეს შეუთანხმდითო. როდის მიიღეთ ეს წოდება, ბატონო კახა, როგორც ვიცი, ის არაა შთამომავლობითი?**

– რა თქმა უნდა, შთამომავლობითი არ არის. ესაა თანამდებობა, რომელზეც დავინიშნე ბატონიშვილი ნუგზარის 2009 წლის 7 ნოემბრის დეკრეტით.

**ბატონიშვილი ნუგზარი**: დავაარსე სამეფო სახლის კანცელარია და ვთხოვე ჩემი ოჯახის ნდობით აღჭურვილ მეგობარსა და მირონით ნათესავს, ბატონ კახას, სათავეში ჩასდგომოდა ამ მამულიშვილურ საქმეს.

– **პატარა გიორგიზე მომიყევით, რომელიც ესპანეთში დაიბადა. გოგონებს უფრო იცნობს ქართული საზოგადოება.**

**ქალბატონი ლეილა**: პატარა გიორგი უკვე წლისა და 3 თვის არის. ბავშვს ანა ელაპარაკება ქართულად, მამა – ესპანურად, მაგრამ, ქართული უფრო კარგად ესმის. ძიძა ჰყავთ რუსი, მან, თურმე, არც ქართული იცის და არც ესპანური და ელაპარაკება რუსულად. თავისი დებიც ქართულად ესაუბრებიან, ისინი კი დადიან ესპანურ სკოლაში და ბაღში, მაგრამ, სახლში ძმას ქართულად ელაპარაკებიან და გიორგისაც ქართული უკეთ ესმის. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– **ახალი წელი ახლოვდება და, არ შემიძლია, არ გკითხოთ, თუ გაქვთ რაიმე ტრადიცია ამ დღესასწაულის შეხვედრისა სამეფო ოჯახში?**

– როცა ჩემი მამამთილი, ბატონიშვილი პეტრე, ცოცხალი იყო, ჩვენს ოჯახში ყოველ ახალ წელს



**ბატონიშვილი ნუგზარი: „ჩვენ მინდობილი ვართ პატრიარქზე. ანაც ძალიან მინდობილია. პატრიარქი ხშირად ესაუბრება ხოლმე მას ტელეფონით, დაბადების დღეც მიულოცა ანას პირველ ნოემბერს. იმედია, წელს ჩამოვლენ და დარჩებიან კიდეც აქ"**

თავს იყრიდნენ მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები. იმართებოდა დიდი ზეიმი, ნამდვილი ქართული ქეიფი, ქართული საახალწლო ადათ-წესების დაცვით.

– **თამადა ვინ იყო ხოლმე?**

**ბატონიშვილი ნუგზარი**: ძირითადად, თვითონ მამაჩემი იყო ხოლმე თამადა. იმართებოდა ხუმრობები, ექსპრომტად დადგმული პატარ-პატარა თეატრალური წარმოდგენები, მღეროდნენ, ცეკვავდნენ...

მე და ლეილამ ერთმანეთი რომ გავიცანით, მამაჩემმა დაურეკა ლეილას დედას, სთხოვა, რომ ლეილა ჩვენთან, ოჯახში შეხვედროდა ახალ წელს და ჩვენ აქ, ყველანი ერთად, ამ ოთახში შევხვდით. მას მერე მალევე ვიქორწინეთ და დღემდე ერთად ვხვდებით ახალ წელს ამ ოჯახში.

– **მეკვლე თუ გყავდათ ხოლმე?**

**ქალბატონი ლეილა**: ანა და მაია რომ დაიბადნენ, ისინი იყვნენ ხოლმე ჩვენი მეკვლეები, შემდეგ კი წამოვიდნენ მათი შვილები – თემიკო უფროსი შვილიშვილია და მას ვუშვებდით ხოლმე მეკვლედ.

– **თოვლის ბაბუის სჯეროდათ ხოლმე თქვენს ქალიშვილებს?**

**ბატონიშვილი ნუგზარი**: „თოვლის პაპას ტყეში" – ასე აწერდნენ წერილებს.

– **მაშინ ლაპლანდია არ იყო მოდაში?**

**ქალბატონი ლეილა**: არა, არ იყო. სწერდნენ ხოლმე საჩუქრების ჩამონათვალს, თუ რა უნდოდათ, რომ მიეღოთ საახალწლოდ. როგორც ყველა ბავშვი, ხან რას სთხოვდნენ, და ხანაც – რას, ძირითადად კი – თოჯინას. შემდეგ, რომ წამოიზარდნენ და გაქარწყლდა თოვლის ბაბუაზე ოცნებები, მაინც ისმებოდა ხოლმე კითხვა: თოვლის ბაბუა წელს მოვა? გულში მაინც ელოდებოდნენ რაღაც საჩუქარს. ჩვენც, ტრადიციულად, დიდი ხნის განმავლობაში ვახვედრებდით ნაძვის ხესთან საჩუქარს.

– **მაინტერესებს, ტახტის მემკვიდრე, ბატონიშვილი ნუგზარი რას სთხოვდა ხოლმე თოვლის ბაბუას?**

**კახა ქორიძე**: მგონი, ტახტს სთხოვდა და კიდეც დაუბრუნეს *(იცინის).*

**ბატონიშვილი ნუგზარი**: იცით, ჩვენს ოჯახში არასდროს არ ამახვილებდნენ ყურადღებას ჩვენს წარმომავლობაზე, რადგან, ეს იმ ავად სახსენებელ ეპოქაში ტაბუდადებული თემა იყო.

– **თქვენი ქალიშვილებიც ასევე იზრდებოდნენ?**

– ფაქტობრივად, ჩვენი შვილებიც ასე აღვზარდეთ – ჩვეულებრივ ბავშვებად. ვცდილობდით, რაც შეიძლება გვიან გაეგოთ თავიანთი წარმომავლობის შესახებ.

**ქალბატონი ლეილა**: ანამ თქვა, რომ პირველად მან თავისი სამეფო წარმომავლობა და პასუხისმგებლობა აღიქვა სკოლის ასაკში, ალბათ, მეექვსე-მეშვიდე კლასში.

**კახა ქორიძე**: თუ გახსოვთ, მე შევიყვანე გოგოები მეექვსე გერმანულ სკოლაში და კლასში ბავშვებს გამოვუცხადე, რომ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები ისწავლიდნენ მათთან. მოგვიანებით, რატი ამაღლობელმა მითხრა: ძია კახა, მახსოვს, როგორ შემოიყვანეთ კლასში ორი ანგელოზი და თან თქვით, რომ ნამდვილი პრინცესები არიანო. ყველა ბიჭი იმავე დღიდან შეყვარებული ვიყავით ამ დებზეო.

– **ახლა როგორ არიან გოგოები?**

**ქალბატონი ლეილა**: ახლა საკუთარ შვილებს ზრდიან.

**ბატონიშვილი ნუგზარი**: მაიკო არის ძალიან სერიოზული და ძალიან ჭკვიანი. სპეციალობით ფსიქოლოგია, სულ სადღაც დადის კონფერენციებზე. ჰყავს ორი შვილი: 12 წლის თემიკო ჭიჭინაძე და 9 წლის ანა.

ანა ესპანეთშია თავისი სამი შვილით – ირინეთი, მარიამითა და გიორგით. სულ ველოდებით ჩვენს უწმიდესსა და უნეტარესს, კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორეს, როდის იტყვის: „ჩამოდით!"

– **ვის ჰგავს პატარა გიორგი?**

– როგორც იქნა ლეილა ბედნიერია, რადგან, მისი თვალის ფერი გამოჰყვა ბიჭს. მე და ლეილას სულ გვინდოდა, მისი ცისფერი თვალები ვინმეს გამოჰყოლოდა.

**ქალბატონი ლეილა**: სულ მეგონა, რომ რომელიმე შვილიშვილ გოგონას მაინც გამოჰყვებოდა, მაგრამ, არც ერთს არ გამოჰყვა. სამაგიეროდ, გიორგის აქვს ცისფერი თვალები.

– **თქვენ ინახულეთ გიორგი?**

– არა, მათთან არ წავსულვართ, პირიქით, სულ აქეთ ველოდებით. სკაიპით ვუკავშირდებით ყოველდღე.

**ბატონიშვილი ნუგზარი:** პატრიარქთან ხშირად დავდივარ, დღესაც მივდივარ ღამის ლოცვაზე და სულ ვეკითხები:

– თქვენო უწმიდესობავ, როდის ჩამოვლენ?

– ჩამოვლენ, მალე ჩამოვლენ... – მპასუხობს იგი. ჩვენ მინდობილი ვართ პატრიარქზე. ანაც ძალიან მინდობილია. პატრიარქი ხშირად ესაუბრება ხოლმე მას ტელეფონით, დაბადების დღეც მიულოცა ანას პირველ ნოემბერს. იმედია, წელს ჩამოვლენ და დარჩებიან კიდეც აქ, იმიტომ, რომ ბიჭი საქართველოში უნდა გაიზარდოს, აქ უნდა ჩამოყალიბდეს ბავშვის ფსიქიკა, აქ უნდა აიდგას ფეხი – ამას გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ, მაგრამ, ქართულ გარემოში უნდა ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს.

– **როგორი ბებია-ბაბუა ხართ?**

**ქალბატონი ლეილა**: მკაცრები არ ვართ, მით უფრო – მე, ნუგზარი თუ გაუჯავრდება, ვცდილობ, დავიცვა.

**ეკა სალაღაია**

# როგორ ატყუებენ კაცებს ცოლები და იმსახურებენ თუ არა მამაკაცები მათგან ღალატს



**საზოგადოება თითქმის შეეჩვია იმას, რომ მამაკაცები ღალატობენ – ცოლები ითმენენ; მამაკაცები ტოვებენ ოჯახს – ქალები ცრემლის ღვრით ზრდიან შვილებს და მისტირიან „უძღებ" მეუღლეებს. კაცებს ნაკლებად სთხოვენ პასუხს და ისინიც სარგებლობენ ამით, არ იქმნიან პრობლემებს „შეზღუდვებით", თითქოს ყველაფერი დასაშვებია და მისაღები... ერთი სიტყვით, ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომლისგან მცირე გადახვევაც კი საზოგადოების განცვიფრებას იწვევს. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ქალიც ჩვეულებრივი ადამიანია, ადამიანური ნაკლოვანებებითა და ღირსებებით. ალბათ, დროა, მამაკაცები მიხვდნენ, რომ ქალსაც როგორც მათ, აქვს უფლება, ჰქონდეს არჩევნის თავისუფლება და, თუკი ზოგჯერ მათთვის გრძნობაა მნიშვნელოვანი, ზუსტად იგივე შეიძლება დაემართოს ქალსაც...**

**ვახო** ***(37 წლის):*** ერთად ექვსი წელი ვიცხოვრეთ. ოცდაათ წელს გადაცილებული კაცი რომ გადაწყვეტილებას მიიღებს და ცხოვრებას ვიღაცას დაუკავშირებს, ეს მისგან კარგად მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი ნაბიჯია. ამით იმის თქმა მინდა, რომ, ზუსტად ვიცოდი, რა მინდოდა.

**– უფრო მარტივი იქნებოდა, გეთქვათ, რომ შეგიყვარდათ.**

– შემიყვარდა კიდეც, მაგრამ მანამდეც მყვარებია, თუმცა დაქორწინების სურვილი არ გამჩენია. ოჯახზე ყოველთვის სხვანაირი წარმოდგენა მქონდა – ძალიან სერიოზული. ასე რომ არ ყოფილიყო, ოცდაათ წლამდე უცოლოდ არ ვივლიდი.

**– ანუ, თქვენთვის ოჯახის შესაქმნელად სიყვარული არ იყო საკმარისი?**

– როგორ გითხრათ... არ მივეკუთვნები მამაკაცების იმ კატეგორიას, რომლებიც ემოციებით ცხოვრობენ და მძაფრი გრძნობებით ხელმძღვანელობენ. შეიძლება, ეს ჩემი შეცდომაა, მაგრამ, სხვანაირად არ გამომდიოდა არასდროს. ვფიქრობ, არც ახლა გამომივა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც-რაღაცეებს ძალიან ვნანობ.

**– რამეში იდანაშაულებთ თავს?**

– „თავს ვიდანაშაულებ" – ცოტა ისეთი ნათქვამია... საკუთარი თავის მოსამართლეობა არ გამომივა და ვერც განაჩენს გამოვუტან, მაგრამ, მჭირდება პასუხები კითხვებზე, რომლებიც მაქვს, სხვანაირად ველარ გავაგრძელებ ცხოვრებას. არა, კი არ მოვკვდები, მე სრულფასოვან არსებობას ვგულისხმობ. ისე არ გამიგოთ, რომ, რადგან წავიდა, სამყარომ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ, იგივე რომ განმეორდეს სხვასთანაც?

**– რატომ უნდა განმეორდეს?**

– რა ვიცი. ქალების უკვე აღარ მჯერა. ალბათ, ქალებსაც იგივე ემართებათ ღალატის შემდეგ. თუ არ ემართებათ და მე ვცდები, ძალიან მიკვირს, როგორ ახერხებენ ამას. არ იცით, რა დამემართა, როცა ერთ დღეს, აბსოლუტურად მოულოდნელად, მითხრა, თანაც სრულიად მშვიდად: „ჩვენ უნდა დავშორდეთ".

**– შეიძლება, თქვენ გეგონათ, რომ აბსოლუტური თანხმობა გქონდათ. მეორე მხარის აზრი ხომ არ ვიცით?**

– მეორე მხარეს თქვენ ვერ მოუსმენთ და მის აზრსაც ვერ გაიგებთ, იმიტომ, რომ საერთოდ არ უნდა ამ თემაზე ლაპარაკი, საჭიროდ არ მიაჩნია. არ მაძლევს საშუალებას, გავარკვიოთ სიტუაცია. ნათელი გავხადოთ თუნდაც ჩემი შეცდომები. ის თუ თავს კარგად გრძნობს, მეც ხომ კარგად უნდა ვიყო?! რა დავუშავე ამისთანა, რომ გაოგნებული დამტოვა? მე მინდა, ვიცოდე, რა არ მოეწონა ჩვენს ურთიერთობაში. „ჩვენ უნდა დავშორდეთ!" – ასე მარტივად არ არის საქმე, მით უმეტეს, ექვსწლიანი თანაცხოვრების შემდეგ.

**– მანამდე დიდხანს იცნობდით ერთმანეთს? ანუ, ქორწინებამდე პერიოდს ვგულისხმობ.**

– ექვსი თვე. მანამდე ორი წელი ვცხოვრობდი ქალთან, რომელთანაც საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა მქონდა, მაგრამ, მე მასში ის პოტენციალი ვერ დავინახე, რომელიც ჩემს ცოლში უნდა დამენახა.

**– იქნებ დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?**

– გასაგებად ვერ ვთქვი, ხომ? საქმეც ისაა, რომ ზუსტად მეც არ ვიცი, რა დავუწუნე იმ ადამიანს. შეიძლება, ის გაცილებით უკეთესი ცოლი ყოფილიყო და არ მივეტოვებინე ასე უცერემონიოდ; შეიძლება, პრობლემა ჩემშია და დამნაშავეს ტყუილად ვეძებ ჩემს ყოფილ ცოლში. ამ ყველაფრის გარკვევა მინდა. ეს არის კითხვები, რომლებზეც აუცილებლად უნდა გავცე პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდები, უფრო უარესში, ვიდრე ახლა ვარ...

**– შეიძლება, გკითხოთ?! თქვენს მომავალ მეუღლესთან რომ დაიწყეთ შეხვედრები, იმ ქალს უკვე დაშორებული იყავით თუ ამ ახალმა ურთიერთობამ მოახდინა პროვოცირება?**

– დაშორებულივით ვიყავი. ვიცი, ეს პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, ამიტომ, განვმარტავ: ერთად აღარ ვცხოვრობდით ზოგჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენ თავიდანვე გარკვეული გვქონდა ყველაფერი. თუ ის გაინტერესებთ, ვატკინე თუ არა მას გული, გეტყვით: არა!

**– ეს მხოლოდ თქვენი მოსაზრებაა თუ მისიც.**

– სავარაუდოდ, მისიც, იმიტომ, რომ ჩემი ცოლობა არასდროს სდომებია და ამას პირდაპირ მეუბნებოდა.

**– ქმრის როლში დაგიწუნათ, თუ დაწუნება-მოწონება არაფერ შუაშია?**

– გათხოვება საერთოდ არ უნდოდა. ორი მწარე გაკვეთილი ედო წინ და მიმტკიცებდა, ოჯახი ჩემთვის ორივე შემთხვევაში სტრესი იყოო.

> **საკუთარი თავის მსაჯულობას არ ვაპირებ და ვერც განაჩენს გამოვუტან, მაგრამ, მჭირდება პასუხები შეკითხვებზე**

**– გიხსნიდათ, რატომ?**

– იცით, არასდროს ჩავღრმავებივარ ამ საკითხს, რასაც ახლა ცოტას ვნანობ. მგონი, ჯობდა, მეტი მცოდნოდა მის ოჯახურ ურთიერთობებზე, კონკრეტულად რაში ვერ გაამართლეს მისმა ქმრებმა – იქნებ, რაღაც რაციონალური დასკვნები გამეკეთებინა.

**– და, შეძლებდით სხვა ქალთან ოჯახის შენარჩუნებას?**

– ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად შევძლებდი, მაგრამ, იმას მაინც გავიგებდი, მე რა კრიტერიუმები ვერ დავაკმაყოფილე.

**– ასე განიცდით, ცოლმა რომ მიგატოვათ?**

– როგორ არ განვიცდი! რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ფაქტია. რომელ მამაკაცზე არ იმოქმედებს ის ფაქტი, რომ ცოლმა მიატოვა. თუნდაც ის ცოლი მობეზრებული და ყელში ამოსული ჰყავდეს.

**– აჰა, ესე იგი, შელახულ თავმოყვარეობაზეა საუბარი.**

– ეგეც არის, არ უარვყოფ, მაგრამ მე მიყვარდა ჩემი ცოლი და მომწონდა მასთან ერთად ცხოვრება. კარგი ოჯახი გვქონდა, თბილი და ჰარმონიული. მიხაროდა სახლში მისვლა. ვიცოდი, რომ იქ გამგებიანი მეუღლე მელოდებოდა. მეგობრებიც მეუბნებოდნენ, ძალიან გაგიმართლა, ჭკვიანი და ლამაზი ცოლი გყავსო. ძალიან მეამაყებოდა. ისეთ ოჯახურ საღამოებს ვაწყობდით... გულს უხაროდა, როცა ვხედავდი, როგორ დაფუსფუსებდა სამზარეულოში, როგორ უვლიდა ბავშვს... და, უცებ, ეს ყველაფერი თავდაყირა დადგა – ჩემი ოჯახის მოყვარული, მშვიდი ცოლი გადაირია.

**– სრულიად უმიზეზოდ?**

– მე ვერ აღმოვაჩინე მიზეზი. სახლში გაჩერება აღარ უნდოდა. ბავშვი მთლიანად ძიძას მიუგდო. ღამით მე ვიტოვებდი, როცა ჩემი ცოლი დაქალებთან ერთად გასართობად კლუბებში დადიოდა. გაოცებულმა რომ ვიკითხე, რა დაგემართა-მეთქი, მიპასუხა: რა გიკვირს, ახალგაზრდა ვარ. ახლა თუ არ გავერთე, მერე როდისღა მოვასწრებო. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია იმაში ცუდი, რომ ადამიანი ერთობა, მაგრამ, მას ჩემ გვერდით ყოფნა აღარ უნდოდა... მერე საქორწინო ბეჭედიც მოიხსნა – გოიმობააო. როცა გავაპროტესტე, შენც ხომ არ იკეთებდი და მე რატომ ვარ ვალდებულიო. გავიკეთებ-მეთქი. მხრები აიჩეჩა – რაც გინდა ის ქენი, მაგრამ, მე ისე მოვიქცევი, როგორც მე მინდაო. სრულ გაუგებრობაში ვიყავი. ვხვდებოდი, რომ მატყუებდა, მაგრამ, ვერაფერს ვუმტკიცებდი.

**– ეჭვი გაგიჩნდათ, რომ გღალატობდათ?**

– ფაქტია, რომ მატყუებდა. ვკითხე, ვინმე გყავს-მეთქი? არა, უბრალოდ, დავიღალე. ეს ერთფეროვნება მომწყინდა. ჩვენ ერთმანეთს არ შევეფერებით. ვგრძნობ, რაღაც სხვა მჭირდებაო.

**– არ დააკონკრეტებინეთ, რა იყო ეს „რაღაც სხვა"?**

– ვერ დავაკონკრეტებინე. სიტყვაც არ დაძრა, რომ ჩვენი დაშორების უფრო ხელშესახები მიზეზი გამერკვია, შოკში ჩამაგდო. კაცები ასე უსინდისოდ არ იქცევიან.

**– სინდისიერი ტყუილიც არსებობს? ძალიან საინტერესოა.**

– მესმის, რომ თქვენ მაინც ქალის მხარეს ხართ, მაგრამ, მე არ ვიმსახურებდი ასეთ მოპყრობას. მე არასდროს მომიტყუებია ის, გულწრფელად გეუბნებით. იცით, რამდენი ვეხვეწე, ეთქვა, ვინმე თუ გაიჩინა?! ლამის დავუჩოქე... ისეთი გულგრილი სახით მიყურებდა... პირველად ვნახე ადამიანზე „შუშის" თვალები. ვიგრძენი, რომ ფეხებზე ვეკიდე. კარი გავიჯახუნე და საკუთარ თავს ვუთხარი, უკან აღარასდროს მივბრუნდები-მეთქი. მერე ისევ ბავშვი შემეცოდა და დავბრუნდი. არც ჩემს წასვლაზე ჰქონია რეაქცია და არც მისვლაზე – დივანზე იჯდა და მზესუმზირას ჭამდა. გავმწარდი – რა დავუშავე

# როგორ დაკარგეს ნათესავებმა ერთმანეთი და ვის ეძებს ზეგაანში მცხოვრები 62 წლის ქალბატონი სტავროპოლში

*62 წლის გოჰარ მიხეილის ასული გრიგორიანი ეძებს 72 წლის ლეილა ლილოვას, 48 წლის დავით სერგოს ძე გუკასიანს, 37 წლის სერგო სერგოს ძე გუკასიანს და 43 წლის არტურ სერგოს ძე გუკასიანს.*

**ისტორია**: ვეძებ ძმის ცოლს: 72 წლის ლეილა ლილოვას და ძმისშვილებს: 48 წლის დათო სერგოს ძე გუკასიანს, 37 წლის სერგო სერგოს ძე გუკასიანს და 43 წლის არტურ სერგოს ძე გუკასიანებს. ბოლოს ჩემი ძმისშვილები 2000 წლის ზაფხულში ვნახე, მას შემდეგ მე ისინი არ მინახავს. ისინი საცხოვრებლად სტავროპოლში წავიდნენ. ძალიან მინდა, ჩემი ძმის ოჯახის მოძებნა, მარტომ ეს ვერანაირად ვერ მოვახერხე. მე ვცხოვრობ გურჯაანის რაიონის სოფელ ზეგაანში. მაქვს ჩემი ძმის ფოტო, სურათზე ის მეუღლესთან ერთადაა. იმედი მაქვს, მათ პოვნაში დაგვეხმარებით.

**– როგორ დაკარგეთ ერთმანეთი მამიდამ და ძმისშვილებმა?**

– ჩემმა ძმამ ცოლად ლეილა ლილოვა შეირთო. ლეილა სტავროპოლიდან იყო. მათ შეეძინათ სამი შვილი, სამივე ბიჭი: დათო, სერგო და არტური. 1999 წლის ზამთარში ჩემი ძმა, სერგო გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ ჩემმა რძალმა და მისმა შვილებმა გაყიდეს ბინა მოსკოვის გამზირზე და სტავროპოლში წასვლა გადაწყვიტეს. ლეილა, არტური და სერგო ერთად წავიდნენ, დათო კი სამი თვის შემდეგ წავიდა. ასე დავკარგეთ ერთმანეთი.

**– ანუ მათი სტავროპოლში წასვლის შემდეგ მათთან ურთიერთობა საერთოდ არ გქონიათ?**

– მათი წასვლიდან დაახლოებით ორ წელიწადში, ზუსტად 2002 წლის 25 იანვარს, ჩემმა ძმისშვილმა დათომ წერილი გამომიგზავნა, რომელშიც ეწერა, რომ ისინი კარგად მოეწყვნენ, რომ იყიდეს კერძო ბინა და ასე შემდეგ. ერთი თვის შემდეგ მეც მივწერე დათოს იგივე მისამართზე წერილი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. წერილებს სულ ვგზავნიდი, რეგულარულად, მაგრამ არც ერთ ჩემს წერილზე პასუხი არ მიმიღია. ძალიან განვიცდი მათთან კავშირის არქონას. ისინი ხომ ჩემი სისხლი და ხორცი არიან, მე უკვე საკმაოდ ხნიერი ვარ და არ შემიძლია მათი სხვაგვარად მოძებნა, ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ მათ პოვნაში.



**– სხვა დედმამიშვილები თუ გყავთ და ისინი თუ ეძებენ მათ?**

– სულ რვა დედმამიშვილი ვიყავით. გამოგვაკლდა მხოლოდ სერგო. დავრჩით შვიდნი. ყველანი მიმოფანტულები ვართ. პირადად მე, სადაც დავიბადე, იქ ვცხოვრობ დღემდე. ყველას აინტერესებს ლეილასა და მისი შვილების ამბავი, მაგრამ აქტიურად მათ მხოლოდ მე ვეძებ. იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით მათ პოვნაში.

**– შეიძლება თუ არა, რომ ისინი სტავროპოლიდანაც სხვაგან გადასულიყვნენ საცხოვრებლად?**

– ნამდვილად არ მგონია, რომ ლეილა სტავროპოლიდან სხვაგან წასულიყო. ეს ხომ მისი სამშობლოა. რამდენადაც ვიცი, სხვაგან არავინ ჰყავდათ. საქართველოში ისინი არ ჩამოსულან, ამიტომ მე ისინი კვლავ სტავროპოლში მგონია. უბრალოდ, შეიძლება, მათ კვლავ შეეცვალათ საცხოვრებელი მისამართი და მე მათი ამჟამინდელი მისამართი არ ვიცი.

**– ფოტოზე ვინ არიან?**

– ფოტოზე ჩემი ძმა – სერგო და მისი მეუღლე – ლეილა არიან. საკმაოდ ძველი ფოტოა, მაგრამ ამ ფოტოს დიდი იმედი მაქვს. იქნებ ის დაგეხმაროთ თქვენ და თქვენს ნებაყოფლობით დამხმარეებს მათ პოვნაში.

**– მათი პოვნის შემთხვევაში რას ფიქრობთ?**

– თუკი მათ ვიპოვი, აუცილებლად დავპატიჟებ ჩემთან სტუმრად, რამდენი წელია გასული, რაც მე ჩემი ძმისშვილები არ მინახავს. ძალიან მენატრებიან. თუკი მათ შეეძლებათ, აუცილებლად ჩამოვიყვან სტუმრად ჩემთან ოჯახში. ჩემი რძალი მათ მოძებნაში ძალიან მგულშემატკივრობს, მასაც უნდა ჩვენი ნათესავების გაცნობა.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

ამ ქალს, რომ მისთვის ასეთი უცხო გავხდი-მეთქი. ახლაც არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი.

**– წავიდა თქვენგან?**

– ძალიან ცოტა ხნით – დაახლოებით ოცი დღით და დაბრუნდა. არც არაფერი აუხსნია, საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ. არაფრად მაგდებს. მარტო ის მითხრა, ბავშვისთვის ვარ აქ და, თუ ამის ატანა არ შეგიძლია, მოვკიდებ ხელს და ამასაც წავიყვანო. მე ბავშვს ვერ შეველევი, ისაა ჩემი ერთადერთი სიხარული. მოვკვდები, ყოველ დილას და საღამოს რომ არ ვნახო.

## რომელ მამაკაცზე არ იმოქმედებს ის ფაქტი, რომ ცოლმა მიატოვა, თუნდაც ის ცოლი მობეზრებული და ყელში ამოსული ჰყავდეს?!

**– ასე ცხოვრობთ გაყრილი ცოლ-ქმარი ერთ სახლში?**

– რეალურად, მიტოვებული ვარ, მე თუ ვეტყვი რამეს, ისიც მშრალ პასუხს მომიგდებს, ისე არანაირ კონტაქტში არ შემოდის.

**– საყვარელი ჰყავს? თქვენ ასე ფიქრობთ?**

– არ ვიცი, განსაკუთრებულ ცვლილებებს ვერ ვატყობ. ჩვეულებრივ რეჟიმში დადის სამსახურში. ღამეულ გართობებსაც ცოტა უკლო. მობილურზეც არავინ ურეკავს ისეთი, რომ ეჭვი ავიღო. სულ მჯეროდა, რომ ერთად ყველა განსაცდელსა და გაჭირვებას დავძლევდით. მე ახლა ისეთ ასაკში ვარ და უკვე ისეთი „ბეგრაუნდი“ მაქვს, გამიჭირდება ახალი ცხოვრების თანამგზავრის მოძებნა. სურვილიც არ გამაჩნია. თან რაც მთავარია, ჩემს შვილს ვერ მოვშორდები, ჩემი ცოლი კი ბავშვს არ დამითმობს.

**– ანუ, კარგი დედაა?**

– ნორმალური. თუმცა, არდათმობის მიზეზი მარტო ეს არ არის, მე გამიწევს ჯიბრს. რას მერჩის, რატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასე დავეტანჯე? სული მტკივა. მინდა, დავუჯდე და გულიანად დაველაპარაკო, მაგრამ ისე შორიდან მივლის, ზოგჯერ მგონია, რომ ვეზიზღები კიდეც.

**– რამდენ ხანს გაუძლებთ ასეთ რეჟიმს?**

– არ ვიცი. თან, გამოსავალსაც ვერ ვხედავ. სრულ დაბნეულობაში ვარ. ფიქრისა და აზროვნების თავიც კი აღარ მაქვს. ნუ გაქვთ ქალებს ისეთი პოზიცია, რომ ყველა მამაკაცი იმის ღირსია, ცუდად მოექცე, აწამო, დასაჯო და სული გაუმწარო. ნამდვილად არ არის ასე. დარწმუნებული ვარ, ჩემი ცოლის მეგობრები ამას ფიქრობენ და იმიტომაც არავინ ეუბნება, რომ ოჯახზე ასე ხელაღებით უარის თქმა არ შეიძლება.

**– თქვენ არ გაინტერესებთ, ვისთან იყო წასული ის ოცი დღე? თუ, არ უშვებთ ამ ვერსიას?**

– არ მინდა, რომ დავუშვა. სირაქლემის პოზაში ვარ. ვიცი, რომ ასე დიდხანს ვერ „გავქაჩავ“. რაღაც უნდა შეიცვალოს, რაღაც შეთანხმებამდე უნდა მივიდეთ. მიტოვებული ქმარი მიმტოვებელ ცოლთან ერთ ჭერქვეშ არ უნდა ცხოვრობდეს.

**– ეტყობა, ძალიან გიყვართ და ამაში საკუთარ თავს არ უტყდებით. მხოლოდ ბავშვის ფაქტორი არ იქნება, რაც მასთან გაჩერებთ.**

– შეიძლება. ვიცი ის, რომ ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი – ის ჩემი ნავსაყუდელი და თავშესაფარი იყო. იქ მე ბედნიერი ვიყავი. ვაფრენ ჩემს შვილზე და არც ერთი წუთი არ მინდა, ჩემ გარეშე იყოს. მითხრას მაინც, რა დავაშავე...

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემმა შეყვარებულმა უცებ გამომიცხადა, რომ დაქორწინება უნდა და ოჯახის შესაქმნელად უკვე მზად არის. ერთი წელია, ერთმანეთს ვხვდებით და ამ საკითხზე მისგან ერთი მინიშნებაც კი არ ყოფილა. ცოტა დავიბენი და ვუთხარი, რომ მოვიფიქრებდი. თითქოს გამიგო, მაგრამ, მერე დამირეკა და საყვედურებით ამავსო: ესე იგი, საერთოდ არ გყვარებივარ, თორემ, ფიქრისთვის დრო არ დაგჭირდებოდაო. დაივიწყე იმის შესახებ, რაც გითხარიო. ძალიან მეწყინა ასეთი უსამართლობა. ვფიქრობ, ხომ არ აჯობებს, საერთოდ დავშორდე? თან, ვნანობ – იქნებ, შანსი გავუშვი ხელიდან? თქვენ რას მირჩევთ?**

**გამოხმაურება:** წლების განმავლობაში ურთიერთობები ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალიან შეიცვალა. მამაკაცებს უფრო უჭირთ ოჯახის შექმნაზე გადაწყვეტილების მიღება. თანაც, სამწუხაროდ, ფიქრობენ, რომ თუ მათი რჩეული უარზეა, სწრაფად მოუძებნიან შემცვლელს. დაფიქრდით, მართლა გინდათ თუ არა ამ ადამიანის ცოლობა. თუ პასუხი დადებითი გექნებათ, მაშინ, ურთიერთობის გაწყვეტისგან თავი შეიკავეთ. დაელოდეთ მოვლენების განვითარებას და ყველაფერს დრო გიჩვენებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ის კვლავ აქტიური და პოპულარულია. აქვს სიახლეები და აქედან გამომდინარე მოსაყოლიც. თუ ვისთან ერთად შეხვდება შორენა ბეგაშვილი შობა-ახალ წელს, რატომ დაასრულა ჩემოდნებით სიარული და ვიხილავთ თუ არა მას ახლო მომავალში ინდოელი ან რუსი კინოვარსკვლავების გარემოცვაში გადასაღებ მოედანზე, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ვიხილავთ თუ არა შორენა ბეგაშვილს ეკრანზე მითხუნ ჩაკრობორტთან და რის გამო ტიროდა მისი ქალიშვილი – ევა

**– შორენა, როგორ ხარ, რა არის ახალი შენს კარიერასა და ცხოვრებაში?**

– ახალი ბევრი არაფერი... თუ – ბევრი... რა ვიცი, მე მგონი, ბევრი... *(იცინის).*

**– მოგვიყევი და ჩვენ დავასკვნით, ცოტაა, თუ ბევრი.**

– ჩემთვის ყოველთვის ცოტაა. რატომ მეცოტავება ყველაფერი, არ ვიცი, სულ რაღაც არ მაკმაყოფილებს. მადლობა ღმერთს, რომ ასეა, იმიტომ რომ, სულ ვმუშაობ იმაზე, რომ მეტი და მეტი გავაკეთო.

**– მოგვიყევი, რა მოჰყვა შენს შრომას?**

– როგორც იცით, ერევანი წარმატებით ავითვისე და ახლა სხვა ქვეყნებზე გადავედი. ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს ინდოეთთან. ინდოელები ძალიან დაინტერესდნენ ჩემით და სერიოზული შემოთავაზებებიც წამოვიდა მათი მხრიდან.

**– სად მოგაგნეს ინდოელებმა?**

– ისინი აქ ძალიან ხშირად ჩამოდიან. ადრეც ერთ პროექტზე მამტკიცებდნენ, რომელიც შემდგომში ჩაიშალა. ახლაც ძალიან მონდომებულები არიან ჩემთან თანამშრომლობით.

**– ესე იგი, ცოტა ხანში, შეიძლება, მითხუნ ჩაკრობორტთან ან რომელიმე კაპურთან ერთად გიხილოთ ეკრანზე?**

– არ ვიცი. ამჟამად მხოლოდ კინოშემოთავაზებით არ შემოიფარგლებიან, საუბარია რეკლამებზეც. ამიტომ, მარტო რაჯ კაპურთან, თუ კიდევ ცოცხალია, მომიწევს ეკრანზე ყოფნა თუ კიდევ ვინმე სხვასთან, არ ვიცი *(იცინის).* საუბარი არაა მოკლევადიან შემოთავაზებაზე, შესაძლოა, სამი თვით მომიწიოს ინდოეთში გამგზავრება.

მე ვარ სააგენტო „ჯი არტში" და ძირითადად მისი მეშვეობით მიკავშირდებიან ხოლმე. გარდა ინდოელებისა, რუსული სერიალისთვის გავდივარ კიდევ ქასთინგს. ხვალ უკვე მეორე გადაღებაა. დადებითი პასუხის შემთხვევაში მოსკოვში მომიწევს გამგზავრება.

**– უფრო კონკრეტულად რას მიამბობ რუსულ სერიალზე?**

– ჯერჯერობით არ ვიცი, ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ სჭირდებათ ქართველი გოგო და, აგრეთვე, ხანში შესული ქართველი მამაკაცი.

**– ქართულ ეკრანთან დაკავშირებით რა სიახლეები გაქვს? რაც „იღბლიანი ვარსკვლავი" აღარ არსებობს, იმ დოზით თუ გნახავთ კიდევ რომელიმე ქართულ პროექტში?**

– ახლა დავიწყეთ „კომედი არხზე" მუშაობა. როგორც იცით, ეს „რუსთავი 2-ს" ეკუთვნის. ერთ-ერთი კომედიური სერიალია, „მაშა ი საშას" ანალოგი, სადაც ვართ მე და კახა ჯოხაძე, „შუა ქალაქის" ცნობილი პერსონაჟი და, ჯერჯერობით საკმაოდ მხიარულად მიმდინარეობს გადაღებები. ვნახოთ, მაყურებელსაც თუ გაეცინება, როცა ამ ყველაფერს ნახავს. კომედიურ ამპლუაში პირველად არ ვარ, უკვე მეორედ მიწევს კომედიურ სერიალში თამაში და, მგონი, ძალიან წარმატებული იქნება ჩემი და კახას ტანდემი.

**– მე ამის იმედი მაქვს და წარმატებებს გისურვებთ. ახლა, რაც შეეხება პირად საკითხებს, არის ამჟამად შენს ცხოვრებაში ვინმე?**

– ბევრს არ გეტყვი *(იცინის).* ჰო, არის.

**– დღის შუქზე ვიხილავთ ამ პიროვნებას?**

– არა მგონია.



**მეც ვიყავი ცოლი, ალბათ, მომავალშიც ვიქნები ოდესმე და, სულ არ მინდა, რომ ჩემს ქმარს პარალელურად ჰყავდეს ვინმე. არ მხიბლავს და არც არასდროს მხიბლავდა ამგვარი ურთიერთობები**

**– რატომ?**

– იცი რა, ასეთი ურთიერთობები უფრო წარმატებული გამოდის, ვიდრე მაშინ, როდესაც საზოგადოებას გააცნობ შენს რჩეულს. გაცნობას მოსდევს ათასი ჭორი და უბედურება. რა საჭიროა?! არ ვიცი, რა მოხდება, შეიძლება, ხვალ მასთან ერთად გამოვჩნდე ხალხმრავალ ადგილას. არ ვიცი... ამ ეტაპზე ასე გვინდა!

**– დიდი ხანია, ერთად ხართ?**

– დიახ.

**– ცოლიანია?**

– უი, რატომ უნდა იყოს ცოლიანი?! ცოლიანი მამაკაცები არ მიზიდავს. მეც ვიყავი ცოლი, ალბათ, მომავალშიც ვიქნები ოდესმე და, სულ არ მინდა, რომ ჩემს ქმარს პარალელურად ჰყავდეს ვინმე. არ მხიბლავს და არც არასდროს მხიბლავდა ამგვარი ურთიერთობები. თუ ცოლია, მაშინ ჩემი ადგილი აღარ არის. ცოლიანი კაცისთვის ცოდო ვარ. მე ყურადღება მინდა, ძალიან ეგოისტი ვარ, მინდა, რომ სულ ჩემსკენ ჰქონდეს ყურადღება და, როცა ცოლი ჰყავს, ეს როგორ გამოვა?! გადანაწილებას ვერ ავიტან! რა სისულელეა! მე იმდენი ყურადღება მინდა, რომ, ცოლი კი არა, საკუთარი თავის ადგილი აღარ დარჩება *(იცინის).*

**– გილოცავ, ბინა იყიდაო, გავიგე.**

– მადლობა. როგორც იქნა, დავანებე თავი ჩემოდნით სიარულს, რაც უკვე ყელში ამომივიდა და მაღიზიანებდა. რომელ ბინაშიც კი გადავედი, ცოტა ხანში ან გოგო უთხოვდებოდათ, ან ცოლი მოჰყავდათ, ან კიდევ, რა ვიცი და, ბინა სჭირდებოდათ სასწრაფოდ.

**– ფეხბედნიერი ყოფილხარ...**

– *(იცინის)* სახლიდან სახლში ჩემოდანაკიდებული დავდიოდი. ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს ბინა ვიყიდე.

**– წელს პირველად შეხვდები ამ ბინაში ახალ წელს?**

– დიახ და ძალიან ბედნიერები ვართ. გვაქვს უზარმაზარი ნაძვის ხე, რომელიც „გუდვილმა" გვაჩუქა შარშან და ვერსად ვდგამდით, რადგან, მისი ადგილი არსად იყო. წელს მოვრთეთ. როგორ ვზრუნავ სახლზე, არ იცით...

**– როგორ ზრუნავ სახლზე, როგორი დიასახლისი ხარ, როგორი დიზაინერი ხარ?**

– დიასახლისი ისევ ისეთი საშინელი ვარ, როგორიც ვიყავი. რაც შეეხება სახლის მოწყობას, აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ ნიჭიერი ვარ ამ საქმეში, რადგან, საკმაოდ კარგად მოვაწყვე და საკმაოდ დაბალ ფასებში.

**– ჩვენც გვასწავლე, ასეთი რამეები როგორ მოახერხე?**

– დავიარე ყველა მაღაზია, ფოტოებს ვიღებდი და ვარჩევდი, სად რა მოუხდებოდა სახლს. რაც შეეხება ავეჯს, დავამზადებინე საქართველოში და ვერავინ გაარჩევს უცხოურისგან, საკმაოდ იაფიც დამიჯდა. ხელოსნებიც კი ყველა ქართველი იყო. მათ ფასი კი არ მომიმატეს, არამედ, ყველაფერი შეღავათიან ფასში გამიკეთეს.

**– ანუ, ამაში გამოგადგა შენი პოპულარობა?**

– უდავოდ. ძვირად ღირებულ მაღაზიებში პირიქით ხდებოდა ხოლმე. აქ კი ძალიან პატივი მცეს.

**– ევაზეც მიამბე რამე.**

– ევამ არ იცოდა, რომ თავისი ოთახი ექნებოდა და რემონტის დროსაც არ ვაჩვენებდი. მთელი ზაფხული არ მომყავდა სახლში. როცა დავამთავრე რემონტი, მოვიყვანე, ოთახში შევიყვანე და ვუთხარი: ეს შენი ოთახი იქნება-მეთქი, ბავშვმა ტირილი დაიწყო სიხარულისგან. მე ზუსტად ვიცი, რას განიცდიდა ევა იმ წუთებში, რადგან, მთელი ბავშვობა საკუთარ ოთახზე ვოცნებობდი.

დღესდღეობით, ვფიქრობ, რომ იდეალური ოჯახი მაქვს.

**– ესაა, რომ მის ზოგიერთ წევრს არ იცნობს საზოგადოება...**

– ჰო... *(იცინის).*

**– გველის წელიწადში რას უსურვებ „თბილისელების" მკითხველებს?**

– მინდა, ყველას აუსრულდეს ის, რაც საჭიროა მათთვის და არა ის, რასაც თვითონ ნატრობენ. პირველ ყოვლისა, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, მერე კი სხვა დანარჩენს – მანქანას, ბინას და ასე შემდეგ, რაც უკვე მეორეხარისხოვანია. ვუსურვებ ყველას, რომ იყვნენ ძალიან კეთილები, რადგან, ასე ცხოვრება ბევრად კარგია, ცოტათი მაინც მოიშორონ ბოღმა, ცინიზმი, გული არავის ატკინონ. უფრო კეთილები გახდნენ ამის შემდეგ და უფრო კარგი ქვეყანა გვექნება.

**ევა სალაღაია**

# რა დანიშნულება ჰქონდა ნაღარხანასა და ქიაბაბხანას და რა სახელით იყო ცნობილი მექუდეთა რიგი მეცხრამეტე საუკუნის თბილისში

*„ხანა” სპარსულიდან მოდის – ადგილს, „სახლს“ ნიშნავს და უძველესი დროიდან დამკვიდრდა თბილისში. ეგრეთ წოდებული „ხანა” რამდენიმე იყო და თითოეულ მათგანს კონკრეტული და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი დანიშნულება ჰქონდა. თბილისის ძველი ფოტოების დახმარებით, ვეცდებით, მკითხველს ვუამბოთ, თუ რამდენი „ხანა” ფუნქციონირებდა თბილისში.*

### აგურხანა

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „თბილისის აგურხანები დიდძალ აგურს წვავენ”. თბილისში აგურხანები სხვადასხვა უბანში იყო განლაგებული: დღევანდელი თაბუკაშვილის ქუჩის მიდამოებში, ალექსანდრეს ბაღის შუაწელზე, ჩუღურეთში, ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ქუჩის მიდამოებში, ლოტკინის გორაზე და ვაკეში რამდენიმე ადგილას, მათ შორის, ამჟამინდელი კავსაძის ქუჩის მიდამოებში. მეცხრამეტე საუკუნეში აგურების წვა ჰოფმანის სისტემით ხორციელდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდში თბილისში აგურხანების რაოდენობა 35-ს აღემატებოდა, ხოლო 1913 წლისთვის 13 დიდი აგურის ქარხანა მუშაობდა. აგურხანები ძირითადად სპარსელებისა და სომხების ხელში იყო. ცნობილია მათი რამდენიმე მფლობელის გვარი: ვართანოვი, მარტიროსოვი, ჰანგელდიანცი, საგატელიანცი, დოლუხანოვი, ელჩიევი, აჯი-ალეკლერ-ოღლი, ალი-ჰუსეინ-ოღლი და სხვები. აგურხანებში ძირითადად სპარსელები მუშაობდნენ.



აგურხანა თბილისში და მასში მომუშავე სპარსელი მუშები (დ. ერმაკოვის ფოტო; მეცხრამეტე საუკუნე)

### ალაფხანა

ალაფხანა მარცვლეულითა და ფქვილით მოვაჭრეთა რიგებს ეწოდებოდა. ძველ თბილისში სანოვაგის ბაზარი თათრის მოედანზე (ამჟამინდელი გორგასლის მოედანი) ეწყობოდა. ალაფების დუქნები მოედნის დასავლეთ მხარეზე იყო განლაგებული.

### ბაზაზხანა

ბაზაზხანა ეწოდებოდა მაუდით, ჩითით, ფარჩით, ბამბითა და მატყლით მოვაჭრეთა დუქნების რიგს. ფეოდალურ თბილისში ორი ბაზაზხანა იყო. დიდი ბაზაზხანა, ანუ, ზემო ბაზაზხანა, კოტე აფხაზის (ყოფილი ლესელიძის) ქუჩის იმ მონაკვეთზე მდებარეობდა, რომელიც სიონის ქუჩის პარალელური იყო – ლადო ასათიანის ქუჩასთან გადაკვეთის ადგილიდან, დაახლოებით სიონისა და ერეკლეს ქუჩების გადაკვეთამდე. ამ შესაყარზე ეგრეთ წოდებული ჩორსუ-ბაზარი მდებარეობდა; მცირე, ანუ, ქვემო ბაზაზხანა კი თათრის (დღევანდელი გორგასლის) მოედნის სიახლოვეს იყო, იმ ქუჩაზე, რომელიც „ბამბის რიგის” სახელით არის ცნობილი. მეცხრამეტე საუკუნეში თბილისში კიდევ ერთი – „ახალი ბაზაზხანა” გაჩნდა ეგრეთ წოდებულ „ბნელ რიგებში” (ამჟამინდელი შარდენის ქუჩა).



ბაყალხანა ავლაბარში (დ. ერმაკოვის ფოტო; მეცხრამეტე საუკუნე)

### ბაყალხანა

ძველ თბილისში სურსათ-სანოვაგის ორი ბაზარი იყო: ერთი მათგანი მდებარეობდა ავლაბარში, ამჟამინდელი მეტეხის ქუჩის გასწვრივ, მეორე კი – თათრის მოედანზე. აქ ერთმანეთის გვერდით იყო მოთავსებული ბაყლების (ხილით, ბოსტნეულითა და სხვა სანოვაგით მოვაჭრეთა), ყასბების, ალაფების, მეთევზეების დუქნები. ზოგიერთი ცნობით, ბაყლებს დუქნები ვერცხლის ქუჩის ბოლოშიც ჰქონდათ.



დაბაღხანაში შეკერილი თულუხი და მეთულუხჩე (მეცხრამეტე საუკუნე)

### დაბაღხანა

შუა საუკუნეების თბილისში დაბაღების (მეტყავეების) საწარმოები განლაგებული იყო წავკისისწყლის ქვედა დინებაზე, მტკვარზე მის შესართავთან. დღეს წავკისისწყლის ქვემო წელი მილებშია მოქცეული (გორგასლის მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აბანოების უბანში). დაბაღები აქ ტყავს ალბობდნენ და გამოსაქნელად ამზადებდნენ. ტყავის წარმოება თბილისში უძველესი დროიდან მოდის. დაბაღების რიგების ადგილმდებარეობის გამო, წავკისისწყლის ქვემო წელსა და მიმდებარე მცირე ტერიტორიას „დაბაღხანა” ეწოდებოდა.

### ზარგარხანა

ასე ერქვა ოქრომჭედლების რიგებს. თბილისში ოქრომჭედელთა რიგები ამჟამინდელ ვერცხლის ქუჩაზე იყო განლაგებული, თუმცა, ოქრომჭედელთა ცალკეული სახელოსნოები სხვა უბნებშიც არსებობდა.

### ლილახანა

ძველ თბილისში მღებავთა ორი რიგი იყო: ერთი მათგანი განლაგებული ყოფილა ქუჩაზე, რომელიც თათრის მოედანზე იწყებოდა, ციხის დიდი ეკლესიის (სურფ-გევორქის) წინ გადიოდა და ბერძენხანის უკან, აბანოს კარისკენ მიემართებოდა (ამჟამინდელ სამღებროს ქუჩაზე); მეორე – ლილახანა, იწყებოდა ბატონის მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და შუა-ბაზარზე (დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩაზე) გადიოდა. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წლის გეგმაზე ლილახანა №17-ით იყო აღნიშნული და მას „მღებავთა ქუჩა” ეწოდებოდა.

### ნაღარხანა

ნაღარხანა მეფის დასისთვის განკუთვნილ შენობას ეწოდებოდა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი მთავარი მოედნის – ბატონის მოედნის სამხრეთ მხარეს იდგა. პუპლია ორბელიანის ცნობით, ნაღარხანაზე „დაუკრამდნენ დილას, საღამოსა დაფდაფებსა და ქოსნაღარასა”.

### ქიაბაბხანა

ქიაბაბხანა სასადილო რიგს ერქვა. ერთი ასეთი რიგი ძველ თბილისში თათრის

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**ალბათ, იშვიათია ადამიანი, რომელიც ეკლესიაში დადის, ლოცულობს, მარხულობს, აღსარებას აბარებს და ზიარების საიდუმლოში მონაწილეობისას არ გრძნობს იმ საოცარ სიმშვიდეს, სიმსუბუქეს, რასაც მას უფლის სისხლთან და ხორცთან მიახლება ანიჭებს. თუმცა, ქრისტიანების დიდი ნაწილი მარხვაზე უარის თქმით ან ევქარისტიულ საიდუმლოში საკუთარი ნებით უარის თქმით, იკლებენ ამ სიმშვიდეს და კვლავ ცოდვილ მდგომარეობაში განაგრძობენ ცხოვრებას. მარხვისა და ზიარების საიდუმლოს შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა დათმობებზე უნდა წავიდეს ადამიანი საკუთარი ხორცის მიმართ და როდის უხეშდება და ცხოველდება ქრისტიანის სული



**მღვდელი აღსარების მიღების დროს წყვეტს, დაუშვას თუ არა მორწმუნე ზიარებაზე. როცა ადამიანს ისეთი ცოდვები აქვს, რომ მოსანანიებლად დრო სჭირდება, მას ეპიტიმიას ადებენ**

– ერთხელ უფალთან მივიდა მოხუცებული მშობელი, აღიმაღლა ხმა და შესჩივლა: „ვთხოვე შენს მოწაფეებს, განეკურნათ ჩემი შვილი და მათ ეს ვერ შეძლეს“. თავის მხრივ, განცვიფრებული მოციქულები დაეკითხებიან მაცხოვარს, როგორ მოხდა, რომ ყველანაირი სნეულება განკურნეთ, ამის გარდაო. უფალი ამ მოვლენას ასე განმარტავს: „ეშმაკთა შორის არიან ისეთი უბოროტესნი ნათესავნი ეშმაკთა, რომელიც ადამიანთაგან მხოლოდ მარხვითა და ლოცვით განიდევნებიან“. ძველ დროს ქრისტიანები მარხვისას სიჩუმისა და დუმილის გარემოცვაში ცხოვრობდნენ, რაც მათ შინაგან ცხოვრებზე სრული კონცენტრირების საშუალებას აძლევდა. თანამედროვე ქრისტიანებს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ იმისთვის, რომ არსებითად აუცილებელი სიჩუმე და მდუმარება მოიპოვონ, რათა უზენაეს რეალობასთან კავშირი იგრძნონ. ადამიანის სული ლოცვით საზრდოობს, მაგრამ, საკვები გონებასაც სჭირდება. თანამედროვე ადამიანის გონება იმყოფება ტელევიზიის, რადიოს, გაზეთების, ილუსტრირებული ჟურნალებისა და სხვა მსგავსი განუწყვეტელი „დაბომბვის“ ქვეშ. მამები გვირჩევენ, რომ სულიერი ძალისხმევა რაღაც წმიდად სულიერზე მივმართოთ. კარგი იქნებოდა, წინასწარ შეგვედგინა მარხვაში წასაკითხი სასარგებლო წიგნების სია. არ არის აუცილებელი, ყველა წიგნი რელიგიური შინაარსის იყოს. ყველას არ აქვს საღვთისმეტყველო მოწოდება, ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებშიც დიდი საღვთისმეტყველო ნიჭია ჩაქსოვილი. ის, რაც ჩვენს გონებას გაამდიდრებს – ყველა ნაყოფი ჭეშმარიტი შემოქმედისგან, უფლისგან არის კურთხეული და მისი მართებული აღქმის შემთხვევაში, სულიერ ღირებულებას იძენს.

**– ხშირად ამბობენ, რომ მარხვა ჯანმრთელობას ვნებს.**

– მარხვა არათუ არ ვნებს ჯანმრთელობას, არამედ, პირიქით, განამტკიცებს მას. რა თქმა უნდა, აქ საუბარია ზომიერ მარხვაზე. მაკარი ალექსანდრიელი დიდმარხვის დროს კვირაში ერთხელ იღებდა საზრდოს და 100 წელი იცოცხლა. წმიდა სვიმეონ მესვეტე დიდმარხვას საზრდოს მიუღებლად ატარებდა და იცოცხლა 103 წელი; ავლიპი მესვეტემ 118 წელი იცოცხლა, ხოლო მათგან ყველაზე დიდხანს პავლე თებელმა – 130 წელი. წმიდა თეოფანე შეყენებულის შეგონება ასეთია: „მარხვა პირქუში გეჩვენება თავიდან, ვიდრე არ შეუდგები მას, მაგრამ, დაიწყე და დაინახავ, რომ ის სინათლეა ბნელი ღამის შემდეგ. მარხვას უჯანყდება მხოლოდ ვნების მოყვარული სხეული. სულს კი უყვარს ის... როდესაც მოიპოვებ საღმრთო შეგონებას და პასუხისმგებლობას იგრძნობ ღვთის წინაშე, მაშინ უცნაური და სასაცილოც კი ჩანს ყველა ის დათმობა სხეულის მიმართ, რომლითაც ასე სავსეა ჩვეულებრივი ცხოვრება“. ასე რომ, ვისაც ჯერ კიდევ არ დაგიწყიათ შობის მარხვის შენახვა, შეგიძლიათ, დღესვე შეუდგეთ, რათა სასოებით იზეიმოთ მაცხოვრის ბრწყინვალე შობა.

**– ადამიანების გარკვეული ნაწილი მხოლოდ მარხვის დროს მონაწილეობს ზიარების საიდუმლოში, სხვა დროს კი უარს აცხადებენ ევქარისტიაში მონაწილეობაზე და ხშირად ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ, რადგან იმ დროს წელიწადში ოთხი მარხვიდან არც ერთი არ არის, ამიტომ, არ არის ღირსი უფლის სისხლთან და ხორცთან ზიარებისა.**

– ევქარისტია ორი ნაწილისგან შედგება: პურისა და ღვინის გადაქცევა უფლის ხორცად და სისხლად და ამ წმიდა ძღვენის ზიარება. სწორედ ამიტომაც ეწოდება მას საიდუმლო, უფლის სერობა, უფლის ტრაპეზი. ამ საიდუმლოში ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეწოდება ზეციური პური და სასმელი სიცოცხლისა, უსისხლო მსხვერპლი. ეს უდიდესი საიდუმლო ქრისტემ მანამდე აღუთქვა ადამიანებს, სანამ პირველად აღასრულებდა მას საიდუმლო სერობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ვინც გულწრფელად, სათნოებით, უფლის მცნებების დაცვით ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ექნება საუკუნო ცხოვრება და ბოლო ჟამს აღდგება დიდების სასუფევლისთვის. წმიდა ნიკოდიმოსი კარგად პასუხობს თქვენს კითხვას თავის წიგნში – „ქრისტეს ყოვლაწმიდა საიდუმლოთა ხშირი ზიარებისთვის“: „წმიდა მხოლოდ და მხოლოდ ღმერთია, ჩვენ კი სიწმიდეს მისგან ვიღებთ მისივე სიწმიდეში მონაწილეობით. ეს, სხვა რამესთან ერთად, ევქარისტიის წყალობით ხდება, ხოლო ევქარისტიაში მონაწილეობის მთავარი პირობა – სინანულია“. ადამიანი მხოლოდ ზიარებით ხდება ზიარების ღირსი, რადგანაც, ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღების გარეშე არ ძალგვიძს, ვძლიოთ ჩვენსავე ვნებებს და სული განვიწმიდოთ მისგან. ამგვარად, ის, ვინც გამუდმებით არ ეზიარება, კარგავს ყოველივე ზეციურ და საღმრთო სიკეთეს. ამავე დროს, ასეთი ადამიანი არღვევს უფლის მცნებებს, მოციქულთა და წმიდა კრებულთა კანონებს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „ის, ვინც ეკლესიასა და ზიარებას განეშორება, ღმერთის მტერია და ეშმაკის მეგობარი ხდება“, – გვასწავლის წმიდა მღვდელმთავარი კირილე ალექსანდრიელი. მოციქულთა მერვე და მეცხრე კანონები, რომლებიც მეექვსე მსოფლიო კრებამ დაადასტურა, გვაუწყებენ და ამტკიცებენ ხშირი ზიარების აუცილებლობას. წმიდა მამათა ერთსულოვანი სწავლებით, კარგია რაც შეიძლება ხშირი ზიარება. ბევრი ამტკიცებს, რომ ხშირი ზიარება მხოლოდ მღვდლებს შეუძლიათ, მაგრამ, წმიდა ნიკოდიმოს მთაწმინდელი მათ ასე პასუხობს: „სამღვდელო წესი იმაში მდგომარეობს, რომ ის იმ საღმრთო საიდუმლოთა შეწირვისა და აღსრულების იარაღი უნდა იყოს. მაგრამ, ზიარებისას მღვდელს ერისკაცთაგან და მონაზონთაგან სხვა არაფერი განასხვავებს, გარდა იმისა, რომ მღვდელი აზიარებს, ერისკაცი კი ეზიარება. ის მღვდლები, რომლებიც არ აზიარებენ საღმრთო ზიარების შიშით და სარწმუნოებით მიახლებულ ქრისტიანებს, განისჯებიან ღმრთისგან, როგორც მკვლელები“.

**– ხშირად მოძღვრები უარს ეუბნებიან ადამიანებს ზიარებაზე. ეს დასაშვებია?**

– ღმერთის წინაშე ყველანი ცოდვილები ვართ. ყველა ჩვენგანს უფლისგან შენდობა სჭირდება. რას ნიშნავს, იყო წმიდა საიდუმლოთა ღირსი? – კითხულობს წმიდა იოანე ოქროპირი და თავადვე პასუხობს: ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ უღირსებას ხედავდეო. საკუთარი უღირსების ხედვა კი წარმოშობს ჩვენში სინანულს, ცოდვების მონანიებას. ზიარების წინ მორწმუნე ადამიანი ამბობს გულითად აღსარებას, რის შემდეგაც მოძღვარი იღებს ცოდვების შენდობას და ამის შემდეგ ხდება ზიარება. მღვდელი აღსარების მიღების დროს წყვეტს, დაუშვას თუ არა მორწმუნე ზიარებაზე. როცა ადამიანს ისეთი ცოდვები აქვს, რომ მოსანანიებლად დრო სჭირდება, მას ეპიტიმიას ადებენ. თუ მორწმუნეს ადევს ამგვარი ეპიტიმია ან თუ ის სათანადოდ არ არის მომზადებული ზიარებისთვის, მას არ აზიარებენ – არ არსებობს წმიდა ბარძიმისგან განყენების სხვა მიზეზი. ეკლესიის ყველა წევრს თავისი უფლებები და ვალდებულებები აქვს. წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობა ერისკაცის უფლებაა, თუ, რა თქმა უნდა, ამას ხელს არ უშლის რაიმე მიზეზი, რომლის გამოც, ეკლესიის კანონების მიხედვით, დაუშვებელია ზიარება. ადამიანის წმიდა ძღვენისგან განყენება შეუნანებელი ცოდვის მიმართ გამოყენებული ერთ-ერთი უკიდურესი საშუალებაა, რომლითაც ეკლესია მის გულში სინანულის გაღვივებას ცდილობს. წმიდა იოანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა მოწმობით, ზიარების მიღების საკითხში სამსახურებრივი პრივილეგია არ არსებობს და მღვდელმსახურიც ეზიარება არა როგორც განსაკუთრებული უფლებების მქონე, თავისი ხარისხით სხვებზე აღმატებული პირი, არამედ, როგორც მონანიე ცოდვილი. ჩვენ ვერ ვიპოვით ვერც ერთ მაგალითს, რომ, ადამიანი, რომელიც იშვიათად ეზიარება, მეტი კრძალვით ეკიდებოდეს სიწმიდეს, ვიდრე ის, ვინც ხშირად ეზიარება. პირიქით, მისი სული, ვინც იშვიათად ეზიარება, უხეშდება, ველურდება, უგრძნობელი ხდება.

**ნათია უტიაშვილი**

# ივერიის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

ღვთისმშობელს არ მოსწონს, როცა ივერიის პატიოსან ხატს უწმინდურები ეხებიან.

ერთხელ მღვდელმა, რომელსაც ივერიის ღვთისმშობლის ტაძარში ყოველდღიური წირვა-ლოცვისა და პარაკლისის აღსრულება ჰქონდა დავალებული, თვალი მოჰკრა ზეციური სიმშვენიერის ქალს შავ შესამოსელში; მას ხელში ცოცხი ეკავა და მონასტერს გვიდა. მღვდელი ადგილზე გაქვავდა, როდესაც მონასტერში ქალი იხილა და ისიც ცოცხლით ხელში. მერე მხნეობა მოიკრიბა და ჰკითხა: „აქ რას აკეთებ, მონასტერს გვი?“ უცნობმა უპასუხა: „რასაკვირველია. მოვიდა დრო, რომ გავწმინდო იგი, რადგან ამდენი წელი არავის გამოუგვია!“

ეს ამბავი მოხვდა ბრწყინვალე შვიდეულის კვირას, ანუ, ეგრეთ წოდებულ თომას კვირას. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ სულთანმა გამოსცა განკარგულება ათონის მთიდან თურქების ჯარების გამოსვლის შესახებ. მას შემდეგ ყოვლადწმიდა ქალწულის სადიდებლად და სამადლობლად, თომას კვირას ათონის ყველა ტაძარში სრულდება ღამისთევის ლოცვა, რამეთუ ცოცხით, რომელიც ღვთისმშობლის შეწევნის ნიშანი იყო, თურქები გახვეტილ იქნენ წმიდა მთიდან და „ღვთისმშობლის სავანე“ გაიწმინდა სიბილწისა და უკეთურებისგან.

1854 წელს ათონზე შიმშილობა ჩამოვარდა. აქ მოღვაწეთა უდიდესმა ნაწილმა მიატოვა წმიდა მთა. ორმოცი ათასი ბერიდან დარჩა მარტოოდენ ათასი და მათაც გაქცევა ჰქონდათ განზრახული. მაშინ ღვთისმშობელი გამოეცხადა მეუდაბნოე მამებს და უთხრა: „რისი შეგეშინდათ? ყველაფერი გაივლის და მთას კვლავ აავსებენ მოღვაწენი. სანამ ჩემი ხატი ივერთა მონასტერში იმყოფებოდა, მაშინ დაე, ყველამ აიღოს თავისი ჩანთა და წავიდეს, სადაც ენებოს!“ გავიდა დრო და ათონზე შიმშილობა შეწყდა, ბერმონაზვნური ცხოვრება კი უწინდელ კალაპოტში ჩადგა.

1865 წელს ივერთა სავანეში გაჩენილმა ძლიერმა ხანძარმა 16 ეკლესია, სენაკები და რამდენიმე შენობა გაანადგურა. ტაძარს, რომელშიც კარიბჭის ხატი იმყოფებოდა, ცეცხლი არ შეხებია.

ღვთისმშობელს არ მოსწონს, რომ ივერიის პატიოსანი ხატი უწმინდური სულის ადამიანებმა ჩამოატარონ ლიტანიობაზე. ამ დროს ის საშინლად მძიმდება და ისინიც მაშინვე სხვას გადასცემენ ხატს, თვითონ კი გარბიან. არც ყველა ფოტოგრაფი მოსწონს. საჭიროა, ისინი წმიდა ადამიანები იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ფოტოფირები უმოწყალოდ ნადგურდება. ერთი საეჭვო ყოფაქცევის კაცს დაჟინებით უცდია დღესასწაულზე ფოტო გადაეღო ხატისთვის, როცა თესალონიკის მიტროპოლიტი პანტელეიმონი მსახურობდა. მოხდა სასწაული, ფოტოგრაფს ხელები დაუდამბლავდა, აპარატი შორს გადატყორცნა და მთლად აკანკალებული შიშითა და სირცხვილით, გაუჩინარდა. მოზეიმენი კი ამბობდნენ: ცოცხალია კარიბჭის ღვთისმშობელიო.

1920 წელს ახალგაზრდა ათენელ მეფუტკრეს, სახელად ილიას, გრიპის გართულების შედეგად უმძიმესი ფორმის ფილტვების ანთება დაემართა. ექიმებისგან იმედგადაწურული სასიკვდილოდ გამზადებული ევედრებოდა ყოვლადუბიწოს მის გადარჩენას. ხატი, რომლის წინაშეც ლოცულობდა მუხლმოყრილი დედა, ივერიის ღვთისმშობლის ხატი იყო. მეორე დღეს ილია სრულიად განიკურნა. მადლიერების ნიშნად ქალმა ათონის ივერთა მონასტერს ოქროს სამაჯური შესწირა, რომელიც დღეს კარიბჭის ხატის წინ ასვენია.

სოფელ ჰერამილიტინიში მღვდელ მიხეილ პაკალისს ჰყავდა 20 წლის ასული, სახელად დესპინელა. გოგონას დამბლა ჰქონდა და ექიმები ვერაფერს შველოდნენ. მამა მიხეილს სახლში ჰქონდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომლის წინაშეც გალობდა და მხურვალე გულით შესთხოვდა შვილის გამოჯანმრთელებას. მოხდა სასწაული. ერთხელაც დილით დავრდომილი გოგონა გაჯანსაღებული სიხარულით ჩაეკონა თავის ოჯახის წევრებს და ეს სიხარული მთელ სოფელს გადასდო. მამამ კი წერილი გააგზავნა მონასტერში, რომელშიც გამოთქვამდა უსაზღვრო მადლობას კარიბჭის ღვთისმშობლის მიმართ.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: უნდა გავიღოთ თუ არა მოწყალება, როდესაც წირვის დროს ეკლესიაში მათხოვრები ფულს გვთხოვენ?**

**პასუხი:** თუკი მათხოვარი ეკლესიის შესასვლელთან დგას – ეს დასაშვებია და უნდა უწყალობოთ მათ ფული შეძლებისამებრ. მაგრამ, მათ არ უნდა ითხოვონ მოწყალება თვით ტაძარში, რათა არ მოაცდინონ მრევლი ლოცვას. ეს ტაძრის შინაგანაწესის დარღვევა იქნება.

**კითხვა: ჩვენი უფლის ბრწყინვალე შობა უპირველესად მწყემსებმა და მოგვებმა შეიტყვეს. რატომ ეუწყათ პირველად იესოს დაბადება მაინცდამაინც მათ, ის ხომ ყველას გადამრჩენლად მოევლინა ქვეყნიერებას?**

**პასუხი:** მაცხოვარი ყოველი ადამიანის ცოდვების მტვირთველად და გადამრჩენლად დაიბადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ყველა ვერ გრძნობს და ვერც გულში უშვებს. მაშინაც ასე იყო – მრავალმა იცნო და მიიღო იესო, მაგრამ მრავალიც განუდგა. პირველები, ვინც მისი დაბადების სიხარულმა გააბრწყინა და უფალი გულში შეუშვა, ყველაზე უბრალონი – მწყემსები და ყველაზე ბრძენნი – მოგვები იყვნენ. ეს სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ იესოს შესაცნობად და შესაყვარებლად, უპირველესად, უბრალოება და გონიერებაა საჭირო.

**კითხვა: რატომ აქვთ სასულიერო მაღალ იერარქებს კვერთხზე გამოსახული გველი? რას გამოხატავს ის?**

**პასუხი:** გველი მხოლოდ ბოროტ ძალას არ განასახიერებს, ის სიბრძნის სიმბოლოც არის. გველის თავი სასულიერო იერარქიების კვერთხზე სიბრძნესა და წინდახედულობაზე მიუთითებს.



**კითხვა: კეთილ საქმეში ჩაგვეთვლება თუ არა ფულის სესხად გაცემა?**

**პასუხი:** ფულის სესხად გაცემა და ხელის გამართვა მისთვის, ვისაც ეს ესაჭიროება, რა თქმა უნდა, კეთილი საქმეა. თუ ადამიანს შეუძლია და არ გასცემს სესხს, ის განისჯება არასათნომყოფობის გამო. თუმცა, მოწყალებაშიც გონიერებაა საჭირო, რათა არ ასესხოთ ისეთ ადამიანს, ვინც ამ თანხას ბოროტი საქმისთვის გამოიყენებს.

# მამათა შეგონებანი

**თეოფანე დაყუდებული:** სხეულის გრძნობები ერთგვარ კარს და კარიბჭეს წარმოადგენენ შინაგან სადგომში, სადაც სული მყოფობს და ეს კარი ღვთის მინიშნებით იხსნება და იხურება. დაცემულ ადამიანებში ეს კარი მუდმივად დაკეტილია, რათა ჩვენი დაუძინებელი მტრები – დაცემული სულები ჩვენში არ შემოიჭრნენ და არ დაგვღუპონ. ეს ღონისძიება მით უფრო აუცილებელია, რომ ცოდვით დაცემით ჩვენი ბოროტი სულების გარემოცვაში, მათ ტყვეობაში ვიმყოფებით. ჩვენში შემოჭრის გზა რომ არ აქვთ, ისინი გარედან გვახსენებენ თავს და ნაირგვარი ცოდვილი აზრები თუ ოცნებები შემოაქვთ, რითაც გულუბრყვილო სულს თავისთან ურთიერთობისთვის იზიდავენ. დაუშვებელია, რომ ადამიანმა ღვთის განგებულება უარყოს და ღვთის დაშვებით და არა ღვთის ნებით, საკუთარი ძალებით გახსნას თავისი გრძნობები და სულებთან ხილულ ურთიერთობაში შევიდეს; მაგრამ ასეც ხდება. ცხადია, რომ საკუთარი ძალებით მხოლოდ დაცემულ სულებთან შეიძლება ურთიერთობის მიღწევა.

**პაისი მთაწმინდელი:** სიკეთე მხოლოდ მაშინაა სიკეთე, თუ მისი აღმსრულებელი რაიმეს გაიღებს მსხვერპლად. ძილს, სიმშვიდეს და ამის მსგავს რამეს. სწორედ ამიტომ ბრძანა ქრისტემ: „თავის უარყოფით“, როდესაც სიკეთეს აღვასრულებ, თუკი ის დამქანცველი არ არის ჩემთვის, მაშინ ძვირად აღარ ფასობს. თუმცა, მაგალითად, თუ დაღლილი ვარ, მაგრამ გამოვდივარ, რათა გზა ვუჩვენო ვინმეს, ვინც ამას მთხოვს, ეს უკვე ძვირადღირებულია. როცა მე, წინასწარ გამოძინებული, ღამეს უძილოდ გავატარებ იქ, სადაც ჩემი დახმარება სჭირდებათ, ამას დიდი ფასი არ აქვს. თანაც, თუ, ამავე დროს, საუბარიც ჩემს გემოზე მიდის; ამის გაკეთება ხომ სულაც იმიტომ შემიძლია, რომ ურთიერთობით ვისიამოვნო და ცოტა გავერთო. მაგრამ მაშინ, როცა დაღლილი ვარ, მაგრამ მსხვერპლს ვიღებ იმისთვის, რომ სხვას დავეხმარო, სამოთხისეულ ნეტარებას განვიცდი. მაშინ მე ვპურდები ღვთაებრივი კურთხევით.

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** დღეში ერთხელ მაინც უნდა ჩახედოს კაცმა იმ სარკეს, რომელიც უხილავად ყოველთვის მასთანაა და, რომელსაც სინდისი ეწოდება. თუ გონივრულად ჩაიხედავს ამ სარკეში, დაინახავს, რაოდენი ჩირქი დაედო მას დღის განმავლობაში; ამისთვის ორჯერ მაინც დღეში, დილით და საღამოს, თავისი სული ლოცვით, ცრემლითა და სინანულით უნდა განიბანოს.

**ეპისკოპოსი პეტრე:** სნეულს ჯანმრთელობის აღსადგენად სამედიცინო საშუალებებით სარგებლობის დროს დაჟინებით არ უნდა სურდეს, უთუოდ და სწრაფად გამოჯანმრთელდეს. კურნების იმედი უნდა დავამყაროთ არა წამალზე, არამედ ღმერთზე, რომელიც თავად ანიჭებს წამალს საკურნებელ ძალას და განაგებს ავადმყოფობას. ამიტომ, იმედი მხოლოდ ღმერთზე უნდა დავამყაროთ და სრულად უნდა მივენდოთ მის ნებას ყოველივეში, რაც და როგორც მოგვეწევა მოწყალე ღმერთის მიერ, რომელიც ყოველივეს ჩვენს სასარგებლოდ იქმს, უკეთ იცის, გაახანგრძლივოს ავადმყოფობა სულის სასარგებლოდ, თუ განგვკურნოს.

# რის გამო აჩვენებდა თითით მეძავზე მარიო ბალოტელი და რომელი თამაშის დროს ერთობოდა ის „აიპადით“

***იგი სკანდალური ქრონიკების მთავარი გმირი და 2012 წლის ერთ-ერთი უმთავრესი „ნიუსმეიქერია“ მსოფლიო ფეხბურთში. „მანჩესტერ სიტის“ ჭირვეულმა ვარსკვლავმა „ევრო-2012-ზე“ „სკუადრა აძურასთან“ ერთად გაიბრწყინა და ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცა. მისი სახელი და გვარია მარიო ბალოტელი და შეუძლებელია, დაივიწყოთ, თუკი ერთხელ მაინც გაქვთ ნანახი იტალიის ნაკრების მატჩი.***



* მარიო ბალოტელი არცთუ ჯანმრთელი დაიბადა. ჯერ კიდევ ჩვილობის პერიოდში, კუჭ-ნაწლავის პრობლემების გამო, შესაძლოა, გარდაცვლილიყო კიდეც. მას რამდენიმე სერიოზული ოპერაცია ჩაუტარდა და მხოლოდ ორი წლის ასაკში გამოკეთდა მისი ჯანმრთელობა და ყველა პრობლემა წარსულს ჩაბარდა.

* 2006 წლის ივნისში 15 წლის მარიო „ბარსელონაში“ იმყოფებოდა სინჯებზე. ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდში მან სამი მატჩი ითამაშა და რვა გოლი გაიტანა, რითაც მწვრთნელებს მისადმი ინტერესი გაუჩინა და მათ „ბარსელონის“ შეფობას კონტრაქტის გაფორმება ურჩიეს ახალგაზრდა იტალიელთან, თუმცა, მარიოს აგენტმა ზედმეტად დიდი თანხა მოინდომა, რომელიც არ შეეფერებოდა 16 წლის ფეხბურთელს და კონტრაქტის გაფორმება კატალონიურ გრანდთან ჩაიშალა.

* ერთხელ, ერთ-ერთ მანჩესტერულ რესტორანში, მარიო ბალოტელიმ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი – ჯენი ტომპსონი დაინახა, რომელსაც, ბრიტანული ტაბლოიდების ცნობით, ინტიმური კავშირი ჰქონდა უეინ რუნისთან. მარიომ მთელი რესტორნის გასაგონად დაიწყო „რუნი, რუნის“ ყვირილი და თითით აჩვენებდა მეძავის მისამართით.



* „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლიდან ორ კვირაში მარიო ბალოტელიმ იტალიიდან ბრიტანეთში ჩაიყვანა თავისი „აუდი R8“, რომელიც 120 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირდა, მაგრამ, მეორე დღესვე, ავტომობილი ავარიაში დაამტვრია. ავარიის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ბალოტელის ავტომობილის დათვალიერებისას, 5 ათასი გირვანქა სტერლინგი ნაღდი ფული აღმოაჩინეს და, კითხვაზე, თუ რატომ ჰქონდა მას თან ამხელა თანხა, მარიომ უპასუხა: „მე ხომ მდიდარი ვარ“.

* ყველასთვის ცნობილია ისტორია, თუ როგორ გააჩინა ხანძარი მარიო ბალოტელიმ თავის აბაზანაში, როდესაც მეგობრებთან ერთად ფოიერვერკების გაშვება გადაწყვიტა, თუმცა, ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ამ ფაქტის შემდგომ ბალოტელის დაუკავშირდნენ ფოიერვერკების მწარმოებელი კომპანიები და სარეკლამო კონტრაქტების გაფორმება შესთავაზეს.

* ერთხელ დედამ პატარა მარიო საუთოებელი დაფის საყიდლად გაგზავნა მაღაზიაში. სახლში დაბრუნებულმა მარიომ კი, დაფის ნაცვლად: ორი სათამაშო სკუტერი, ბატუტი, სათამაშო ავტომობილები და ჩოგბურთის მაგიდა მიიტანა. ამ ცნობის გადამოწმება ინგლისელმა ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს და მარიომ უპასუხა, რომ ფაქტი სინამდვილეს შეესაბამება, უბრალოდ, ჩოგბურთის მაგიდის საყიდლად მას თანხა აღარ ეყო, დანარჩენი კი მართლა იყიდა.

* „იუთუბიზე“ არსებობს ვიდეოჩანაწერი, რომელზეც დაფიქსირებულია, თუ როგორ იგერიებს „მანჩესტერ სიტის“ ერთ-ერთ ვარჯიშზე ჯო ჰარტი მარიო ბალოტელის დარტყმულ თერთმეტმეტრიანს. საგულისხმოა, რომ ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მეკარე ახერხებს მარიოს პენალტის მოგერიებას, რადგან, მსოფლიო ფეხბურთში ჯერ არ დაფიქსირებულა, რომ ბალოტელიმ პენალტი გააცუდოს.

* ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ფარერის კუნძულების ნაკრების წინააღმდეგ მარიო ბალოტელიმ სათადარიგო სკამზე „აიპადის“ შეტანა მოახერხა და, რადგან მატჩი მოსაწყენი საყურებელი იყო „ენნგრი ბერდსის“ თამაშით ირთობდა თავს.

* 2011 წლის ნოემბერში მარიო ბალოტელიმ ჩვენება მისცა ერთ-ერთი ნეაპოლელი კრიმინალის წინააღმდეგ. მარიოს თქმით, ეს ადამიანი ნეაპოლური მაფიის შეფია და მის სახლში საკუთარი თვალით აქვს ნანახი მაგიდაზე დაყრილი კოკაინი, ზუსტად ისე, როგორც ეს „ნაიარევი სახის“ ცნობილ სცენაში ხდება.

* ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლიდან რამდენიმე ხანში მარიომ რომანი გააბა ცნობილი ბრიტანული რეალითი-შოუს – „დიდი ძმის“ ვარსკვლავთან, სოფი რიდთან, რომელსაც ახალი წლის წვეულებაზე თავისივე დაქალთან ულალატა თავისი სახლის საპირფარეშოში, რა დროსაც სოფი სტუმრებით იყო დაკავებული.

* მარიო ბალოტელის ბიოლოგიური მშობლები წარმოშობით განიდან არიან. მარიო პალერმოში დაიბადა, 2 წლის კი იგი მშობლებმა ბალოტელების ოჯახში გააშვილეს კონჩეზიოში. მიუხედავად იმისა, რომ მარიო იტალიაშია დაბადებული, ჭიანურდებოდა მისთვის მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა. ოფიციალურად იტალიის მოქალაქე იგი 2008 წელს, 18 წლის ასაკში გახდა.

* იტალიაში ყოფნის პერიოდში მარიო ბალოტელის რომანი ჰქონდა მოდელ რაფაელა ფიკოსთან, რომელმაც 2012 წლის დეკემბერში ქალიშვილი გააჩინა. გავრცელებული ცნობის თანახმად, ბავშვის მამა მარიო ბალოტელია, თუმცა, თავად ფეხბურთელი უარს აცხადებს გენეტიკურ კავშირზე ფიკოს შვილთან.

* მარიო ბალოტელის არ უყვარს ავტომობილის პარკირების წესების დაცვა. ბრიტანეთში ყოფნის პერიოდში, არასწორი პარკირებისთვის იგი 100 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით დააჯარიმეს და ავტომობილი 27-ჯერ გადაიყვანეს საჯარიმო ავტოსადგომზე.

* ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მარიო ბალოტელის კლუბის ბაზასთან პატარა ბიჭმა ავტოგრაფი სთხოვა. მარიომ მოუწერა ხელი ფოტოზე ბიჭს და ჰკითხა, თუ რატომ არ იყო ის სკოლაში, რაზეც ბიჭმა უპასუხა, რომ სკოლაში ცუდად ექცეოდნენ თანაკლასელები და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ბალოტელიმ ავტომობილში ჩაისვა პატარა ბიჭი, მივიდა მის სკოლაში და თანაკლასელებს საქმე გაურჩია, რის შემდეგაც ბიჭუნას ყველა პატივისცემით ექცეოდა.

* ერთხელ ბენზინგასამართ სადგურზე მყოფმა მარიო ბალოტელიმ იმ მომენტისთვის საწვავის ჩასასხმელად მისულ ადამიანებს საჩუქარი გაუკეთა და საკუთარ ხარჯზე ყველას აუვსო ბენზინის ავზები.




* ლონდონში, ერთ-ერთ სტრიპტიზ-ბარში, მარიო ბალოტელის ჩხუბი მოუვიდა დაცვასთან. ის მკაცრად გააფრთხილეს, რომ მოცეკვავეების ხელით შეხება არ შეიძლებოდა, თუმცა მარიო არ ემორჩილებოდა და ცდილობდა ხელით შეხებოდა სტრიპტიზის მოცეკვავებს, რის გამოც დაცვა იძულებული გახდა, გაეყვანა ურჩი კლიენტი, თუმცა ბალოტელი არ დასთანხმდა ამას და მარტო ეჩხუბა დაცვის ხუთ წევრს. საბოლოოდ კონფლიქტი ადგილზე მისულმა პოლიციის ეკიპაჟმა დაარეგულირა.

* მარიო ბალოტელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უვლიდა „მანჩესტერ სიტის“ ბაზასთან ახლოს მცხოვრებ უპატრონო კატას, საბოლოოდ კი ცხოველი თავის სახლში წაიყვანა.

* მარიო ბალოტელის ცნობილი ფრაზები: „ბარსელონის“ წევრობა?! მე არ ვთამაშობ გოგონებთან ერთად“, „სილვიო ბერლუსკონის თქმით, ყველაზე ნიჭიერი იტალიელი ფებურთელი ანტონიო კასანოა. მან, ალბათ, არ იცის მარიო ბალოტელის არსებობის შესახებ“; „ყველა, ვინც მე პირადად მიცნობს, ფიქრობს, რომ იდიოტი ვარ“; „უეინ რუნი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ, „მანჩესტერში“ მასზე უკეთესები თამაშობენ“; „მე არ ვარ ცუდი ადამიანი, მე, უბრალოდ, მორიდებული ვარ“.

## ვარსკვლავები – სიღარიბის წინააღმდეგ

ბრაზილიურმა „პორტუ-ალეგრიმ“ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს უმასპინძლა. ზინედინ ზიდანისა და რონალდოს მეგობრებისგან შემდგარმა გუნდებმა აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში სიღარიბის წინააღმდეგ ორგანიზებული აქციის ფარგლებში ამხანაგური მატჩი ჩაატარეს და ფეხბურთის მოყვარულებს კიდევ ერთხელ მოუწოდეს, რომ ერთად შეებრძოლონ სიღარიბეს. ზიდანის გუნდში ფერნანდო იერო, პაოლო მონტერო, ჰიდეტოში ნაკატა, კრისტიან კარამბე, ხუან რომან რიკელმე, სებასტიან აბრეუ, დეკუ, მიჩელ სალგადო, ფრედრიკ იუნგბერგი და ვიტორ ბაია ირიცხებოდნენ, ხოლო რონალდოს გუნდში რომარიო, რობერტო კარლოსი, კაფუ, ზიკო, ჯალმინია, ბებეტო, ედმუნდო, ჟუნინიო, ნეიმარი, ლეანდრო დამიაო, დიდა და როკე ჟუნიორი ასპარეზობდნენ. ვარსკვლავურ გუნდებს სიმბოლური მწვრთნელებიც ჰყავდათ – ლუიშ ფელიპე სკოლარი და კარლოს ალბერტო პარეირა. მატჩი რონალდოს მეგობრების გუნდის გამარჯვებით – 3:2 დასრულდა.



## მესი არგენტინაში მესამეა

„ბარსელონის“ ვარსკვლავი, ლიონელ მესი, არგენტინის 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად გამართულ გამოკითხვაში მესამე ადგილზე გავიდა. არგენტინელი სპორტული ჟურნალისტების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში, ხმათა უმრავლესობით წლის სპორტსმენად მოკრივე სერხიო მარტინესი დასახელდა, ხოლო მეორე ადგილზე – ტაიკვანდოს სტილში მებრძოლი, სებასტიან კრისმანიჩი. ერთადერთი არგენტინელი სპორტსმენი, რომელმაც ოქროს მედლის მოპოვება მოახერხა ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე. მესის წლევანდელ მიღწევებზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, საკმარისია იმის თქმა, რომ მან გერდ მიულერის თითქმის 40-წლიანი რეკორდი მოხსნა და ერთ კალენდარულ წელიწადში 90 გოლის გატანა მოახერხა.



## ცხენოსნების შავ-თეთრი ფოტოსესია

ინგლისური „ლიდსის“ საცხენოსნო კლუბის წევრმა ქალბატონებმა მონაწილეობა მიიღეს ეროტიკული კალენდრისთვის ორგანიზებულ ფოტოსესიაში. ცხენოსანი გოგონები წელზემოთ შიშვლები პოზირებდნენ ფოტოკამერის წინაშე: ზოგი – ცხენზე ამხედრებული, ზოგი კი, უბრალოდ, საჯინიბოში. გოგონების თქმით, ფოტოსესიამ მხიარულ გარემოში ჩაიარა და ამ კალენდრის გაყიდვიდან მიღებული თანხა კი მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება. მსგავსი აქცია ცხენოსნებმა 2011 წელსაც გამართეს და მაშინ ეროტიკული შავ-თეთრი კალენდრით ცხენოსნობის 2 ათასი მოყვარული დაინტერესდა.

## მუნდიალი – 2014-ის პირველი სტადიონი

ბრაზილიურ ფორტალეზაში საზეიმოდ გაიხსნა პირველი სტადიონი, რომელიც 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებს უმასპინძლებს. 1973 წელს აშენებულ არენა „კასტელანს“ რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რომელიც 249 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა და მისი ტევადობა 60 ათასიდან 67 ათასამდე გაიზარდა. სტადიონი ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა გახსნა. მუნდიალის სამასპინძლოდ განსაზღვრული სხვა სტადიონების გახსნა 2013 წელს არის დაგეგმილი.

## კლიჩკო ბოლო მატჩისთვის ემზადება

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ, ვიტალი კლიჩკომ, სპორტული კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო და რინგიდან წასვლა გრანდიოზული შოუთი გადაწყვიტა. კლიჩკოს წარმომადგენლების თქმით, 2013 წელს უკრაინის რადას ოპოზიციონერი დეპუტატი, ვიტალი კლიჩკო საბოლოოდ დაემშვიდობება სპორტს და ეს იქნება მეგაშოუ. პრომოუტერების ვერსიით, კლიჩკოს მეტოქე ექსცენტრიკული ბრიტანელი დევიდ ჰეი იქნება, რომელიც უკრაინელ მოკრივეს ერთხელ უკვე დამარცხებული ჰყავს. მატჩის ორგანიზატორების თქმით, ვიტალი კლიჩკოს წასვლა დიდი რინგიდან დასამახსოვრებელი მოვლენა იქნება კრივის მოყვარულთათვის.



## „მანჩესტერ იუნაიტედის“ გალა-საღამო

მშობლიურ სტადიონ „ოლდ ტრაფორდზე“ ინგლისის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საქველმოქმედო გალა-საღამო გამართა. სტადიონის საბანკეტო დარბაზში თავი მოიყარეს კლუბის წევრებმა მეუღლეებთან ერთად. უკლებლივ ყველა ფეხბურთელი შავ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ხოლო ქალბატონებს საღამოს კაბები ეცვათ. საქველმოქმედო საღამოზე 130 ათასი გირვანქა სტერლინგის შეგროვება მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ საღამოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი არ დასწრებია, რადგან, მომავალი მეტოქის განხილვით იყო დაკავებული სამწვრთნელო შტაბთან ერთად.

## მოკრივის საჩუქარი პრეზიდენტს

ლეგენდარული ფილიპინელი მოკრივის, მენი პაკიაოს რინგზე დამმარცხებელი მექსიკელი მოკრივე – ხუან მანუელ მარკესი, მექსიკის პრეზიდენტმა ენრიკე პენია ნეტომ მიიღო და მადლობა გადაუხადა მამაცური ბრძოლისთვის. პრეზიდენტის გულთბილ დახვედრას მარკესმა საკადრისი პასუხი გასცა და პენია ნეტოს თავისი ხელმოწერილი ხელთათმანები გადასცა საჩუქრად – ზუსტად ის ხელთათმანები, რომლითაც პაკიაო დაამარცხა.

## ალეზიმ კარიერა დაასრულა

ფრანგმა ავტომრბოლელმა ჟან ალეზიმ კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. ალეზის თქმით, იგი დაიღალა სპონსორების მოძიებით და გადაწყვიტა რბოლებისგან დაისვენოს. „მეგობრები და ნათესავები მთხოვენ, რომ კიდევ რამდენიმე წლით დავრჩე დიდ სპორტში, მაგრამ, იმდენად დავიღალე სპონსორების მოძიებით, რომ, დასვენება გადავწყვიტე“, – განუცხადა ჟან ალეზიმ ჟურნალისტებს. ალეზის „ფორმულა 1-ის“ ფარგლებში 202 რბოლაში აქვს მიღებული მონაწილეობა და მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს აქტივში – 1995 წელს კანადის გრანპრი.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## როგორ ამოვიცნოთ პნევმონია

პნევმონია ფილტვის პარენქიმის მწვავე ანთებაა, რომელიც ფილტვის ქსოვილის ყველა სტრუქტურულ ელემენტს მოიცავს. მწვავე პნევმონიის ყველაზე ხშირი გამომწვევი ბაქტერიებია პნევმოკოკები. ბაქტერიების გარდა, პნევმონიის გამომწვევია ვირუსები, სოკოები, ქლამიდია და მიკროპლაზმები. მკურნალობისთვის აუცილებელია გამომწვევი ფაქტორის ზედმიწევნით დადგენა.

მიკროორგანიზმები ფილტვებში ყველაზე ხშირად ზემო სასუნთქი გზებიდან ხვდება, უფრო იშვიათად – სისხლის ან ლიმფოგენური გზით. ადამიანის ორგანიზმს აქვს სასუნთქი გზების ინფიცირებისგან დაცვის მექანიზმები. სასუნთქ გზებში მოხვედრილი ნივთიერებისგან გათავისუფლებისთვის მნიშვნელობა აქვს ხველის რეფლექსს. მიკრობების ზრდას თრგუნავს ფაგოციტური აქტივობა.

დაცვითი სისტემების ნებისმიერი დარღვევა მიკრობების გამრავლებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. პნევმონიის გავრცელების ხელშემწყობი პირობებია ზემო სასუნთქი გზების ვირუსული ინფექცია, იმუნოდეფიციტი, ჭარბი ალკოჰოლი, გაციება, თამბაქო და ასე შემდეგ.

პნევმონია ჩვეულებრივ, უეცრად, შემცივნებით იწყება, ტემპერატურა იმატებს 39 გრადუსამდე, იწყება ტკივილი ფერდის არეში. დასაწყისში აღინიშნება მშრალი ხველა, შემდგომ კი – ნახველი. ტემპერატურა ერთი კვირის შემდეგ ქვეითდება.

მწვავე პნევმონიის დროს აუცილებელია წოლითი რეჟიმის დაცვა. თავს იჩენს ტკივილი გულის არეში, ღვიძლის ციროზი, ურემია. ამიტომ, ნებისმიერი პირველადი სიმპტომის დროს, დაუყოვნებლად მიმართეთ ექიმს.

## რა უნდა გაითვალისწინოთ, რომ დიდხანს, ჯანმრთელად იცოცხლოთ

ადამიანის სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა. სპეციალისტებმა, დღეგრძელთა გამოცდილებაზე დაკვირვებით, სიცოცხლის გახანგრძლივების რამდენიმე წესი შეიმუშავეს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

1. მენიუ უნდა შეესაბამებოდეს თქვენს ასაკს. ადამიანს ნაოჭები გაუჩნდება ძალიან გვიან, თუ რეგულარულად მიირთმევს ნიგოზსა და საქონლის ღვიძლს. 40 წლის ასაკის ზემოთ სასარგებლოა ბეტა-კაროტინი, რომელიც ძალიან ბევრია სტაფილოში, ნარინჯისფერ და წითელი ფერის ხილსა და ბოსტნეულში. 50 წლის ასაკის შემდეგ კარგია კალციუმის მიღება. ის ფორმას უნარჩუნებს ძვლებს, მაგნიუმი კი გულისთვის არის აუცილებელი. ასევე, ხშირად უნდა მიიღოთ სელენი, რომელსაც შეიცავს ყველი. ეს მინერალი ხსნის სტრესს. არ დაგავიწყდეთ თევზი, ის დაავადებებისგან იცავს გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

2. ნუ მიირთმევთ ბევრს – თუ ფიზიკურ, მძიმე შრომას ეწევით, სრულიად საკმარისია, მიიღოთ დღეში 2 000 კილოკალორია, რითაც ხელს შეუწყობთ უჯრედების განტვირთვას და გააქტიურებას.

3. იმოძრავეთ – ივარჯიშეთ დღეში რამდენიმე წუთით მაინც. ნებისმიერი სახის ვარჯიშის დროს გამოიყოფა ზრდის ჰორმონები, რაც საგრძნობლად მცირდება 30 წლის შემდეგ.

4. გულს ნურაფერზე გაიტეხთ – ოპტიმისტები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე პესიმისტები.

5. აიძულეთ ტვინი, იმუშაოს და არ მოდუნდეს – როცა ტვინი მუშაობს, ამ დროს ადამიანი არა მარტო ინარჩუნებს ნათელ გონებას, არამედ ერთდროულად ააქტიურებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედებასა და ნივთიერებათა ცვლას. ამიტომ, ამოხსენით კროსვორდები, ბევრი იკითხეთ, შეისწავლეთ უცხო ენები და ასე შემდეგ.

6. შეეცადეთ, მიიღოთ ბევრი დადებითი ემოცია – მიეცით თავს უფლება, დროდადრო გვიანობამდე იმხიარულოთ მეგობრების წრეში, უყუროთ სასიამოვნო ფილმებს, გადაცემებს, მეტი დრო დაჰყოთ იმ ადამიანების გვერდით, ვისთანაც თავს კარგად გრძნობთ.

7. იძინეთ გრილ ოთახში – თუ 17-19 გრადუსი ტემპერატურის პირობებში გძინავთ, ახალგაზრდობას დიდხანს გაიხანგრძლივებთ, რადგან ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა და ასაკობრივი ცვლილება დამოკიდებულია გარემოში არსებულ ტემპერატურაზე.

8. ნუ ჩაიკლავთ გულში სიბრაზეს – თუ გაბრაზდით, გულში ბოღმას ნუ ჩაიკლავთ და გამოხატეთ ემოციით. გამოუხატავი სიბრაზე ხელს უწყობს ბევრი დაავადების განვითარებას.

9. მოიწესრიგეთ სექსუალური ცხოვრება – ადამიანი, რომელსაც კვირაში ორჯერ მაინც აქვს სექსი საყვარელ ადამიანთან, თავის ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურება. სექსის დროს ორგანიზმში გამომუშავდება ბედნიერების ჰორმონი, კერძოდ ენდორფინი, რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას.

## სადღესასწაულო სუფრასთან დაჯდომამდე დალიეთ ლიმონიანი ჩაი და ცოტა სპირტიანი სასმელი

არსებობს ბუნებრივი და ნაცადი საშუალებები და ხერხები, რისი გათვალისწინებითაც, ადვილად შეძლებთ, ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებას გაუმკლავდეთ და დაიცვათ ორგანიზმი ახალი წლის დღეებში.

რაც, მთავარია, ყველა მსმელმა უნდა იცოდეს თავისი დოზა. კერძოდ, სასმლის დოზა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის წონას. მაგალითად, თუ ადამიანი დაახლოებით 70 კილოგრამს იწონის, ნახევარ ლიტრზე მეტი არაყი არ უნდა დალიოს, რომ ამან ორგანიზმს არ ავნოს.

ადამიანის თრობის ხარისხი და ხანგრძლივობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სისხლში არსებული სპირტის გადამამუშავებელ ფერმენტებზე. ამ ფერმენტების რაოდენობა მას შემდეგ იმატებს, რაც ორგანიზმში ალკოჰოლი ხვდება.

იმისთვის, რომ მალე არ დათვრეთ, სუფრასთან დაჯდომამდე, დაახლოებით 3 საათით ადრე, დალიეთ ცოტა სპირტიანი სასმელი და მსუბუქად წაიხემსეთ. ამით ორგანიზმს წინასწარ განაწყობთ საქეიფოდ და მეტი ალკოჰოლის ატანასაც შეძლებს. სუფრასთან დაჯდომამდე დალიეთ ლიმონიანი ჩაი ან ყავა. ეს კარგად ანეიტრალებს ალკოჰოლს. ასევე, ქეიფის პროცესში მისი დალევა მალე გამოფხიზლებას უწყობს ხელს.

ნუ აურევთ ერთმანეთში სხვადასხვა ხარისხის სასმელს. ალკოჰოლური სასმელების ნარევი უფრო მეტად ათრობს ადამიანს, ვიდრე ერთი სახეობის სასმლის დიდი დოზით მიღება.

თუ მაინც მოგიწიათ სასმლის არევა, მაშინ გაითვალისწინეთ, რომ სმა ნაკლებგრადუსიანით დაიწყოთ. არ დაგავიწყდეთ საჭმლის მიყოლება. ნოყიერი კერძი, განსაკუთრებით კი ხორცი და კარტოფილი, მნიშვნელოვნად აფერხებს თრობის პროცესს. თუმცა, ისიც გახსოვდეთ, რომ ცხიმიანი საკვების მიღებით, ალკოჰოლის ზემოქმედებას კი არ ანეიტრალებთ, არამედ, უბრალოდ, გარკვეული დროით აფერხებთ.

ისიც გახსოვდეთ, რომ ალკოჰოლს ორგანიზმი მხოლოდ კუჭიდან არ ითვისებს. ის სისხლში პირის ღრუდანაც შეიწოვება, ამიტომ დალევის დროს სასმელს პირში ნუ დაიგუბებთ.

ალკოჰოლი ადამიანის ორგანიზმზე უფრო სწრაფად მოქმედებს, თუ ნასვამი სუფთა ჰაერზე გავა, განსაკუთრებით კი სიცივეში.

ასე რომ, გაითვალისწინეთ ზემოთ თქმული რჩევები და რეკომენდაციები და ისე მიუჯექით სადღესასწაულო სუფრას, ახლობლებისა და ოჯახის წევრების გვერდით.

## თუ ყელი გტკივათ, გახველებთ და მაღალი სიცხე გაქვთ...

თუ ყელი გეწვით, გახველებთ, მაღალი სიცხე, ანგინა ან გრიპი გაქვთ, ნუ იჩქარებთ წამლების მიღებას. არსებობს რამდენიმე წესი, რაც გაციების პირველი ნიშნებისას უნდა დაიცვათ.

გაითვალისწინეთ, რომ მსუბუქი გრიპის ან გაციების მკურნალობა ანტიბიოტიკებით სასურველი არ არის. ნუ მიენდობით რეკლამირებულ აბებს. ასეთი პრეპარატები სამკურნალო არ არის და მხოლოდ ხანმოკლე მოქმედება აქვს. დროებით აქრობს გრიპის სიმპტომებს. ამიტომ, განკურნების იმედით რამდენიმე დღის განმავლობაში მათი ზედიზედ მიიღება, რეკომენდებული არ არის. უმჯობესია, ამ დროს ხალხური მედიცინის ნაცად საშუალებებს მიმართოთ.

გაციების პირველი სიმპტომების შემჩნევისთანავე მკერდსა და ზურგზე დაიდეთ მდოგვის ფირფიტები, დალიეთ ორი ჭიქა ლიმონიანი ან ცაცხვის ყვავილის ცხელი ჩაი. ასევე, კარგია თაფლიანი რძე.

სურდოსა და გაჭედილ ცხვირთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება ინჰალაციაა. ჩაასხით ჯამში მდუღარე წყალი, დაამატეთ რამდენიმე წვეთი მენთოლის ან ევკალიპტის ზეთი. თავზე წაიფარეთ პირსახოცი და ორთქლი ღრმად შეისუნთქეთ. ევკალიპტს და მენთოლს ანთების საწინაალმდეგო თვისებები აქვს. კარგია, თუ მდუღარე წყალს, ზეთების გარდა, ცოტა დარიჩინს ან წითელ წიწაკას დაუმატებთ. დარიჩინი ხელს უწყობს ოფლდენას, წიწაკა კი სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და ვირუსებთან ბრძოლას აადვილებს.

სურდოს დროს სპეციალური ბალზამი გამოიყენეთ, რომელიც ასე მზადდება: ორი სუფრის

კოვზი მცენარეული ზეთი ხუთი წუთით ორთქლზე გააჩერეთ. შემდეგ გააგრილეთ და დაუმატეთ ოთხი კბილი გახეხილი ნიორი, ერთი თავი ხახვის მეოთხედი, ისიც გახეხილი. ეს მასა გააჩერეთ ერთი საათი და შემდეგ გაწურეთ. მასში დაასველეთ ბამბა და ნესტოებში ჩაიდეთ. თუ ასე მოიქცევით, ჯანმრთელობის აღდგენა გარანტირებული გაქვთ.

ხველების დროს კარტოფილის ინჰალაცია დაგეხმარებათ. კარტოფილი კარგად გარეცხეთ, კანიანად მოხარშეთ და შემდეგ იმავე ნახარშში ჩაზილეთ. დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ევკალიპტის ზეთი და ორთქლი პირით შეისუნთქეთ.

თუ ფეხზე შეგცივდათ, შინ მისვლისთანავე გაიკეთეთ ცხელი აბაზანა. შეგიძლიათ, წყალს ორი სუფრის კოვზი მშრალი მდოგვი ჩაამატოთ. პროცედურის შემდეგ კი, ჩაიცვით თბილი წინდები და ჩაწექით ლოგინში.

### პირით სუნთქვა არაერთი დაავადების წარმოშობის მიზეზი ხდება

ადამიანის სასუნთქი ორგანოები ისეა მოწყობილი, რომ შეგვიძლია პირით და ცხვირით ერთნაირად ვისუნთქოთ. მაგრამ, თუ ცხვირით სუნთქვა ჯანმრთელობის მანიშნებელია, ზოგიერთის ცუდი ჩვევა – პირით სუნთქვა, ხშირად ორგანიზმის დასუსტებისა და არაერთი დაავადების წარმოშობის მიზეზი ხდება.

სისტემატურად პირით სუნთქვა ადამიანის ორგანიზმის ნაადრევ დაბერებასაც კი იწვევს. პირით სუნთქვისას, უმეტეს შემთხვევაში, გაუარესებულია ფილტვების ფუნქცია და შემცირებულია ორგანიზმში პროსტაციკლინის ჰორმონის გამომუშავება. ეს ჰორმონი სისხლის კოლტებს შლის და სისხლძარღვებს აფართოებს, რაც ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას.

ცხვირის გავლით ჰაერი თბება, ტენიანდება და მტვრისგან იწმინდება. პირით სუნთქვის შემთხვევაში კი, ცივ და მშრალ ჰაერთან ერთად, პირდაპირ ფილტვებში ხვდება მთელი რიგი მავნე ნივთიერებები, რაც ხშირად ანთებით პროცესებს იწვევს.

### მოიწესრიგეთ არტერიული წნევა და გაიუმჯობესეთ ნივთიერებათა ცვლა

თუ უძილობა გაწუხებთ, დაწოლამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი ორი სუფრის კოვზი ნატურალური თაფლი. ერთი კვირის განმავლობაში ასეთი მკურნალობის შემდეგ, თავად მიხვდებით, როგორ მოგიწესრიგდებათ ძილის ხარისხი.

იმპოტენციის სამკურნალოდ, სადილის შემდეგ მიირთვით თაფლში არეული დაკეპილი ნიგოზი. ერთ ყავის ჭიქა თაფლში ჩაყარეთ ერთი ყავის ჭიქა ნიგოზი.

მაღალი სიცხის დასაწევად ერთი სუფრის კოვზი თაფლი გახსენით ცხელ ჩაიში ან რძეში. ასეთი მოქმედებით ოფლს მოიდენთ და სიცხეც დაბლა დაიწევს.

არტერიული წნევის მოსაწესრიგებლად, ყოველდღიურად სვით თითო ჭიქა ჭარხლის წვენში არეული ერთი ჩაის კოვზი თაფლი. ეს ნაზავი აძლიერებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარსაც.

თუ გსურთ, გაიუმჯობესოთ ნივთიერებათა ცვლა, ერთი ჭიქა წყალში გახსენით ერთი ჩაის კოვზი თაფლი და ნახევარი ლიმონის წვენი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: შეიძლება თუ არა, კრუნჩხვისა და კრთომის დროს 1 წლის ბავშვს ვუმკურნალოთ ჰიპნოზით?**

**პასუხი:** თუ ბავშვს ეპილეფსიური კრუნჩხვები აქვს, ვერანაირი ჰიპნოზით ვერ განკურნავთ. ნევროლოგმა უნდა დასვას ზუსტი დიაგნოზი და შესაბამისი მკურნალობა დანიშნოს. თუ ადგილი აქვს კრთომას, ამ ასაკის ბავშვებში ჰიპნოზი არ გამოიყენება!

**კითხვა: რამდენიმე წელია, დამემართა კატარაქტა. მხედველობა დამიქვეითდა, მაქვს თვალის სიმშრალე. ექიმმა დამინიშნა წვეთები და მალამოები, მაგრამ, ვატყობ, რომ არ მშველის. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** კატარაქტა, ანუ თვალის ბროლის სრული ან ნაწილობრივი შემღვრევა, წვეთების მეშვეობით ვერ განიკურნება. ერთადერთი რეალური საშუალებაა ქირურგიული მკურნალობა, როდესაც შემღვრეული ბროლი ხელოვნური ლინზით იცვლება.

**კითხვა: უკანა ტანში მაწუხებს ქავილი. რომელ ექიმს მივმართო?**

**პასუხი:** ქავილის მიზეზი შეიძლება იყოს ბუასილი და ამ შემთხვევაში პროქტოლოგს უნდა მიმართოთ; ნაწლავის ანთების (კოლიტი, პროქტოსიგმოიდიტი) შემთხვევაში – გასტროენტეროლოგს ან პროქტოლოგს; ასევე, არსებობს ანალური ქავილის იდიოპათიური (გარკვეული მიზეზის გარეშე) ფორმა, როდესაც მკურნალობაში პროქტოლოგი და ნევროპათოლოგი ერთდროულად მონაწილეობენ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მიასთენიის განკურნება? ვის უნდა მივმართოთ? მამას ცალ თვალზე ზედა ქუთუთო მთლიანად უფარავს თვალს.**

**პასუხი:** მიასთენია აუტოიმუნური ხასიათის ნერვულ-კუნთოვანი დაავადებაა, რომელსაც კუნთების პათოლოგიური სისუსტე და დაღლილობა ახასიათებს (ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტისხეულებს საკუთარი ქსოვილების მიმართ). ამ პროცესის შეჩერება საკმაოდ რთულია. ძირითადი მკურნალობა ანტიქოლინერგიული პრეპარატების მიღებაა (პროზერინის ტიპის). დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭიროა სპეციფიკური ანალიზები (რევმატოლოგის დანიშნულებით) ანტისხეულების არსებობის დასადასტურებლად. მკურნალობას ასაკის გათვალისწინებით ნიშნავს და მკაცრად აკონტროლებს ექიმი-ნევროლოგი. თვითმკურნალობა დაუშვებელია.

**კითხვა: ხანგრძლივი სიარულის დროს მარცხენა ფეხის ქუსლი მიწყებს ტკივილს, თითქოს ძვალი მტკივა. რა უნდა იყოს ეს და ვის მივმართო?**

**პასუხი:** ფეხის ქუსლის ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს აქილობურსიტი (უფრო სავარაუდოა ახალგაზრდებში) და ქუსლის დეზი. დიაგნოზის დასაზუსტებლად უნდა გადაიღოთ რენტგენი და მიმართოთ ქირურგს.

**კითხვა: ერთი წლის წინ მარჯვენა მუხლის სახსარში აღმომაჩნდა ბეიკერის კისტა, ორჯერ გამიკეთეს პუნქცია (კისტა დაცალეს), მაგრამ, ახლა ისევ მაქვს საკმაოდ მოზრდილი 5X1 სანტიმეტრი კისტა, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** მუხლის სახსრის კისტის აღმოცენების მიზეზი ანთებითი პროცესია. დროული და ადეკვატური მკურნალობის შედეგად კისტა ქრება. ინიშნება ანტიანთებითი მკურნალობა. თუ მკურნალობის შედეგად ანთება არ ცხრება და კისტა დიდი ზომისაა (გაგლეჯის საშიშროება), საჭიროა ქირურგიული (ლაპარასკოპიული) მკურნალობა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რატომ მიჰყავდა ნუგზარ ჯულელს ფეხბურთის რეპორტაჟი მოსკოვში ტუალეტიდან

„ჩემ ირგვლივ შექმნილია რაღაც სამყარო, თავს ჩვეულებრივ ტელეპერსონაჟს ვუწოდებ და მეტს არაფერს. ვიღაცას, ათ კაცს მაინც აქვს ჩემზე გარკვეული აზრი. შეიძლება ასი, ათასი, ათი ათასი ადამიანი სხვაგვარად ფიქრობს, რომ თითქოს მე ვარ შეცდომებით სავსე კაცი და, აქედან გამომდინარე, ჩემი უდიდესი სურვილია, მარტო მე ვიყო ერთადერთი ქართველი ამქვეყნად, რომელიც უშვებს შეცდომებს...”



***ნუგზარ ჯულელს თბილისში კარგად იცნობს ძველიც და ახალი თაობაც. იმხანად თბილისს სამი გამორჩეულად კარგი კომენტატორი ჰყავდა: ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე და ნუგზარ ჯულელი, რომლებიც რეპორტაჟის დროს თავისი სპეციფიკური ხმითატყვევებდნენ მსმენელს. ამ არაჩვეულებრივი ადამიანების დღიურებიდან პირად ცხოვრებასა თუ მოღვაწეობის პერიოდებში თავს გადამხდარ ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებთ, ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის დღიურები და საოჯახო ალბომები ადრე გაგაცანით, ახლა კი წარმოგიდგენთ ნუგზარ ჯულელს – ადამიანს, რომელსაც საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება აქვს განვლილი.***

„1959 წელს დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი. ძალიან დიდი სურვილი მქონდა, გავმხდარიყავი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, მაგრამ, განაწილებით წავედი რუსთაველის თეატრში, სადაც თერთმეტი წელი ვიმსახურე. ჩემთან ერთად ინსტიტუტიდან თეატრში მოვიდნენ: კახი კავსაძე, სოსო ლაღიძე და რეზო ჩხაიძე. თერთმეტი წელი – ეს იყო უდიდესი ზეიმის პერიოდი. თეატრის შემდეგ გადავედი ტელევიზიაში, კინოსტუდიაშიც ვმუშაობდი გახმოვანებებზე... ინგლისელ მწერალსა და დრამატურგ სომერსეტ მოემს აქვს ნათქვამი: მსახიობების საქმე მაშინ წავიდა ცუდად, როცა მათი დასაფლავება დაიწყეს ქრისტიანულ სასაფლაოზე; როდესაც მსახიობებმა დაიწყეს ზრუნვა, პარლამენტის წევრები გამხდარიყვნენო. მსახიობს არ სჭირდება კარიერისკენ ლტოლვა, მსახიობი ცალკე კასტაა და, რაც დრო გადის, მით უფრო ვხვდები, თუ როგორ შევცდი, როცა თეატრი მივატოვე. ვიქნებოდი ერთი საშუალოზე დაბალი დონის აქტიორი, მაგრამ, ვიქნებოდი იმ ზეიმთან წილნაყარი, რაც თეატრშია. ვის არ შევხვედრივარ, ვისზე არ წამიკითხავს, მაგრამ, ბატონ სერგო ზაქარიაძეზე უკეთესი ადამიანი არსად მეგულება. ეს იყო საოცარი პიროვნება. ამ კაცს, რატომღაც, ამოჩემებული ვყავდი. უკვე ტელევიზიაში ვარ გადასული. ამ დროს რუსთაველის თეატრი გასტროლებზე წასასვლელად ემზადება. თეატრის დირექტორი ბატონი სერგოა. დამიბარა და მითხრა:



– ნუგზარ, დიდხანს ვიფიქრე, შენ, შეიძლება, არც გინდოდეს, მაგრამ, მაინც გადავწყვიტე, გასტროლებზე წაგიყვანო პოლონეთსა და გერმანიაში. წამოხვალ?

– რატომაც არა, ბატონო სერგო!

– ძალიან კარგი, ახლავე ჩაგწერ დამატებით სიაში. მართალია, შენ არც ერთ სპექტაკლში არ თამაშობ, მაგრამ, ვეტყვი ნანა ხატისკაცს და თავის დადგმაში – „სიბრძნე სიცრუისა,” რომელიმე როლში ჩაგსვამს. თუმცა, რეკვიზიტი და ტანსაცმელი უკვე გაგზავნილია. შენ ახალ კოსტიუმს შეგიკერავენ, თვითონ ჩაალაგებ, თვითონვე წამოიღებ, იქ ჩაიცვამ და ისე გამოხვალ სცენაზე.

მართლაც, შემიკერეს ახალი ტანისამოსი. ორი თვით წავედით გერმანიასა და პოლონეთში. მაშინ საზღვარგარეთ წასვლა, ახლა რომ კოსმოსში წახვიდე კაცი, იმის ტოლფასი იყო. თეატრისთვის ეს იყო მეორე გასვლა უცხოეთში. ჩავედით ბერლინში, მოვთავსდით სასტუმროში და დავლაგდით. მეორე დღეა, რეპეტიციაზე მივდივართ. გავხსენი ჩემოდანი და რას ვხედავ – სადაა კოსტიუმი! დამრჩენია თბილისში, უფრო სწორად, ჩემს მეუღლეს დავიწყებია ჩალაგება. მივედი ქალბატონ ნანასთან და ვუთხარი, თქვენი სპექტაკლის კოსტიუმი თბილისში დამრჩა-მეთქი. მან ბატონ სერგოსთან გამგზავნა. ავუხსენი ბატონ სერგოს ჩემი მდგომარეობა.

– შენ იცი, ახლა რას მიყვები? წარმოიდგინე, ომია. თხრილში ვწევართ. მე თქვენი მეთაური ვარ. წამოვიმართე და შეტევისკენ მოგიწოდებთ. ამ დროს ამოცვივდა ყველა და შენ ჩარჩი იმიტომ, რომ იარაღის წამოღება დაგავიწყდა ბრძოლის ველზე. გაიგე?

– კი ბატონო, გავიგე!

– ახლა, წესით, საელჩოს უნდა ჩაგაბარო და იქიდან სახლში გაგისტუმრონ, მაგრამ, ჯანდაბას შენი თავი, დარჩი, იარე ჩვენთან ერთად და უყურე ჩვენს სპექტაკლებს.

იმ დღიდან კარგი, ერთგული მაყურებელი გავხდი, სადაც წავა მიღებებზე ბატონი სერგო, ყველგან დავყავვარ – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში თუ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სხვადასხვა ორგანიზაციაში. მოკლედ, დიდ პატივში ვარ. ერთ მომენტში ხუთი მარკა დააკლდა რაღაცაზე და მომიბრუნდა:



ნუგზარ ჯულელი დედასთან ერთად

– ნუგზარ, ხუთი მარკა გიდევს ჯიბეში? დიახ! მასესხე, თუ ძმა ხარ, სასტუმროში მაქვს და ხვალ დაგიბრუნებ. მივეცი. მეორე დღეს მეკითხება:

– ნუგზარ, შენი ხუთი მარკა მმართებს, ხომ გახსოვს?

– კი, ბატონო სერგო, როგორ არ მახსოვს!

გავიდა ორი, სამი დღე. ნუგზარ, შენი ხუთი მარკა მმართებს, არ დაგავიწყდეს!

– არა, ბატონო სერგო, რა დამავიწყებს! გავიდა ერთი კვირა.

– ნუგზარ, შენი ხუთი მარკა მმართებს! გმართებთ, ბატონო, გმართებთ!.. – აი, რა უსინდისო ხარ, ნამუსი სულ დაკარგე, რა! ერთხელ მაინც თქვი – არა, ბატონო სერგო, არ გმართებს ეს დასაწვავი ხუთი მარკაო. წამოგიყვანე, ის ტანსაცმელი დატოვე, შენზე ვზრუნავ, მინისტრთა საბჭოში დაგატარებ, ბურგომისტრებთან გასეირნებ, გაგრიალებ და, რა მოხდა რომ თქვა – არ გმართებთ-თქო?!

## სოხუმი, ბათუმი, ფოთუმი

ამბობენ, რაც უფრო მეტ შეცდომას უშვებ ცხოვრებაში, მით უფრო მეტ გამოცდილებას იძენო. თუ მართლაც ასეა, მაშინ, თქვენი მონა-მორჩილი ერთ-ერთი გამოცდილი კაცი ყოფილა ამქვეყნად... ისე რომ, ბოლო ათეული წელია თუ ვინმეს რაიმე შეცდომა მოსდის რადიო ან ტელეგადაცემების დროს, ყველაფერს მე მომაწერენ ხოლმე. ჩემი იმიჯი შეიქმნა ცნობილი გამოთქმის – „სოხუმი, ბათუმი, ფოთუმის” შემდეგ. დახლოებით 15-18 წლის წინ შემხვდნენ ახლობლები და მისაყვედურეს: ბიჭო, რამ გათქმევინა ეგ? არ მითქვამს-მეთქი, ვუპასუხე. არავის სჯერა. ერთ საღამოს, მეგობრების წრეში ვზივარ. იქაც წამომიყენეს იგივე ბრალდება. არ მითქვამს, არა! – ვუმტკიცებ ყველას, მაგრამ, ვის ესმის... მერე ერთი კაცი მეკითხება: რამე რომ იყოს, იტყვი? „რამე“ რას ნიშნავს-მეთქი? ნიძლავი რომ დაგიდო, ვთქვათ 700 მანეთზე, იტყვი? უცებ გადავიანგარიშე – ამის თქმას რა უნდა, 15 წამი. კომენტატორს ფეხბურთის მატჩის ერთი ტაიმის გადაცემაში 6 მანეთსა და 75 კაპიკს უხდიან, მე კიდევ, 15 წამში შემიძლია, გავაკეთო შვიდასი მანეთი. საერთაშორისო მასშტაბითაც, ალბათ, ასეთი ძვირად ღირებული ჰონორარი არც არსებობს. დავთანხმდი. დაიდო ნიძლავი, ერთ-ერთმა მოწმემ იმ კაცისგან ჩაიბარა ფული, ჩემგან კი – პატიოსანი სიტყვა. მაშინ ტელევიზიით მიდიოდა გადაცემა „სპორტული დღიური”. ის უმეტესწილად მე და კოტე მახარაძეს მიგვყავდა. ზემოხსენებული ნიძლავის მეორე დღეს ამ გადაცემას მე უნდა წავუძღვე. დილით დავურეკე იმას, ვისაც ფული ჰქონდა მიბარებული და გავაფრთხილე: აუცილებლად ნახე დღევანდელი „სპორტული დღიური” და ყურადღებით მომისმინე! ტექსტში მქონდა ასეთი ფრაზა: „საქართველოში საწყლოსნო სპორტი განსაკუთრებით განვითარებულია სოხუმში, ბათუმსა და ფოთში”. ამაზე უკეთეს საშუალებას ვერ ვინატრებდი. დაიწყო გადაცემა. მოახლოვდა ამ სიუჟეტის დროც და სრულიად წყნარად, სრულიად დინჯად, აუღელვებლად, მაგრამ, ცოტა ხასგასმით, ვამბობ: „საქართველოში საწყლოსნო სპორტი განსაკუთრებით განვითარებულია სოხუმში, ბათუმსა და ფოთუმში.“ ამის შემდეგ, ერთი კვირით გავეთავისუფლე ჩემს შეფს, ტელევიზიის დიქტორთა ჯგუფის ხელმძღვანელს, აწ განსვენებულ დავით ძიგუას, წავედი „ხაზინადართან”, გამოვართვი 700 მანეთი, ავიყოლიე რამდენიმე მეგობარი და გავფრინდით მოსკოვს, სადაც იმხანად ძალზე პოპულარული იყო რესტორანი „ბერლინი” – აუზში მოცურავე თევზებს იქვე შეგიწვავდნენ და მოგართმევდნენ. მოკლედ, ერთი კვირა კარგად შევუბერეთ. აი, ასეთია ეს ამბავი, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტელეკომენტატორი გამხადა, მაგრამ, ამასთანავე, შემიქმნა უყურადღებო დიქტორის იმიჯი.





ნუგზარ ჯულელი რუსთაველის თეატრის მსახიობებთან და ჩამოსულ მხატვარ სტუმართან ერთად

## ცოლი, საყვარელი და ვედრო

ჩემი ავისმქნელნი თუ კეთილმოსურნენი ისეთ

რაღაცეებსაც მომაწერენ, რაც ჩემს პროფესიულ საქმიანობას სცილდება და რაც ცხოვრებაში არ გამიკეთებია. მოსკოვში ცხოვრობს ერთი ჩემი ქართველი მეგობარი, პროფესიით ჟურნალისტი. ერთხელ, ცოლს დაემშვიდობა – მივლინებაში მივდივარ, ორ-სამ დღეში ჩამოვალო და წავიდა, არა, კი არ წავიდა, ჩავიდა მეთხუთმეტე სართულიდან მეთოთხმეტეზე, სადაც მისი საყვარელი ცხოვრობდა. მეორე დილით საყვარელმა სთხოვა, ნაგავი გადააყარეო. მანაც დაავლო ვედროს ხელი, ჩაჯდა ლიფტში, ჩავიდა პირველ სართულზე, გადაყარა ნაგავი და უკან მობრუნებულს შეეშალა – მეთოთხმეტის ნაცვლად მეთხუთმეტე სართულის ღილაკს მიაჭირა თითი, ანუ, გამოვიდა ლიფტიდან და საკუთარ ბინაში დარეკა ზარი. გააღო ცოლმა და ხედავს – მისი მეუღლე, ხალათში გამოწყობილი, ნაგვის ვედრით ხელში დგას... რატომღაც, ეს ამბავიც მე მომაწერეს, არადა, ღმერთი რჯული, ასეთი რამ არ გადამხდენია და, თანაც, არც მრავალსართულიან სახლში ვცხოვრობ.


ნუგზარ ჯულელი მეგობრულ წრეში

**ქართულ ენაში მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა**

... წვიმას თავისი ეშხი აქვს. იმ დღეს ქუთაისში რაღაც არნახული წვიმაა. მინდა, ავუხსნა ტელემაყურებელს, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი წვიმა და ვამბობ: „ქუთაისში ისეთი წვიმაა, ერთი ქართველი პოეტისა არ იყოს, ქართულ ენაში მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა!“ რამდენიმე დღის შემდეგ ერთი მეგობარი შემიჩნდა: მოდი ახლა, დაჯექი და წვიმის ცხრავე სახელი ჩამოთვალე. არა, ცხრას თუ ვერ ჩამოთვლი, ხუთი მაინც თქვიო! დავიწყე: ჟუჟუნა წვიმა, თავსხმა წვიმა, კოკისპირული... მეტი ვერ გავიხსენე. კარგი, ერთ თვეს გაძლევო, – მითხრა და წავიდა. მოკლედ, დღემდე ვფიქრობ და ექვსს ვერ გავცდი. მერე, ამ ჩემს გამონათქვამს ასეთი ინტერპრეტაცია გაუკეთეს: „ბუნებაში ცხრა სახის წვიმა არსებობს და ცხრავე ერთად დაატყდა თავს ქუთაისს!”

**რეპორტაჟი ტუალეტიდან**

მოსკოვში „ცსკას” სტადიონზე კომენტატორისთვის ერთადერთი ჯიხური იდგა. დაგვიანებით მივედი სტადიონზე. ჩემი რადისტი მეუბნება: იქ, ჯიხურში, სემიონოვი მუშაობს და, მოდი, ახლა ერთად გამოვძებნოთ შენთვის ადგილიო. გადაჭედილია სტადიონი, არსად არაა თავისუფალი ადგილი. არადა, თამაში უკვე იწყება. როგორც იქნა, შევამჩნიე ცარიელი ადგილი, ავედი, დავჯექი და დავიწყე რეპორტაჟი. პირველი ტაიმის შემდეგ გავიხედე და – რადისტი აღარსად ჩანს, სადღაც გაიქცა. რა მოხდა? ჩავიხედე დაბლა – თურმე, საპირფარეშოს თავზე არ ვზივარ?! აბა, ვინ მოეკარებოდა მას. ისე შევედი აზარტში, რომ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ამას ყურადღებაც არ მივაქციე.


ნუგზარ ჯულელი მეგობარ გოგონებთან ერთად

**დადიანების სასახლე და კარაჭედილი კომენტატორი**

ოზურგეთიდან მიმყავს რეპორტაჟი. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში ძალზე გავრცელებულია კარის აჭედვა. კარს უჭედავენ რაიკომის მდივნებს, აღმასკომის თავმჯდომარეებს, თანამდებობის პირებს და ასე შემდეგ, ვინც არ მოეწონებათ, იმათ. თამაშის დაწყებამდე ოციოდე წუთით ადრე, სტადიონზე შემოვიდნენ ზუგდიდელი გულშემატკივრები. წინ მედოლე მოუძღვით, იქით – მესაყვირე, დროშები, შეძახილები. მოკლედ, შემოვიდნენ და შემოიტანეს სიცოცხლე. ძალზე გამიხარდა. ვზივარ ჯიხურში. უცებ ვიღაცამ მომიკაკუნა. გავუღე კარი. შეიძლება? – მეგრული აქცენტით მკითხა ახალგაზრდა კაცმა. მობრძანდი! ბატონო ნუგზარ, თქვით თუ არა თქვენ ამ რამდენიმე ხნის წინ, ზუგდიდიდან რეპორტაჟისას, ბურთი ყანაში გადავარდაო? დიახ, ვთქვი. მერედა, იცით, რომ, სადაც ბურთი გადავარდა, ყანა არ არის იქ? აბა, რა არის? რა არის და დადიანების სასახლის ეზოა იქ და როგორ აკადრეთ დადიანების სასახლეს ეზოს ყანაო! მთელი ზუგდიდი გაბრაზებულია თქვენზე და, თუ ახლა ოფიციალურად არ მოიხდით ბოდიშს, თანაც, აქვე, მიკროფონში, იცოდეთ, ცუდად წაგივათ საქმე! გავშტერდი. იცით, რას გეტყვით? ნუ მაშინებთ, თუ ღმერთი გწამთ. რა შუაშია აქ დადიანების სასახლის ეზო? ყანა რომ ვახსენე, ამით გამოვხატე, ბურთი რაც შეიძლება უფრო შორს გადავარდა-მეთქი. აჰა, თქვენ კიდევ არ გეშინიათ ჩვენი? აი, ახლა დავუძახებ ჩემს ბიჭებს, აგიჭედავთ მაგ კარს და იჯდები ამ ჯიხურში, სანამ ბოდიშს არ მოიხდი! ვიფიქრე, მართლაც რომ წავიდეს ეს კაცი, მოიყვანოს ხალხი და ამიჭედონ კარი, რა ვთქვა ეთერში, თქვენი კომენტატორი კარაჭედილ ჯიხურში ზის და მიშველეთ, ხალხო-მეთქი? რა თქმა უნდა, ჩემს თავს არ ვაკადრე, ასე მოვქცეულიყავი და უკან დავიხიე: მოდი, ასე მოვილაპარაკოთ, – შევთავაზე, – ახლა არა, მაგრამ, სხვა დროს მოვყვები ყველაფერ ამას ტელევიზიით და მზად ვარ ბოდიშის მოსახდელად-მეთქი. შემდეგ, ისე აეწყო, რომ ვერ მოხერხდა ჩემი დანაპირების შესრულება და ვსარგებლობ შემთხვევით, ძვირფასო მკითხველო, ზემოთხრობილი ამბიდან და, თუ ჩემდა უნებურად დადიანების სასახლეს შეურაცხყოფა მივაყენე, უდიდეს ბოდიშს ვიხდი ჩემი საყვარელი ზუგდიდელი გულშემატკივრების წინაშე!“

**ეკა პატარაია**

# რა დანიშნულება ჰქონდა ნაღარხანასა და ქიაბაბხანას და რა სახელით იყო ცნობილი მექუდეთა რიგი მეცხრამეტე საუკუნის თბილისში

(ოცდამესამე გვერდიდან)

(ამჟამინდელი გორგასლის) მოედანთან იყო, გორგასლის ქუჩის გასწვრივ.

**ყასაბხანა**

ყასაბხანა ხორცით მოვაჭრეთა რიგებს ეწოდებოდა. ერთი ასეთი რიგი უშუალოდ თათრის მოედანზე, ალაფხანის გვერდით იყო. კიდევ ერთი ყასაბხანა იქვე, თათრის მოედანთან, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მტკვრის პირზე გასულ ქუჩაზე მდებარეობდა. დღეს ეს ქუჩა ამ ადგილის რეკონსტრუქციის გამო აღარ არსებობს.

**ჭონხანა**

ჭონხანა სპარსული წარმოშობის ორი სიტყვისგან შედგება: „ჭონი” – მექუდე და „ხანა” – სახლი, ადგილი. მექუდეთა რიგები ძველ თბილისში, ძირითადად, ორ ადგილას იყრიდნენ თავს. ერთ-ერთი ჭონხანა დღევანდელი სიონის ქუჩის დასაწყისის ორივე მხარეზე იყო განლაგებული და ჩორსუს დახურულ ბაზარს ებჯინებოდა. ჩორსუ აწინდელი სიონისა და ერეკლეს ქუჩების შესაყარზე მდებარეობდა. პატარა ჭონხანა თათრის მოედნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მდებარეობდა, მენაბდეთა დუქნების გაგრძელებაზე, ციხის დიდი ეკლესიის (სურფ-გევორქის) წინ.


თათრის მოედანი (მეცხრამეტე საუკუნე)


თათრის ბაზარი და მოედანი (მეცხრამეტე საუკუნე)

**ხარაზხანა**

ასე ეწოდებოდა სახელოსნოების რიგს ან ადგილს, სადაც ხარაზები საქმიანობდნენ და ვაჭრობდნენ. შუა საუკუნეების თბილისში ორი ხარაზხანა იყო. ერთ მათგანს „გრძელი ბაზრის” (რასტაბაზრის) დიდი ნაწილი ჰქონდა დაკავებული. ბატონის მოედანთან დაწყებულ რასტაბაზრის ნაწილის (ერეკლე მეორის ქუჩა) მარჯვენა მხარე თითქმის მთლიანად ხარაზებს ეკავათ, საწინააღმდეგო მხარეს კი სირაჯების რიგი იყო; მეორე, პატარა ხარაზხანა, დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩის მონაკვეთზე იყო განლაგებული ნორაშენის ეკლესიის ორთავ მხარეზე.

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: თ. კვირკველია „ძველთბილისური დასახელებანი” (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1985 წელი).**

**ადამიანები ძალიან სულწასულები და დაუდევრები ვართ. გვინდა, თითოეულმა ქმედებამ თუ ნაბიჯმა დღესვე მოგვცეს სასურველი შედეგი, ხშირად კი სისწრაფეში უამრავ შეცდომას ვუშვებთ და დაუდევრად ვიქცევით, რის შედეგსაც წლების განმავლობაში ვიმკით. გვინდა თუ არა, ჩვენი აზრები ქმნის ენერგეტიკას, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მატერიალურ სამყაროში რეალიზდება. ზოგი ამას არ აქცევს ყურადღებას და მხოლოდ მაშინ ხვდება, როცა შედეგს მოიმკის. ახლა სწორედ ის პერიოდია, როცა შეგიძლიათ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება და ახალი წლის დღეებში მოიმოქმედოთ ის, რაც თქვენთვის სასიკეთო მოვლენების მომტანია. ამ თემებთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელ რჩევა-დარიგებებს მოგცემთ ეზოთერიკოსი, ბატონი გიორგი.**

# რა უნდა გაითვალისწინოთ ახალი წლის დღეებში და არასასურველი სტუმრის თქვენი სახლიდან გასვლის შემდეგ



**გიორგი**: აუცილებელია, იცოდეთ, რას მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ახალი წლის დღეებში, რა უნდა გაითვალისწინოთ თქვენივე ბედნიერებისა და ოჯახური წარმატებისთვის. დაკვირვებული ვარ, როგორი პრობლემებიც არ უნდა გვქონდეს, რამდენი წლისაც არ უნდა ვიყოთ, შინაგანად ახალ წელს მაინც ყველა სასწაულს ველოდებით, აფორიაქებულები ვართ, არ გვინდა, გავიხსენოთ ტკივილი, დარდი და უსიამოვნება, ვცდილობთ, მხოლოდ კარგზე ვიფიქროთ. ტყუილად როდი ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, თუ ახალ წელს კარგი განწყობით შეხვდები, მოგეცემა შანსი, მომავალი წელი წარმატებული გქონდესო. განწყობა ჩვენვე უნდა შევიქმნათ ამ დღეს. მათთვის კი, ვისაც მარტოობა სტანჯავს და სასურველი სასიყვარულო პარტნიორი ჯერაც ვერ უპოვია, არსებობს ერთი მარტივი რიტუალი: ახალი წლის ღამეს, სანამ საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს, მაგიდის ქვეშ უნდა შეძვრეთ და ახალი წლის დადგომას იქ დაელოდოთ. ასევე, გამახსენდა ერთი მეთოდი დასაოჯახებლებისთვის: როგორც კი 12 საათს ერთი წუთი დააკლდება, წინასწარ მომზადებულ ფურცელზე დაწერეთ იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვის გვერდითაც გსურთ თანაცხოვრება; თან, მიუთითეთ, როგორი ურთიერთობა გსურთ მასთან მომავალ წელს. შემდეგ მოუკიდეთ ცეცხლი და, თუ ქაღალდი 12 საათამდე დაწვას მოასწრებს, დარწმუნებული იყავით, რომ ეს თქვენი სურვილი, კონკრეტულ პირთან დაკავშირებით, მომავალი წლის განმავლობაში აუცილებლად ასრულდება. ოღონდ, იმედი არ უნდა დაკარგოთ. არ არის გამორიცხული, ახალი წლის დღეებში სიზმარში საბედო გამოგეცხადოთ და ამით წინასწარ გაიგოთ თქვენი მომავალი მასთან. ასევე, უძველესი ტრადიციაა, ბედობა დღეს, 2 იანვარს, მომავლის გაგება ბეჭდით.

**– ეს რიტუალი როგორ უნდა ჩავატაროთ, რომ ჩვენი მომავალი საბედოს ვინაობა გავიგოთ?**

– 2 იანვარს, ღამის 12 საათზე, აიღეთ ჩვეულებრივი, გამჭვირვალე, სწორძირიანი ჭიქა და ჩაასხით მასში წყალი ნახევრამდე. ჩააგდეთ წყალში ქორწინების ბეჭედი. აანთეთ თეთრი ფერის სანთელი, ცოტა ხანს უყურეთ მას და თან გულში სამჯერ თქვით: „მითხარი ის, რაც ჩემს თავს უნდა მოხდეს“. შემდეგ ეს სანთელი წყალში ჩაუშვით და ასე ჩააქრეთ. ნახევრად ბნელ ოთახში ჩაიხედეთ ჭიქაში და დააკვირდით, რას ხედავთ ბეჭდის შუა სივრცეში. აუცილებლად მარტო უნდა იყოთ. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, დაინახოთ ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს. სხვათა შორის, გასათხოვარი გოგონები ამ დროს ჭიქაში მომავალი საბედოს გამოსახულებას ხედავენ, დაოჯახებულები კი საინტერესო მოვლენებს იგებენ წინასწარ. ცნობილია, რომ საბედოს წინასწარ სანახავად 2 იანვარი მაგიური დღეა. საერთოდ, ბევრს სჯერა სიზმრის, ბევრს – არა და, აქედან გამომდინარე, ცოტა რთულია საუბარი იმაზე, რამდენად უნდა გჯეროდეთ ახალი წლის დღეებში ნანახი სიზმრისა თუ ზმანების. პირადად მე, მჯერა სიზმრის ფენომენის და ახალი წლის დღეებში, კერძოდ, 3, 5, 6 და 7 იანვარს ნანახი სიზმრების ახდენის. როგორც გამოცდილ ეზოთერიკოსს თუ დამიჯერებთ, გეტყვით რომ ამ დღეებში ნანახი სიზმარი, მართლაც მომავალზე წინასწარმეტყველებს და, ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ.

**– ახალ წელს უამრავი სტუმარი მოდის. ზოგს დადებითი აურა შემოაქვს ჩვენს საცხოვრებელში, ზოგსაც – უარყოფითი. ამ მხრივ რა გავითვალისწინოთ?**

– ისეთი წესებიც არსებობს, რომლებიც ჩვენს კეთილდღეობაზე აგებს პასუხს. უფრო სწორად, ეს წესები კი არა, ეგრეთ წოდებული აკრძალვები. მაგალითად, კარის ზღურბლზე მდგარ სტუმარს ნურც აკოცებთ და ნურც ხელს ჩამოართმევთ; ნუ გასცემთ ახალი წლის დღეებში ფულს და ნუ გაასესხებთ ბრინჯსა და შაქარს, რომ სახლიდან ბარაქა, სიტკბო და დოვლათი არ გავიდეს. თუ გსურთ, ბედი არ „შეიკრათ”, ნურც ახალი წლის დღეებში, ღამით ნანახ სიზმარს მოუყვებით უცხო ადამიანს. აქვე გასწავლით ერთ უძველეს წესსაც, რომელიც სახლში შემოსული არასასიამოვნო სტუმრის დროს უნდა გაითვალისწინოთ: თუ არასასურველ სტუმარს ელოდებით, აუცილებლად გამოწმინდეთ სახლის იატაკი სველი ჩვრით, შემოსასვლელისა და მისაღები ოთახის კუთხეში კი წყალში კარგად დასველებული ღრუბელი დადეთ, რომელსაც მარილი ექნება მოყრილი – ის არასასურველი სტუმრის ენერგიას შეიწოვს.

## კარგად დააკვირდით, რას ნახავთ სიზმრად 3, 5, 6 და 7 იანვარს, რადგან, ამ დღეებში ნანახი სიზმარი მომავალზე წინასწარმეტყველებს

**– არასასურველი სტუმრის წასვლის შემდეგ ეს ღრუბელი სად წავიღოთ?**

– სტუმრის წასვლის შემდეგ, წყლით, მარილითა და იმ სტუმრის ენერგიით გაჯერებული ღრუბელი გამდინარე წყალს შეუშვირეთ რამდენიმე წუთით. ოთახი და შემოსასვლელი კი ისევ სველი ჩვრით გამოწმინდეთ. თუ მისაღებში სარკე გაქვთ, უნდა გაწმინდოთ ძმრის, მარილისა და წყლის ნაზავში დასველებული ქსოვილით. კარგია, თუ იმ სკამს ან სავარძელსაც, რომელზეც არასასურველი სტუმარი იჯდა, ამ ნაზავით გაწმენდთ – ასე უფრო დაზღვეული იქნებით მისი ნეგატიური ენერგიის ზემოქმედებისგან. ამ წესს მე ხშირად მივმართავ, რადგან დიდი ოჯახი მაქვს და, შესაბამისად, უამრავი ადამიანი შემოდის ჩემთან ბინაში. ასე თავსაც ვიზღვევ და უფრო დაცულიც ვარ. ხომ გაგიგონიათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ჰოდა, სანამ თავი ამტკივდება, მანამდე მირჩევნია მოქმედება და ამასვე გირჩევთ თქვენც. ნათქვამია, ვინც გაფრთხილებულია, ის უფრო დაცულიაო. მეც იმიტომ გაფრთხილებთ, რომ, მინდა, ცუდი აგარიდოთ. თუ ამას გაიაზრებთ და მიხვდებით, რომ ეს თქვენთვის საჭიროა, ბევრ პრობლემას და უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან. შეგახსენებთ, რომ ამ მაგიურ დღეებში მარილის დაბნევას უსიამოვნება, ჩხუბი და აყალმაყალი მართლა მოაქვს. თუ მარილი დაგებნათ, უსიამოვნო საუბარი ან ჩხუბი მოგელით და ამას თავი რომ აარიდოთ, მარჯვენა ხელით აიღეთ მწიკვი მარილი და სამჯერ თავს ზემოთ, უკან გადაიყარეთ. მაგრამ, თუ საქმიან შეხვედრაზე აპირებთ წასვლას, გირჩევთ, ერთი სადილის კოვზი მარილი ერთ ჩაის ჭიქა წყალში გახსნათ და ამ ხსნარით დაიბანოთ სახე და ხელები. თუ გსურთ, არასასურველი ადამიანი პრობლემების გარეშე ჩამოიშოროთ, მარილი და წიწაკა ერთმანეთში კარგად აურიეთ და მის მოსვლამდე შემოსასვლელ კართან დადებული ფეხსაწმენდის ქვეშ მოაბნიეთ. კარს გააღებთ თუ არა, მოსთხოვეთ, ფეხები საწმენდზე კარგად გაიწმინდოს და ისე შემოვიდეს. ამის შემდეგ, საკმარისია, ფეხი შემოდგას თქვენს ბინაში, რომ დისკომფორტს იგრძნობს და, ეცდება, მალევე წავიდეს. გაითვალისწინეთ ეს რჩევები და თქვენს სასარგებლოდ წარმართეთ ცხოვრება, ყოველგვარი გართულებებისა და კონფლიქტების გარეშე. თუ ხვდებით, რომ მეუღლესთან სიტუაცია გეძაბებათ, სანამ სიტუაცია ჩიხში შევა, სასწრაფოდ მიიღეთ ზომები: გამჭვირვალე ჭიქაში ჩაასხით ონკანის წყალი, 2 წვეთი ვაშლის ძმარი, ჩაყარეთ 1 ჩაის კოვზი შაქარი, ჩააგდეთ საქორწინო ბეჭედი და დადგით თქვენი საწოლის ქვეშ. დილით გამოიღეთ ჭიქა, კარგად ამოურიეთ, ამოიღეთ ბეჭედი და ამ წყლით მოუმზადეთ მეუღლეს ჩაი ან ყავა. ასე მოიქეცით კვირაში ორჯერ და, ნახავთ, როგორ დატკბება თქვენი მეუღლე, როგორ დარეგულირდება სიტუაცია თქვენ შორის. ეს რიტუალი აღმოსავლეთიდან იღებს სათავეს. დამეთანხმებით, ძნელია, როცა საყვარელ ადამიანთან სიტუაცია რთულდება, ველარ უგებთ ერთმანეთს და ცდილობთ, მაქსიმალურად შორს დაიჭიროთ მისგან თავი. ეს კი განშორების მიზეზი ხდება. თუ შეგიძლიათ, ამ რიტუალით გააძლიეროთ თქვენს შორის ენერგიული ველი, დაარეგულიროთ სიტუაცია, დაიმკვიდროთ სიმშვიდე და იდილია ოჯახში, ვფიქრობ, ამისთვის ღირს ელემენტარული გამოცდილების გაზიარება.

**ნონა დათეშიძე**

## ასეთი განსხვავებულები

ქალისთვის ნეტარებაა, როცა მაღაზიებში ქმართან ერთად დადის და მშვენიერ, სასურველ ნივთებს ათვალიერებს და, რაც მთავარია – ყიდულობს... მამაკაცისთვის კი ეს ყველაფერი – ჯოჯოხეთია...

ნუთუ მართლა ასეთი განსხვავებულები ვართ? ცოტათი დაუჯერებელია... იქნებ, ეს, უბრალოდ, ჯიბრია, ან – უაზრო პრინციპულობა?

სამწუხაროდ, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს. გამოირკვა, რომ ერთი საათი მაქსიმუმი დროა, რა ხნის განმავლობაშიც ქალსა და მამაკაცს სკანდალის გარეშე, მშვიდად შეუძლიათ, ერთად იარონ მაღაზიებში. შოპინგის საკითხებში აშკარად ვერ ვეთანხმებით ერთმანეთს და ამაში გასაკვირი არაფერია. ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ბევრ სხვა დანარჩენში, კომპრომისებია მოსაძებნი.

ქალების უმრავლესობა საყიდლებზე სიარულით კი არ იღლება, პირიქით, ისვენებს – აი, რა არ ესმით მამაკაცებს და ნურც მოსთხოვთ, გაიგოს, მაინც არაფერი გამოვა ამ საქმიდან, გვარიანი სკანდალის გარდა.

არის მეორე ვარიანტი, როცა კაცი დუმს და მორჩილად დაჰყვება ცოლს მაღაზიიდან მაღაზიაში, მაგრამ, უნდა შეხედოთ მას ამ დროს სახეზე – ისეთი ტანჯვა ექნება აღბეჭდილი, შეგეცოდებათ. რა არის კომპრომისი? – მიიღოთ სიამოვნება არა სხვისი ტანჯვის ხარჯზე, არამედ სრულ ჰარმონიაში საკუთარ თავთან.

არსებობს კიდევ ერთი საშუალება – არ აწყენინოთ მამაკაცს და, საერთოდ, არ გაუქროთ საყიდლებზე სიარულის სურვილის ის მცირე დოზაც კი, რომელიც მას შერჩენილი აქვს: შეიძინეთ რამე მისთვისაც, მაგრამ, არა ის, რაც თქვენ მიგაჩნიათ მისთვის შესაფერისად, არამედ, ზუსტად ის კონკრეტული ნივთი, რომლისკენაც გული გაუწევს.

და, კიდევ ერთიც: როცა ეკითხებით აზრს თქვენთვის შესაძენად განკუთვნილი ნივთის შესახებ, ზოგჯერ მაინც გაითვალისწინეთ ეს აზრი – თუ ერთად ხართ, გადაწყვეტილებაც ერთად მიიღეთ.

## არაკვითარი მიზანთროპია

დღესასწაულებზე ყოველთვის ბევრი საქმეა და ყველაფერი უნდა მოასწრო, მით უმეტეს, როცა აცილებ ძველ წელს და ხვდები ახალს, ყველაფერი ერთად „აკუმულირდება“ და სტრესიც იქვეა ჩასაფრებული... ისე ნუ იზამთ, დღესასწაული წამებად გექცეთ და მთელი შემდგომი პერიოდი „ჭრილობების“ მოშუშებას დასჭირდეს.

რუტინული საქმე და ერთფეროვანი, დაძაბული ყოველდღიურობა ნებისმიერს შეშლის ჭკუიდან. არ არის გასაკვირი, თუ უცებ უკაცრიელ კუნძულზე გაქცევაც მოგინდებათ.

მთავარია, დასაწყისისთვის არ იფიქროთ საქმის მასშტაბურობასა და გრანდიოზულობაზე. წინასწარ თუ „დაიგრუზებით“ და დაღლისთვის განეწყობით, იმაზე მალე გამოხვალთ წყობიდან, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. მიზანთროპიაც სხვა არაფერია.

ზოგჯერ მაინც დაარღვიეთ წესები და შეცვალეთ ყოველდღიურობა უმნიშვნელო წვრილმანით მაინც, სულერთია, ყოფით ურთიერთობასა თუ პირად ცხოვრებაში – ამით არაფერი დაშავდება. მით უმეტეს, თუ ზომიერებას დაიცავთ. ფიზიკური რელაქსაცია აუცილებელია. გამოძებნეთ დრო სასიამოვნო, მშვიდი წუთებისთვის. მათი პოზიტივი ნელ-ნელა აისახება და დაილექება ცნობიერებაში. სტრესის გარეშე ცხოვრება კი, გაცილებით იოლია და გაცილებით ნაყოფიერიც.

## დაივიწყე... ხვალ!

ანუ, ნუღარასოდეს გადადებ საქმეს ხვალისთვის; იფიქრე, რომ მხოლოდ „დღეს“ გაქვს და შენი დრო მკაცრად არის გაწერილი. გაიხსენე, რამდენჯერ გითქვამს საკუთარი თავისთვის, რომ „ხვალ“ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ეს „ხვალ“ კი არასოდეს დგებოდა. ნუთუ გაქვთ იმის ფუფუნება, რომ თავი ამგვარად გაინებივროთ?! მნიშვნელობა არ აქვს გასაკეთებელი საქმის მასშტაბურობას, თუნდაც ეს თმის შეღებვას ეხებოდეს. მთავარია, „ხვალის“ იმედად ყოფნას გადაეჩვიოთ. ბოლოს და ბოლოს, გინდათ თუ არა, წელს მაინც გაგიმართლოთ?! ვერანაირად ვერ იქნება პოზიტიური ცვლილებები, თუკი ამ ცვლილებების „კეთებას“ დღესვე და ახლავე არ შეუდგებით.

თქვენ ხომ არ იცით, როგორ არის მოწყობილი სარეცხი მანქანა, მაგრამ, ხომ დაიმახსოვრეთ, რომელ ღილაკს დააჭიროთ თითი, რათა მან თქვენთვის სასარგებლო სამუშაო შეასრულოს?! ზუსტად ასეა ოცნებებთან და მიზნებთან მიმართებაშიც – მთავარია, მიხვდე, რომელ ღილაკს დააჭირო თითი და „მანქანა ამუშავდება“, თანაც, ზუსტად ისე, როგორც ეს თავად გსურთ. სხვათა შორის, ფსიქოლოგები დაგვიდასტურებენ, რომ ყოველი გადადებული საქმე ძალიან დიდ ენერგიას გვართმევს, ანუ, ზუსტად ისე „წოვს“ ენერგიას, როგორც კომპიუტერი მოლოდინის რეჟიმში. ნუ მოიქცევით ისე, რომ კიდევ ერთი წელი გავიდეს ცვლილებების მოლოდინში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის ძალიან მალე გავა. წამზომი ჩართულია... დაიწყეთ დღესვე და დაივიწყეთ „ხვალ“!

## მე და... ისევ მე

ბრწყინვალე კარიერა, შესანიშნავი პერსპექტივები, თითქმის ყველაფერი, რაც შეიძლება ადამიანმა ინატროს, მაგრამ, ბედნიერება – ჩვეულებრივი და ადამიანური – არსად ჩანს... ქალი დამოუკიდებელია, წარმატებული... გადაწყვეტილებებს თავად იღებს და ეს მოსწონს კიდეც... ნებისმიერ პრობლემას სხვების დაუხმარებლად აგვარებს და, ერთი შეხედვით, საერთოდ არ სჭირდება ძლიერი მხარი, რომ მას დაეყრდნოს... რა ხდება სინამდვილეში, ნუთუ მართლა არსებობენ ქალები, რომლებსაც პარტნიორად საკუთარი „მე“ ჰყავთ და ეს სრულიად აკმაყოფილებთ?! არა! შეიძლება, ასეთი ქალები ხმამაღლა არ უჩივიან მარტოობას, მაგრამ, გულის სიღრმეში ძალიან აწუხებთ საკუთარი სიძლიერე, რომელმაც ისინი მარტოსულობამდე მიიყვანა და ძალიან ჰბეზრდებათ თითქოსდა შესაქები ფრაზები: „ის ძლიერია“, „ის გაუძლებს“, „მისთვის ეს არაფერია“, „მარტოც კარგად გაართმევს თავს ყველაფერს!“..

მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ ძლიერი და პრინციპული ქალები ეგოისტები არიან და, ამიტომ, მათთან სერიოზულ, ხანგრძლივ ურთიერთობას ერიდებიან. თუმცა, თუ კაცი ჭკვიანია და შორსმჭვრეტელი, ის არაჩვეულებრივად დაინახავს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ასეთი ქალის პარტნიორად ყოლას. რა თქმა უნდა, წარმატებული ქალის გვერდით მამაკაციც წარმატებულია. მთავარია, უარი თქვას თავის ამბიციებზე და იყოს ძლიერი. რაც შეეხება ქალს, რომელიც მხოლოდ თავს იტყუებს იმით, რომ ფიქრობს, მარტოც შეძლებს, იყოს ბედნიერი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაუჩნდება მოთხოვნილება, მის ცხოვრებაში „მეს“ გარდა „შენც“ გამოჩნდეს.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# მაკოლეი კალკინი – ყველა დროის ყველაზე ცნობილი ბავშვი მსახიობი

***საახალწლო დღეებში თითქმის ყველა ქართულ სატელევიზიო არხზე შესაძლებელია ამ მსახიობის მონაწილეობით გადაღებული ორი ფილმის ნახვა. საუბარია ლეგენდარულ კომედიურ დილოგიაზე – „მარტო სახლში", სადაც მთავარ როლს თანამედროვე კინემატოგრაფიის ყველაზე ცნობილი ბავშვი მსახიობი და ყველაზე დიდი იმედგაცრუება – მაკოლეი კალკინი ასრულებს.***

მაკოლეი კალკინი დაიბადა 1980 წლის 26 აგვისტოს ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, ქვედა ისტსაიდის რაიონში, ბროდვეის ყოფილი მსახიობის – კიტ კალკინისა და პატრიცია ბრენტრაპის ოჯახში. კიტისა და პატრიციას შვიდი შვილიდან მაკოლეი მესამე იყო. მას ჰყავს ოთხი ძმა: შეინი, კირანი, კრისტიანი და რორი, და ერთი და – კუინესა. 2008 წელს მაკოლეის უფროსი და, დაკოტა, ავარიაში დაიღუპა. მაკოლეის ახლო ნათესავია (მამის მხრიდან) ცნობილი მსახიობი ბონი ბედელია, რომელიც „კერკეტ კაკალში" ბრიუს უილისის გმირის მეუღლის როლით არის განთქმული. მაკოლეის დაბადების მომენტში, კალკინების ოჯახს ფინანსური პრობლემები ჰქონდა. მამა, კიტი, ადგილობრივ კათოლიკურ ეპარქიაში ტაძრის მომვლელად მსახურობდა, დედა კი ტელეფონისტად მუშაობდა. ოჯახი პატარა ბინაში ცხოვრობდა. მაკოლეი კათოლიკური ადათ-წესებით იზრდებოდა და ხუთი წლის განმავლობაში წმიდა იოსების კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა, სანამ მსახიობობით გამოწვეული მოუცლელობის გამო სპეცსკოლაში არ გადავიდა. მცირე პერიოდი მაკოლეი ბალეტითა და ცეკვებით იყო დაკავებული.



მაკოლეი კალკინის სამსახიობო დებიუტი შედგა 4 წლის ასაკში, ნიუ-იორკის ფილარმონიის სცენაზე სპექტაკლში – „ბეჩ ბეიბის", 1985 წელს კი მაკოლეის ნახვა უკვე ეკრანზე გახდა შესაძლებელი ფილმში „შუაღამის საათი", სადაც მან ეპიზოდური როლი შეასრულა, მაგრამ ტიტრებში არ იყო ნახსენები. მოგვიანებით მაკოლეი კალკინმა კიდევ რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილ ფილმში ითამაშა, მათ შორის „იაკობის კიბე", „ბიძია ბაკი" და „დილით გინახულებთ". ცნობისთვის, „ბიძია ბაკში" მაკოლეიმ პირველად შეასრულა მთავარი როლი და იგი მთელმა ამერიკამ გაიცნო. 1990 წელს კი კინოეკრანებზე „მარტო სახლში" გამოვიდა, ფილმი, რომელმაც კალკინი მსოფლიოს ნომერ პირველ ბავშვ მსახიობად აქცია და კინოგაქირავების პირველ ექვს თვეში 500 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა პროდიუსერებს. მაკოლეის ჰონორარი ფილმისთვის ასი ათას დოლარს შეადგენდა; გარდა ამისა, იგი იმ წლის საუკეთესო კომედიურ მსახიობად დასახელდა და „წლის ბავშვის" პრემიის მფლობელი გახდა. ამასთან, მაკოლეი განაგრძობდა თამაშს სპექტაკლებში და ამ სპექტაკლების ბილეთები რამდენიმე თვით ადრე იყიდებოდა, იმდენად დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი მის სახელთან დაკავშირებით. 1992 წელს გამოვიდა „მარტო სახლში: ნიუ-იორკში დაკარგული" და ამ ფილმმა კალკინის პოპულარობის ნიშნული კიდევ უფრო გაზარდა. ბლოკბასტერის მეორე ნაწილისთვის კალკინმა 12 წლის ბავშვისთვის უპრეცედენტო ჰონორარი – 8 მილიონი დოლარი მიიღო. იმ პერიოდში მისი მენეჯერი იყო მამამისი – კიტ კალკინი და სწორედ მის სახელს უკავშირებენ მაკოლეი კალკინის სამსახიობო კარიერის დანგრევას. კიტ კალკინს ფინანსური დაინტერესება უფრო ჰქონდა, ვიდრე შვილის შემოქმედების განვითარება. მაკოლეი ფილმებში თამაშობდა, კიტი კი ფულის თვლით იყო დაკავებული. იმ პერიოდში კიტ კალკინი ჰოლივუდში ერთ-ერთ გავლენიან ადამიანად ითვლებოდა. მას თეთრ სახლში მასპინძლობდნენ და იგი პირადად იცნობდა ამერიკის იმდროინდელ პრეზიდენტს – ბილ კლინტონს. გარდა მაკოლეის კინოკარიერისა, კიტი თავისი სხვა შვილების პრომოუტერობითაც იყო დაკავებული. მაკოლეისთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, კინოკომპანიები ვალდებულნი იყვნენ, მისი და-ძმები დაესაქმებინათ ფილმებში და სოლიდური ჰონორარიც გადაეხადათ, ამგვარად, მაკოლეი კალკინის ფილმებში თამაშობდნენ მისი ძმები – კირანი და რორი და და – კუინესა. 1992 წლისთვის მაკოლეის მიტოვებული ჰქონდა თეატრი და იგი მთლიანად იყო გადართული კინოკარიერაზე, თუმცა, „მარტო სახლის" მეორე სერიის შემდგომ მის კარიერას დაღმასვლა დაეტყო. „მდიდარი რიჩი" და „ფურცლების მბრძანებელი" – უკანასკნელი ფილმებია, სადაც მაკოლეი კალკინმა ბავშვების როლები შეასრულა. ამ ფილმებისთვის მამამისმა სოლიდური ანაზღაურება მიიღო, თავად მაკოლეი კი „წარმატებული ბავშვი მსახიობიდან" „წლის ყველაზე ცუდ მსახიობად" და „ოსკარის" ანტი-ჯილდოს – „ოქროს ჟოლოს" მფლობელად იქცა. მაკოლეის კარიერის დამანგრეველად მამამისი დასახელდა, რომელსაც ფულის გარდა არაფერი აინტერესებდა. 1995 წელს კიტ კალკინი და პატრიცია ბრენტრაპი დაშორდნენ. მაკოლეის დედას ფსიქიკური აშლილობა ახასიათებდა და მათ ოჯახში ხშირი იყო სკანდალები და კონფლიქტები. მეზობლების თქმით, კიტი და პატრიცია ალკოჰოლის ხშირი მომხმარებლებიც იყვნენ. ცნობილია, რომ ოჯახიდან წასვლამდე პატრიციამ მაკოლეის პირობა დაადებინა, რომ აღარ ითამაშებდა კინოში ბავშვების როლებს. ეს პირობა მაკოლეიმ შეასრულა და ეკრანზე მხოლოდ 2003 წელს დაბრუნდა, როდესაც „კლუბურ მანიაში" ჰომოსექსუალის, ნარკომანისა და მკვლელის – მაიკლ ელიგის როლი ითამაშა, ფილმი ნაკლებად წარმატებული იყო, თუმცა ის ბევრმა ადამიანმა ნახა, რადგან, კალკინის დაბრუნება დიდ ეკრანზე მოვლენად დასახელდა მსოფლიო კინოში. იმ მომენტისთვის მაკოლეი კალკინი უკვე გაშორებული იყო რეიჩელ მაინერთან, რომელიც 17 წლის ასაკში შეირთო ცოლად. ისინი 1998 წელს დაქორწინდნენ და მათი ოჯახური ცხოვრება მხოლოდ ორ წელს გაგრძელდა. ამბობენ, რომ მაკოლეის უკვე მაშინ ჰქონდა მიდრეკილება ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისადმი და ამან განაპირობა, რომ რეიჩელმა ის მიატოვა. 2002 წლიდან მაკოლეი ამჟამად ჰოლივუდის სექს-სიმბოლოდ აღიარებულ, უკრაინული წარმოშობის ვარსკვლავს, მილა კუნისს ხვდებოდა, რომელთანაც რომანი 2010 წლამდე გაგრძელდა. ამჟამად მაკოლეი და მილა საუკეთესო მეგობრებად ითვლებიან და გამორიცხავენ, რომ მათ შორის რაიმე სახის რომანტიკული კავშირი აღდგება. ჯერჯერობით უკანასკნელი ფილმი, რომლის ტიტრებში მაკოლეი კალკინიც ფიგურირებს, 2007 წლით თარიღდება, ეს არის კომედია „სექსი და საუზმე"; მას შემდეგ მაკოლეის ნახვა ადამ გრინის სამოყვარულო კამერით გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში – „სხვისი ფერარი" იყო შესაძლებელი.



სულ ბოლო ცნობა კი, რომელიც მაკოლეი კალკინს უკავშირდება, მის შესაძლო თვითმკვლელობას ეხება. ამერიკული მასმედიის ცნობით, კალკინმა ნარკოტიკული საშუალების ზედმეტი დოზის მიღებით სცადა თვითმკვლელობა, თუმცა, დროულად მოსულმა სასწრაფო დახმარებამ მას შესაბამისი პროცედურები ჩაუტარა და მსახიობი კომატოზური მდგომარეობიდან გამოიყვანა. საგულისხმოა, რომ კალკინის წარმომადგენლების თქმით ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს და მსახიობი ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება.



***აქვე გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს მაკოლეი კალკინის ცხოვრებიდან:***

* მაკოლეი კალკინი და ელიზაბეთ ტეილორი მაიკლ ჯექსონის შვილების ნათლიები არიან.

* მაკოლეი კალკინს „ტიტანიკში" მთავარი როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ, ჯეკ დოუსონის როლზე საბოლოოდ, ლეონარდო დიკაპრიო დაამტკიცეს.

* მაკოლეი კალკინი რამდენჯერმე დააკავა პოლიციამ მარიხუანისა და კოკაინის შენახვა-მოხმარებისთვის, თუმცა, არ დაუპატიმრებია და ყოველი დაკავების შემდეგ, ჯარიმების გადახდისთანავე ათავისუფლებდა.

* „მარტო სახლის" სცენარი სპეციალურად მაკოლეი კალკინისთვის დაიწერა, თუმცა, მთავარმა რეჟისორმა კრის კოლამბუსმა მაინც გადაწყვიტა, ჩაეტარებინა ქასთინგი, რათა დარწმუნებულიყო, რომ მაკოლეიზე უკეთესი კანდიდატი კევინ მაკალისტერის როლზე არ არსებობდა.

* მაკოლეი კალკინის საყვარელი კომპიუტერული თამაშია „უორლდ ოფ ვორკრაფტი".

* მაკოლეი კალკინი მაიკლ ჯექსონთან მეგობრობდა. როდესაც პოპის მეფეს არასრულწლოვნების გაუპატიურებაში ედებოდა ბრალი, მაკოლეი სასამართლოში ჯექსონის დასაცავად სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა მის სახლში და არანაირი სექსუალური ძალადობა მაიკლის მხრიდან არ ყოფილა. მან ნამდვილ მეგობრად და ბრწყინვალე მამად დაახასიათა მაიკლ ჯექსონი.

**უშანგი რუხაძე**

**თბილისში მომრავლებული კერძო სკოლები მშობელს აბნევს. ყველა ცდილობს, შვილისთვის საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულება შეარჩიოს ყველა იმ პრიორიტეტით, რასაც საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს ბაღებისა და სკოლებისთვის. ჩვენს დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ ერთ-ერთს, ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლას – „ფესვებს", რომელიც სრულად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. აქ ბავშვები ძალიან თბილ გარემოში იღებენ განათლებას და კარგად სწავლობენ, რაც სკოლის დამფუძნებლისა და დირექტორის, ქალბატონ მანანა გვირჯიშვილის დამსახურებაა.**

# სკოლა „ფესვები" – ცოდნისა და ნდობის მაღალი ხარისხი

**– ქალბატონო მანანა, როდის გაჩნდა ამ სკოლის შექმნის იდეა და როგორ დაიწყეთ მისი განხორციელება?**

– სკოლის შექმნის იდეა ძალიან დიდი ხნის წინ გაჩნდა – 90-იან წლებში, როცა არაფერი აღარ ფუნქციონირებდა საქართველოში და იყო ძალიან მძიმე სიტუაცია. ბავშვები, ფაქტობრივად, სკოლაში არ დადიოდნენ. მაშინ თბილისში სულ ორი-სამი კერძო სკოლა არსებობდა. განათლებით ფილოლოგი გახლავარ და მოსწავლეები მყავდა აყვანილი, გახანგრძლივებული ჯგუფები მქონდა გახსნილი სახლში, პარალელურად 186-ე სკოლაში ვმუშაობდი. შეიძლება ითქვას, დიდი დილმის აშენების დღიდან, პირველი მასწავლებლები, რომლებიც დავინიშნეთ ამ სკოლაში, მე და ჩემი უახლოესი მეგობარი ნანა გვილავა ვართ. ეს აზრი გავუზიარე ოჯახს, ჩემს დეიდაშვილს და ძალიან მოეწონათ. მშობლების გარკვეულ ნაწილსაც უნდოდა, რომ ბოლომდე ჩვენთან ყოფილიყვნენ მათი ბავშვები. ასეთმა თანადგომამ გადამაწყვეტინა სკოლის გაკეთება, მაგრამ, ეს უნდა ყოფილიყო საოჯახო ტიპის სკოლა. მივედი განათლების სამინისტროში და გავუზიარე ჩემი გეგმა. იქ მითხრეს, ეს ყველაფერი დებულებად ჩამოაყალიბეთო. ჩამოვაყალიბე, მივიტანე, ვაჩვენე, მომიწონეს და შეიქმნა კომისია. როდესაც გავედი კომისიაზე, მითხრეს – საოჯახო ტიპის სკოლა კარგია, მაგრამ, ოჯახის წევრები არ უნდა ცხოვრობდნენ იმ სახლშიო. დავიწყე ფართის ძებნა. ჩემს სახლთან ახლოს იყო საბავშვო ბაღი. მივედი და ბაღის გამგეს ვთხოვე, რომ ფართი მოექირავებინა. მოკლედ, ვიქირავეთ. ჩვენთან ერთი ახალგაზრდა პოეტი და მხატვარია, პაატა მოისწრაფაშვილი. ვთხოვე, სკოლას ვხსნით და უნდა დამეხმარომეთქი. მან კედლები მოხატა, ჩემმა დეიდაშვილმა სადურგლო საქმეები აიღო თავის თავზე, ზოგმა რა გააკეთა, ზოგმა – რა. 1995 წლის აპრილში უკვე ხელმეორედ გავედი ამ კომისიაზე და დაწყებითი სკოლის ლიცენზია ავიღე. როდესაც დავინახე, რომ ბავშვებს სხვაგან წასვლა არ უნდოდათ და მშობლებმაც მოითხოვეს სკოლის გაზრდა, ავიღე ცხრა კლასის ლი-



ცენზია. ცხრაკლასდამთავრებულებს ცოდნის ისეთი კარგი ბაზა ჰქონდათ, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ, საშუალო სკოლა გაგვეკეთებინა. დავიწყე ამისთვის ბრძოლა, ჩემი დებულებაც მეტად დაიხვეწა და 1999 წელს უკვე საშუალო სკოლა მქონდა. თავიდან 200 ბავშვი იყო, მეტი ვერც ეტეოდა. სულ იყო იმის პრობლემა, რომ ბავშვები მოდიოდნენ, მაგრამ, ვერ ვიღებდით. შემდეგ შევიძინეთ ეს, 186-ე საჯარო სკოლის შენობა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი „თიბისი ბანკს", რომელიც გვერდში დამიდგა.

**– როდესაც მშობელი აკეთებს არჩევანს ამა თუ იმ სკოლაზე, მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის არა მხოლოდ მაღალკვალიფიციურობას, არამედ, მის ურთიერთობას ბავშვებთან. ამ მხრივ როგორი სიტუაციაა თქვენთან?**



– გეთანხმებით. მე ვფიქრობ, რომ მასწავლებლის შერჩევისას არა მხოლოდ ცოდნაა გადამწყვეტი, არამედ მისი ურთიერთობა მოსწავლეების მიმართ, პიროვნული თვისებები. შეიძლება, პედაგოგი თავისი საქმის ძალიან კარგი სპეციალისტი იყოს, მაგრამ, მისი პიროვნული თვისებები ვერ შეეწყოს მოსწავლისას. ჩვენ მართლაც საუკეთესო მასწავლებლები შევარჩიეთ.

**– ბევრი ბავშვისგან მსმენია, რომ მასწავლებელი არ მოსწონს, რადგან, მან ვერ დააინტერესა თავისი საგნით...**

– მასწავლებელი არა მხოლოდ სწავლაზე, არამედ, მოსწავლესთან უნდა იყოს ორიენტირებული, უნდა იმუშაოს იმაზე, რომ საგანი დააინტერესოს. ჩვენთან მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა მეგობრულია და ეს გრძელდება სკოლის გარეთაც. სკოლაში უფრო მეტ დროს ატარებს ბავშვი, ვიდრე სახლში, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობლიური გარემოს შექმნა. მასწავლებელმა ბავშვებს ერთმანეთის მიმართ სიყვარული, პატივისცემა უნდა ასწავლოს. ბავშვი, რომ ეკლესიურად გაიზრდება, წირვა-ლოცვას დაესწრება, აღსარებას ჩააბარებს, არ შეიძლება რამე ცუდი გააკეთოს.

**– რა არის თქვენი პრიორიტეტები, რის გამოც უნდა მოიყვანოს მშობელმა ბავშვი ამ სკოლაში?**

– პრიორიტეტები, უპირველესად, არის ის, რაც უკვე ვთქვი: ოჯახური გარემო, ურთიერთობები და კარგი ცოდნა. სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება უცხო ენა, პრიორიტეტულია საბუნებისმეტყველო საგნები. მოგეხსენებათ, ყველგან ისწავლება ინგლისური – დღეს ამის პრობლემა არ არის, თუმცა, სანამ სკოლებში შემოვიდოდა ინგლისური ენის სწავლება დაწყებითი კლასებიდან, ჩვენ მანამდე ვასწავლიდით პირველი კლასიდან ზეპირი მეტყველებით, მაგრამ, ვფიქრობ, უცხო ენა მაშინ არ უნდა ასწავლო ბავშვს, როდესაც ის თავისი მშობლიური ენის შესწავლას იწყებს. ჯერ თავისი უნდა დაამთავროს და მერე დაიწყოს სხვა ენის ანბანი. ჩვენთან მოგვარებულია უსაფრთხოების პრობლემაც, გვყავს დაცვის სამსახური; გარდა ამისა, აბსოლუტურად ყველა სართულზე – საკლასო ოთახებში, დერეფანში, შემოსასვლელში დამონტაჟებულია ვიდეოთვალი. ჩემი აზრით, მანდატური დაცვის სამსახური არ არის, ამიტომ, როგორც სკოლის დირექტორს, ბავშვების უსაფრთხოების თვალსაზრისით, მირჩევნია, ჩემი საკუთარი დაცვის სამსახური მყავდეს. დღის მეორე ნახევარში მათემატიკის შაბათის სკოლა მუშაობს ძალიან წარმატებულად, გვაქვს ხალხური სიმღერების, საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი და ინგლისურენოვანი თეატრალური სტუდიები, ვატარებთ ხელოვნების, ხრიდოლის გაკვეთილებს; ისწავლება სალმრთო სჯული; გვაქვს სამკურნალო ფიზკულტურის გაკვეთილებიც. სკოლა არის გახანგრძლივებული ტიპის (პირველი ექვსი კლასისი ჩათვლით) და შედის ერთჯერადი კვება. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და ბავშვებს ემსახურება მაღალკვალიფიციური ექიმი. მომავალში კი ვაპირებთ პატარა პოლიკლინიკა გავხსნათ ბავშვებისთვის. ფასიც ვფიქრობ ხელმისაწვდომია. სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს ბაგა-ბაღი. გარდა ამისა, ბავშვები ცურვაზე დაგვყავს დილმის მასივში – ხელშეკრულება გვაქვს დადებული ოლიმპიური რეზერვების საცურაო კომპლექსთან. ჩვენს სკოლაში სწავლობენ 186-ე საჯარო სკოლის ბავშვებიც, რომლებსაც სკოლის დამთავრებამდე მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსებით მოვემსახურებით. შარშან განათლების სამინისტრომ განგვისაზღვრა, რომ გარკვეული ქულებით უნდა მიგველო სოციალურად დაუცველი ბავშვები და, როგორც განგისაზღვრავს სამინისტრო, ისე უნდა მოიქცე. შეიძლება, გაისად უფასო სექტორზე 30-მდე ბავშვით დაკომპლექტდეს კლასი, მაგრამ წელს ეს ვალდებულება არ გვაქვს.

**ეკა პატარაია**

*მისამართი: დიდი დიღომი, მეორე მ\რ; დიმიტრი თავდადებულის ქუჩა №6; ტელეფონები: 253-57-45; 253-25-14.*

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

3-4-5 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი** 15.00 - **„პატარა უფლისწული"** პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი გიორგი თოდაძე; ***ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;***

5 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„შეშლილი სამყარო"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნინო ლიპარტიანი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 15წთ.;***

6 იანვარი, **კვირა** 19.45 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი - რობერტ სტურუა. ***ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.***

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

3-4-5-6 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 13.00 - **„სევილიელი დალაქი"** პრემიერა - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი; ***ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;***

3 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„უფროსი ვაჟი"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

4 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი, ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

5 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„გუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

5-6 იანვარი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„თოვლის დედოფალი"** პრემიერა - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი; ***ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;***

6 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი; ***ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;***

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21.**

2-3-4, 6 იანვარი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი, კვირა** 12.00 - **„ახალი წელი პეპისთან ერთად"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), მონაწილეობს თავისუფალი თეატრის დასი; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

5 იანვარი, **შაბათი** 12.00 - **„ბრემენელი მუსიკოსები"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა; ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.***

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

3-4-5-6 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 12.00, 14.00 - **„შრეკი დროში გააქრე"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), წარმოდგენა ბავშვებისთვის; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

2-3-4-5-6 იანვარი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 14.00 - **„საშობაო სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), სპექტაკლი შექმნილია ცნობილი ზღაპრების მიხედვით. ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.;***

**ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი**
**აღმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

3-4-5-6 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„იყო და არა იყო რა ანუ საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;***

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

2 იანვარი, **ოთხშაბათი** 12.00, 14.00, 16.00 - **„ალისფერი იალქნები"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი - ვახტანგ ნიკოლავა; ***ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;***

3-4 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00, 15.00 - **„12 თვე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი - ვახტანგ ნიკოლავა; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

5-6 იანვარი, **შაბათი-კვირა** 12.00, 14.00, 16.00 - **„მოროზკო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი - ლინდა უბრონავიჩუტე; ***ხანგრძლივობა 1სთ.;***

**პანტომიმის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 299-63-14.**

1-2-3-4-5-6 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 13.00 - 19.00 - **საახალწლო ნაძვის ხე** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი); ***ხანგრძლივობა 1სთ.;***

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**31 დეკემბერი – 6 იანვარი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

22.00 - **„ჰობიტი"** 3D; *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„კაცების კინო"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

12.30, 14.40, 17.00, 19.30, 22.00 - **„თვაილაითი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;*

*დარბაზი 4*

12.30 - **„სიზმრების მცველები"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

14.30, 16.30, 18.20, 20.20 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

22.30 - **„რა ვიცით სიყვარულზე"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 15.15, 18.30 - **„ჰობიტი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

22.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.15, 14.10, 16.15, 18.15, 20.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

22.15 - **„ჰობიტი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.15, 15.30, 18.45 - **„ჰობიტი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

22.30 - **„კაცების კინო"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00 - **„სიზმრების მცველები"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

18.00, 20.00 - **„თვაილაითი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;*

22.00 - **„პოკერი სიყვარულის წესებით"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

(ბილეთის ფასი: 5 - 8 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 31 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00**, **10.00**, **11.30**, **12.00**, **13.30**, **14.00**, **15.30**, **16.00**, **19.00**, **19.30**, **20.00** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** დ/ფილმი: "სანტა კლაუსი" **17.00** "სპიკერი" (გ/ჩ) **18.00** "ეტალონი" **19.05** "პეპე და მეგობრები" **21.00** ქარ. ტ/ფ "**კოჯრის ტყის სიზმრები**" **22.00** მუსიკალური კოლაჟი **23.00** ცენტრალური საახალწლო პროგრამა **01.30** მხ/ფ "**სასაცილო გოგონა**" ბ.სტრეიზანდი) **04.00** კონცერტი: ფრი ჰოლ ნეგრო **06.00** მხ/ფ "**თქვენთვის წერილია**" თ.ჰენქსი).

**08.00** ან.ფ. "სალადინი" მე–**3**" **4** სერ. **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. "სამსონი და ნეონი" **10.00** სერ."**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "**ყინული**" **4** სერ. **14.45** სერ. "**თვალი არ მომაცილო**" **15.50** სერ. "**მოჯადოებული**".
**7.40** სერ. "**მეწამული ცა**" **19.05**, **20.30** ცეკვავენ ვარსკვლავები (ფინალი) **22.00**, **00.00** ღამის შოუ (საახალწლო) **23.45** "საახალწლო მილოცვა" **00.40** "იუმორინა – **2012**" **02.20** ქ.მხ/ფ "**უდიპლომო სასიძო**" **03.55** მხ/ფ "**რეალური სიყვარული**" (ლ.ნისონი) **05.45** მხ/ფ "**საშობაო ამბავი**" (ს.სარანდონი) **07.20** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ქალის მსხვერპლი**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი** **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** "შუა დღე" **15.30** ქ. მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **18.30** საქართველოს ვარსკვლავი. (პირდაპ.) **23.00** სპექტაკლი "**ვერის უბნის მელოდიები**" პრემიერა **01.00** მხ/ფ "LOVE ACTUALLY". **03.00** ქ.მხ/ფ "**რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 1**" **05.00** მხ/ფ "**მზიანი ველის სერენადა**" **07.00** მხ/ფ.

**07.00**, **02.35**, **04.55**, **06.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30**, **08.20**, **10.30**, **11.20**, **12.30**, **13.30**, **15.40**, **16.35**, **17.10**, **18.40**, **04.35**, **05.30**, **06.35** უცხოეთის ამბები **07.55**, **10.55**, **11.55**, **12.55**, **13.55**, **14.55**, **16.55**, **18.55**, **06.55** უკომენტაროდ, ამინდი **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00** ახალი ამბები **08.30**, **09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05**, **00.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.10**, **01.40** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00**, **01.20** "ყოველდღიური აბები" **22.20**, **03.10** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **02.00** "დრო" **09.00** დოკ/ფ (გან.) **10.00** სერ. "**ნენსი დრიუ**" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.40** სერ. "**სენიორა პრეზიდენტი**" (გან.) **12.40** სერ. (გან.) **13.50** "**1 000** წვრილმანი" (გან) **15.00** სერ. "**ნენსი დრიუ**" **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00**, **19.35** ქარ. მხ/ფ **19.30** ანონსი **21.10** შობა ვენაში - კონცერტი **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.00** "ახალი წლის ღამე" **02.00** კონცერტი.

**06.00**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **07.05** მხ/ფ "**ბელურების გადაფრენა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00**, **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.05**, **18.55**, **21.55**, **00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" **13.30** კონცერტი-ანს. "მძლევარი" **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "**ჯერ დაიხოცნენ,მერე იქორწინეს**" **18.05** მრავალჟამიერი-თამადა **18.40** ძველი ჰანგები **18.55** ისტორიის დღიური **19.00** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ფოტოგალერეა **21.20** მოკ/ფ "**კუჩხი ბედინერი**" **22.00**, **00.10** სიახლენი **22.25** დოკ/ფ "საახალწლო ჩვეულებანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ"ქორწილი","ქოლგა" **00.35** საახალწლო კონცერტი **00.00** გილოცავთ ახალ წელს **00.20** საახალწლო კონცერტი **01.20** მხ/ფ "**ყვავილი თოვლზე**" **02.30** კონცერტი - ანდრე რიე.

## სამშაბათი 1 იანვარი

**08.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი I ნაწ. **09.00** საბ. ან/ფ "საშობაო სიმღერა" **10.20** მხ/ფ "**დენისი შობის მწვალებელი**" **12.00** "პეპეს საახალწლო შოუ" **13.00** ქარ. მხ/ფ "**ყვავილი თოვლზე**" **14.15** **2013** წლის ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (პ/ტრ) **17.00** ნაწყვეტები სპექტაკლებიდან (შერაზადე) **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.00** ქარ. მხ/ფ "**შერეკილები**" **20.20** თეატრალური კვარტეტი და მეგობრები **21.40** მხ/ფ "**თმის ლაქი**" (ჯ.თრავოლტა) **23.40** "ჩიკო და ჯიფსი" **00.50** მხ/ფ "**სიყვარულის ამბავი**" (უ.ბითი) **02.40** კონცერტი – სელინ დიონი **04.20** მხ/ფ "**ტკბილი ნოემბერი**" (შ.ტერონი) **06.20** კონცერტი: ჯონ ბონ ჯოვი.

**09.00** მხ/ფ "**სახლში მარტო დარჩენილი**" **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ (საახალწლო) **12.00** ქ.მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **14.20** "იუმორინა – **2012**" (გ/ჩ.) **17.40**, **19.05** ქ.მხ/ფ "**ყველაფერი კარგად იქნება**" **20.30** რომ გადახვალ" გააჩერე **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (საახალწლო) **23.00** კონცერტი: "თემურ თათარაშვილი" **01.00** ქ.მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **02.30** მხ/ფ "**რა სურთ ქალებს**" (მ.ტომეი) **04.35** მხ/ფ "**ქორწილის ორგანიზატორი**" (მ.მაკკონეჰი) **06.15** მუსიკა.

**09.00** ან/ფ "ნემოს ძიებაში" **11.00** ქ.მხ/ფ "**შერეკილები**" **13.00** ქ.მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **15.00** კომედის საახალწლო კონცერტი **2011** **17.00** ქ.მხ/ფ **19.00** ქ.მხ/ფ "**მიმინო**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ქ.მხ/ფ "**პოკერი სიყვარულის წესებით**" პრემიერა **23.00** რა? სად? როდის? **01.00** მხ/ფ "**რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2**" **03.00**, **05.00**, **07.00** მხ/ფ.

**07.00**, **02.10**, **04.50**, **05.50** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.35**, **08.20**, **10.30**, **11.20**, **12.30**, **13.30**, **15.40**, **16.30**, **17.10**, **18.40**, **03.55**, **05.25**, **06.25** უცხოეთის ამბები **07.55**, **10.55**, **11.55**, **12.55**, **13.55**, **14.55**, **16.55**, **17.55**, **18.55**, **06.45** უკომენტაროდ, ამინდი **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00** ახალი ამბები **08.30**, **09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **11.30**, **22.00**, **01.50** "ყოველდღიური აბები" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05**, **00.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30**, **00.50** თოქ–შოუ - "კვირის არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20**, **02.45** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30** მუსიკა **09.40** ანიმაცია **10.40** სერ. "**ნენსი დრიუ**" **11.15** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **12.15** სერ. "**ფიფქია**" **13.15** ქარ. მხ/ფ (გან.) **14.30** "ერთი დღე სოფელში" **15.00** სერ. "**ნენსი დრიუ**" **16.00** "მუსიკალური საღამოები" (გან) **16.30** "დროის ვექტორი" **17.00** ცირკი "ფენიქსი" **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00** ქარ. მხ/ფ **20.30** საინფორმაციო გამოშვება "დრო" **21.00** კონცერტი "შადე" **23.00** "ის რაც ყველაზე მეტად გვენატრება" **01.00** "მუსიკალური საღამოები" **02.00** მხ/ფ "**ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი**".

**06.00**, **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** მულტფილმი **07.25** მოკ/ფ "**წითელი ბუშტი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** ტელ/ფ "კოჯრის ტყის სიზმრები" **09.05** მხ/ფ "**ყვავილი თოვლზე**" **10.15** სიახლენი **10.40** დოკ/ფ "პატრიარქი ლოცავს საქართველოს" **11.40** დოკ/ფ "ჩიჩილაკი" **12.05** ამინდი **12.10**, **18.55**, **00.05** ისტორიის დღიური **12.15** მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **13.25** კონცერტი-ბასტი-ბუბუ **14.50** ფოტოგალერეა **15.05** მხ/ფ "**რეკორდი**" **16.05** კონცერტი-ვენის სიმფონიური მუსიკის ორკესტრი **17.50** ფოტოგალერეა **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** ძველი ჰანგები **18.25** მოკ/ფ "**სათადარიგო ბორბალი**" **18.50** ფოტოგალერეა **19.00** ტელეზღაპარი "**12** თვე" **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.25** ფოტოგალერეა **21.30** მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მგზავრები წუთისოფლისა **00.10** კონცერტი - ადრიანო ჩელენტანო (**2012**) **02.00** კონცერტი - ანდრე რიე.

გაგრძელება 44-ე გვერდზე

**მას შემდეგ, რაც თამთა შედანია „მის საქართველო“ გახდა, ის იმყოფებოდა კონკურსზე „მის სამყარო“, სადაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალურად და ძალიან წარმატებულად წარმოაჩინა საკუთარი თავი, შესაძლებლობები, რაშიც მას რამდენიმეწლიანი წარმატებული სამოდელო გამოცდილება დაეხმარა.**

# რატომ ვერ მოხვდა თამთა შედანია „მის უნივერსზე“ ტოპ-16-ში და რაში ადანაშაულებს ის ია კიწმარიშვილს

**თამთა შედანია**: პირველი მიზეზი, რატომაც ვერ მივაღწიე სერიოზულ წარმატებას, იყო პოლიტიკური საკითხი, რომელიც ყველაფერს განაპირობებდა; მეორე – იას შეეძლო, ჩემთვის ბევრი რამ გაეკეთებინა, მაგრამ, არ გააკეთა. მე რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, სცენაზე სიარულით დაწყებული – კაბით დამთავრებული. დირექტორები, რომლებიც ჩამოსულები იყვნენ სხვა ქვეყნებიდან, სადაც ატარებენ სილამაზის კონკურსებს, უზრუნველყოფდნენ თავიანთი „მისების“ ბილეთებს, კაბებს, ყოველდღიურ ჩასაცმელსა და პატარა წვრილმანებსაც კი. კარგი ურთიერთობა მქონდა გოგონებთან და, როდესაც მათ ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი ჩემით გავაკეთე, პირდაღებულები მიყურებდნენ. ჩემი ფინანსებით ვიყიდე ბილეთი, კაბა... ია კიწმარიშვილი თანახმა იყო, რომ „მარიონელას“ კაბით გამოვსულიყავი. „მარიონელას“ ნაციონალური კაბა ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ, საღამოს კაბასთან დაკავშირებით... სანამ კონკურსზე გავემგზავრებოდი, იქიდან მივიღე წერილი: „არ ჩაიცვა საქორწილო კაბა, რასაც ია ყოველ წელს ატანს კონკურსანტებს.“ მათ, ასევე, მომწერეს: იმდენად კარგი კონკურსანტი ხარ საქართველოდან, რომ საქორწილო კაბაში დაიკარგებიო. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცოდი, რომ „მარიონელას“ კაბაში დავიკარგებოდი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს, საუკეთესო კაბა შექმნეს და ამისთვის მადლობელი ვარ. კონკურსზე თითოეულ გოგონას რამდენიმე კაბა ჰქონდათ ჩამოტანილი – მათმა დირექტორებმა იპოვეს სპონსორები და დააინტერესეს, რომ გოგონებს კონკურსზე ბევრი კაბა წამოეღოთ, რადგან სცენაზე კაბას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ამიტომ, მე ჩემი ინიციატივით ვიყიდე „შერი ჰილის“ ორი კაბა, რადგან ფინალურ შოუზე „მარიონელას“ კაბას ვერ ჩავიცვამდი. როდესაც იას ვუთხარი, ელემენტარულად, ბილეთის ფული მაინც ამინაზღაურეთ-მეთქი (რადგან, ის არის იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი), რომელიც ატარებს „მის საქართველოს” და ვალდებულია, გაგზავნოს მსოფლიო კონკურსზე „მის საქართველო“, მან მითხრა: არ მაქვს არანაირი შესაძლებლობა, შენ თვითონ უნდა იყიდო ბილეთიო.



**ჩემი ფინანსებით ვიყიდე ბილეთი, კაბა და ია კიწრმარიშვილი თანახმა იყო, რომ „მარიონელას“ კაბით გამოვსულიყავი**

**– ამ ყველაფრის მიუხედავად, შენ მაინც გადაწყვიტე, საკუთარი ხარჯებით გამგზავრება?**

– ვფიქრობდი, რომ წარმატებას მივაღწევდი და ამიტომაც დავთანხმდი. შემიძლია, ვთქვა, ყველაფერი მქონდა იმისთვის, რომ ტოპ-თექვსმეტეულში მოვხვედრილიყავი. სუპერვაიზერები, რომლებიც დიდი ხანია, ამ კონკურსის ორგანიზატორებთან თანამშრომლობენ, გოგონებს როცა ნახულობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ძალიან პუნქტუალური და ლამაზი ვიყავი და ყველაფერი მქონდა იმისთვის, რომ 16 გოგონაში მოვხვედრილიყავი. როდესაც „მის უნივერსს“ ირჩევენ, მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს არ აქცევენ ყურადღებას, ის სულიერად ლამაზიც უნდა იყოს, რადგან მას მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მოუწევს მოგზაურობა, შეხვედრები ბავშვებთან და გულთან უნდა მიიტანოს მათი მდგომარეობა. ყველა აღნიშნავდა, რომ ძალიან მეგობრული, კომუნიკაბელური და პუნქტუალური ვიყავი. მე ისე ვცხოვრობდი, ისე ვიქცეოდი, თითქოს ყოველი დღე ჩემთვის უკანასკნელი იყო და ბოლომდე ვიხარჯებოდი. მთელი რეპეტიციის განმავლობაში, როდესაც გოგონები ჩუსტებით, ბოტასებით დადიოდნენ, მე ქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა, რათა, პროფესიონალური თვალსაზრისით, ცუდად არ გამოვჩენილიყავი. ფინალის დღეს ფეხები მქონდა გადატყავებული, მაგრამ, ძალიან კარგად გამოვედი.

**– შენ თქვი, ია კიწმარიშვილს შეეძლო, ბევრი რამ გაეკეთებინაო. რას გულისხმობ?**

– იამ „მის უნივერსის“ ორგანიზატორებისგან მიიღო მეილი, რომელიც უნდა წაეკითხა. იქ აღნიშნული იყო რამდენიმე პუნქტი, სადაც ეწერა: თუ რა უნდა იქონიოს კონკურსანტმა კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში. ანუ, ყველა კონკურსანტს ჰქონდა ეროვნული საჩუქარი, მე კი არ მქონდა. მკითხეს, სად არის შენი საჩუქარი, ორგანიზატორებმა არ გითხრესო? ერთი კვირის მერე იმართებოდა აუქციონი, სადაც გოგონების მიერ ჩამოტანილი ნაციონალური საჩუქარები გაიყიდებოდა, შემოსული ფულით კი უნდა დავხმარებოდით ბავშვებს, რომლებსაც ჰქონდათ დაუნის სინდრომი. მაშინვე მივწერე იას და მიპასუხა: უი, როგორ გამოგრჩაო. არადა, ამდენი წელია, ია ატარებს კონკურსს. მე ხომ პირველი არ ვიყავი?! ყოველ წელს გზავნის გოგონებს და, თუნდაც მათგან უნდა სცოდნოდა, რა უნდა მქონოდა თან. იას რომ დავურეკე, და ვკითხე, რატომ არ მაქვს ეროვნული საჩუქარი-მეთქი, მითხრა: გამოცდილი მოდელი ხარ და ეს შენ უნდა გცოდნოდაო. მე ჩემი გამოცდილებით, შემიძლია, კარგად გამოვიტანო კაბა, გავიარო, მაგრამ, სილამაზის კონკურსში პირველად ვიღებდი მონაწილეობას. სხვადასხვა ქვეყანა, მაგალითად, ვენესუელა, მთელი წლის განმავლობაში ამ კონკურსისთვის წვრთნის გოგონებს. ისინი დებენ ფულს, შრომას და ამიტომაც ითხოვენ, რომ მათმა წარმომადგენელმა პირველი და მეორე ადგილი აიღოს. იას ასეთი წერილი მივწერე: ახლა მესმის, ჩვენი გოგონები რატომ ვერ აღწევენ წარმატებას – თანახმა ხარ იმაზე, რომ შენი გაგზავნილი გოგონა „მარიონელას“ კაბით გამოვიდეს, პრეტენზია არ გაქვს და, თან, მოითხოვ, რომ თექვსმეტეულში მოხვდეს-მეთქი. გარდა ამისა, არავინ ჩამოსულა კონკურსზე, არადა, დირექტორიც უნდა ყოფილიყო დარბაზში.

**– ამით თუ ინტერესდებოდნენ?**

– მკითხეს, ჩამოვიდოდნენ თუ არა ჩემი ოჯახის წევრები. მე ვუთხარი, რომ დედაჩემი ვერ ჩამოვიდოდა, რადგან, ჩემს გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე მამა გარდამეცვალა; თან, მყავს 9 წლის ძმა, რომელიც სკოლაში დადის, მაგრამ, ველოდები დირექტორს-მეთქი, მაგრამ, დირექტორი არ ჩამოვიდა. ასეთ რაღაცეებს დიდ ყურადღებას აქცევენ. არის ქვეყნები, რომლებსაც ძალიან ბევრი ფანი ჩაჰყავთ კონკურსზე. რა თქმა უნდა, მე არ მოვთხოვდი ქართველი მოსახლეობის ჩამოსვლას, რადგან ეს არ არის ადვილი. უბრალოდ, ის, უნდა ჩამოსულიყო, ვინც ამ კონკურსზე გამიშვა. აქ ერთ ადამიანზეა ლაპარაკი, რომ უპატრონოდ არ ვყოფილიყავი, რადგან ყველაფერს აქცევენ ყურადღებას, უმნიშვნელო დეტალებსაც კი.

**– სპეციალური პუნქტები ახსენე. რა არის კიდევ ისეთი, რის გათვალისწინებაც სჭირდება ორგანიზატორს, რომელიც ამ კონკურსზე გიშვებს?**

– იქ იმდენი რამ აღმოვაჩინე, რაზეც იას შეეძლო, საქართველოში გავეფრთხილებინე. მაგალითად, ინტერვიუ. მართალია, ყოველ წელს სხვადასხვა კითხვა მოდის, მაგრამ, იას შეეძლო, გავეფრთხილებინე, დაახლოებით როგორი კითხვები იქნებოდა. რადგან ინგლისურში პრობლემა არ მაქვს, კარგად გავიარე ინტერვიუ და ყველამ კარგად ნახა ფინალური შოუს გენერალურ რეპეტიციაზე, როგორ კარგად გამოვიტანე კაბა, რომელიც სცენაზე პირველ კაბად დაასახელეს. ეს კაბაც, ანუ, „შერი ჰილის“ კაბა, ჩემი ნაყიდი იყო, რადგან, „მარიონელას“ კაბა არ ჩავიცვი. ორგანიზატორებს ორივე კაბა ვაჩვენე – ისინი წყვეტენ, რომელი უნდა ჩაიცვა. არჩევნის საშუალება დამიტოვეს, მაგრამ, არ მირჩიეს „მარიონელას“ კაბა და მე ეს გავითვალისწინე. სხვათა შორის, აუქციონისთვის ჩემმა შეყვარებულმა გამომიგზავნა მოოქრული „ვეფხისტყაოსანი“ და აჭარულის კაბაში ჩაცმული თოჯინა, რადგან იას კაპიკი ფული არ გაუღია. მივწერე, რომ სასწრაფოდ მჭირდებოდა საჩუქარი, მაგრამ, მაინც არ გამომიგზავნა. ჩემი შეყვარებული რომ არ ყოფილიყო, ძალიან უხერხულად გამოვიდოდი, რადგან, არ მექნებოდა აუქციონზე საჩუქარი, რომლის გაყიდვიდან აღებული ფული ბავშვებს უნდა მოხმარებოდა. თან, მე იას ავუხსენი ჩემი სიტუაცია: მამა კონკურსზე წასვლის წინ ერთი თვით ადრე გარდამეცვალა, მანამდე ძალიან დიდხანს ავადმყოფობდა და ჩემი პირადი ფინანსები და ოჯახის დანაზოგი მის მკურნალობაში, გარდაცვალების დღეებში დავხარჯე. მაგრამ, იამ სიტყვასიტყვით ასე მითხრა: არ მაინტერესებს, შენ უნდა წახვიდე ამ კონკურსზე და შენვე უნდა აანაზღაუროო. მას ძალიან თავაზიანად ვუთხარი: მე არ ვარ „პირველი ვიცე-მისი“ ან „მეორე ვიცე-მის საქართველო“. შეგიძლია, მონახო სპონსორები, ელემენტარულად, ბილეთი მაინც რომ დაასპონსორონ-მეთქი. სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს როცა ვესაუბრე, მითხრეს, რომ ყველაფერს უნაზღაურებენ თავიანთი წარმომადგენლები და დირექტორი, ძალიან დამწყდა გული. მე, რაც შემეძლო, ყველაფერი „ხუთიანაზე“ გავაკეთე და „მის უნივერსის“ სუპერმოდელადაც დამასახელეს. გარდა ამისა, „ტვიტერში“ უამრავი ხალხი მწერდა სხვადასხვა ქვეყნიდან, შოკში იყვნენ, რომ 16 გოგონაში ვერ მოვხვდი. სიმართლე გითხრათ, მე ტოპ-ხუთეულში გასვლასაც ველოდი, რადგან, ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ამიტომაც, კონკურსის შემდეგ მეკითხებოდნენ, ხომ კარგად ხარო. გენერალურ რეპეტიციაზე 16-ეულში მოვხვდი და ამაზე არც ერთ გოგონას არ ჰქონია პრეტენზია. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ადამიანიც არ ჩამოსულა საქართველოდან, კონკურსის წინა დღეს, გენერალურ რეპეტიციაზე, რომელსაც ტრამპიც ესწრებოდა, ხალხი ისე ყვიროდა „ჯორჯია, ჯორჯიას“, რომ ტრამპმა დარბაზისკენ თავი შეაბრუნა – ვინ ყვირისო. დარბაზში ისხდა ხალხი, რომელიც გულშემატკივრობდა ფილიპინებსა და საქართველოს. როდესაც საფინალო შოუ დამთავრდა, დარბაზიდან ლიფტამდე მისვლას ერთი საათი მოვანდომე, რადგან, ფანების დიდი რაოდენობა მელოდებოდა, ფოტოებს იღებდნენ და რამდენიმე ტელევიზიამ ინტერვიუც ჩამომართვა.

**(გაგრძელება 71-ე გვერდზე)**

# ქათამი ვაშლითა და ფორთოხლით











**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი მომცრო ზომის ქათამი, 2 ცალი ვაშლი – ერთი მჟავე, ერთიც შედარებით ტკბილი, 1 ცალი ლიმონი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, 2 ჩაის კოვზი თაფლი, 3 კბილი ნიორი, საშუალო ზომის ფორთოხალი, ცოტა კამა და ოხრახუში. ცოტა ხმელი სუნელი და ზეთი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათამი კარგად გაასუფთავეთ, გარეცხეთ და ხელსახოცით შეამშრალეთ. წაუსვით მარილი, სუნელი, პილპილი.

პატარა ფიალაში ერთმანეთში შეურიეთ თაფლი, მდოგვი, ზეთი, ლიმონის წვენი და ათქვიფეთ. ეს მასა წაუსვით ქათამს ყველა მხრიდან ისე, რომ კანქვეშაც შეაღწიოს და გააჩერეთ 2-3 საათი, კარგად რომ გაუჯდეს. ამასობაში გათალეთ ვაშლი და გაფცქვენით ფორთოხალი. ვაშლი დაჭერით ნაჭრებად და ქათამს ისე ჩაუწყვეთ მუცელში, რომ შუაში მთლიანი ფორთოხალიც მოთავსდეს. ვაშლის მომცრო ნაჭრები ქათამს კანქვეშაც შეუჩურთეთ, მოაყარეთ მსხვილად დაჭრილი მწვანილი. წიწილას ფეხები ძაფით შეუკარით, მუცელი კი – ხის ჩხირებით. შეახვიეთ ფოლგაში და მოათავსეთ 200 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში. ერთი საათის შემდეგ გამოიღეთ. მოხსენით ფოლგა და ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში ნახევარი საათით, კარგად რომ შეიბრაწოს. პერიოდულად მოასხით ის წვენი, რომელსაც შეწვის პროცესში გამოყოფს.

გარნირად ძალიან უხდება ბოსტნეულის ნებისმიერი სალათა.

# სალათა „ხრამუნა“










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ნაჭერი შებოლილი ქათმის მკერდის ნაჭერი, „ბატონის“ ან თეთრი პურის ნაჭერი, ცოტა კომბოსტო, მაგარი ყველის ნაჭერი, მაიონეზი და 2 კბილი ნიორი, მარილი.

**მომზადების წესი:** პურის ნაჭერი დაჭერით კუბიკებად და შებრაწეთ ცხელ ტაფაზე, უზეთოდ ან ძალიან ცოტა ზეთში. ქათმის შებოლილი ხორცი დაჭერით ჩხირებად. კომბოსტოს ფურცლები შედარებით მსხვილად დაჭერით ან ხელით დაფლითეთ, ყველი გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე. სოუსისთვის ერთმანეთს შეურიეთ მაიონეზი, დანაყილი ნიორი, ცოტა მარილი.

თასში მოათავსეთ ფილე, კომბოსტო, ორცხობილის კუბიკები, მოასხით სოუსი, ამოურიეთ, მოაყარეთ ყველი, კიდევ ამოურიეთ მიირთვით მაშინვე, რომ ორცხობილები არ დალბეს.

# „კიშ ლორენი“








**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 ჭიქა ფქვილი, 125 გრამი მარგარინი, 3-4 სადილის კოვზი არაჟანი, 500 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 1 კონა ყველანაირი მწვანილი, 200 მილილიტრი ნაღები ან არაჟანი (15-20-პროცენტიანი ცხიმიანობით), 3-4 ცალი კვერცხი, 150 გრამი მაგარი ყველი, ცოტა მუსკატის კაკალი (ან ცოტა ნიგოზი), მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ფქვილი ჩაყარეთ თასში. დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი, დარბილებული მარგარინი, ხელით კარგად ასრისეთ და აქციეთ ფხვიერ მასად. დაუმატეთ მწიკვი მარილი, 3 სადილის კოვზი არაჟანი და მოზილეთ რბილი, ელასტიკური ცომი. გააკეთეთ მისგან ბურთი, შეახვიეთ ცელოფანში და მოათავსეთ მაცივარში 1 საათით.

ქამა სოკო გაარჩიეთ, სამი ცალი ერთნაირი ზომის სოკო ცალკე გადადეთ, დანარჩენი კი დაჭერით ფირფიტებად. გადადებული სოკოები „ფეხებიანად“ დაჭერით ლამაზად და საერთო მასას არ შეურიოთ.

ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად (ძალიან დიდი ზომის ხახვი არ აიღოთ).

ფირფიტებად დაჭრილი სოკო ხრაკეთ ზეთში, სანამ სითხე ამოშრება, დაუმატეთ ხახვი და ოდნავ ჩაშუშეთ (დანარჩენი აირღუმელში მოიხრაკება).

ცომი თანაბრად გააბრტყელეთ გამოსაცხობ ტაფაზე, წაუსვით ზეთი, ამოუკეცეთ ნაპირები და 15-20 წუთით მოათავსეთ 180 გრადუსზე.

კვერცხი გათქვიფეთ, დაუმატეთ მარილი, პილპილი, მუსკატის კაკალი ან ნიგოზი, 1 სადილის კოვზი არაჟანი და ყველაფერი კარგად ათქვიფეთ. ყველი გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე, ცოტა ცალკე გადადეთ. დანარჩენი კი ჩაყარეთ კვერცხისა და არაჟნის მასაში და კარგად ამოურიეთ. ოდნავ გამომცხვარი ცომის ზედაპირზე მოათავსეთ მოშუშული სოკო ხახვით, ზემოდან წაუსვით ყველიანი მასა. მოასწორეთ და ისევ აირღუმელში შედგით. გამოიღეთ ტაფა, თანაბრად დააწყვეთ ზედაპირზე სოკოს ლამაზი, ფეხიანი ნაჭრები, მოაყარეთ დაფხვნილი ყველი, მწვანილი და შედგით აირღუმელში 10 წუთით...

ცხელიც ძალიან გემრიელია და ცივიც...

## გურმანთა მეგზური



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სალათა „ორიგინალი“

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი კივი, 1 მოზრდილი გრეიპფრუტი, 200 გრამი მოხარშული კიბორჩხალის ხორცი, 1 ცალი ლიმონის ცედრა და წვენი, 3 სუფრის კოვზი ზეითუნის ან ავოკადოს ზეთი, 1 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი ქინძი, 1 ცალი მწვანე წიწაკა, 1 ცალი ბროწეული, მარილი და პილპილი – გემოვნებით, სალათის ფოთლები მოსართავად.

**მომზადების წესი:** კივი გაფცქვენით და პატარა კუბიკებად დაჭერით. გრეიპფრუტს ამოაცალეთ რბილობი, მოაშორეთ თეთრი ნაწილი და ისიც დაჭერით. ბროწეულის მარცვლები, კივი და გრეიპფრუტი ერთმანეთში აურიეთ, დაუმატეთ მოხარშული კიბორჩხალის ხორცი, ქინძი, ზეთი, წვრილად დაჭრილი წიწაკა, ლიმონის ცედრა და წვენი, მარილი, პილპილი და მსუბუქად ათქვიფეთ. სალათა მოათავსეთ თეფშზე, მოასხით მომზადებული სოუსი და მორთეთ სალათის ფოთლებითა და ბროწეულის მარცვლებით.



# შემწვარი ქათამი ლორით



**საჭირო ინგრედიენტები:** ქათმის 6 ცალი ბარკალი (კანის გარეშე), 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ცალი ბულგარული წიწაკა, 100 გრამი შებოლილი ლორი, 2 კბილი ნიორი, 500 გრამი დაკონსერვებული პომიდორი, ნახევარი ჭიქა თეთრი მშრალი ღვინო, ნახევარი ჭიქა დაკონსერვებული მწვანე ბარდა, ნახევარი ჭიქა ქათმის ბულიონი, 1 კონა ოხრახუში, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათმის ბარკლებს მოაყარეთ წიწაკა, მარილი და ზეთდასხმულ, გახურებულ ტაფაზე შეწვით. ბარკლები ამოიღეთ და ამავე ტაფაში მოათავსეთ წვრილად დაჭრილი წიწაკა და ლორი, ჩაუწიეთ ცეცხლს და მოშუშეთ, ხუთი წუთის შემდეგ დაუმატეთ თხლად დაჭრილი ნიორი, სანელებლები, მწვანე ბარდა, პომიდორი და ღვინო, შიგ ჩააწყვეთ ქათმის ნაჭრები, დაახურეთ თავსახური და დაბალ ცეცხლზე შუშეთ 25-30 წუთის განმავლობაში. მზა კერძს მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

# თევზის ბრაწულა

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი კარტოფილი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, 1 ჩაის კოვზი მარილი, 1 კილოგრამი თევზი – კობრი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 100 გრამი ფქვილი, 2 თავი ხახვი, 70 გრამი კარაქი, 50 მილილიტრი თევზის ბულიონი, 1 კონა კამა, 2 კბილი ნიორი, 100 გრამი მაგარი ყველი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ და მოხარშეთ დაფნის ფოთოლთან და მარილთან ერთად. თევზის თავით მოხარშეთ ბულიონი, ტანი კი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად. ფქვილსა და მარილში ამოვლებული თევზის ნაჭრები შეწვით ზეთდასხმულ გახურებულ ტაფაზე. კარტოფილი მოათავსეთ ცხიმწასმულ ფორმაში, დაჩხვლიტეთ ჩანგლით და მოასხით ცოტა თავისივე ნახარში. ზემოდან დააწყვეთ შემწვარი თევზის ნაჭრები და მოაყარეთ ზეთში მოშუშული ხახვი. ცალკე მოხალეთ ფქვილი, დაუმატეთ კარაქი და თევზის ბულიონი, გააჩერეთ ცეცხლზე 5 წუთი და თან ურიეთ. მომზადებულ საკაზმს დაუმატეთ წვრილად დაკეპილი კამა, დანაყილი ნიორი და კიდევ 2 წუთი გააჩერეთ ცეცხლზე. მომზადებული საკაზმი მოასხით თევზს, მოაყარეთ გახეხილი ყველი და შედგით გახურებულ ღუმელში დაახლოებით 30 წუთით.












Car Wash
$1 BILL CHANGER

37-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 2 იანვარი

**07.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი II ნაწ. **08.00** საბ. ან/ფ "ასანთის გამყიდველი გოგონას ამბავი" **09.00** მხ/ფ **"ფრედ კლაუსი" სანტას ძმა"** **11.00** "ეტალონი" (გ/ჩ) **12.00, 16.00, 19.00, 19.30, 20.00, 02.30** "მოამბე" **12.30** "პეპეს საახალწლო შოუ" II ნაწ. **13.30** მხ/ფ **"კონკიას ამბავი"** **15.00** კონცერტი: თბილისის ბიგ-ბენდი **17.00** ქარ. ტ/ფ **"კუჩხი ბედნიერი"** **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ **"როსელა"** I სერ. **22.00** ქარ. მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** **23.30** კონცერტი: მ. ბარათაშვილი და "შინი" **00.40** მხ/ფ **"მუსიკა და ლექსი"** (დ.ბერიმორი) **02.50** ტ/სერ **"სპირალი"** **03.50** კონცერტი: სილვენ ბეფის ჯაზ-სექსტეტი **05.00** მხ/ფ **"თმის ლაქი"** (ჯ.ტრავოლტა) **07.00** პეკინის ცირკი "ფენიქსი".

**09.00** საბ.მხ/ფ **"გენიოსი ბავშვები - 2"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ – ბურატინო (საახალწლო) **12.15** ქ.მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** **14.20** კონცერტი: "თემურ თათარაშვილი" (გ/ჩ) **16.20** ქ.მხ/ფ **"ფეოლა"** **17.40, 19.05** კონცერტი: "შინი" **20.30** Fashion შოუ – ავთანდილი **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (საახალწლო) **23.00** კონცერტი: "გია ყანჩელი" **00.30** მხ/ფ **"გაქცეული პატარძალი"** (რ.გირი) **02.30** მხ/ფ **"კარგი ქალი"** (ს.იოჰანსონი) **04.00** მუსიკა.

**09.00** ან/ფ "მონსტრების კორპორაცია" **11.00** ქ. მხ/ფ **"პირველი მერცხალი"** **13.00** ქ.მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"** **15.00** კომედის საგაზაფხულო კონცერტი 2010 **17.00** ქ.მხ/ფ **18.00, 21.00** კურიერი **18.30** ქ.მხ/ფ **"რაც გინახავს ვეღარ ნახავ"** **22.00** ქ.მხ/ფ **"სიყვარული აქცენტით"** პრემიერა **00.00** ქ.მხ/ფ **"ისპაჰანი-ბათუმი"** **02.00, 05.00, 07.00** მხ/ფ.

**07.00, 01.30, 03.55, 04.55, 05.55** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.40, 16.30, 17.10, 18.40, 23.45, 04.30, 05.30, 06.30** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 18.55, 06.50** უკომენტაროდ, ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **11.30, 22.00, 01.10** "ყოველდღიური აბები" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 02.05** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 02.50** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 17.30, 20.30, 22.30, 03.50** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანამაცია **10.00** სერ. **"ნენსი დრიუ"** **11.15** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **12.15** სერ. **"ფიფქია"** **13.15** ქარ. მხ/ფ (გან.) **14.30** "გალერეა" (გან.) **14.00** მუსიკა **15.00** სერ. **"ნენსი დრიუ"** **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00, 19.35** ქარ. მხ/ფ **19.30** ანონსი **21.25** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **23.00** "სცენა" **23.30** "დილის ტალღის – ფილმი "ბორბალი" **01.30** "მუსიკალური საღამოები" **02.00** მხ/ფ **"ქალი და მამაკაცი 20 წლის შემდეგ"**.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.30** მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ტელეზღაპარი "12 თვე" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** მულტფილმი **10.25** მოკ/ფ **"სერენადა"** **10.55** ფოტოგალერეა **10.00** საშობაო კონცერტი ვენაში **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.15** კონცერტი - "ერისიონი" **15.05** მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** **16.10** კონცერტი-ანდრე რიე **16.45** კვირიაკე **17.50** დებიუტი **18.05** ტელეზღაპარი "კოკროჭინა" **18.20** დეკორატიული ფლორა **18.30** მრავალჟამიერი -ახალი წლის მიგებება ძველად **18.55, 21.55, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **19.00** მოკ/ფ **"ქვევრი"** **19.25** ფოტოგალერეა **19.30** მხ/ფ **"ჩარირამა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** ფოტოგალერეა **21.30** მრავალჟამიერი **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ძველი აფიშა "წლები გასულა" **00.10** კონცერტი - ელ დივო **01.25** მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"**.

## ხუთშაბათი 3 იანვარი

**08.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი III ნაწ. **09.00** საბ. ან/ფ "შრეკი" **10.30** მხ/ფ **"პატარა პრინცესა"** **12.00, 16.00, 19.00, 19.30, 20.00, 02.50** "მოამბე" **12.30** მხ/ფ **"ელფი"** **14.00** "ჩხიკვთა ქორწილი" **17.00** "მეხანძრის სიზმარი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ **"როსელა"** 2-სერ. **22.00** ქარ. მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **00.00** "ჩემი ოჯახი" (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ **"სიყვარულის სურნელი"** (მ.რაიანი) **03.10** ტ/სერ **"სპირალი"** **04.10** რიშარ გალიანო – "მუდამ პიაცოლა" **06.00** მხ/ფ **"სიყვარულის ამბავი"** (უ.ბითი).

**08.00** ან.ფ. "სალადინი" 5-6 სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. "სამსონი და ნეონი" **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 3"** **14.45** სერ. **"თვალი არ მომაცილო"** **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე" 1** სერ. **17.40** სერ. **"თილისმა" 1** სერ. **18.50, 19.05** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.მხ/ფ **"ერთხელ შუა ქალაქში"** **00.00** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **02.00** მხ/ფ **"მომხიბვლელობის კანონი"** (პ.ბროსნენი) **03.30** მხ/ფ **"საქორწინო წვეულება"** (ტიტ.) **05.05** მუსიკა.

**08.00** ქ.მხ/ფ **"ხევსურული ბალადა"** **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ **"უდიპლომო სასიძო"** **15.30** კომედის საახალწლო კონცერტი 2008 **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** პროფილი საახალწლო 2012 **00.00** ქ.მხ/ფ **"დარჩი ჩემთან"** **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**07.00, 01.30, 04.05, 05.05, 06.05** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.40, 16.30, 17.10, 18.40, 04.40, 05.40, 06.40** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 17.55, 18.55, 07.00** უკომენტაროდ, ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **11.30, 22.00, 01.10** ყოველდღიური აბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 02.05** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 02.50** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 03.30** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **10.00** სერ. **"ნენსი დრიუ"** **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. **"თოვლის დედოფალი"** **12.50** სერ. **"დევიდ კოფერფილდი"** (გან.) **13.50** "სცენა" (გან.) **15.00** სერ. **"ნენსი დრიუ"** **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00, 19.35** ქარ. მხ/ფ **19.30** ანონსი **19.35** სერ. **"ცნობილი ოჯახები"** **21.25** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **23.00** "პროექცია" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **01.10** მხ/ფ **"დიდი რბოლა"**.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.30** მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10** ტელეზღაპარი "კოკროჭინა" **10.30** ფოტოგალერეა **10.35** ძველი აფიშა "ჭინჭრაქა" **11.20** ჩვენი ტრაპეზი **11.30** მრავალჟამიერი **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ **"ჩარირამა"** **13.25** კონცერტი-ანდრია ბოჩელი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** მხ/ფ **"ბავშვი სასეირნოდ მიდის"** **18.10** საქართველო არის ესე **18.30** ტელეზღაპარი "წითელქუდა" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.40** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.03** ლექსით ქებათა ქება **21.05** ერთსულოვნების სალონი **22.25** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი - პატრიარქის საგალობლები (საფრანგეთი).

## პარასკევი 4 იანვარი

**08.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი I ნაწ. **09.00** საბ. ან/ფ "შრეკი – 2" **10.30** მხ/ფ **"გაათავისუფლე უილი"** **12.00, 16.00, 19.00, 19.30, 20.00, 01.50** "მოამბე" **12.30** მხ/ფ **"ოსტინ პაუერსი: ჯაშუში" რომელმაც შემაცდინა"** **14.00** ფილმი-ბალეტი: "ფიროსმანი" **17.00** "ღამის სერენადები" – ლ. ისაკაძე **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ **"როსელა"** 3-სერ. **22.00** ქარ. მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"** **23.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" (გ/ჩ) **00.00** კონცერტი: იურაი ჰიპი **01.30** მხ/ფ **"ძაღლების სიყვარული სავალდებულოა"** **02.10** ტ/სერ. **"სპირალი"** **03.10** კონცერტი:"ძმები ბლუზები" **05.00** მხ/ფ **"სიყვარულის სურნელი"** (მ.რაიანი) **06.40** მხ/ფ **"მუსიკა და ლექსი"** (დ.ბერიმორი).

**08.00** ან.ფ. "სალადინი" 7-8 სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. "სამსონი და ნეონი" **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 3"** **14.45** სერ. **"თვალი არ მომაცილო"** **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.40** სერ. **"თილისმა"** **18.50, 19.05** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.მხ/ფ **"სიყვარულის ბალადა"** **00.00** მხ/ფ **"საუკეთესო საყვარელი"** (უ.თურმანი) **01.45** მხ/ფ **"ფული ორისათვის"** (მ.მაკკონეჰი) **03.35** მხ/ფ **"ქალები"** (ე.მენდესი) (ტიტ.) **05.25** მუსიკა.

**08.00** ქ.მხ/ფ **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **15.30** კომედის საახალწლო კონცერტი 2007 **18.30** იავნანა კონცერტი პირდაპირი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ ბესტი **00.00** ქ.მხ/ფ **"მიდი ძმაო მიდი"** **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**07.00, 02.30, 04.55, 05.55** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 04.45, 05.25, 06.15** უცხოეთის

ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 17.55, 18.55, 06.50** უკომენტაროდ, ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **11.30, 22.00, 02.10** "ყოველდღიური აბები" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 00.50** თოქ–შოუ - "კვირის არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 03.05** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 01.50** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **10.00** სერ. "**ნენსი დრიუ**" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. "**თოვლის დედოფალი**" **13.00** "იმპულსი" **13.30** "პროექცია"(გან.) **15.00** სერ. "**ნენსი დრიუ**" **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00, 19.35** ქარ. მხ/ფ **19.30** ანონსი **21.25** სერ. **22.30** "მთავარი დღეს" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.10** მხ/ფ "**სასიყვარულო რომანი**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მოკ/ფ "**ბავშვები**" **07.05** დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10** სიახლენი **10.35** კონცერტი - "ავე მარია" **11.30** დოკ/ფ "ჩემო პატრიარქო" **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**ამბავი ივანე კოტორაშვილისა**" **13.30** კონცერტი-პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** ფოტოგალერეა **15.40** მოკ/ფ "**ადგილის დედა**" **16.00** დეკორატიული ფლორა **16.15** მწუხრიდან განთიადამდე **16.30, 21.25** ლექსით ქებათა ქება "სნო" **16.35** დოკ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **17.00** ფოტოგალერეა **17.05** კონცერტი - შ. შილაკაძე "ლოცვა" **18.05** დოკ/ფ "აქ ცა და მიწა ერთდება" **18.25** ფოტოგალერეა **18.30** დოკ/ფ "ფიქრები წარსულსა და მომავალზე" **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.30** მხ/ფ "**ამაღლება**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** განთიადის სტუმარი **22.25, 23.15** დოკ/ფ "ღალიის ღვთისმშობელი" **23.00** საღამოს ლოცვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო.

## შაბათი 5 იანვარი

**08.30** დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" **09.30** საბ. ან/ფ "შრეკი – **3**" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" (გ/ჩ) **11.15** "ვაკა-პედია" **11.30** საბ. მხ/ფ "**გაათავისუფლე უილი – 2**" **12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.40** "მოამბე" **13.00** "ჩემი ოჯახი" **14.00** ქარ. მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **16.30** ქარ. ტ/ფ "**ღვინის ქურდები**" **17.30** "აღმოაჩინე საქართველო" (გ/ჩ) **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** მხ/ფ "**მევერიკი**" (ჯ. ფოსტერი) **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.30** დოკ/ფ "ღვინის აკვანი" **00.45** მხ/ფ "**მის კონგენიალურობა**" (ს.ბალოკი) **03.00** ტ/სერ "**სპირალი**" **04.00** კონცერტი: დაიანა რივზი **05.30** მხ/ფ "**ქალების სიყვარული სავალდებულოა**" **07.00** საცირკო სანახაობა – მასის ცირკი.

**08.00** ან/ფ "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" **09.00** მხ/ფ "**მეფე - პოლარული დათვი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ. "ავატარი" **35**" **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** სერ. "**აიქარლი**" **7-8** სერ. **14.20** მხ/ფ "**სანელებლების პრინცესა**" **16.00** სერ. "**გმირები – 3**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **3** სერ. **18.50, 19.05** სერ. "**სახიფათო ვნება**" **20.30** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** ახალი ქართული ხმა **01.00** მხ/ფ "**აუტანელი სისასტიკე**" (კ.ზეტა-ჯონსი) **02.45** მხ/ფ "**ჰანი დენიელსი**" (ჯ.ალბა) **04.15** მუსიკა.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** MTV TEEN CRIBS **09.00** MTV ROOM RAIDERS **09.30** MTV MADE **10.00** ქ.მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **11.00** სერ. "**კლუბი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.00** მხ/ფ "**გარიგება - 1**" **15.30** კომედის სხვა კონცერტი - **1 18.30** საქართველოს ვარსკვლავი **18.30** კონცერტი "ლელა წურწუმია" **22.00** კონცერტი "მერაბ სეფაშვილი" **00.00** ქ.მხ/ფ "**იდიოტოკრატია**" **01.30** "Latin Angels" **02.00, 04.30** მხ/ფ.

**07.00, 01.00, 03.00, 05.00, 06.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.10, 18.40, 21.40, 00.20, 05.20, 06.20** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55** უკომენტაროდ, ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **09.30** კვირის არგუმენტები (გამ) **11.00, 13.05, 14.05, 16.05, 16.35** ყოველდღიური აბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00, 17.00, 20.00** ამბები მოკლედ **17.05, 04.20** დოკ/ფ **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.45** "კვირის რეპორტაჟი"(გამ) (წინა კვირის) **20.10, 01.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 02.00** "პრეს-პრესი" **23.00, 03.20** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.15** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **10.00** "დილის ტალღა" **12.00** "ფერისცვალება" **12.30** სერ. "**თოვლის დედოფალი**" **13.00** მუსიკა **13.30** "1 000 წვრილმანი" **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ს "იტალიელი შეფ-მზარეული" **15.30** "მუსიკალური შეხვედრები" **17.00** დოკ/ფ. "დიადი მუსიკა" **18.00** ქარ. მხ/ფ **19.30** "სპორტის ბიოგრაფია" **21.25** სერ. **23.00** "ერთი ცეკვის ისტორია" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.10** მხ/ფ "**პირადი მცველი**".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**ამაღლება**" **13.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **15.10** კონცერტი - სანკტუსი **17.00** მოკ/ფ "**ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება**" **18.10** აქტუალური თემა **18.35** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** "კარაბადინი" **22.20** დოკ/ფ "შემოდგომა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.30** ქართული კინოს ვარსკვლავები **01.30** კონცერტი - ენიო მორიკონე და პატრიცია კაასი.

## კვირა 6 იანვარი

**08.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი ll ნაწ. **08.30** საბ. ან/ფ "ეგვიპტის უფლისწული" **10.00** "ეტალონი" (გ/ჩ) **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. მხ/ფ "**მისდიე იმ ჩიტს**" **12.00, 14.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: "**როგორც გენებოთ" ანუ შობის მეთორმეტე ღამე**" **16.30** "10|10" (სომხური) **18.00** მხ/ფ "**ბინგო ბონგო**" (ა.ჩელენტანო) **21.00** იტალიური კინომუსიკა – ფედერიკო მონდელუჩი **22.30** ქარ. ტ/ფ "**რეკორდი**" **23.30** "აღმოაჩინე საქართველო" (გ/ჩ) **24.00** საშობაო წირვა-ლოცვა სამების ტაძრიდან.

**08.00** ან/ფ "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" **09.00** მხ/ფ "**ნამდვილი მამაკაცი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** მხიარული სტარტები **14.20** ფორტ ბოიარი **14.45** ქ.მხ/ფ "**ლონდრე**" **16.00** სერ. "**გმირები □ 3**" **17.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **18.00, 19.05** კონცერტი: თამარ ჭოხონელიძე **20.30** რომ გადახვალ" გააჩერე **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** კონცერტი: "მგზავრები მთაწმინდის პარკში" (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ "**ლოლუა მაიამიდან**" **01.45** მხ/ფ "**კარგ კომპანიაში**" (ს.იოჰანსონი) **03.30** მუსიკა.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **8.30** ანიმაცია **09.30 ქემ ქფვუ 10.00** ქ.მხ/ფ "**აბეზარა**" **11.00** სერ. "**კლუბი**" **12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** ეკი ვოკი **13.00** მხ/ფ **15.30** კომედის სხვა კონცერტი - **2 18.30** კონცერტი "ნანი ბრეგვაძე" **21.00** P.S. **21.00** კომედი შოუ ბესტი **22.00** სპექტაკლი "**მუსიკის ჰანგები**" **00.00** ქ.მხ/ფ "**ყველაფერი კარგად იქნება**" **02.00, 05.00, 07.00** მხ/ფ.

**07.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 06.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 10.35, 12.30, 13.05, 15.30, 17.35, 20.45, 21.40, 23.50, 00.25, 02.35, 04.20, 05.20, 06.25** უცხოეთის ამბები **10.00, 20.10, 23.15** ღია კარის დღე **10.50** "პრეს-პრესი" (გამ) **11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55** უკომენტაროდ, ამინდი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ამბები მოკლედ **14.05** დოკ/ფ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00, 03.20** დისკუსია - სტუდია "რე" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 01.20** ნანა ლეჟავას "კვირის რეპორტაჟი".

**08.30, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **09.30** "ფერისცვალება" (გან.) **10.00** "დილის ტალღა" **12.00** სერ. "**საიდუმლო აგენტების თავგადასავალი**" **12.30** სერ. "**თოვლის დედოფალი**" **13.00** "ერთი ცეკვის ისტორია" **13.30** მუსიკა **14.00** "სპორტის ბიოგრაფია" **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ს "იტალიელი შეფ-მზარეული" **15.30** "მუსიკალური საღამოები"(გან) **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა" **17.50** მხ/ფ **19.30** "ერთი დღე სოფელში " **19.00** მუსიკა **21.15** სერ. **23.00** "გალერეა" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.00** საშობაო ლიტურღია (პ/ჩ) **5.00 დღის რაინდი.**

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.35** გამოყენებითი ხელოვნება **10.45, 21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.15** ერთსულოვნების სალონი **13.05** დოკ/ფ "დედა ღვთისმშობელი" **13.40** "ჩვენი ტრაპეზი" **14.05** დოკ/ფ "დედაო ღვთისა" **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** მრავალჟამიერი **16.10** დოკ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **16.55** საეკლესიო კალენდრის შესახებ **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** მხ/ფ "**ცისფერი მთები**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.40** "კვირიაკე" **23.00** ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან) **05.00** კონცერტი.

**წარმატებული დიზაინერი ლაკო ბუკია რამდენიმე თვის წინ საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა, რათა დიზაინის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლა „პარსონსში“ მაგისტრატურა გაიაროს. მიუხედავად დატვირთული სასწავლო სემესტრისა, მან მაინც მოახერხა საკუთარი კოლექციის ჩვენება თბილისის „ფეშენ-ვიქზე“, ასევე, მეორე ხაზზე მუშაობა და კიდევ ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელება.**

# რა გამოცდა მოუწყო ნიუ-იორკში საკუთარ თავს ლაკო ბუკიამ და რატომ გადაწყვიტეს მისი პროექტის დადება „პარსონსის“ საიტზე

**ლაკო ბუკია:** თავიდან, ნიუ-იორკში რომ ჩავედი, მეგონა, მიჩვეული ვიყავი მარტო ცხოვრებას, მაგრამ, ასე არ ყოფილა, ძალიან გამიჭირდა, რადგან იქ სულ სხვანაირი სისტემა, ცხოვრების რიტმია. სანამ ბინა ვიშოვე, მოვაწყვე... – მოკლედ, თავიდან ყველაფერმა დიდი პრობლემები შემიქმნა, მაგრამ, რომ დავლაგდი, ისე მომეწონა, იქიდან წამოსვლა აღარ მინდოდა. არ მეგონა, თუ რომელიმე ქალაქი ლონდონზე მეტად შემიყვარდებოდა. რაც მთავარია, სულ სხვა ეტაპზე გადავედი; ვიპოვე ადგილი, სადაც ძალიან მშვიდად ვარ; ვიცი, რა უნდა ვაკეთო. მომწონს ის ფაქტიც, რომ სულ ვსწავლობ, იშვიათად ვერთობი, რაც მთავარია, ვიცი, რისთვის წავედი, და, მინდა ეს შანსი ბოლომდე გამოვიყენო, ვაფასებ, რომ ნიუ-იორკში ვარ.

**– მომიყევი, როგორ ცხოვრობ ნიუ-იორკში, როგორი რეჟიმი გაქვს, ძალიან ხარ დატვირთული?**

– მაგისტრატურაში პირველ კურსზე სულ 17 სტუდენტი ვართ, ხოლო მეორე კურსზე – 15, ოთხი ლექტორი გვყავს, ანუ, ბევრნი არ ვართ, ჩვენი სართული გვაქვს, სადაც არავინ ამოდის. ძალიან მომწონს ის ფაქტი, რომ ყველანი ერთმანეთთან მეგობრულად ვართ და არ გვაქვს კონკურენციის მომენტი. ისეთი სტუდენტები ჰყავთ არჩეული, რომლებიც ერთმანეთს არ ჰგვანან, ყველა სხვადასხვანაირია და განსხვავებული ნიჭი აქვთ, ამიტომაც, ერთმანეთისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. რაც მთავარია, ძალიან მაღალი დონეა, გექცევიან როგორც ჩამოყალიბებულ დიზაინერებს და ბევრ რამეს ითხოვენ. გამოცდებზე სიმართლეს გეუბნებიან, რაც, შეიძლება, მტკივნეულია, მაგრამ, იქ იმისთვის მიხვედი, რომ სიმართლე გაიგო და მერე გამოასწორო. არავის სჯერა, რომ დილის 8-ზე მივდივარ და ღამის 2 საათზე გამოვდივარ, თან, ყოველდღე, შაბათ-კვირასაც კი. მაგალითად, ხუთშაბათს გვაქვს დიზაინის კლასი, ამ დროს მოდის ლექტორი და ნახულობს, რა გააკეთე. მაგრამ, ერთი კვირის განმავლობაში ბევრი რამ უნდა გააკეთო, რომ პროცესი აჩვენო, ამას კი დიდი დრო სჭირდება, რადგან, ხელით აკეთებ ნიმუშებს, მანეკენზე მუშაობ, კერავ... მოკლედ, ყველაფერს აკეთებ. თან, სხვა ლექციებიც გვაქვს, იმასაც დრო სჭირდება და, ამიტომ, მთელი დღე მიწევს უნივერსიტეტში ყოფნა. თაიმს სკვერზე ვცხოვრობ, უნივერსიტეტიც თაიმს სკვერზეა. რომ მეკითხებიან, ნიუ-იორკში რა ხდებაო, ვპასუხობ: გეტყვით, თაიმს სკვერზე რა ხდება-მეთქი. სემესტრის ბოლოს გამოფენა გავაკეთეთ, სადაც მოდიან ლექტორები და კურსის დირექტორი, რომელსაც მთელი სემესტრის განმავლობაში არ უნახავს შენი სამუშაო. რომ მეგონა, დიზაინის კლასი დავამთავრე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, პირიქით, დასტრესილი დავრჩი, რადგან, ბევრმა მიიღო ცუდი კომენტარი. რა თქმა უნდა, ეს კომენტარები სწორი იყო, მაგრამ, მთელი დღეები რომ მუშაობ და ასე გაფასებენ, გულდასაწყვეტია.



არავის სჯერა, რომ დილის 8-ზე მივდივარ და ღამის 2 საათზე გამოვდივარ, თან, ყოველდღე, შაბათ-კვირასაც კი

**– შენ რაზე იმუშავე?**

– ადრე ქალები აკეთებდნენ ხოლმე „ჯაჭვის“ გადასაფარებელს, ხელით ნაქსოვს. ის გავათანამედროვე და ჩემებურად გავაკეთე. ძალიან დიდი დრო დასჭირდა – ერთ ქსოვილს რვა საათი ვაკეთებდი, მაგრამ, კმაყოფილი დავრჩი, რომ ეს შევძელი. რაც ლონდონში სწავლა დავამთავრე, ძირითადად, ჩემი მკერავები კერავდნენ და ახლა ეს ჩემთვის ერთგვარი გამოცდა იყო – შევძლებდი თუ არა ბოლომდე მიყვანას. სხვათა შორის, ძალიან მოეწონათ. ორი კაბა დავამთავრე და, მინდა, ამით განვაგრძო ჩემი შემდეგი კოლექცია, კლიპიც გადაიღო რეჟისორმა, რომელიც „ფეშენ ტივისთვის“ მუშაობს. შემდეგ პრეზენტაციაზე გავუშვი, ძალიან მოეწონა ჩემს მთავარ ლექტორს და მითხრეს, რომ, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს, უნივერსიტეტის საიტზე დადებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ არასდროს მითქვამს და არ დამიწერია, ცოტა ხნის წინ „ფეისბუქზე“ დავწერე: ხალხი ერთ რაღაცას გააკეთებს და თავი დიზაინერი ჰგონია-მეთქი. რომ მეგონა, ძალიან ბევრს ვშრომობდი, თურმე, ასე არ ყოფილა, აღმოჩნდა, მაინც ცოტას ვშრომობდი იმასთან შედარებით, რაც უნდა გააკეთო იმ წარმატებისთვის, რომელსაც გინდა, რომ მიაღწიო.

**– ის, რომ შენი ბრენდი გაქვს, წარმატებულად გამოდიხარ ლონდონის „ფეშენ-ვიქზე“, შენი სამოსი კიდია პარიზის შოუ-რუმში და ასე შემდეგ, თუ გეხმარება უნივერსიტეტში, ანუ სარგებლობ, თუ არა გარკვეული პრივილეგიებით?**

– თავიდან ჩემი პორტფოლიო, ყველა მონაცემი გავგზავნე, ამიტომ, გასაუბრებაზე მკითხეს: რატომ ჩამოდიხარ, ბრენდი გაქვს ლონდონში აწყობილიო. ჩემი ლექტორები ლონდონიდან არიან და იციან, ეს რას ნიშნავს. როდესაც 17 ადგილი გაქვს, მილიონი სტუდენტიდან, რომლებიც აბარებენ გამოცდებს, ისეთი უნდა მიიღო, რომ მერე არ თქვა, არასწორად მოგექეციო. ალბათ, მაშინ სწორი პასუხი გავეცი და ამიტომაც ამიყვანეს. როცა ჩავედი და გაცნობის ფართი გვქონდა, მაშინაც მითხრეს: დღემდე ვერ ვხვდებით, აქ რა გინდაო. ამის მერე დაიხურა ის კარი, რომ მე ბრენდი მაქვს – თუ იქ მიხვედი ესე იგი, მათ უნდა აჰყვე ყველაფერში და, შესაბამისად, რაღაც პრივილეგიები არ არსებობს. ორ გაცდენაზე საგანში იჭრები, რაც მერე თავიდან უნდა გაიარო, ეს კი დიდი პრობლემაა. კიდევ ზედმეტი საგანი რომ დამემატოს, შეიძლება, თავი მოვიკლა. უკვე იმაზე კი აღარ იქნება საქმე, რომ კარგად დაამთავრო სემესტრი, არამედ, უბრალოდ, უნდა დაამთავრო. სულ ვცდილობ, არ გავხდე ავად, არ შემექმნას რამე პრობლემა. მაშინ, ქარიშხლები და წვიმა რომ იყო, ალბათ, ყველას გაუხარდებოდა, ერთი კვირა რომ არ ექნებოდა სწავლა, ჩვენ კი ძალიან ვნერვიულობდით: რა გვეშველება, სკოლა დაიკეტა, ერთი კვირა ვერ ვისწავლით და ვერაფერს მოვასწრებთ, რადგან ქარიშხლის გამო არავინ მოგვცემდა შეღავათს და ასეც იყო. მიხარია, რომ კარგად ჩაიარა გამოცდებმა. თბილისში რომ მოვფრინავდი, თვითმფრინავში მთელი გზა თემას ვწერდი და მერე აქაც, მთელი ორი დღის განმავლობაში.

**– მიუხედავად ასეთი რეჟიმისა, თბილისის „ფეშენ-ვიქზე“ კოლექციის ჩვენებაც მოაწყვე...**

– ჩვენების ჩატარება ბოლო წამს გადაწყდა, თან, ნათქვამი მქონდა, რომ თბილისში დიდი ხნის განმავლობაში არ ვაპირებდი ჩვენების მოწყობას. აგვისტოში გავაკეთე გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია, რომელიც ნიუ-იორკში წავიღე და ლონდონში ჩვენების გაკეთება ბოლო წამს ჩავშალე. გული დამწყდა, რომ საზოგადოებამ ეს კოლექცია ვერ ნახა. შოუ-რუმში კი არის, პრესაც ნახულობს, მაგრამ, კლიენტებს, ხალხს არ უნახავს. ჩემი მენეჯერი და ჩემი და შემიჩნდნენ, მიდი გააკეთეო, რაც არარეალურად მეჩვენებოდა. 6-ის ნახევარზე ჩამოვდიოდი, ჩვენება 7 საათზე დამინიშნეს, თან, კოლექცია სხვადასხვა ქვეყანაში იყო. რომ დავრეკე, ამ დღეებში კოლექცია მჭირდება-მეთქი, გადაირივნენ. მოკლედ, ძალიან ბევრი ვიწვალე, რომ ჩამოსულიყო. ამიტომ, ყველა გავაფრთხილე: თუ მე ვერ ჩამოვალ, მაინც მოაწყვეთ ჩვენება-მეთქი. თურქეთის აეროპორტში 8 საათი ვიყავი და „სკაიპით“ ვაცმევდი მოდელებს: ეს ამას არ უხდება, ეს ამას ჩააცვით-მეთქი. მოკლედ, მთელი აეროპორტი მე მიყურებდა. ბოლოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თან, ყველას მოეწონა და, მიხარია, რომ საქართველოში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რას ვაკეთებ, რომ არ იფიქრონ, არაფერს აკეთებსო. სხვათა შორის, ის ფაქტი მომაკლდა, რომ ლონდონში „ფეშენ-ვიქზე“ ყველას ვიცნობდი; ჩემს კოლექციაზე მოთხოვნა იყო, აინტერესებდათ, რას ვაკეთებდი, მაგრამ, ახლა ცხოვრების სხვა ეტაპზე ვარ და ძალიან მომწონს. ვფიქრობ, ამის შემდეგ ბევრად უფრო კარგი ჩვენება მექნება და ამიტომ, ეს ორი წელი საკუთარ თავს დავუთმე. თავიდან მეგონა, ჩვენებებსაც გავაკეთებდი, მაგრამ, ამ რეჟიმში ვერ ვახერხებ. დილის 7 საათიდან ვეკონტაქტები ჩემი მაღაზიის მენეჯერს, ყველა დეტალს ვიგებ, ყველა შემკვეთი ჩემთან გადის კონსულტაციებს, მე ვუხატავ. თან, ახლა ჩემი ახალი ხაზი გამოვიდა – „ლოლო ბაი ლაკო“, რომელიც ყოველდღიური და ყველასთვის ხელმისაწვდომია, უკვე იყიდება აბაშიძეზე ჩემს მაღაზიაში.

**– რატომ ლოლო?**

– ბავშვობაში მიყვარდა ნაყინი „ლოლო“, სულ ამას ვჭამდი, ამიტომ მეგობარმა ლოლო შემარქვა. მერე გავაკეთე იმეილი ლოლო-ლაკო, არც შემიცვლია და თავიდან, ჩემს ბრენდს რომ ვაკეთებდი, აქედან ვაგზავნიდი წერილებს და უკან პასუხად მიბრუნდებოდა: დიარ ლოლო, დიარ ლოლო და სულ მინდოდა, ახალ ხაზს, რომ გავაკეთებდი, ლოლო დამერქმია. თავიდან საუბარი იყო ლოლოს ჯინსებზე, მაგრამ ჯერ ჯემპრები გავაკეთე და მერე ჯინსებიც შემოუერთდება.

**ნათია უტიაშვილი**

# თავის მოვლის წინასაახალწლო რჩევები

* მაკიაჟის გასამყარებლად საკმარისია, მიისხუროთ სახეზე თერმული წყალი და შეიშროთ კოსმეტიკური ხელსახოცის დაფენით.

* ფრჩხილებზე ლაკი თანაბრად რომ წაისვათ: ა) ფრჩხილების აცეტონით გაწმენდის შემდეგ საპნით დაიბანეთ ხელები, რომ ფრჩხილებიდანაც მთლიანად მოიშოროთ ხელის კრემის ნარჩენები.



ბ) წაისვით უფერო დამცავი ლაკი;

გ) ლაკიანი ფლაკონი კი არ შეანჯღრიოთ, არამედ ამოაყირავეთ (ცხადია, თავდახურული) და ხელისგულებით გაათბეთ.

* თიხის ნიღაბს გაცილებით უკეთესი შედეგი ექნება, თუ ნიღბის წასმის შემდეგ სახეზე 10 წუთის განმავლობაში ორთქლის აბაზანას გაიკეთებთ.

* ექსპრეს-გაწმენდა: ჩვეულებრივი ასპირინის 1 აბი გახსენით 1 ჩაის კოვზ თბილ წყალში, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და მიღებული ხსნარი წაისვით მთელ სახეზე, 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ დოლბანდის სველი ტამპონით, მსუბუქი მასაჟით.

* თვალების გარშემო კანის მოსავლელად, კერძოდ კი, შეშუპების, შავი წრეებისა და წვრილი ნაოჭების მოსაშორებლად, საჭიროა, სახის ეს მონაკვეთი დღეში რამდენჯერმე დაიტენიანოთ. დილას და საღამოს, გაწმენდის შემდეგ, წაისვით სპეციალური კრემი, რომელიც უნდა შეინახოთ მაცივარში, რადგან ცივი კრემი სწრაფად აქრობს შეშუპებას. დღის განმავლობაში გამოიყენეთ ბურთულიანი საშუალებებით – ისინი არა მარტო ატენიანებს, არამედ, ხელს უშლის ახალი ნაოჭების წარმოქმნას.

შეშუპების ჩასაცხრობად ყველაზე მარტივი და იოლი საშუალება: დაჭერით მსხვილი კიტრი თხელ რგოლებად, გააცივეთ მაცივარში. შემდეგ მჭიდროდ დაიდეთ დახუჭულ თვალებზე და 10 წუთით წამოწექით. ეს კომპრესი შეგიძლიათ, დღეში რამდენჯერმე გაიკეთოთ.

* სახის მასაჟით სასურველი შედეგის მისაღებად აუცილებელია მოთმინება და მასაჟის რეგულარულად კეთება. მასაჟისთვის საუკეთესო დროა გვიანი საღამო, დაძინებამდე 2 საათით ადრე.

* სახის კანის ტონუსში მოსაყვანად და ჯანმრთელი ფერის დასაბრუნებლად ყველაზე მარტივი და გამოცდილი მეთოდია კონტრასტული შხაპი. უკეთესი შედეგის მიღების მიზნით, წინასწარ მოამზადეთ გვირილის, პიტნის ან კალენდულას ნახშირის ყინულის კუბიკები და ყოველ დილით თითო კუბიკი გატეხეთ 3 ნაწილად. თითოეული ნატეხით მსუბუქად დაიმასაჟეთ სახე, შუალედებში კი სახეზე შეიშხაპუნეთ თბილი წყალი. ბოლოს შეიმშრალეთ და მაშინვე წაისვით მკვებავი.

* ზამთარში დეკორატიული კოსმეტიკა, გარდა იმისა, რომ ხაზს უსვამს თქვენს სილამაზეს და ფარავს ხარვეზებს, არის სახის მყუდრო და საიმედო „სამოსი“.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

# მკაცრი დიეტის ნაცვლად – პროდუქტების კალათა

***იმის გათვალისწინებით, რომ გვინდა კარგ ფორმაში ვიყოთ, მაგრამ მკაცრ დიეტას ვერ ვიცავთ, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი პროდუქტების კალათა იმ საჭირო და აუცილებელი პროდუქტებით ავავსოთ, რომლებიც აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და, შედეგად ხელს უწყობს ცხიმების წვას, ანუ – გახდომას.***



*ეს პროდუქტებია:*

***ყავისფერი (ველური) ბრინჯი*** თეთრის ნაცვლად – მას ორგანიზმი უფრო დიდხანს ინელებს და ითვისებს, ამიტომ, ხანგრძლივია დანაყრების შეგრძნებაც.

***ნიორი, ნიახური, მწარე წიწაკა, სხვა სანელებლები*** – აძლიერებს იმუნიტეტს და აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.

***ნიგოზი და თხილი*** (ზომიერი რაოდენობით) და ***მსუქანი თევზი*** – საუკეთესო საშუალებაა ცხიმების დასაწვავად.

***ხორცი, თევზეული, კვერცხი და პარკოსნები*** – ცილების შემცველი პროდუქტებია, რომელთა მირთმევის შემდეგ ადამიანს უქვეითდება ტკბილეულის მოთხოვნილება.

***სტაფილო, წითელი ბულგარული წიწაკა, ბოლოკი, ისპანახი*** – მათში შემავალი ბეტა-კაროტინი და C ვიტამინი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას.

***ცეხვილი პური, ბურღულეული*** – მათში შემავალი მაგნიუმი აძლიერებს ენერგიას, არეგულირებს სისხლში შაქრის შემცველობას, აქვეითებს მადას.

***რძემჟავა პროდუქტები (მაწონი, კეფირი, იოგურტი, ხაჭო, ყველი)*** – მათში შემავალი კალციუმი არის მინერალი, რომელიც წვავს ცხიმებს და იცავს ორგანიზმს „რიკოშეტული“ დაგროვებისგან.

***ზღვის პროდუქტებში*** შემავალი იოდი აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლისთვის და აჩქარებს მეტაბოლიზმს.

და, რა თქმა უნდა, ***წყალი*** – ბალახეული ჩაისა და წვნიანების პარალელურად, უნდა სვათ დღეში 1,5 ლიტრი ჩვეულებრივი ან გაზგასული მინერალური წყალი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: არასდროს ვიყენებ თმის ლაკს, რადგან, გამიგია, რომ ის აფუჭებს თმას და ერთმანეთზე ისე აწებებს თმის ღერებს, რომ დავარცხნა თითქმის შეუძლებელი ხდება. ჩემი მეგობარი კი მიმტკიცებს, რომ ეს ასე არ არის. თქვენ რას მირჩევთ?**

**პასუხი:** თქვენი მეგობარი მართალია. სტაილინგის თანამედროვე საშუალებები თმისთვის ნამდვილად არ არის საზიანო. ახალი ფორმულებისა და მიკრონაწილაკების წყალობით, ლაკი თმას თანაბრად ესხურება და სწრაფად შრება. შედეგად თმა გამოიყურება აბსოლუტურად ბუნებრივად, ღერები ერთმანეთს არ ეწებება, რჩება რბილი და ადვილად ივარცხნება, ვარცხნილობა კი 24 საათის განმავლობაში ინარჩუნებს ფორმას.

**კითხვა: რაში მდგომარეობს დახვეწილი მაკიაჟის საიდუმლო?**

**პასუხი:** წამყვანი ვიზაჟისტების აზრით, მაკიაჟში მთავარია ტონალური კრემი. მხოლოდ კანის ფერის დარეგულირების შემდეგ შეიძლება, დაიწყოთ „ჩრდილების“, პომადისა და რუჟის შერჩევა.

**კითხვა: გავიგე, რომ საფირმო მაღაზიებში იყიდება ლაკი ტუჩებისთვის. რა დადებითი თვისებები აქვს მას?**

**პასუხი:** თავისი არსით, ეს არის თხევადი პომადა, მაგრამ, აპლიკატორის წყალობით, ის ადვილად ისმევა, იდეალურად აჩენს ტუჩების კონტურებს და ტუჩის კანს გლუვსა და რბილს ხდის. გარდა ამისა, შესაძლებელია მათი ფერების შერევა. მისი ერთადერთი უარყოფითი თვისება ის არის, რომ არ ზრდის ტუჩების მოცულობას.

**კითხვა: რას ნიშნავს აბრევიატურა BB? როგორც ვიცი, კოსმეტიკაში BB-ის ბუმია და, მაინტერესებს, რით არის ეს ახალი კოსმეტიკური საშუალება განსაკუთრებული?**

**პასუხი:** აბრევიატურა BB (ინგლისურიდან: Blemish Balm, Blemish Base Bleaty Balm) ნიშნავს „კანის ხარვეზების შემნიღბველ ბალზამს“. ამ კრემს აქვს უამრავი დადებითი თვისება. ის შეიცავს კანისთვის სასარგებლო კომპონენტებს, ატენიანებს მას და, ასევე, ნიღბავს ხარვეზებს, მაგალითად: პიგმენტურ ლაქებს, კუპეროზს; იცავს კანს მზის ულტრაიისფერი სხივებისგან.

**კითხვა: კანი ხელებზე ისედაც მიშრება და ხშირად მისკდება. საახალწლო სამზადისის შემდეგ, ვიცი, რომ ეს პრობლემა უფრო გამირთულდება. რას მირჩევთ, როგორია ამ პრობლემის პროფილაქტიკა?**

**პასუხი:** საოჯახო ქიმია და ზამთრის სიცივე ხელების პირველი მტერია. ამიტომ, წყალთან დაკავშირებული საქმეები აკეთეთ მხოლოდ რეზინის ხელთათმანებით, თუმცა, მარტო ეს ვერ დაგიცავთ. მოერიდეთ ძალიან ცივ და ძალიან ცხელ წყალს. საქმიანობის დასრულების შემდეგ ხელები დაიბანეთ ოდნავ თბილი წყლით და აუცილებლად წაისვით დამარბილებელი კრემი;



დილით არ დაგავიწყდეთ დამატენიანებელი კრემის წასმა, დღის განმავლობაში კი, როცა წყალთან არ გექნებათ ურთიერთობა, სულ უნდა გესვათ მკვებავი. გარეთ გასვლის წინ, სასურველია, თუ წაისვამთ გლიცერინს ან მის შემცველ კრემს და, რაც მთავარია, სიცივეში არ გახვიდეთ ხელთათმანების გარეშე.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ მიჰყიდა მოსკოვის ოლიმპიური სოფელი არაბ შეიხს ცნობილმა ქართველმა თაღლითმა

*ცნობილი ქართველი თაღლითი, ვასო კედია საბჭოთა კრიმინალური სამყაროს ნამდვილი ლეგენდა იყო და მიუხედავად იმისა, რომ ის კანონიერი ქურდი არ ყოფილა, საბჭოეთის ყველაზე ავტორიტეტული კრიმინალებიც კი პატივს სცემდნენ და ციხეში მოხვედრისას, ქურდული ადგილი გარანტირებული ჰქონდა.*

*ვასო კედიას კრიმინალურ სამყაროში „ცუღლუტის“ სახელით იცნობდნენ. მასზე დღემდე მრავალ ისტორიას თუ ლეგენდას ყვებიან. ჩვენი პუბლიკაცია ცუღლუტის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდზეა აგებული, რომლებიც მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზეა დამყარებული.*

*მთავარი გმირის, ცუღლუტის, იგივე ვასო კედიას გარდა, თითქმის ყველა მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება სრული შემთხვევითობაა, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.*

## ფრიადოსანი

ვასილი სარდიონის ძე კედია 1940 წლის 17 დეკემბერს ზუგდიდში დაიბადა. ვასოს მამა – სარდიონი 1942 წელს სამამულო ომში დაიღუპა, ორი წლის შემდეგ კი დედა, ანა ჭაჭუა ჭლექით გარდაიცვალა. 4 წლის ბავშვის აღზრდა მამიდამ, ელენე კედიამ ითავა, რომელიც თბილისში, სოლოლაკში იყო გათხოვილი და მასაც სამამულო ომში დაეღუპა მეუღლე. ქვრივ ქალს შვილი არ ჰყავდა. ამიტომ, ძმისშვილი შვილივით შეიყვარა და საომარი მდგომარეობისა და გაჭირვების მიუხედავად, ცდილობდა, პატარა ვასოსთვის არაფერი მოეკლო.

27 წლის ულამაზეს ელენე კედიას მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა და მას ბევრი ღირსეული მამაკაცი სთხოვდა ცოლობას. თუმცა, ელენე პატიოსანი ქალი იყო და გაჭირვების მიუხედავად, მთელ თავის ენერგიას პატარა ვასიკოს აღზრდას ანდომებდა. ამიტომ, ყველა ხელის მთხოვნელს უარი უთხრა და სამხედრო ჰოსპიტალში აგრძელებდა მუშაობას, სადაც ის ექთანი იყო. მიუკარებლობის მიუხედავად, 1947 წელს ვინმე ვახტანგ ერისთავს გაჰყვა ცოლად. ერისთავს პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა და ჰოსპიტალში გამოკვლევებს იტარებდა, ასე გაიცნო ეს მომხიბვლელი მამაკაცი ქალმა. პოლკოვნიკი ვახტანგ ერისთავი კი, სინამდვილეში აპოლონ ცაგარელი იყო, თაღლითი რეციდივისტი და პოლკოვნიკის ყალბი საბუთებით ცხოვრობდა, რადგან მილიცია ეძებდა. ცაგარელს კრიმინალურ სამყაროში „აკადემიკოსის“ მეტსახელი ჰქონდა და პატარა ვასიკოს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი სწორედ მან შეასრულა. ცაგარელი ძალიან ნიჭიერი, განათლებული ადამიანი იყო, არისტოკრატული მანერებით და ნებისმიერი ადამიანის მოხიბვლა შეეძლო. პატარა ვასიკო მას ძალიან უყვარდა და რადგან ბიჭი კარგად სწავლობდა ბევრ წიგნს აკითხებდა, მოუწოდებდა, სკოლაში კარგად ესწავლა. ვახტანგს და ელენეს შვილი არ ჰყავდათ, რადგან ქალი უშვილო იყო. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და ვასიკოს შვილივით ზრდიდნენ. რვაწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ, ვახტანგ ცაგარელი, იგივე „აკადემიკოსი“, ერთ-ერთმა სოლოლაკელმა იცნო, რომელიც მასთან ერთად იჯდა ციხეში და დააბეზღა. ცაგარელი დააპატიმრეს, გაასამართლეს და რუსეთში ეტაპით გაგზავნეს, საიდანაც ის ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. „აკადემიკოსი“ რომ მიჰყავდათ ის ცოლ-შვილს ჩაეხუტა, ბოდიში მოუხადა მათ და ვასიკოს უთხრა:

**კურტანელს ნავთის სარდაფში 2 მილიონი მანეთი დაეწვა. ის გაგიჟდა, 6 თვის შემდეგ კი საგიჟეთის სახურავიდან გადმოხტა და თავი მოიკლა**

– ისწავლე და პატიოსნად იცხოვრე. იცოდე, თუ ცოდნა არ გაქვს, ხეირიანს ვერაფერს მიაღწევ, დანაშაულის გზას კი არასოდეს დაადგე და დიდი კაცი გამოდი.

ცაგარელი 1955 წლის 16 დეკემბერს დააპატიმრეს. მეორე დღეს კი, ბარბარობა იყო და ვასიკოს 15 წელი უსრულდებოდა. მომავალი თაღლითი მეცხრე კლასში სწავლობდა და აბსოლუტური ფრიადოსანი იყო.

## მაკიაველისტური შურისძიება

„აკადემიკოსის“ დამბეზღებელი, ვინმე ანზორ კურტანელი იყო. ის, ეგრეთ წოდებულ ნავთის წერტში მუშაობდა გამყიდვლად, კიროვის ქუჩაზე, ერთ-ერთ სარდაფში. კურტანელი სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის 5 წელი იჯდა ციხეში და ცაგარელს იქიდან იცნობდა. თუმცა, მოგვიანებით, ის გაამართლეს და გაათავისუფლეს.

ვასიკომ რომ ჩამშვების ვინაობა შეიტყო, მისი მოკვლა განიზრახა და ამის შესახებ თავის საუკეთესო მეგობარს, თანაკლასელს, ომარ ბერიძეს უთხრა (მოგვიანებით, ომარ ბერიძე, იგივე „ოქროსხელება“, საბჭოეთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ქურდი გახდა).



– მოვკლათ, მაგის დედაც... – უთხრა ომარმა ვასიკოს და დაამატა, – ღამით დავხვოსტოთ და ყელი გამოვჭრათ ბნელ ქუჩაზე.

ძმაკაცებმა გეგმა დაისახეს და შესრულებას შეუდგნენ. მაგრამ ორდღიანი თვალთვალის შემდეგ, ვასიკომ ომარს უთხრა:

– სხვა იდეა მაქვს. მოკვლა არ გვინდა. ბოლოს და ბოლოს, მან ხომ მამაჩემი დააჭერინა და არ მოუკლავს. ბავშვები ვართ და კაცის ცოდვას რომ დავიდებთ, ცხოვრება გაგვიჭირდება.

– ნახე რა შენც კაცი. კაცი კი არა, ბოზია. ბოზები კი უნდა დახოცო, – მიუგო ომარმა ვასიკოს და გააგრძელა, – თუმცა, როგორც შენ იტყვი. ეს ბაზარი შენი გადასაწყვეტია და ყველაფერში გვერდით დაგიდგები. თქვი, რა იდეა გაქვს.

– პაკეტს დავუგდებთ და თავისივე ღორობის გამო საკუთარ თავს თვითონ დასჯის.

– რა პაკეტს, ვერ ვხვდები?!

– მოკლედ, მაგის პადვალში ჩახვალ, ნახევარ ლიტრ ნავთს იყიდი და ისე იზამ, ვითომ საფულე შემთხვევით დაგივარდა და წამოხვალ. ის ნაბოზარი, რა თქმა უნდა, ბუმაჟნიკს არ დაგიბრუნებს და დედაც ეტირება. ფულის გარდა საფულეში შუშის პატარა პუზირიოკი იდება, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე იქნება და რომ გახსნის, ჰაერი მოხვდება თუ გადააგდებს, ორივე შემთხვევაში, აფეთქდება. მისივე ნავთით გაძეძგილ პადვალში გამოიბუგება. როგორია?

– პუზირიოკი რომ არ გადააგდოს და შეინახოს?

– მაშინ ერთ საათში აფეთქდება, მას მერე, რაც პუზირიოკში ქიმიური პროცესი დასრულდება.

– საფულე რომ დამიბრუნოს?

– დარწმუნებული ვარ, არ დაგიბრუნებს. მაგრამ, თუ მაინც მოხდა სასწაული, მაშინ შევეშვათ. ესე იგი, ღმერთი მფარველობს.

ვასიკოს მშვენივრად ესმოდა ქიმია და რამდენიმე ქიმიური ფხვნილისგან, რომლებიც მან მაღაზიაში შეიძინა, ძლიერი ფეთქებადი ნაერთი მოამზადა. პატარა ბოთლს თავი დაუცო, საფულეში ჩადო და ბერიძეს უთხრა:

– მიდი, იმოქმედე.

ომარი ნავთის წერტში ჩავიდა, ხუთიოდე წუთში კი ნავთით სავსე ბოთლით დაბრუნდა და კიროვის ქუჩის კუთხეში მომლოდინე ვასიკოს უთხრა:

– მართალი ხარ. იმ ბოზს თვალიც არ დაუხამხამებია, როცა ბუმაჟნიკი ტექნიკურად დავუგდე.

– ჰოდა, დედა ეტირება, – თქვა ვასიკომ და სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ჯერ საშინელი აფეთქების ხმა გაისმა სარდაფიდან, შემდეგ კი ცეცხლი და ცეცხლმოკიდებული ანზორ კურტანელი ერთად ამოიტყორცნა ტროტუარზე. მაბეზღარა გამყიდველი ფილაქანზე დაენარცხა...

– ღმერთო! ეს რა არის? – აღმოხდა ომარ ბერიძეს.

– ამ ნაბოზარმა პუზირიოკი გახსნა და ძირს დააგდო, – მშვიდად მიუგო ვასიკომ ძმაკაცს.

ცეცხლმოკიდებულ კურტანელს გამვლელებმა უშველეს. მან მხოლოდ მცირე ხარისხის დამწვრობა მიიღო, თუმცა შეიშალა და საგიჟეთში მოათავსეს. ექვსი თვის მერე კი, ფსიქიატრიული კლინიკის სახურავიდან გადმოხტა და გარდაიცვალა. საქმე ისაა, რომ კურტანელს ორი მილიონი მანეთი დაეწვა, რომელიც სარდაფში ჰქონდა დამალული. სწორედ ამის გამო იყო ის დაპატიმრებული და 5 წელი ციხეში იჯდა. თუმცა, იმდენი მოახერხა, რომ დანაშაული აბსოლუტურად მართალ კაცს გადააბრალა, რომელიც სწორედ ამის გამო გაასამართლეს და დახვრიტეს.

– ფულები, ჩემი ფულები, ჩემი მილიონები, – გაჰკიოდა ანზორ კურტანელი და დედიშობილა დარბოდა კიროვის ქუჩაზე, როცა საგიჟეთის ბრიგადამ ის თავის უწყებაში წაიყვანა.

## „ცუღლუტი“, რომელიც ყველას უყვარდა

ვასიკო კედიამ საშუალო სკოლა 1958 წელს დაამთავრა და წარჩინებული სწავლისთვის ოქროს მედალი გადასცეს. უნიჭიერესი ყმაწვილი მოსკოვში გაემგზავრა. მან თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები და პირველ კურსზე ჩაირიცხა. ეს ინსტიტუტი მრავალი ადამიანის სანუკვარი ოცნება იყო და იქ სწავლაზე ბევრი მსახიობი ოცნებობდა. მოგვიანებით, უკვე „ცუღლუტს“ ინსტიტუტში მიღებული ცოდნა დიდად დაეხმარა კრიმინალურ საქმიანობაში.

1961 წელს თბილისში საზაფხულო არდადეგებზე ჩამოსულ ვასიკო კედიას ცუდი ამბავი დაახვედრეს. მისი ძმაკაცი, ომარ ბერიძე, ქურდობისთვის დააპატიმრეს და თხუთმეტწლიანი მუხლი ჰქონდა მიყენებული, რადგან დაზარალებული „ცეკაში“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო.

– ჯერ გაასამართლონ და მაქსიმალური მიარჭონ, მერე კი მე ვიცი. ამ ნაბიჭვარს ურანის საბადოებზე გავაგზავნინებ და ორ თვეში ჩაძაღლდება! – იმუქრებოდა დაზარალებული მაღალჩინოსანი.

– უნდა ვუშველოთ ომარს, თორემ მოკლავენ ეს ბოზები, – უთხრა ვასიკომ ძმაკაცებს, – ამ საქმეს მე ვითავებ და ან გამოვიყვან, ან ამ ამბავს შევეწირები.

მრავალმხრივ ნიჭიერი ვასო კედია ბრწყინვალედ ხატავდა და სანიმუშოდ ფლობდა გარდასახვის ხელოვნებას. ამიტომ, ის უპრეცედენტო ნაბიჯზე წავიდა. მან საკავშირო გენერალური პროკურატურის სპეციალურ ბლანკზე ომარ ბერიძის გათავისუფლების ბრძანება დაწერა, რომელსაც თავად საკავშირო გენპროკურორის, რუდენკოს ხელმოწერა ჰქონდა. სპეცკურიერის უნიფორმაში გამოწყობილმა პირდაპირ ორთაჭალის ციხეში მიიტანა. ბლანკი თავად ვასო კედიამ დაამზადა. რისკმა გაამართლა და ვასომ მეგობართან ერთად ციხის

## არაბმა შეიხმა „ცულლუტს“ 100 ათასი მანეთი მისცა, გამომემშვიდობა და სასტუმროს ნომერში სალოცავად ავიდა

ტერიტორია დატოვა, ისინი ტაქსით თბილისის ვაგზალზე გავიდნენ. ძმაკაცები თბილისი-მოსკოვის მატარებელში ჩასხდნენ და საბჭოთა კავშირის დედაქალაქისკენ აიღეს გეზი.

– შენ რომ არა, ახლა, ალბათ, უკვე ურანის საბადოებზე ვეგდებოდი და სულიც ამომძვრებოდა, – უთხრა მომავალმა კანონიერმა ქურდმა ვასიკოს. მოსკოვის ბინაშიც მეგობართან მან სულ რაღაც ერთი თვე იცხოვრა და შემდეგ ორივე გაიქცა იქიდან, რადგან მათ მილიცია დაეძებდა.

თბილისში სულ მალე აღმოაჩინეს „პადლოგი“ და ბერიძეზე ძებნა გამოაცხადეს. დაზარალებული მაღალჩინოსანი ცოფებს ყრიდა, მილიციას ყოველმხრივ აჩქარებდა და ამ ზეწოლამ შედეგი გამოიღო. მაძებრებმა ვასიკო კედიას მიაგნეს და გაიგეს, რომ ძებნილი ბერიძე მასთან იმალებოდა. ისიც დადგინდა, რომ ბერიძის გაქცევა კედიას ორგანიზებული იყო. თუმცა, ძმაკაცების დასაპატიმრებლად რომ მივიდნენ, კედიამ და ბერიძემ გაქცევით უშველეს თავს და ერთხანს მოსკოვში იმალებოდნენ. შემდეგ კი, საბჭოთა კავშირის მასშტაბით და კრიმინალურ საქმიანობას მიჰყვეს ხელი.

თავისი განსაკუთრებული ტალანტის მეშვეობით, 20 წლის ვასიკო კედია, რომელიც ქართულისა და რუსულის გარდა კიდევ ოთხ ენაზე: ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად და ესპანურად ლაპარაკობდა, სხვადასხვა თაღლითურ კომბინაციას იგონებდა და ამით შოულობდა ფულს. ომარ ბერიძეს კი, დამხმარედ იყენებდა და ამ ტანდემმა ორი წლის განმავლობაში მრავალ მდიდარ უცხოელსა თუ იატაკქვეშა საბჭოთა მილიონერს გამოსძალეს ფული.

– ქურდობა ჩემი პროფილი არ არის, ჩემო ომარ, აფიორაზე საინტერესო და ჭკვიანური საქმე არ არსებობს, – ეუბნებოდა ხოლმე ვასიკო ომარს და მართლაც, მთელი მათი ერთობლივი მოღვაწეობის განმავლობაში მათ ერთი ქურდობაც არ ჩაუდენიათ.

1963 წლის ივლისში ომარ ბერიძე კიევში დააპატიმრეს. კრეშჩატიკზე ის ერთ-ერთმა ციხის ზედამხედველმა იცნო, რომელიც ორთაჭალის საპყრობილეში მუშაობდა. მან მილიციელი იხმო და ომარი იმ დროს აიყვანეს, როცა ის ვასიკოს ელოდებოდა. ვასო კედიამ საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი. თუმცა, მეგობარს ვერანაირად უშველიდა და კიევიდან ოდესაში გაემგზავრა. ომარ ბერიძე კი გაასამართლეს და 8 წლით ჩასვეს ციხეში. იმ პერიოდში, თბილისელი დაზარალებული მაღალჩინოსანი უკვე გადაყენებული იყო თავისი პოსტიდან და ბერიძეს ვერაფერი დაუშავა. ომარი გააციმბირეს და 1971 წელს საპყრობილიდან გათავისუფლების წინ, ის კანონიერ ქურდად აკურთხეს. ვასიკო კი ამ დროს უკვე 2 წლის პატიმარი იყო და გათავისუფლებამდე 2 წელი ჰქონდა დარჩენილი.

თითქმის 8 წლის ძებნილი ვასო კედია 1969 წელს ლენინგრადში დააპატიმრეს. იქ ერთ იაპონელ მილიონერს ზამთრის სასახლე მიჰყიდა, წინასწარ 30 ათასი მანეთი გამოართვა და მხოლოდ იმიტომ ჩავარდა, რომ ქუჩაში გულწასულ ფეხმძიმე ქალს მიეხმარა, ტაქსით საავადმყოფოში მიიყვანა და მისაღებში მილიციის ოპერჯგუფმა აიყვანა. ოპერჯგუფი კი ტაქსისტმა გამოიძახა, რომელსაც ძებნილი კედიას სურათი ჰქონდა და მის შესახებ ორგანოებს შეატყობინა.

1969-1999 წლებში ვასო კედია, იგივე ცულლუტი, 5-ჯერ იჯდა ციხეში, თუმცა მხოლოდ 10 წელი გაატარა იქ. მას ყოველთვის სანიმუშო საქციელისთვის ათავისუფლებდნენ. თანაც, აფერისტობისთვის კანონი დიდ სასჯელს არ ითვალისწინებდა.

ცულლუტი ვასო კედიას პირველივე პატიმრობისას შეარქვეს და მომავალში ეს მეტსახელი საყოველთაო სიყვარულისა და აღტაცების საგანი გახდა. ვასო კრიმინალებსაც უყვარდათ და სამართალდამცავებსაც. რადგან, მილიციას არასოდეს უქმნიდა პრობლემებს და თუკი დანაშაულს დაუმტკიცებდნენ, აღიარებდა კიდეც... დანაშაულს კი, უფრო სწორად აფერებს, ცულლუტი ბრწყინვალედ გეგმავდა და უმაღლეს დონეზე ასრულებდა. თუმცა, მილიციასაც კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი ხელწერა და თუკი სადმე ვინმეს მაგრად გააცურებდნენ, იქვე მოიკითხავდნენ ხოლმე ცულლუტს.

1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშები ორი დღის დაწყებული იყო, როცა ოლიმპიურ სოფელში სოლიდურად გამოწყობილი, სიმპათიური მამაკაცი გამოჩნდა. მას ერთ-ერთი არაბული სახელმწიფოს შეიხი ახლდა თან. სოლიდური მამაკაცი ცულლუტი გახლდათ. ის არაბს მაღალჩინოსან პარტიულ მუშაკად წარუდგა და ოლიმპიურ სოფელს ათვალიერებინებდა. დათვალიერების მიზეზი კი მომავალი კომერციული გარიგება იყო, რომლის მიხედვითაც, არაბს, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, მთელი ოლიმპიური სოფელი უნდა ეყიდა. შეიხს ტერიტორია უზომოდ მოეწონა. ფასიც მისაღები იყო, 30 მილიონი დოლარი. ამიტომ, კომპანიონებმა მომავალი გარიგება ფეშენებელურ რესტორან „ინტერკონტინენტალში“ აღნიშნეს და ნომერში ასვლის წინ შეიხმა ცულლუტს 100 ათასი მანეთიც დაუტოვა და უთხრა:

– ეს თქვენი ჯილდოა იმისთვის, რომ ასეთი სარფიანი კონტრაქტი ჩამაგდებინეთ ხელში. ახლა კი სალოცავად უნდა წავიდე. ხვალამდე!

შეიხი სალოცავად ავიდა ნომერში. ცულლუტმა კი აეროპორტისკენ გასწია, ყირიმში გაფრინდა და ერთი კვირა ზღაპრული დრო გაატარა, რაშიც 20 ათასი მანეთი დახარჯა. გარკვეული თანხა მან ქურდულ სალაროში გაგზავნა და არც რამდენიმე გაჭირვებული დავიწყებია.

არაბმა მხოლოდ ერთი კვირის მერე მიმართა მილიციას და „მურის“ ოპერებმა ცულლუტი ოთხი დღის შემდეგ ოდესაში დააკავეს, მოსკოვში ჩაიყვანეს და შეიხთან დააპირისპირეს. არაბმა ცულლუტი ვერ ამოიცნო, ამიტომ ვასიკო კედია გაუშვეს. არაბმა კი, 100 ათასი მანეთი დაკარგა და სამშობლოში ხახამშრალი დაბრუნდა.

„მურის“ უფროსის მოადგილემ, გენერალმა ზავიალოვმა ცულლუტი კაბინეტში დაიბარა და უთხრა:

– პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ხელს არ გახლებ, მხოლოდ მითხარი, არაბი შენ გადააგდე?

ცულლუტს გაეცინა და მიუგო:

– ვასილ საველიჩ, თქვენ თვითონ ნახეთ, რომ არაბმა ხელი არ დამადო და რაზეა ლაპარაკი. ხომ გაგიგიათ: „ნე პოიმან, ნე ვორ!“ ისე კი იმედია, რომ ვინც ის არაბი გადააგდო, ფულს პატიოსან ხალხს და გაჭირვებულებს მოახმარდა...

პატიოსან ხალხში ცულლუტი ქურდებს გულისხმობდა.

ვასილი სარდიონის ძე კედია 2006 წელს, 65 წლის ასაკში ქალაქ მოსკოვში გარდაიცვალა და დასაფლავებულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 31 დეკემბერი

1857 – ქალაქი ოტავა გახდა კანადის დედაქალაქი.

1965 – ლონდონში შემოიღეს გადასახადი ფანჯრებზე – რეაქცია სავსებით მოსალოდნელი იყო – მოსახლეობამ ფანჯრების უმრავლესობა ამოქოლა.

1999 – ბორის ელცინი გადადგა რუსეთის პრეზიდენტის პოსტიდან.

### 1 იანვარი

1800 – დიდმა ბრიტანეთმა გააუქმა ირლანდიის ავტონომია.

1801 – იტალიელმა ასტრონომმა პალერმო პიაციმ აღმოაჩინა ყველაზე დიდი ასტეროიდი – ცერერა.

1881 – ცნობილი მოთხრობის მიხედვით, ამ დღეს ექიმმა ჯონ უოტსონმა გაიცნო კერძო დეტექტივი შერლოკ ჰოლმსი.

1925 – ნორვეგიის დედაქალაქს გადაერქვა სახელი – ქრისტიანიის მაგივრად, ეწოდა ოსლო.

1959 – კუბის მმართველობა ხელში აიღო ფიდელ კასტრომ.

### 2 იანვარი

1769 – გაიხსნა ლონდონის სამხატვრო აკადემია, რომლის პირველი რექტორი გახდა გამოჩენილი მხატვარი ჯოშუა რეინოლდსი.

1839 – ლუი დაგერმა გადაიღო მთვარის პირველი ფოტოგრაფია.

1944 – ვერტმფრენების პირველი საბრძოლო გამოყენება.

### 3 იანვარი

1803 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვერმონტში გარდაიცვალა ვინმე ჯონ ბარნსი, რომლის ქვრივმაც საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გააკეთა: „ჩემი ქმრის ხსოვნას – მისი სიცოცხლით სავსე, მშვენიერი 23 წლის უნუგეშო ქვრივი, რომელსაც აქვს დიდი სახლი და კარგი დიასახლისის ყველა თვისება“.

1882 – ამერიკაში ჩასულმა ოსკარ უაილდმა მებაჟის მოთხოვნას, წარმოედგინა დოკუმენტები და ბარგი, უპასუხა: მე არაფერი გამაჩნია, გარდა გენიისა!

1888 – სტოუნმა ვაშინგტონიდან დააპატენტა წვენებისა და კოქტეილების საწრუპი მილაკი.

1962 – რომის პაპმა ანათემას გადასცა ფიდელ კასტრო.

### 4 იანვარი

1493 – ამერიკის აღმომჩენი, დარწმუნებული იმაში, რომ „აღმოაჩინა“ აზია, უკან გაუდგა გზას ესპანეთისკენ.

1896 – იუტა, მას შემდეგ, რაც იქ მცხოვრებმა მორმონებმა უარი თქვეს მრავალცოლიანობაზე, ოფიციალურად გახდა ამერიკის 45-ე შტატი.

1943 – ამერიკულმა ჟურნალმა „თაიმმა“ წლის ადამიანად იოსებ სტალინი დაასახელა.

1961 – კოპენჰაგენში დასრულდა მსოფლიოში ყველაზე უფრო ხანგრძლივი გაფიცვა: ადგილობრივი პარიკმახერები გაფიცულნი იყვნენ 1928 წლიდან.

### 5 იანვარი

1825 – ფრანგ მწერალს ალექსანდრ დიუმას კურიოზი შეემთხვა – დუელში ფარიკაობისას შარვალი ჩაძვრა.

1875 – გაიხსნა პარიზის „გრანდ ოპერა“.

1919 – გერმანიაში ანტონ რექსლერმა და კარლ ჰარერმა დააარსეს გერმანიის მუშათა პარტია, რომელსაც შემდეგ ნაციონალ-სოციალისტური (ნაცისტური) მუშათა პარტია ეწოდა.

### 6 იანვარი

1389 – დაარსდა კიოლნის უნივერსიტეტი, დღესდღეობით უდიდესი გერმანიაში.

1681 – პირველი აღწერილი კრივის მატჩი ინგლისში.

1838 – სამუელ მორზემ პირველად წარადგინა საკუთარი ტელეგრაფის აპარატი.

1929 – მაღაზიებში გასაყიდად პირველად გამოვიდა რძე ქაღალდის პაკეტებში.

1964 – ინგლისმა და საფრანგეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, ლა-მანშის ქვეშ გვირაბის მშენებლობის თაობაზე.

# როგორ ვერ გაიყო ორმა ქალბატონმა ერთი მამაკაცი

ქალბატონები იმის გამო, რომ კაცი ვერ გაიყვეს, საპატიმროში აღმოჩნდნენ. ორიდან ერთს, ფიქრია ს-ს – 3 წელი, ხოლო ნატალი ზ-კოს 1 წელი მიესაჯა. სამართალდამცველებმა ისინი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს, რადგან, „კონკურენტებმა" არა მხოლოდ ერთმანეთს, გამშველებელ საყვარელსაც სცემეს. თუმცა, ვინაიდან ფიქრია ს-მ საყვარლის დედასაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, მას შედარებით მძიმე სასჯელი ერგო. მთავარი კი ის არის, რომ ქალები სასჯელს არა ციხეში, არამედ, პირობით მოიხდიან...

ქალებს შორის ასაკობრივი სხვაობა, არც მეტი, არც ნაკლები, 15 წელია: ფიქრია 40 წლისაა, უკრაინელი ნატალი კი – 25-ის. მაგრამ, როგორც ჩანს, სიყვარულმა ასაკი მართლაც არ იცის, რადგან, 45 წლის ანტონ ლ. ორივე ქალს ისე თავდავიწყებით შეუყვარდა, კინაღამ ერთმანეთი დახოცეს. თუმცა, ფიქრიამ ეს არ იკმარა. საყვარლის ლანძღვითა და ცემით გული რომ იჯერა, დედამისზეც გადავიდა და ასაკოვან ქალს კინაღამ ხელი მოსტეხა...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ფიქრია ს. დაახლოებით ღამის 11 საათზე სტუმრად მივიდა ანტონ ლ-სთან. მაგრამ, იმის გამო, რომ ანტონ ლ-ს სტუმარი ჰყავდა, ქალს ქუჩაში გამოხედა, უთხრა, რომ სტუმრები ჰყავდა და სთხოვა, მათი წასვლის შემდეგ, უფრო გვიან, დაახლოებით ღამის 2 საათისთვის მისულიყო. ფიქრია ს., რომელსაც ანტონ ლ-სთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა, შემოთავაზებულ წინადადებას დასთანხმდა, თუმცა, ვინაიდან დაეჭვდა, რომ კაცი ატყუებდა, გადაწყვიტა, დროის გასვლას იქვე დალოდებოდა და ერთ-ერთი სახლის გარეთ მდებარე სკამზე ჩამოჯდა, საიდანაც ანტონ ლ-ს ბინას უთვალთვალებდა.

დაახლოებით ერთ საათში ფიქრია ს-მ დაინახა ქალი და მამაკაცი, რომლებიც ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ. სიბნელის მიუხედავად, ფიქრია ს. მიხვდა, რომ ანტონი ქალს აცილებდა და სიჩუმეში მათი საუბარიც მოისმინა – ქალი და კაცი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ, ჰკოცნიდნენ და მომავალ შეხვედრაზე თანხმდებოდნენ. სწორედ ამ მომენტში მათ წინ ტაქსი გაჩერდა, რომელშიც ანტონმა ქალი ჩასვა და, ის იყო, მძღოლმა მანქანის დაძვრა დააპირა, ფიქრია ს. სამალავიდან გამოვიდა და ჩხუბი ატეხა. ქალებს შორის გინება და ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, რომელშიც ანტონ ლ. ჩაერია, მაგრამ, მას უფრო მეტი მოხვდა. ქალები ვერც ჩხუბის ხმაზე შეკრებილმა მეზობლებმა გააშველეს. მათი დაწყნარება მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა და, არა მხოლოდ ქალები, მათი საყვარელიც წაიყვანა, რომელიც შემდეგ საავადმყოფოშიც კი აღმოჩნდა, ისე იყო ნაცემი. საავადმყოფოში მოხვდა, ასევე, ანტონ ლ-ს დედაც, რადგან, შვილის დაცვის მცდელობისას ისიც არანაკლებად დაშავდა...

## ორი სიყვარულის ისტორია

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ფიქრია ს. გათხოვილი არასდროს ყოფილა და როგორც განაცხადა, ანტონი ძალიან უყვარდა. რით შეაყვარა ანტონ ლ-მ მას თავი, ძნელი სათქმელია, მაგრამ, ფიქრია ჩვენებაში არაერთხელ იმეორებს, რომ ანტონი უპრინციპო და უფხო კაცი იყო – რაც არ უნდა ჩაგედინა, რაც არ უნდა მოგეყოლა, არაფერი აღიზიანებდა და არაფერი აეჭვიანებდა, ყველაფერს ღიმილით უყურებდაო...

როგორც ირკვევა, მათი ურთიერთობა დაახლოებით ორი წელი გრძელდებოდა და ამ ურთიერთობის შესახებ ანტონის დედამაც იცოდა, რომელსაც ფიქრია მაინცდამაინც არ მოსდიოდა თვალში, თუმცა ჩვენებაში ამის მიზეზს ფიქრია თავადვე განმარტავს. მისი აზრით, ანტონის დედას, ლილის, არ მოსწონდა, რომ გასათხოვარი ქალი ღამით მისი შვილის ოთახში რჩებოდა... მართალია, ფიქრია საყვარელთან მალულად შედიოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ დედამისი მაინც ყველაფერს ხვდებოდა, მით უმეტეს, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ დილით ანტონის ოთახიდან გამოსულს, არაერთხელ შეხვედრია...

ფიქრია ს-ს ჩვენებიდან: „ანტონი მეგობარმა გამაცნო. მითხრა, რომ ძალიან კეთილშობილი ადამიანი იყო. რომ გავიცანი, ამაში თავადაც დავრწმუნდი, რადგან, ძალიან დამეხმარა – იმ პერიოდში კანის დაავადება მქონდა და, როცა გაიგო, ექიმთან მან წამიყვანა. შემდეგ წამლებიც მან მიყიდა და ასე დავმეგობრდით. იმდენად მომეწონა, მასთან ურთიერთობის ინიციატორი მე გავხდი. ისიც დაჰყვა ჩემს სურვილს და შეხვედრებზე უარს არ მეუბნებოდა. შემდეგ სახლშიც მიმიყვანა და მას შემდეგ სულ მასთან ვხვდებოდით ერთმანეთს. ანტონის გამო სხვა კაცები მივატოვე, რადგან ის ყველასგან განსხვავდებოდა. ჩვენი შეხვედრები თითქმის ორი წელი გაგრძელდა. მინდოდა, ცოლად გავყოლოდი, მაგრამ, ამ თემაზე არაფერს მეუბნებოდა. ბოლოს ისევ მე დაველაპარაკე, თუმცა, ისეთი პასუხი მივიღე, ვერაფერი გავიგე. უფრო სწორად, როდესაც ვუთხარი, რომ, დრო იყო, ოჯახი შეგვექმნა, ერთი სიტყვით მიპასუხა – შეიძლებაო. ამით ჩავთვალე, რომ ვუყვარდი და ჩემთან ქორწინებაზეც თანახმა იყო, მაგრამ, ვხვდებოდი, რომ დედამისს არ მოვწონდი. დარწმუნებული ვიყავი ჩუმად გვისმენდა კიდეც, რადგან, ერთხელ, ღამით, ანტონის ოთახიდან მალულად გამოვედი და კართან დამხვდა...

ანტონს მისვლამდე ყოველთვის წინასწარ ვაფრთხილებდი და არასდროს უთქვამს, არ მოხვიდეო – ის ყოველთვის ყველაფერზე თანახმა იყო. ერთ საღამოს კი, ჩემი იქ ყოფნისას, ვიღაცამ დაურეკა. მისი საუბარი არ მომეწონა. მივხვდი, ქალს ელაპარაკებოდა, მაგრამ, ვინაიდან რუსული კარგად არ ვიცი, რაღაც ფრაზები ჩემთვის გაუგებარი დარჩა. საუბრის დასრულების შემდეგ რომ ვკითხე, ვინ იყო-მეთქი, მიპასუხა, რომ მისი ჯგუფელის ახლობელს ელაპარაკებოდა. მიხვდა, რომ ვიეჭვიანე, მაგრამ, არ დავუმშვიდებივარ. ამის გამო ძალიან შევშინდი, რადგან, იმ დღის შემდეგ ის ქალი სულ უფრო ხშირად ურეკავდა. ამიტომ, მოვიპარე ანტონის ტელეფონი და იმ ქალის ნომერი ამოვიწერე.

როგორც გავარკვიე, ქალს ნატალი ერქვა და საქართველოში ექვსი თვის წინ ჩამოვიდა კიევიდან. დავადგინე ისიც, რომ სულ რაღაც 25 წლის იყო. მასთან ჩემს ნაცნობ კაცს დავარეკინე და ვთხოვე, მისთვის ხშირად დაერეკა ხოლმე. მართლაც, ის არა მხოლოდ ურეკავდა, ნატალის შეხვდა კიდეც და სწორედ მისგან გავიგე, რომ ძალიან ლამაზი გოგონა ყოფილა. მას ჩემი ნაცნობისთვის არ დაუმალავს, რომ სხვას ხვდებოდა და მასთან ურთიერთობას ვერ გააბამდა.

მაშინვე ვიეჭვიანე და არცთუ უსაფუძვლოდ. იმ საღამოს ანტონს რომ დავურეკე, მოვალ-მეთქი, მითხრა, რომ არ ეცალა. ზუსტად ვიცოდი, რომ, თუ ვინმეს ხვდებოდა, თავის ბინაში მიიყვანდა და მის სახლს დავუდარაჯდი. არც შევმცდარვარ – დავინახე, როგორც დახვდა ვიღაც გოგოს გარეთ, რომელიც სახლში აიყვანა. მთელი ღამე იქ გავათენე. მივხვდი, რომ ის ნატალი იყო



და ღამით ანტონთან დარჩა...

ანტონს მესამე დღეს დავურეკე. მითხრა, რომ შემეძლო, მასთან მივსულიყავი და ღამით დავრჩენილიყავი. რომ მივედი, ისეთ ხასიათზე დამხვდა, თითქოს არაფერი მომხდარა. თავზე ხელი გადამისვა და მკითხა, ხომ არ მშიოდა, რაზეც თანხმობა ვუთხარი. ჭამის დროს მისი უკრაინელი მეგობარი რომ მოვიკითხე, ფერი შეეცვალა... ვთხოვე, ჩემთვისაც გაეცნო, მაგრამ, მომატყუა – უკვე გაემგზავრაო. მეტი აღარაფერი მიკითხავს, თუმცა, ისინი ერთად მეორეჯერაც გამოვიჭირე. უკვე ყველაფერი ნათელი იყო. ამიტომ, ნატალისთან ჩემს სხვა ნაცნობს დავარეკინე და ვურჩიე, ანტონისთვის თავი დაენებებინა. თუმცა, მას არცკი დაუმალავს, რომ ანტონს ხვდებოდა. ის კი არა ჩემს ნაცნობს უთხრა, რომ საღამოს ანტონთან იქნებოდა და, თუ ვინმეს პრეტენზია ჰქონდა, იქ მისულიყო...

ინციდენტის ღამეს, ალბათ, სწორედ ამ მიზეზით მითხრა ანტონმა რომ გვიან, დაახლოებით ღამის 2 საათზე მივსულიყავი. როგორც ჩანს, იმ ღამეს ის და ნატალი ელოდებოდნენ, ვინ მივიდოდა მათთან, მაგრამ, ალბათ, ვერ წარმოიდგინეს, რომ ეს მე ვიქნებოდი..." – განაცხადა ბრალდებულმა, რომლის თქმით, პირველმა მას ნატალიმ გაარტყა და მას ანტონიც ეხმარებოდა. ამიტომ, ძალა მოიკრიბა და შეძლო, ორივეს გასწორებოდა. რაც შეეხება „სადედამთილოს," ფიქრია ს. აღიარებს, რომ მას მართლა მთელი ძალით ჩაარტყა, რადგან, ქალი მისი ასაკისთვის შეუფერებელი უცენზურო სიტყვებით ლანძღავდა...

იმის გათვალისწინებით, რომ ფიქრია ს-ს ვალში არც ნატალი დარჩენია, ადგილზე მისულმა პოლიციამ დააფიქსირა, რომ ორივე ქალის ხულიგნობის შედეგად ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი. ამიტომ, ანტონის დედის გარდა, პოლიციაში ინციდენტის ყველა მონაწილე წაიყვანეს...

რაც შეეხება ნატალი ზ-კოს, ჩვენებაში არც მას დაუმალავს, რომ მართლა სცემა მისთვის უცნობ ქალს, რომელიც თავს დაესხა. მისივე აღიარებით, ანტონსაც ჩაარტყა ჯოხი. სამედიცინო დასკვნით, ანტონ ლ-სა და დედამისისთვის მიყენებული დაზიანებები მსუბუქ ხარისხს მიეკუთვნებოდა. სწორედ ამიტომ, ქალებს პირობითი სასჯელი აკმარეს. სასამართლოს ამის საშუალება თავად დაზარალებულებმა მისცეს – დედამაც და შვილმაც განაცხადეს, რომ ისინი არ ჩივიან, პირიქით, მათ ქალების გათავისუფლება მოითხოვეს... ანტონ ლ-ს სასამართლოზე მიცემული ჩვენების თანახმად, მას ორივე ქალი მოსწონდა და ორივესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა, ცოლად მოყვანას არც ერთს არ დაჰპირებია. მისი აზრით, ეს ქალებმა თვითონ დაასკვნეს და, სავარაუდოდ, ამიტომ სცემეს ერთმანეთს. ანტონ ლ-მ სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ არც ერთ მათგანს აღარ დაუბრუნდება, რადგან, ისინი დედამისსაც შეეხნენ ხელით.

რაც შეეხება განსასჯელებს, რომლებიც პირობით გაათავისუფლეს, კინაღამ ისევ სამართალდამცველების ხელში აღმოჩნდნენ, რადგან, დარბაზიდან გათავისუფლებულებმა, ისევ ერთმანეთზე გაიწიეს საცემად და, რომ არა იქ მყოფების ჩარევა, შესაძლოა, ამჯერად გისოსებს მიღმა აღმოჩენილიყვნენ...

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მაინტერესებს, რა რესურსი აქვს აკუმულატორს? ახალი შევიძინე და ძალიან მალე დაიწყო „დაჯდომა,“ სულ ეგრეთ წოდებული „პერემიჩკებით” მიწევს დაქოქვა. ხომ არ არის ეს დაკავშირებული ზამთართან?**

**პასუხი:** თუ ახალი აკუმულატორი იყიდეთ, მას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა გარანტია, რომელიც, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, სამი თვის განმავლობაში მაინც ითვალისწინებს აკუმულატორის გამოცვლას. თუ სამი თვე გავიდა, ველარაფერს უშველით. მაგრამ, ვინაიდან თქვენ აკუმულატორი შეცვალეთ, ავტომატურად იგულისხმება, რომ წინა აკუმულატორსაც იგივე პრობლემა შეექმნა. იმის ალბათობა, რომ ორივე აკუმულატორს ერთი და იგივე რაღაც დაემართა, უფრო ცოტაა, ვიდრე იმის, რომ თქვენი ავტომობილის ელექტრონულ სისტემას აქვს პრობლემა. პირველ ყოვლისა, აუცილებლად უნდა გაასინჯოთ ელექტრიკოსს ან ვინმეს იმ ადგილას, სადაც აკუმულატორებს ყიდიან, რათა გაიგოთ, სათანადოდ მუხტავს თუ არა თქვენი ავტომობილის გენერატორი აკუმულატორს. თუ არ მუხტავს, პრობლემა ამ მიმართულებით უნდა ეძებოთ. ხოლო, თუ ნორმაზე მეტს მუხტავს, ესეც პრობლემაა, რადგან, აკუმულატორს ესეც გააფუჭებდა. თუ ყველაფერი მწყობრშია, მაშინ, ეს აკუმულატორის წუნიდან მომდინარეობს. თუმცა, არის კიდევ ერთი ძალიან უმნიშვნელო მიზეზი – აკუმულატორზე სადენების მიერთების გადაბმა. კარგად უნდა დააკვირდეთ, ეგრეთ წოდებული „კლემები” სუფთაა თუ არა და არის თუ არა სადენები „კლემასთან” და ერთმანეთთან მყარად მიერთებული. რაც შეეხება რესურსს, ეს უშუალოდ დამოკიდებულია კონკრეტული ავტომობილის მწარმოებლის ხარისხზე. იაფიანი აკუმულატორები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მოცემული ექვსთვიანი ან ერთწლიანი გარანტიის ვადით ძლებს, ხოლო კარგი ხარისხის აკუმულატორმა, შეიძლება, ათიდან თხუთმეტ წლამდეც კი გაძლოს. კიდევ ერთი ფაქტორია აკუმულატორის გამძლეობა ზამთარში. როგორც წესი, ზამთრის პერიოდში აკუმულატორის გაფუჭების ალბათობა სამმაგდება, ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ სწორედ ზამთარში შეიძლებოდა დასწყებოდა პრობლემები თქვენს აკუმულატორს. ასეთი პრობლემის წინაშე უკვე ძალიან ბევრი მძღოლი დადგა.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ოჯახში გვყავს ორი „მიცუბიში პაჯერო”, ორივე 2000 წლამდე გამოსული მოდელი. ერთი სამლიტრიანი ბენზინის ძრავით არის აღჭურვილი, ხოლო მეორე – 2.5 ტურბოდიზელის ძრავით. დიზელისძრავიანი ავტომობილი შევიძინეთ რაიონში სასიარულოდ. ის ეკონომიურია და, თანაც, გაგონილი მქონდა, რომ დიზელის ძრავით აღჭურვილ ავტომობილებს თოვლსა და ყინულში ბენზინზე უკეთესი გამავლობა აქვს. ჩემი დაკვირვებით, ბენზინისძრავიანი გაცილებით უკეთ დადის თოვლიან და ყინულიან აღმართებზე, ვიდრე დიზელიანი. ეტყობა შევცდი, რომ მოარულ ხმებს დავუჯერე და წინასწარ არ გადავამოწმე ეს საკითხი. ან, იქნებ, სხვა რამეშია პრობლემა?**

**პასუხი:** ზოგადად, დიზელის ძრავით აღჭურვილი ავტომობილი თოვლიან და ყინულიან გზაზე ხშირ შემთხვევაში მართლაც უკეთ გრძნობს თავს. ეს გამომდინარეობს ძრავას ბრუნების ნელი აკრეფიდან, ანუ, ძრავა ნელ-ნელა ადის მაღალ ბრუნებზე და, შესაბამისად, საბურავიც ნელ-ნელა უმატებს ბრუნვას, რის გამოც ის ნაკლებად იწყებს ბუქსაობას. თქვენი კონკრეტული შემთხვევა ამ ორი ავტომობილის სხვა თვისებებს ეფუძნება. სამლიტრიანი ბენზინის ძრავით აღჭურვილი „პაჯეროების” უმეტეს ნაწილს გააჩნია ბლოკირებული უკანა ხიდი, რასაც იშვიათად (თითქმის არასდროს) ვხვდებით 2.5 ტურბოდიზელის შემთხვევაში. სავარაუდოდ, თქვენი 3.0 „პაჯეროც” ბლოკირებული უკანა ხიდით არის აღჭურვილი, რაც უზრუნველყოფს ორივე უკანა საბურავის ერთდროულ ბრუნვას, მაშინ, როცა დიზელის ძრავით აღჭურვილი მოდელი მხოლოდ ერთ-ერთი უკანა საბურავის ბრუნვას იყენებს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მერსედესი”, „ე” კლასის, მართვის მექანიკური კოლოფით აღჭურვილი. მივდიოდი ცხვარიჭამიაში, თოვლიან გზაზე. რაღაც მომენტში, აღმართზე მომიწია გაჩერება, მაგრამ, მერე ძალიან გამიჭირდა დაძვრა – რამდენჯერაც მოვინდომე დაძვრა, უკან ცურავდა. ამ დროს ვიღაც ღვთისნიერმა ადამიანმა გამოიარა და მასწავლა – მეორე სიჩქარით დაძარი და ისე წადიო. ვცადე და მეორე ცდაზე მოვახერხე სვლის გაგრძელება. რას ნიშნავს ეს, რამე სპეციალური ხერხია ასეთ სიტუაციებში გამოსაყენებლად? საერთოდ, როდის შეიძლება მეორე სიჩქარით დაძვრა?**

**პასუხი:** თოვლსა და ყინულზე ავტომობილის დაძვრის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ საბურავები პირველ მოჭიდებას ვერ ახერხებს, ანუ, თავიდან ვერ პოულობს მოჭიდებას. ყველაზე რთულია ინერციის განვითარება. ის, რომ პირველი სიჩქარე ძლიერი და აგრესიულია, არ გვაძლევს საშუალებას რომ თავად მოვზომოთ, რამდენი გაზი გვჭირდება. ამიტომ, თუ დაბუქსავდა და თოვლის ან ყინულის საფარს ვერ ჩაეჭიდა, ბუქსაობას განაგრძობს. ასეთ დროს დაძვრა, მით უმეტეს, აღმართზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ის კი არა, შეიძლება, უკანაც დავგორდეთ. ის, რაც თქვენ გასწავლეს, ანუ, მეორე სიჩქარით დაძვრა, კარგად გამოიყენება ამ დროს, რადგან მას ძრავადან ბორბლებამდე ნაკლები სიმძლავრე მიაქვს, ნაკლებად აგრესიულია და, შესაბამისად ნაკლებია ავტომობილის მოწყვეტის ალბათობა. ამ დროს საჭე უფრო რბილი ხდება, რადგან, უკანა საბურავებისთვის ზედმეტი ძალის მიცემა არ ხდება. ჩვენ თავად შეგვიძლია, განვსაზღვროთ, რა ძალით დავძრათ ავტომობილი, როცა მას მოსხლეტის მომენტი არ აქვს. ამ ილეთის გამოყენება მოყინულ გზაზე ხშირად შეიძლება. მის გამოსაყენებლად მართვის ავტომატური კოლოფით აღჭურვილ ავტომობილებს გააჩნიათ სპეციალური რეჟიმი, რომელიც გამორიცხავს დაბუქსავებას. თუ ეს რეჟიმი ჩართულია, შეიძლება, ავტომობილი ადგილიდანაც კი არ დაიძრას, თუკი საფართან ჩაჭიდებას ვერ ახერხებს. მექანიკური კოლოფით აღჭურვილ ავტომობილებსაც ძალიან ხშირად აქვთ მოცურების თავიდან აცილების რეჟიმი, რომლის ჩასართავადაც სპეციალური ღილაკი არსებობს. მოდელების უმრავლესობაში კი, ეს რეჟიმი ყინულიან გზაზე გასვლასთან ერთად, თავისით ირთვება და მერე ის უნდა გამორთოთ. ეს ელექტრონული სისტემა იმდენად ცუდად ერევა მართვის ჩვენს სტილში, რომ შესაძლოა, ნერვებიც მოგვიშალოს, განსაკუთრებით – „მერსედესებში”. მაგალითად, შესაძლოა, აღმართზე ასვლას ვცდილობდეთ, ავტომობილს მოჭიდება უჭირდეს და ამ სისტემამ ოთხივე საბურავი დაამუხრუჭოს.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**




ა ხ ა ლ ი | უაზროდ ფაცი-ფუცი | წ ე ლ ი | სადაური ენაა ივრითი?

ფერწერა, გრაფიკა
ალადინის სანათი
ადამიანის ფერი
ნუნუ ექიმის წამალი
განთიადი
ზაფხულის ხილი
წინაპარი / არაკი
ოპერის მომღერალი მარიო....
ფეთქდება
„ჩემო თბილის-ქალაქოო.... შენმა დარმაც (........)“
წყნეთელი ქალი
ნორვეგიელი კომპოზიტორი
თინათინი როსტევანისთვის
მსუბუქი კავალერისტი
პოლონელი კინორეჟისორი
ფართხუნა შარვალი
ათი ცენტნერი
ხმალი უნდა იყოს
მსხვერპლშეწირვის არსება / ათოსის მსახური
ყანწის მასალა / თევზის ძვალი
ცისფერი კაცი
ქართული გაზეთი
მთასა მყვირალი
თოფს აქვს / ჩვენი მგოსანი
ქალაქი ბელგიაში
რომის მდინარე / მტკნარი წყლის დელფინი
ევროპელი თავადი
ქალაქი თურქეთში
აზიის დიდი მდინარე
გერმანელი კინორეჟისორ.
იალქანი
საფრანგეთის მდინარე
სპორტული საქონლის ფირმა
პიკასოც, ნერუდაც
ბექინა სამანიშვილის სიძე
ჩვენი მინერალური წყალი
მუსიკალური ტემპი
აჭარლის დედა
ამერიკელი მწერალი
ნაკელი
ტაჯიკი მწერალი
არაბეთის ხალიფა / სიგნალი
თბილისის უბანი
სპორტული ნავი
იტალიელი ფილოსოფოსი
სიმებიანი საკრავი
ბუხარი / ჩვენი ფული
ლატვიის დედაქალაქი
ნელი სიარული
აზიის ქვეყანა
ილარიონის მეგობარი
ბრძოლა / ხელოვნების ჟანრი
კუბის დედაქალაქი
იტალიელი კინომსახიობი
ცხელი სასმელი
კაცის იტალიური სახელი
თბილისის სასაფლაო
ესპანელი ფერმწერი
ქალაქი სომხეთში
გეომეტრიული ფიგურა
პოეტი (......) ცვეტაევა
ინგლისური მისალმება
ციცა
განთიადის ქალღმერთი
ჩაპაევის „ქალი“
ფილმი „......და მისი ძმები“
წვიმაა ასეთი (.....) პირული
არა
ჩვენი კინო მრეცხავი
ჩვენი თანხმობა
დამუხტული ნაწილაკი
პირველი მკვლელი
იაპონიის კუნძული
ტატნობი / ფუტკრების ყუთი
უუფლებო ადამიანი
(.....) ტატანო გულწამტანო
კროსვორდის დასასრული
საფრანგეთის ქალაქი
საგაზეთო „თხზულება“
ცრუმოძრაობა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | 3 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 4 | 5 | 3 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | 4 | | | | | | 2 | 1 | 1 | | | 3 | | | | | | | | |
| | | | | 1 | | | 3 | 3 | | | 6 | 3 | | | 2 | 6 | | 6 | 6 | | 4 | 1 | 1 | | 7 | 10 | | 3 | | 3 | | | 14 | |
| 7 | | 10 | 7 | 7 | 4 | 3 | 3 | 3 | 9 | 1 | 4 | 6 | 9 | 8 | 3 | 4 | 6 | 4 | 3 | 8 | 1 | 1 | 1 | 14 | 6 | 1 | 5 | 3 | 5 | 6 | | 14 | 1 | 14 |
| 6 | 14 | 3 | 6 | 3 | 7 | 6 | 6 | 6 | 4 | 11 | 1 | 1 | 4 | 5 | 1 | 1 | 7 | 1 | 1 | 5 | 2 | 1 | 5 | 1 | 3 | 1 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 2 | 1 | 3 |
| 2 | 4 | 6 | 7 | 8 | 8 | 9 | 9 | 10 | 10 | 11 | 11 | 11 | 10 | 9 | 9 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 4 | 1 | 1 | 1 | 8 | 1 | 8 | 3 | 1 | 8 | 8 | 2 | 1 | 4 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 4 | 5 | 8 | 15 |
| | | | | | | | 35 |
| | | | | 4 | 5 | 11 | 11 |
| | 6 | 3 | 9 | 2 | 1 | 1 | 4 |
| | | | | 5 | 8 | 5 | 12 |
| | | 5 | 14 | 5 | 1 | 1 | 3 |
| | | | 5 | 4 | 4 | 2 | 13 |
| | 2 | 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 6 |
| | | | | | | 14 | 14 |
| | | | | 9 | 3 | 3 | 13 |
| | 2 | 1 | 7 | 5 | 5 | 1 | 4 |
| | | | | | 11 | 7 | 11 |
| | | | | | 11 | 9 | 11 |
| | | | | | 15 | 1 | 15 |
| | | | | | 2 | 1 | 2 |
| | | | | | | 9 | 3 |
| | | | | | | | 2 |
| | | | | | | | 9 |
| | | | | | | | 8 |
| | | | | | | | 10 |
| | | | | | | | 11 |
| | | | | | | | 12 |
| | | | 14 | 3 | 3 | 1 | 3 |
| 14 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 |
| | | 15 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 14 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 15 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | 13 | 3 | 3 | 1 | 3 |

### სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 7 | | 1 | | 4 | 9 | 3 |
| 1 | 4 | 3 | | 7 | | | 5 | |
| | | 9 | | 4 | | 7 | | |
| 9 | 3 | | 4 | | 7 | | 6 | 1 |
| | 1 | | 5 | 8 | 3 | 2 | | 9 |
| | 2 | | 1 | | | 3 | | |
| | 8 | | 7 | | 4 | | 2 | |
| 4 | | 2 | | 3 | | 5 | | 7 |
| | | 6 | 2 | 9 | 8 | | 3 | 4 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 9 | | | | 7 | 2 |
| | | 7 | | | | 5 | | |
| 3 | 4 | | 7 | | 1 | | 6 | |
| | | 5 | | | 9 | | | 6 |
| 2 | 8 | | | 4 | | | 9 | |
| | 3 | | 2 | | | 4 | | 1 |
| | | | | | | 6 | 4 | |
| 7 | 2 | | | | | | | |
| | 6 | 4 | | 9 | | 7 | | 3 |

# სიმართლის ძალა




## ჩაწერე ზღაპრის გმირების შესაბამისი რიცხვები

①  ②  ③ 

○ კეთილი ○ ბოროტი ○ გრძნეულები

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ვერტიკალური ხაზით დაიწყეთ ნაძვის ხის ხატვა



2. ხაზის ზედა წვეროდან ისე გაავლეთ ორივე მხარეს ხაზები, რომ სამკუთხედი მიიღოთ



3. სამკუთხედს მიახატეთ რკალები



4. სამკუთხედი მწვანედ გააფერადეთ





5. ნაძვის ხეს მიახატეთ ფერადი სათამაშოები



6. შემდეგ – წვიმები და წვერში მიახატეთ ვარსკვლავი



7. ფერადი შტრიხებით დაასრულეთ ნაძვის ხის ხატვა

ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზით შეხვდება თოვლის კაცი მეორე თოვლის კაცს



## მოუძებნეთ ფუტკარს შესაბამისი ჩრდილი




## უხასიათო ცოლი და მისი ქმარი (იგავ-არაკი)

ერთ კაცს უხასიათო ცოლი ჰყავდა. ამ ქალს ყველა შინაური სძულდა. ქმარმა იფიქრა: მოდი, ერთი გავიგებ, მამამისის სახლში მაინც როგორ იქცევა ეს ჩემი ცოლიო. ადგა და ქალი მამასთან გაგზავნა.

როცა ცოლი შინ დაბრუნდა, კაცმა ჰკითხა:

– შენიანებში როგორი დრო გაატარეო?

– მწყემსებსა და მენახირეებს დასანახად ვეჯავრებოდიო, – მიუგო ცოლმა.

– ო, ჩემო ცოლო, – წამოიძახა ქმარმა, – მაშ, მწყემსებსა და მენახირეებს ეჯავრებოდი?! ისინი ხომ საქონელს ალიონზე მიერეკებიან და შინ გვიან, დაბინდებისას ბრუნდებიან, იმან რაღა ქნას, ვინც დღე და ღამე შენთან არისო!

## რიცხვრებუსი

1,,, ,,,,13, ,,0



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, ძაღლებს თუ უკეთდებათ კატარაქტის ოპერაცია?**

**პასუხი:** კატარაქტის ოპერაცია ძაღლებში, რა თქმა უნდა, კეთდება, მაგრამ, არ არის გამართლებული. ამიტომ, უმჯობესია, რომ ეს ოპერაცია ცხოველს არ გაუკეთდეს. საერთოდ, კატარაქტა ასაკობრივი ფონია და ყალიბდება დაახლოებით 7-8-9 წლის შემდეგ. ძაღლები, ისევე, როგორც ადამიანები, კატარაქტის დროს დისკომფორტს განიცდიან, რადგან, ნელ-ნელა უქვეითდებათ მხედველობა.

**კითხვა: ჩემი ძაღლი უკვე 4 წლისაა, მაგრამ, ჯერ ლეკვები არ დაუყრია. ერთხელ ჰქონდა ცრუ ფეხმძიმობა. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ?**

**პასუხი:** საერთოდ, ცრუ ფეხმძიმობები რომ არ გაგრძელდეს, ძაღლი უნდა შეაჯვაროთ. ცრუ ფეხმძიმობების ხარჯზე, შესაძლოა, მასტოპათიები განვითარდეს და სიმსივნეებთან და პათოლოგიებთან გვქონდეს საქმე. თუ ცხოველს აჯვარებთ და არ ორსულდება, ამ შემთხვევაში, სპეციალური მკურნალობის ჩატარება დასჭირდება.

**კითხვა: დასაშვებია თუ არა ჯიშიანი ლეკვის შეძენა ბაზარში და რამდენად სარისკოა იქ მათი ყიდვა?**

**პასუხი:** ბაზარში ლეკვის შეძენა ნამდვილად სარისკოა, რადგან, იქ არასტერილური გარემოა და ლეკვი ათასი გადამყიდველის ხელში გადადის. ასე რომ, ჯობია ცხოველი ვეტერინარის თანდასწრებით ან შერჩევით შეიძინოთ. გარდა ამისა, ასეთ ადგილებში რისკის ქვეშ არის სუფთა ჯიშის შეძენის საკითხიც, რადგან ბაზარში ყველა ტიპის ძაღლი იყიდება – ჯიშიანიც და უჯიშოც. ამიტომ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი რჩევა და ლეკვი კომპეტენტური ადამიანის თანდასწრებით შეიძინოთ.

**კითხვა: მაინტერესებს, ძაღლის მიერ ადამიანის სხეულის რომელი ნაწილის დაკბენაა უფრო მეტად საშიში?**

**პასუხი:** თუ ძაღლი დაგკბენთ, უყურადღებოდ არავითარ შემთხვევაში არ დატოვოთ. ასეთ შემთხვევაში, უფრო მეტად საშიში ნაწილებია: ხელის თითები, ცხვირ-სახე, თავი, გამრავლების ორგანოები, ნერვული დაბოლოებები. დანარჩენი კი მეორე კატეგორიის დაინფიცირებად ითვლება.



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ზამთარში შობის ხეს?**

**პასუხი:** შობის ხეს ჰქვია პუანსეტია. ის ძალიან პრეტენზიული და, შესაბამისად ძნელი მოსავლელია. ეცადეთ, ამ მცენარის შეძენის დროს კარგად გაეცნოთ მის შესახებ ლიტერატურას. პუანსეტიას არ სჭირდება დიდი რაოდენობით წყლის და ასევე, მინერალების მიწოდება. ის არ უნდა იყოს დიდ ქოთანში. პუანსეტია ვერ იტანს როგორც დიდ სიცხეს, ასევე სიცივეს. მას გამუდმებით სჭირდება 22-24 გრადუსი. ეცადეთ, რომ ხშირად არ დაუსხათ საზრდელი ვიტამინები და, ასევე, არ მისცეთ აზოტიანი საკვები. თუ ამ ყველაფერს გაითვალისწინებთ, თქვენი მცენარე მშვენივრად გაიზრდება.

**კითხვა: ჩემს აბუტილონს ფოთლები დასცვივდა, ხომ ვერ მეტყვით რატომ?**

**პასუხი:** აბუტილონი ტროპიკული მცენარეა და მას ოდნავი სიცივეც კი აზიანებს, ამიტომ, არასდროს დატოვოთ ის ქარიან ამინდში გარეთ. ასევე, არ უყვარს მაღალი ტემპერატურა. როგორც ჩანს, თქვენს აბუტილონს დაერღვა ბუნებრივი პირობები. შეგიძლიათ, ის გადაჭრათ და ხელახლა ამოიყრის ფოთლებს. როდესაც მცენარეს გადაჭრით, აუცილებლად გადგით გრილ და ნათელ ადგილას, ხოლო როცა ახალ კვირტებს ამოყრის, დადგით თბილ ადგილას, რომ ახალი ამონაყარი არ გაფუჭდეს.

**კითხვა: ჩემს ასტილბას ფოთლები გაუყვითლდა. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ასტილბა სუბტროპიკული მცენარეა, ამიტომ, შეგიძლიათ, დატოვოთ გარეთ და ზემოდან, დაცვის მიზნით, დააყაროთ ნახერხი და ასევე, შესაძლებელია ზემოდან რამე გადააფაროთ. ამ მცენარეს არ უჭირს არც ზაფხულში, არც ზამთარში. ასტილბას ადრე გაზაფხულზე ესაჭიროება მკვებავი საშუალებები, რომ კარგად აყვავდეს. როგორც კი მცენარე დაიწყებს გაყვითლებას, მას დასჭირდება გადაჭრა, რომ გაზაფხულზე კარგი ყვავილობა ჰქონდეს.

**კითხვა: როგორ შეიძლება გავამრავლო ანემონა?**

**პასუხი:** ანემონა იოლი გასამრავლებელია. მას არ უყვარს ხშირი გადარგვა და გაყოფა. ეცადეთ, რომ მცენარე ადრიან გაზაფხულში გაყოთ, რათა კარგად შეხვდეს ზამთარს და არ გაფუჭდეს. ანემონა ყვავის ძალიან ხშირად და უხვად. თესლიდან ამოდის, მაგრამ, ესაჭიროება როგორც ნაკელი, ასევე ქვიშა და სილა, რომ ფესვმა კარგად დაიწყოს გადგმა. როგორც კი პირველ ყვავილობას დაამთავრებს, ეცადეთ, გადაყვავებული ყვავილი მოაშოროთ, რათა ახალი ყვავილობა არ გაჩერდეს.

**კითხვა: როგორ მოვუარო ზამთარში ალპინარიუმს, რომელშიც უამრავი მცენარე მაქვს?**

**პასუხი:** ალპინარიუმს საერთოდ არ სჭირდება მოვლა, თუ ის გარეთ გაქვთ მოწყობილი, მაგრამ, თუ ალპინარიუმი გაქვთ სახლის პირობებში, მაშინ, მას ესაჭიროება კარგი მიხედვა, კერძოდ: ყოველ ორ თვეში მას საკვებად დასჭირდება მიკროელემენტებისა და სხვადასხვა სახის მინერალების მიწოდება, სახლის პირობებში მოწყობილ ალპინარიუმში ბევრი ისეთი ტროპიკული მცენარე იზრდება ხოლმე, რომელსაც სათუთი ყურადღება უნდა. მათ ხშირად სჭირდებათ ნიადაგის გამოცვლა და ფესვების ხშირი გამოკვება. მცენარეებს სახლის პირობებში ხშირად უჩნდება დაავადებები და სხვადასხვა სახის პარაზიტი ეხვევა.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-52(626)

„ძია“, პრინციპში, მართალი იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ბევრად უფრო დახვეწილი და მრავალმხრივი გახდა ლიკვიდაციის ხელოვნება, ვიდრე ეს მეოცე საუკუნეში იყო. თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ბევრი რამ შემსრულებელზეა დამოკიდებული და მოულოდნელობაც არაა გამოსარიცხი, რამაც, შეიძლება, ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. რამდენიმე ასეთი შემთხვევა ჩემს პრაქტიკაშიც ყოფილა, რომელთაგან, ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა.

ერთხელ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავნეს ერთი ობიექტის სალიკვიდაციოდ, რომელიც ყოფილი საბჭოელი იყო. ის ქვეყნიდან გაიქცა და ცილისმწამებლურ, ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდა.

– იმ ნაძირალას თავი უნდა აუფეთქო სპეციალური ტყვიით, – მითხრა შჩუკინმა, – ასეთია თვით პირველი მდივნის სურვილი, რომელსაც მისი პასკვილები ყელში აქვს ამოსული.

ობიექტი მაინის ფრანკფურტში ცხოვრობდა. გეგმის მიხედვით, ის დილით თავის სახლში, სნაიპერული შაშხანიდან მსხვილკალიბრიანი ტყვიით უნდა მომეკლა. მას ასეთი ჩვევა ჰქონდა: გაიღვიძებდა თუ არა, ბინის ფანჯრებს გააღებდა ხოლმე, გადმოდგებოდა და იზმორებოდა. სწორედ ზმორების დროს უნდა დამესვა მისთვის ტყვია თავში.

შესრულების წერტილად მდინარე მაინის მარჯვენა სანაპირო ავირჩიე. იქ ერთი მივარდნილი, წყალსაქაჩი შენობა იდგა, რომელიც ობიექტის სახლიდან ორასიოდე მეტრში მდებარეობდა. საცეცხლე პოზიცია ერთ-ერთ მილზე დავიკავე, რომელსაც ხვეები ნიღბავდა. გავმართე შაშხანა, ფანჯარა მიზანში ამოვიღე და ობიექტის გამოჩენას დაველოდე. ფანჯარა რომ გაიღო და ობიექტმა ზმორება დაიწყო, სასხლეტს თითი მივადე და დაშვება დავაპირე, მაგრამ ვინ გაცალა?! მოულოდნელად წყალსაქაჩი მილი შუაში გადაიხსნა. იქიდან კი ისეთი წნევით ამოვარდა წყლის ჭავლი, რომ თითქმის ათი მეტრის სიმაღლეზე ამაგდო და ორმოცდაათ მეტრში დამანარცხა მიწაზე.



რომელი დავალების შესრულებაზე იყო ლაპარაკი! სნაიპერული შაშხანა წყალში ჩავარდა და, ალბათ, მდინარემ წაიღო, მე კი საიქული არ შემეძლო და მარჯვენა ფერდი ძალიან მტკიოდა. როგორც მოგვიანებით ექიმებმა დამიდგინეს, მარჯვენა მხარეს სამი ნეკნი მქონდა მოტეხილი. მიუხედავად ამისა, მაინც დამოუკიდებლად მოვშორდი იქაურობას და კონსპირაციულ ბინამდე მარტომ მივაღწიე. რადგან დავალება საკმაოდ მარტივი იყო, არც დამზღვევი მყავდა, არც მეკავშირე და სრულიად მარტო დავრჩი უცხო ქვეყნის უცხო ქალაქში, ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ მძიმედ ვიყავი ტრავმირებული. ერთადერთი პლუსი ის იყო, რომ ფული და საიმედო პასპორტი მქონდა, დაუბრკოლებლად გადაადგილება შემეძლო და სამშობლოში დაბრუნება ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მოსკოვში გამგზავრება არც მიფიქრია. პირველ ყოვლისა, ძლიერი გამაყუჩებელი საშუალება შევიძინე აფთიაქში, რომელიც ექვსი საათის განმავლობაში მოქმედებდა და შპრიცით კუნთში გავიკეთე. შემდეგ დასავლეთ ბერლინში გავემგზავრე თვითმფრინავით და ჩემს ძველ ნაცნობს შევხვდი, რომელიც ბასკურ ტერორისტულ ორგანიზაციას იარაღით ამარაგებდა. ის მე სიკვდილს მყავდა გადარჩენილი – ერთხელ საფრანგეთის დაზვერვის კლანჭებს გამოვგლიჯე. ამიტომ, მას თავი ვალდებულად მიაჩნდა ჩემ წინაშე. როდესაც ის სიკვდილისგან ვიხსენი, მითხრა:

– თუკი ოდესმე რამეში დაგჭირდით, იცოდეთ, რომ უკან არაფერზე დავიხევ და თქვენს ერთგულ მეგობრად მიგულეთ. მიგელი თქვენთვის თავს გაწირავს.

მიგელი ნახევრად ბასკი და ნახევრად ფრანგი იყო. მე კი მას ფრანგი ვეგონე. ის დასავლეთ ბერლინში ცხოვრობდა. რომ დამინახა, გულწრფელად გაუხარდა, გადამეხვია და მითხრა:

– როგორ ხართ, ჩემო მეგობარო. რით შემიძლია, გემსახუროთ, მესიე ჟან?

– დონ მიგელ, შეგიძლიათ, რომ ხვალ, დილის ხუთი საათისთვის, მაინის ფრანკფურტში „S-61“-ის სისტემის სნაიპერული შაშხანა მომაწოდოთ ფეთქებადი ტყვიებით და ამ სადგურის ამ შემნახველ საკანში დადოთ? თანხაზე ლაპარაკი არ არის. აი, გასაღები, – მიგელს რკინიგზის სადგურის შემნახველი საკნის გასაღები მივეცი, რომლის დუბლიკატიც მე მქონდა. მან კი გამიღიმა და მომიგო:

– თანხაზე სიტყვა არ გამაგონოთ, მე თქვენი მოვალე ვარ. როგორც თქვით, ყველაფერი ისე იქნება.

– კეთილი. დიდი მადლობა. ნახვამდის, – ვუთხარი მიგელს, გადავეხვიე და წამოვედი.

მიგელთან შეხვედრა, სულ რაღაც, ხუთი წუთი გაგრძელდა და მაინის ფრანკფურტში თვითმფრინავითვე დავბრუნდი. მართალია, ფრენის წინ გამაყუჩებელი მქონდა გაკეთებული, მაგრამ, უამინდობის გამო რეისი გადაიდო და ისე მოხდა, რომ წამლის მოქმედების დრო თვითმფრინავში ყოფნისას ამოიწურა და მთელი ორსაათ-ნახევრის განმავლობაში ჯოჯოხეთური ტკივილების გადატანა მომიხდა. ფრანკფურტის აეროპორტში რომ დავეშვით, უმალვე აეროპორტის აფთიაქს მივაშურე, გამაყუჩებელი შევიძინე და აეროპორტის ტუალეტში გავიკეთე კუნთში. ტკივილი უმალვე მომეხსნა. შვება რომ ვიგრძენი, იმის ნაცვლად, რომ კონსპირაციულ ბინაში წავსულიყავი დასაძინებლად, საცეცხლე წერტილის შესათვალიერებლად გავემართე. წყალსაქაჩი საამისოდ აღარ ვარგოდა. ამიტომ, სასროლ ადგილად მდინარის ერთ-ერთი ჯებირი შევარჩიე. ობიექტის ბინა იქიდან ორასი მეტრის მოშორებით კი მდებარეობდა, მაგრამ, ჩემი შერჩეული წერტილი კარგად შენიღბული და უსაფრთხო იყო. ამიტომ, არჩევანი აღარ შემიცვლია და კონსპირაციულ ბინაში დავბრუნდი. მეორე დილით, ზუსტად 5 საათზე გავიღვიძე. ნახევარი საათის შემდეგ მიგელის მიერ დატოვებული შაშხანა უკვე ხელთ მქონდა და საცეცხლე წერტილისკენ მივემართებოდი.

ობიექტის ლიკვიდაციის მეორე ცდამ წარმატებით ჩაიარა და არანაირი გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებას აღარ ჰქონია ადგილი. უმალვე აეროპორტში გავემართე და დასავლეთ ბერლინში ჩავფრინდი, იქიდან აღმოსავლეთ ბერლინში გადავედი და ბერლინი-მოსკოვის ავიარეისის გაფრენის წინ გამაყუჩებლის მორიგი დოზა შევიშხაპუნე კუნთში. ამჯერადაც არ გამიმართლა. საშინელი უამინდობის გამო რეისი კვლავ გაიწელა და მოსკოვში ჩაფრენამდე საათ-ნახევრით ადრე კვლავ ამოიწურა გამაყუჩებლის მოქმედების დრო და ისეთი ჯოჯოხეთური ტკივილები დამეწყო, ლამის გული წამივიდა. ევროპის სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, მოსკოვის აეროპორტის აფთიაქში გამაყუჩებელი პრეპარატები არ იყიდებოდა. სამედიცინო პუნქტში შესვლა კი არ მინდოდა, რადგან, უცხოეთის პასპორტით ვიყავი ჩამოფრენილი და, სანამ ყველა ფორმალობა დასრულდებოდა, შეიძლება, ტკივილისგან გულიც გამხეთქოდა. ამიტომ, ჩვეულებრივი ქუჩის ტელეფონიდან კონსპირაციულ ტელეფონზე შჩუკინს დავურეკე და ვუთხარი:

– ვნუკოვოში ვარ. ჩემს მოსკოვურ ბინაში ტაქსით მივდივარ. მარჯვენა მხარის ნეკნები მტკივა და დახმარება მინდა.

– დაჭრილი ხარ? – იყვირა შჩუკინმა.

– არა, მგონი, ნეკნები დამემტვრა, – მივუგე და, რადგან მეტი ლაპარაკი არ შემეძლო, ყურმილი დავკიდე. შემდეგ ტაქსიში ჩა-

ვჯექი, მძღოლს მისამართი ვუთხარი და თან დავამატე – რაც შეიძლება სწრაფად იარე, მეგობარო, ხუთმაგს გადაგიხდი.

მიუხედავად იმისა, რომ ტაქსისტი სულ რაღაც თხუთმეტ წუთში მივიდა ჩემს სახლამდე, „კაგებეს“ გადაცმული თანამშრომლები უკვე სადარბაზოსთან მელოდებოდნენ და მანქანიდან გადმოსვლაში დამეხმარნენ. მხოლოდ მაშინღა გამახსენდა, რომ საფულეში გერმანული მარკები მქონდა და ერთ-ერთ კოლეგას ვუთხარი:

– ოცი მანეთი გაქვს?

– დიახ, – მომიგო კოლეგამ.

– ტაქსისტს მიეცი და ჩვენ შემდეგ გავსწორდებით.

ტაქსისტი გახარებული წავიდა. მე კი პირდაპირ სტაციონარში წამიყვანეს „ვოლგით“, გზაში კი გამაყუჩებელი შემიშხაპუნეს, რადგან ნეკნების ტკივილისგან იმდენმა ოფლმა დამასხა, რომ მთელი ზედა სამოსი დამისველდა.

– სამი ნეკნი გაქვთ გატეხილი და სხეულზე ძლიერი დაჟეჟილობა აღგენიშნებათ. ერთი თვე წოლითი რეჟიმი! – კატეგორიულად გამომიცხადა „კაგებეს“ დახურული სტაციონარის მთავარმა ექიმმა, – ეს – მინიმუმ. ხოლო, როდესაც გამოჯანმრთელდებით, ერთი წლის განმავლობაში გეკრძალებათ მკვეთრი მოძრაობა და ორ კილოგრამზე მეტი სიმძიმის აწევა.

აკრძალვის მიუხედავად, ერთი კვირის შემდეგ უკვე თბილისში ვიყავი, სამი თვის შემდეგ კი, სრული ძალებით ჩავები მუშაობაში და ურთულესი სპეცდავალების შესასრულებლად გავემგზავრე.

„კაგებეს“ სტაციონარში შჩუკინმა მომინახულა და, მიუხედავად იმისა, რომ მისაყვედურა, ეტყობოდა, რომ სიამაყით იყო აღსავსე. მან მითხრა:

– კოკი, შემთხვევითობისგან არავინაა დაზღვეული. ამიტომ, გაუთვალისწინებელი ტრავმა რომ მიიღე, ოპერაცია აღარ უნდა გაგეგრძელებინა და მოსკოვში უნდა დაბრუნებულიყავი, – ვიქტორ იაკოვლევიჩმა პაუზა გააკეთა და ღიმილი დაამატა – ისე, ყოჩაღ შენ, ნამდვილი „ასი“ ხარ, არწივი!

– ვემსახურები საბჭოთა კავშირს! – გამოვეჯგიმე შჩუკინს და, მიუხედავად იმისა, რომ მოტეხილი ნეკნები ძალიან მტკიოდა, ვცდილობდი, არ შემემჩნია.

აბა, შჩუკინს რას გამოაპარებდი და მითხრა:

– დაწექი, დაწექი, მაგარი ხარ, მაგარი... პირველმა ბრძანა, ყოველმხრივ უზრუნველყავითო და, გარდა ჩინის მომატებისა და ფულადი პრემიისა, კიდევ რას ითხოვ?

– არაფერს, ამხანაგო გენერალო, ყველაფერი მაქვს!

– კეთილი. თბილისის პრესტიჟულ რაიონში ოთხოთახიანი ბინა შენია – რომ ჩახვალ, ორდერი დაგხვდება.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა. იმ პერიოდში ოთხოთახიანი ბინა თბილისის პრესტიჟულ რაიონში მხოლოდ პრივილეგირებული ადამიანების ხვედრი იყო და მათ რიგებს ვეკუთვნოდი მეც. მერიკო სიხარულისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა. როცა თანამედროვედ გარემონტებული და მოწყობილი ბინის დასათვალიერებლად მივედით, მან ემოციები ვერ შეიკავა და სიხარულისგან კისერზე ჩამომეკიდა. რემონტიც და ავეჯიც, ისევე, როგორც ბინა, „კაგებეს“ საჩუქარი იყო და ის დღემდე იმავე მდგომარეობაშია, როგორც მაშინ, როცა გადმოგვცეს. იქ თითქმის არავის უცხოვრია, მხოლოდ ჩამოსულ სტუმარს ვაბინავებდით იქ, რომ თავი თავისუფლად ეგრძნო და არ შეზღუდულიყო. „კაგებეს“ ნაჩუქარი ბინის გარდა, თბილისში კიდევ რამდენიმე ბინა შევიძინე, მაგრამ, მერიკოს გარდაცვალებამდე არც ერთში არ მიცხოვრია, სულ პლეხანოვზე, ძველ იტალიურ ბინაში გავატარეთ. ის ბინა დღემდე ისეთ მდგომარეობაშია, როგორც მერიკოს დროს იყო და, მართალია, დროდადრო ვაკითხავ ხოლმე, მაგრამ, ძირითადად, ახალაშენებულ ბინაში ვცხოვრობ. თბილისის გარდა, რამდენიმე ფეშენებელური ბინა და აგარაკი მაქვს როგორც ევროპაში, ასევე სხვა კონტინენტებზე. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ საკმაოდ შეძლებული და კარგად უზრუნველყოფილი ადამიანი ვარ. შეიძლება ითქვას, რომ არაფერი მაკლია და, რაც მთავარია, ყველა შვილი საიმედოდ მყავს დაბინავებული. რამე რომ დამემართოს, საქმე ისე მაქვს მოწყობილი, რომ ჩემი უზარმაზარი ქონება ყველაზე თანაბრად გადანაწილდება.



მრავალი წლის წინათ, როდესაც „კაგებეში“ პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი პროფესიის წყალობით მილიონერი გავხდებოდი. მაქსიმუმი, რაზეც შემეძლო, მეოცნება, იყო კარგი პენსია, საყოფაცხოვრებო კომფორტი, რა თქმა უნდა, ბედნიერი ოჯახი – კარგი შვილები და შვილიშვილები და საზოგადოების მხრიდან პატივისცემა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც მუდმივად ქადაგებდა კომუნისტური პროპაგანდა და რისკენაც მიისწრაფოდა მთელი საბჭოთა მოსახლეობა.

ერთხელ, ერთი ჩემი ძველი ძმაკაცი შემხვდა, რომელსაც დღემდე წარმატებული, უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენი ვგონივარ. ის მე პრესტიჟულ რესტორანში დავპატიჟე და ორიოდე ჭიქის შემდეგ ვკითხე:

– შენ რას საქმიანობ?

– ვარ, რა! პატარა ჯიხური მაქვს სახლთან და მე და ჩემი ცოლი ვვაჭრობთ, პურის ფულს ვშოულობთ. თან, პატარა პენსიაც დამინიშნეს – მე ხომ აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ. სოხუმის დაცემის დღეს მძიმედ დავიჭერი და ძლივს გადავურჩი სიკვდილს. ერთი სიტყვით, ცუდად არ ვარ.

ჩემი ძველი ძმაკაცის სიტყვებში ეჭვი შემეპარა და რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი გადავამოწმე. მას ჯიხურიც ჰქონდა და პენსიაც, მაგრამ, ეს ყველაფერი პურის ფულად ჰყოფნიდა მხოლოდ და ძალიან ცუდად ცხოვრობდა. გაზისა და დენის ფულს თითქმის ვერ იხდიდა და ხან ერთი ჰქონდა გამორთული, ხან – მეორე. შვილი კი უნივერსიტეტის მეორე კურსიდან იმიტომ გამოურიცხეს, რომ გადასახადს ვერ იხდიდა...

„ეეჰ, შენ რა გითხარი, – გავიფიქრე გუნებაში, როდესაც ყველაფერი გავარკვიე, – ესაა, ცუდად არ ვარო? ცუდად კი არა, ძალიან ცუდად ყოფილხარ, მაგრამ, ამ ყველაფერს სულ მალე მოეღება ბოლო“.



ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

ჩვენი შეხვედრიდან ერთი თვის თავზე, ჩემი ძველი ძმაკაცის შვილი არამცთუ უნივერსიტეტში აღადგინეს, არამედ, ლონდონში გაემგზავრა სასწავლებლად, მისი ძვირად ღირებული განათლება კი უკვე სრულადაა დაფარული და სოლიდურ ანაზღაურებასაც იღებს ყოველთვიურად; ჩემს ძმაკაცს კი, პატარა ჯიხურის ნაცვლად, ორი მსხვილი მარკეტი აქვს თბილისის პრესტიჟულ რაიონებში და საკმაოდ შეძლებულადაც ცხოვრობს, უკვე მართლა არაფერი აკლია და სხვებსაც ეხმარება.

რესტორანში ჩვენი შეხვედრიდან ექვსი თვის მერე მან დამირეკა, შეხვედრა დამინიშნა და რომ მივედი, ისევ იმ რესტორანში წამიყვანა უკვე თავისი „ჯიპით“ და, სუფრას რომ მივუსხედით, სასმისი ასწია და მითხრა:

– ქართული ანდაზაა: მადლი ქენი, ქვაზე დადე და შედეგს ნუ დაელოდებიო. მოდი, ამ ჭიქით იმ ხალხს გაუმარჯოს, შენი თამადობით, ვინც ყოველგვარი ანგარების გარეშე სჩადის სიკეთეს.

რა თქმა უნდა, მეც შევუერთდი ჩემი ძმაკაცის სიტყვებს, არაფერი მიკითხავს მისთვის და არც მას უთქვამს, შენი წყალობით გავიმართე წელშიო – ეს საჭირო არ იყო... საკმაოდ გვიან დავიშალეთ და მან ჯერ მე მიმიყვანა სახლში ტაქსით, მერე კი თვითონ წავიდა. ჩვენ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს და დღემდე ახლომეგობრული და თბილი ურთიერთობები გვაქვს, როგორიც სკოლაში, ბავშვობისას გვქონდა. სხვათა შორის, რაც უფრო ასაკში შედიხარ, მით უფრო გენატრება შენი ბავშვობა, ძველი მეგობრები და მთელი არსებით მიისწრაფი წარსულისკენ. გენიალური ფრაზა თქვა ეგზიუპერმა – ჩვენ ყველა ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო, ეს იმიტომ, რომ ეს პერიოდი საუკეთესოა ადამიანის ცხოვრებაში, ადამიანი კი, რაც უნდა თავმოძულებული იყოს, მაინც საუკეთესოსკენ მიისწრაფვის და იმედი აქვს, რომ ერთხელ მაინც იქნება ბედნიერი. თუ ბედნიერი ხშირად ხარ და შენი ახლობლებიც ბედნიერები არიან, ეს ხომ ორმაგი ბედნიერებაა, მაგრამ, თუკი ბედნიერება აბსოლუტურად უცხო, უცნობი ადამიანებისთვის მოგაქვს, ეს თითქმის აბსოლუტური ბედნიერებაა.

მთელი ჩემი „კაგებეშნიკური“ კარიერის განმავლობაში უამრავი საქმე მაქვს გაკეთებული. თითოეული მათგანი ძალიან სახიფათო იყო. ლამის ყოველ მეორე შემთხვევაში ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მიუხედავად ამისა, მე არც დამიწუწუნია, არც ფული მომითხოვია და, მით უმეტეს, არც უარი მითქვამს სახიფათო მისიის შესრულებაზე. მართალია, ყოველივე ამაში კარგი ანაზღაურება და უდიდესი მხარდაჭერა მქონდა, მაგრამ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იმავე სამუშაოს უფასოდაც შევასრულებდი. იმიტომ შევასრულებდი, რომ მტკიცედ მწამდა, ადამიანებისთვის ბედნიერება მომქონდა და ეს მართლაც ასე იყო. ჩემი ღრმა რწმენით, თითოეული ჩემ მიერ ლიკვიდირებული მტერი ასეულ ათასობით საბჭოთა მოქალაქისა თუ სხვა მშვიდობიანი ადამიანის გადარჩენილი სიცოცხლე იყო და ამისთვის ნამდვილად ღირდა რისკზე წასვლაც და საკუთარი სიცოცხლის გაწირვაც. მართალია, მე არ ვიცნობდი ჩემ მიერ გადარჩენილებს, მაგრამ, ყოფილა შემთხვევები, რომ უშუალოდ მიმიღია მონაწილეობა ადამიანების გადარჩენაში და მათი მადლიერი თვალების ხილვისას თუ სიტყვების მოსმენისას კიდევ ერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ სამართლიან საქმეს ვემსახურებოდი.

ერთხელ შჩუკინმა სასწრაფოდ მიხმო თავისთან და მითხრა:

– სასწრაფოდ პარიზში უნდა გადაფრინდე და ალან კოსი უნდა „აძოვო“. ის ალჟირში მიფრინავს და გასარკვევია, ვის შეხვდება.

„ძოვება“ თვალყურის დევნებას ნიშნავს. ალან კოსი, იგივე ჟერარ პაპენი, იგივე ოსკარ სიმონი, სინამდვილეში საერთაშორისო ტერორისტი, ალჟირელი მუსტაფა იბნ ბენ აბერი იყო. ის, ისევე, როგორც სხვა ტერორისტები, საბჭოთა კავშირში იყო მომზადებული და „კაგებეს“ დავალებებს ასრულებდა. შემდეგ კი, ისევე, როგორც ზოგიერთი მისი კოლეგა, განზე გაუდგა თავის ყოფილ პატრონს. „კაგებესგან“ გარიყვა კარგი რომ არ იყოს, ბავშვმაც კი იცოდა და ბენ აბერი კანონგარეშედ გამოცხადდა ლუბიანკაზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ, ადრე თუ გვიან, მას საბჭოთა უშიშროების საშინელი რისხვა დაატყდებოდა თავს. ამიტომ, შჩუკინმა რომ მისი „ძოვება“ დამავალა, გამიკვირდა და ვკითხე.

– მხოლოდ უნდა „ვაძოვო“?

– ჯერჯერობით, მხოლოდ უნდა „აძოვო“. ამას სხვებიც იზამდნენ, მაგრამ, შენ იმიტომ გგზავნი, რომ ბენ აბერი უმართავი ადამიანია. რა დროს როგორ მოიქცევა, არავინ იცის, ამიტომ, „ძოვებასთან“ ერთად, ის მიზანშიც უნდა გყავდეს ამოღებული და საჭიროების შემთხვევაში განაჩენსაც აღუსრულებ.

– პირდაპირ რომ ალვესრულოთ?

– ნუ ვიჩქარებთ. გვაქვს ინფორმაცია, რომ ის მსხვილ აქციას გეგმავს და ეს ყველაფერი ისე უნდა გაფორმდეს, თითქოს ჩვენ შევუკვეთეთ. ამიტომ, მინდა, მყარად დააჯდე მას კუდზე და ალჟირში ყველა მისი შეხვედრა გადაიღო და მოისმინო, რაშიც ჩვენი თანამშრომლები დაგეხმარებიან. ალჟირის დედაქალაქში რომ ჩაფრინდები, მეკავშირე მოვა და ყველაფერში გაგარკვევს. აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ!



ბენ აბერს პარიზის საერთაშორისო აეროპორტ „ორლიში“ „დავაჯექი კუდზე“. სულ რაღაც ოცი წუთის ჩაფრენილი ვიყავი საფრანგეთის დედაქალაქში, როდესაც პარიზელმა მეკავშირემ ალჟირის რეისის ბილეთი გადმომცა და კეთილი მგზავრობა მისურვა. ობიექტი „ლუქსის“ კლასით მგზავრობდა და იმავე სალონში ვიმყოფებოდი მეც. ჩვენი ადგილები სხვადასხვა რიგში, მაგრამ, გვერდიგვერდ მდებარეობდა.

– აი, თქვენი ბარგის ნომერი, – მითხრა მეკავშირემ პარიზში, ბარგის ჩეკი გადმომცა და დაამატა – ლურჯი ტყავის ჩემოდანია. შიგ ორი მაყუჩიანი პისტოლეტი და ასი საბრძოლო ვაზნა დევს.

ორასი მგზავრით სავსე სუპერლაინერი მსუბუქად აფრინდა „ორლიდან“ და ცხელი კონტინენტის მიმართულებით გაფრინდა. ობიექტი ერთი ხელის გაწვდომაზე მყავდა და გადავწყვიტე, ჩამეთვლიმა, რადგან, მოსკოვიდან ჯერ ლისაბონში ჩავფრინდი, რომ ჩემზე ეჭვი არავის აელო, იქიდან კი პარიზში გადავფრინდი, უკიდურესად მოქანცული ვიყავი და დასვენება არ მაწყენდა. სავარძელში მოხერხებულად მოვკალათდი, ფეხები გავმართე და, ის იყო, თვალებზე სახვევი უნდა ჩამომეფხატა, რომ სალონში ორი ავტომატგადაკიდებული ქერათმიანი კაცი შემოვიდა და ბენ აბერს თავი დაუქნიეს. ის კი ელეგანტურად წამოდგა, ერთ-ერთი კოლეგის მიერ გადმოგდებული მოკლელულიანი ავტომატი მარჯვედ დაიჭირა, მხარზე გადაიკიდა და ინგლისურად გამოაცხადა:

– ბოდიშს გიხდით, ქალბატონებო და ბატონებო, მცირედი შეწუხებისთვის, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ მცირედი შეწუხება და მეტი არაფერი. თუ, რა თქმა უნდა, ბრიტანეთის მთავრობა გამოიჩენს კეთილგონიერებას და არ გვაიძულებს, რომ უკიდურეს ზომებს მივმართოთ.

ბენ აბერი თავმომწონედ, შეიძლება ითქვას, მეტრირებულადაც კი ლაპარაკობდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ თავის სიტყვებს არ შეასრულებდა. ის კი ბრიტანეთის მთავრობისგან ჯეიმს და მარგარეტ ონილების გათავისუფლებას მოითხოვდა, რომლებიც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წევრები იყვნენ და ტერორიზმისთვის უვადო პატიმრობაში იმყოფებოდნენ. ბენ აბერის განცხადებით, ლაინერზე ოთხმოცი ბრიტანელი მოქალაქე იმყოფებოდა და მათ შორის იყო ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრიც. მისივე თქმით, ალჟირში მიმავალი თვითმფრინავი ლიბიაში დაეშვებოდა და იქ დაელოდებოდა ციხიდან გათავისუფლებულ ტერორისტებს, ხოლო, თუკი მისი მოთხოვნა თორმეტი საათის განმავლობაში არ შესრულდებოდა, მაშინ ყველა მგზავრს მოულებდნენ ბოლოს და ხოცვას ბრიტანელებით დაიწყებდნენ. იმავე ტექსტი ბენ აბერმა ფრანგულად და ესპანურადაც გაიმეორა და ბოლოს დაამატა:

– ჩვენ, სამართლიანობისთვის მებრძოლი რვა თავგანწირული ადამიანი, კბილებამდე ვართ შეიარაღებულები და არავის გირჩევთ გმირობის გამოჩენას. მშვიდად ისხედით თქვენს ადგილებზე, ხოლო, თუკი ვინმეს რამე დაგჭირდებათ, ჩვეულებრივად, სტიუარდესებს მიმართეთ.

ბენ აბერის ხალხი ძალიან კორექტულად იქცეოდა და ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში ყოველგვარი ექსცესების გარეშე დავეშვით. თუმცა, თორმეტსაათიანი ლოდინის შემდეგ, ბენ აბერი კვლავ სიტყვით გამოვიდა:

– სამწუხაროდ, ბრიტანეთის მთავრობამ უარი განაცხადა ჩვენი მეგობრების გათავისუფლებაზე, ამიტომ, იძულებულები ვართ, პირობა შევასრულოთ და ბრიტანეთის მოქალაქეების დახოცვა დავიწყოთ. ხოლო ლიბიის მთავრობა რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაგდოთ, ჩვენი თვითმფრინავი ჯერ ჰაერში აფრინდება და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებთ თქვენს სიკვდილით დასჯას.

ავიალაინერი საწვავით აავსეს. დილის 9 საათზე ის კვლავ ცაში აიჭრა და, საით აიღო კურსი, ბენ აბერს აღარ უთქვამს. ათწუთიანი ფრენის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი ლიბიის უზარმაზარი უდაბნოს თავზე მიფრინავდა. ბენ აბერმა ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა მამაკაცი ააყენა თავისი ადგილიდან, რიგებს შუა მუხლებზე დააყენა, ავტომატი კეფაზე დაადო და გამოგვიცხადა:

– ეს ჯენტლმენი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრია, მისმა ქვეყანამ კი მისი სიცოცხლის გადარჩენაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ამიტომ, ის იქნება პირველი მსხვერპლი და მას მიჰყვებიან სხვებიც, ზუსტად ისე, როგორც უკვე გამოვაცხადეთ.

იარაღდადებულ ბრიტანელს კრინტიც არ დაუძრავს. ის საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდა. და უდიდესი ღირსების გრძნობით ელოდა სიკვდილს, რომელიც სულ მალე უნდა სწვეოდა მიბჯენილი იარაღის ლულიდან.

ტერორისტებთან გამკლავება სავსებით შესაძლებელი იყო და ის ორი მაყუჩიანი პისტოლეტი ვინატრე, რომლებიც ლურჯ ჩემოდანში ელაგა. თუმცა, ლურჯი ჩემოდანი თვითმფრინავის საბარგო განყოფილებაში იდო და ჩემთვის მიუწვდომელი იყო. ბენ აბერმა სასხლეტს თითი გამოსდო და, ის იყო, უნდა დაეშვა, რომ უცებ მას შუახნის მამაკაცი დაეჯახა, რომელიც ჩემ წინ იჯდა და ტერორისტი იატაკზე დააგდო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს შუახნის მამაკაცი ბრიტანეთის სამეფო უსაფრთხოების ოფიცერი იყო და სამეფო ოჯახის წევრის დაცვა ევალებოდა. ის წაქცეულ ტერორისტს ზემოდან დაახტა და ბენ აბერის გასროლილმა ავტომატურმა ჯერმა მას რამდენიმე გამჭოლი ჭრილობა მიაყენა. სალონში კიდევ ორი ტერორისტი იმყოფებოდა. ერთ-ერთი მათგანი დაიბნა და ხელყუმბარა გახსნა, რომელიც ხელიდან გაუვარდა და მის უკან, ტუალეტთან აფეთქდა. ამის გამო თვითმფრინავს მარჯვენა, შუა ადგილას, საკმაოდ დიდი ზომის ხვრელი გაუჩნდა, მართვა დაკარგა და პიკირება დაიწყო... თვითმფრინავში პანიკა ატყდა და, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტები შეიარაღებულები იყვნენ, შეშინებული მგზავრები მათ ეტაკნენ, ტყვიებს არ შეუშინდნენ და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ორი მათ დახოცეს, ბენ აბერს კი მე გამოვუყვანე წირვა. ის ჯერ კიდევ იატაკზე ეგდო და ზემოდან დაცხრილული ბრიტანელი ოფიცერი ეწვა, როცა მისივე ავტომატური იარაღით დავუცხრილე გული.



უცებ, პიკირებაზე წასული ლაინერი გასწორდა, კიდევ გარკვეული დრო იფრინა და უდაბნოს ქვიშიან გრუნტს შეახო შასი. აშკარა იყო, პილოტები თვითმფრინავის დასმას ცდილობდნენ, მაგრამ, ეს არანაკლებ საშიში იყო, ვიდრე ჩამოვარდნა. ლაინერმა ორასიოდე მეტრი სულ ხტუნვა-ხტუნვით გაიარა უდაბნოს ქვიშაში, შემდეგ უცნაური ბრუნი გააკეთა, მარჯვენა ფრთით ღრმად ჩაჯდა ორმოში და კორპუსს ცეცხლი წაეკიდა. იმ მომენტისთვის ტერორისტები უკვე დახოცილები იყვნენ, მაგრამ, სხვა სასიკვდილო საფრთხე გველოდა: თუ ხალხი დროზე არ დააღწევდა თავს ცეცხლწაკიდებულ ლაინერს, ის აფეთქდებოდა და ყველანი დავიღუპებოდით. ლაინერი იმგვარად იყო ქვიშაში ჩაფლული, რომ კარი არ ჩანდა, ილუმინატორები კი იმდენად ვიწრო იყო, რომ იქ ბავშვიც ვერ გაძვრებოდა. დრო არ ითმენდა. ცეცხლი საწვავის ავზს უახლოვდებოდა და რაღაც უნდა მეღონა. უცებ ერთმა აზრმა გამიელვა. ჩემ მიერ დაცხრილულ ბენ აბერს ხელყუმბარა ამოვაცალე და ტერორისტის გვამი ჩამსხვრეულ, ვიწრო ილუმინატორთან მივათრიე. შემდეგ ის ავაფარე ილუმინატორს, ხელყუმბარა უბეში ჩავუდე და უკან დავიხიე „ლიმონკა“ ხუთიოდე წამში აფეთქდა, ფანჯარაში დიდი ხვრელი გაკეთდა და გზა გაიხსნა.

– წესრიგი დაიცავით! – მოვუწოდე მგზავრებს, რადგან, ყველა იმას ცდილობდა, პირველი გამძვრალიყო ხვრელში – ჯერ ბავშვები და ქალები გავიდნენ და ასიოდე მეტრით მოშორდნენ ცეცხლწაკიდებულ ლაინერს!

მგზავრების გადარჩენის პროცესი თითქმის შვიდ წუთს გაგრძელდა და 196 ადამიანი უვნებლად გამოვიყვანეთ ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავიდან. ოთხი ადამიანი, მათ შორის, სამეფო ოჯახის წევრის მცველი, დაიღუპა და როდესაც ბოლო გადარჩენილი მგზავრი მივიყვანე უსაფრთხო ადგილამდე, უზარმაზარი ლაინერი აფეთქდა.

ლიბიის უდაბნოში მაშველი ძალა საკმაოდ გვიან – ოთხი საათის შემდეგ გამოჩნდა და ყველანი დედაქალაქ ტრიპოლში გადაგვიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დახმარება არ მჭირდებოდა, პროფილაქტიკის მიზნით, მეც საავადმყოფოში მიმიყვანეს, მაგრამ, იქიდან გამოვიპარე და ლიბიის ტერიტორია საბჭოთა ტანკერით დავტოვე, რომლის კაპიტანსაც ლუბიანკასთან დასაკავშირებელი საიდუმლო შიფრი ვუკარნახე და როდესაც „კაგებეს“ შტაბ-ბინას ელაპარაკა, სასწრაფოდ ბორტზე ამიყვანა და დამმალა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მ | ა | ხ | ა | თ | ა | | ა | | | დ |
| | | | | ო | | ა | | უ | | პ | რ | ი | მ | ა |
| | | | | ს | უ | რ | ა | თ | ი | | ქ | | | ნ |
| | | | | ე | | ა | | უ | | მ | ე | ს | ი | ა |
| | | | | | ა | ბ | ა | ნ | ო | | | ა | | მ |
| | | | | ა | რ | ა | ლ | ი | | თ | ო | ლ | ი | ა |
| გ | ა | დ | ა | ბ | ა | ძ | ე | | გ | | | ი | | |
| | | ა | ლ | ა | კ | ე | | პ | რ | ა | ტ | ე | რ | ი |
| მ | ა | რ | ა | დ | ი | | ო | | ა | დ | ი | რ | ო | კ |
| ა | | ი | | ა | | ი | | ს | ტ | ა | ტ | ი | კ | ა |
| პ | ი | | ა | ნ | ა | კ | ლ | ი | ა | | რ | | ვ | |
| ი | ნ | ა | რ | ი | | ო | | კ | | ბ | ი | ს | ა | უ |
| | ა | | ბ | | ო | რ | ი | ო | ნ | ი | | ი | | ი |
| | მ | | ა | | | თ | | | ა | ლ | ა | ნ | ი | ა |
| დ | ო | ს | ტ | ი | | ა | ტ | ო | ლ | ი | | დ | ა | რ |
| ი | | | ი | კ | ა | | ი | | ი | ო | ნ | ი | კ | ა |
| ს | | ა | | ა | ნ | ე | ტ | ო | | ნ | | ს | | დ |
| კ | ო | ნ | ი | კ | ა | | ა | | მ | ი | მ | ი | ნ | ო |
| ა | | ა | | ა | ნ | ა | ნ | ი | ა | | ა | | ი | |
| ნ | ა | ნ | ა | | ა | ზ | ი | | ლ | ი | მ | ო | ნ | ა |
| ტ | | დ | | ე | ს | ა | კ | ი | ა | | ა | მ | ი | დ |
| ი | ლ | ი | ა | | ი | ვ | ი | გ | | ს | ო | ი | ა | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 2 | 4 | 1 | 8 | 7 | 9 | 5 | 3 | 6 |
| 3 | 7 | 9 | 1 | 5 | 6 | 8 | 4 | 2 |
| 7 | 2 | 5 | 3 | 4 | 1 | 6 | 8 | 9 |
| 6 | 9 | 4 | 2 | 8 | 7 | 3 | 1 | 5 |
| 1 | 8 | 3 | 6 | 9 | 5 | 2 | 7 | 4 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 2 | 8 | 4 | 6 | 1 |
| 5 | 6 | 8 | 7 | 1 | 4 | 9 | 2 | 3 |
| 4 | 1 | 2 | 9 | 6 | 3 | 7 | 5 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 9 | 3 | 2 | 6 | 4 | 8 | 1 |
| 8 | 6 | 4 | 1 | 7 | 9 | 5 | 3 | 2 |
| 2 | 3 | 1 | 5 | 4 | 8 | 6 | 7 | 9 |
| 6 | 2 | 7 | 9 | 1 | 5 | 3 | 4 | 8 |
| 1 | 9 | 3 | 8 | 6 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 4 | 5 | 8 | 2 | 3 | 7 | 1 | 9 | 6 |
| 3 | 1 | 5 | 7 | 8 | 2 | 9 | 6 | 4 |
| 7 | 8 | 6 | 4 | 9 | 1 | 2 | 5 | 3 |
| 9 | 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. ინკვიზიციის მიერ გამოტანილი უმაღლესი სასჯელი – კოცონზე დაწვა. 2. სიტყვას „ჯენტლმენი“ (ინგლისელებს აქვთ ასეთი გამოთქმა: „ჯენტლმენი ის არის, ვინც ამ სიტყვას არასდროს იყენებს“). 3. „მოკრივეთა აჯანყებას“. 4. რკინიგზის ვაგზალი (პირველად გაიხსნა ლონდონში). 5. საპონტონო ხიდს (ხიდი – ნავებზე). 6. ჰოლივუდი (თავიდან ეწერა „ჰოლივუდლენდ“). 7. ჩეხებსა და ხორვატებს. 8. მეძებარი ძაღლებისთვის. 9. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ეს მანძილი გაირბინა ჰერაკლემ სუნთქვაშეკრულმა. 10. ორთვალა ეტლებით შეჯიბრება. გამარჯვებულად ითვლებოდა ცხენების პატრონი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ქალი.

# ჰყავდა თუ არა უკანონო შვილი სტალინს



**ჟანდარმერიას, ქალაქში სტალინის ჩასვლა არ გამოჰპარვია და მას ორი აგენტი მიუჩინა მუდმივი მეთვალყურეობისთვის – „ფიკუსი" და „მიხაელი". ჟანდარმერიის მასალებში ამ პერიოდში სტალინი „მერძევის" („მალოჩნის") ფსევდონიმით ფიგურირებდა**

სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან გაქცევის შემდეგ, სტალინი არალეგალურად ცხოვრობდა ბაქოში. ადგილობრივ ჟანდარმერიას, ქალაქში სტალინის ჩასვლა არ გამოჰპარვია და ორი აგენტი მიუჩინა მუდმივი მეთვალყურეობისთვის – „ფიკუსი" და „მიხაელი". ჟანდარმერიის მასალებში იმ პერიოდში სტალინი „მერძევის" („მალოჩნის") ფსევდონიმით ფიგურირებდა. ჟანდარმერია დიდხანს ცდილობდა ჯუღაშვილის წინააღმდეგ სამხილის მოპოვებას, მაგრამ დაბალი პროფესიული შესაძლებლობების მქონე აგენტები – „ფიკუსი" და „მიხაელი", ხშირად კარგავდნენ „მერძევის" კვალს. ბოლოს და ბოლოს, 1910 წლის 30 მარტს, სტალინი დააპატიმრეს. იმავე წლის 23 სექტემბერს ის ბაქოდან ვოლოგდაში გაგზავნეს. ოქტომბრის ბოლოს კი სოლვიჩეგოდსკში დააბრუნეს, სადაც ახალგაზრდა ქვრივ, მარია კუზაკოვასთან ჩაასახლეს. ამ დროისათვის ჟანდარმერიას უკვე დადგენილი ჰქონდა სტალინის კავშირები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა კავშირის ხელმძღვანელობასთან. ამიტომ იყო, რომ მარია კუზაკოვას სახლს, თითქმის მუდმივად უთვალთვალებდნენ. ამის მიუხედავად, სტალინი მაინც ახერხებდა კონსპირაციული შეხვედრების გამართვას. მოგვიანებით გავრცელდა ხმები, რომ სტალინს მარია კუზაკოვასგან ვაჟი შეეძინა, რომელიც შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა.

ამჯერად სოლვიჩეგოდსკიდან გაქცევა სტალინს აღარ უცდია, რადგან გადასახლების ვადა მალე უმთავრდებოდა. გადასახლების ვადის დასრულების შემდეგ, 1911 წლის ივლისში, სტალინი სოლვიჩეგოდსკიდან ვოლოგდაში ჩავიდა. ვოლოგდაში მას 2 თვე უნდა გაეტარებინა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო თავისუფლად გადაადგილება. ჟანდარმერიას აინტერესებდა, ვოლოგდაში მყოფი სტალინი ვისთან აპირებდა კავშირის დამყარებას, რა გეგმები ჰქონდა სამომავლოდ. ამიტომ, ჟანდარმერიისა და ოხრანკის აგენტები მუდმივად უთვალთვალებდნენ. ოხრანკის მასალებში ამ პერიოდში სტალინი „კავკასიელის" ფსევდონიმით მოიხსენიება. 6 სეტემბერს სტალინი პეტერბურგში გაემგზავრა. 1912 წლის 16 მარტს კი თბილისში დაბრუნდა. თუმცა, მალე თბილისიდან ისევ პეტერბურგს გაემგზავრა. პეტერბურგში ჩასულმა სტალინმა არალეგალური მოღვაწეობა გააგრძელა. მას ჟანდარმერია და ოხრანკა უკვე კვალში ედგა. ასე რომ, „კავკასიელის" წინააღმდეგ ბევრი სამხილი დაგროვდა. ჟანდარმერიასა და ოხრანკას კონტროლზე ჰყავდა სტალინთან კავშირში შემჩნეული ყოველი პიროვნება. იცოდა იმ ბინების მისამართები, სადაც ჯუღაშვილი ღამეს ათევდა. მართალია, სტალინს ჟანდარმერია და ოხრანკა მუდმივად კვალში ედგა – ვოლოგდიდან პეტერბურგამდე, პეტერბურგიდან თბილისამდე და თბილისიდან პეტერბურგამდე მგზავრობისას, მაგრამ მისი დაპატიმრება მხოლოდ ამის შედეგი არ იყო. პეტერბურგში მყოფ სოციალ-დემოკრატთა შორის ჟანდარმერიას ბევრი აგენტი ჰყავდა, რომელთა შესახებაც, ცხადია, სტალინს არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა. სტალინის მორიგი დაპატიმრება მეტწილად ამ აგენტების დამსახურებაა. პეტერბურგში ჩასული ჯუღაშვილი ყალბი პასპორტით ცხოვრობდა და ეჭვიც არ ჰქონდა, რომ ამის თაობაზე დაწვრილებით იყო ინფორმირებული ადგილობრივი ჟანდარმერია და ოხრანკა. სტალინი სრულიად მოულოდნელად დააპატიმრეს ერთ-ერთ შეკრებაზე 1912 წლის აპრილში. სტალინს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჟანდარმერიისა და ოხრანკის მიერ ჩანერგილმა აგენტებმა გასცეს. ჯუღაშვილი გაასამართლეს და 3 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. პატიმართა ჯგუფთან ერთად სტალინი ციმბირში, ქალაქ ტომსკში 1912 წლის 18 ივლისს ჩავიდა, საიდანაც თბომავლით კოლპაშევომდე მიაღწია. კოლპაშევოში სტალინი ცოტა ხანს შეჩერდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი გადასახლების ადგილას, ნარიმში ჩავიდა. ამ დროისთვის ნარიმში უკვე იმყოფებოდა პოლიტპატიმართა ერთი ჯგუფი. სტალინმა ბინა, ორ გადასახლებულთან ერთად, ეფროსინა ალექსეევას სახლში დაიდო.

ჯუღაშვილმა მორიგი გაქცევისთვის დაიწყო მზადება. გაქცევაში მას დახმარებას უწევდნენ იაკობ და აგაფონ ალექსეევები. მათ ის არყითა და სურსათით მოამარაგეს, ნავი მისცეს და ღამით მდინარემდე მიაცილეს. გაქცევა ამჯერად წარმატებით დამთავრდა. 1912 წლის 1 სექტემბერს სტალინმა იმ თბომავალზე მოახერხა ასვლა, რომელიც ტომსკში მიდიოდა. ტომსკიდან მატარებლით სტალინმა პეტერბურგამდე მიაღწია. ნარიმის გადასახლებაში, მან სულ 38 დღე დაჰყო. 12 სექტემბერს სტალინი პეტერბურგში ჩავიდა, საიდანაც მალე თბილისში გამოემგზავრა. თუმცა, თბილისში დიდხანს არ დარჩენილა.

1913 წლის თებერვალში სტალინი კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა. მან წინა დაპატიმრების დროიდან უკვე იცოდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მყოფი ჟანდარმერიის აგენტები უთვალთვალებდნენ. თუმცა, ეჭვიც არ შეუტანია, რომ მისი მთავარი დამსმენი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რომან მალინოვსკი იყო (მალინოვსკის აგენტურული საქმიანობა გაცილებით გვიან დადასტურდა). სწორედ მალინოვსკის წყალობით, 23 თებერვალს ერთ-ერთ მეჯლისზე სრულიად მოულოდნელად დააპატიმრეს სტალინი. 7 ივნისს მას 4 წლით ციმბირის შორეულ კუთხეში, ტურუხანსკში გადასახლება მიესაჯა. გადასახლების ადგილას, სტალინი ივნისშივე გაემგზავრა. კრასნოიარსკში ის თბომავალზე მოათავსეს, რომელიც მდინარე ენისეის აღმა მიუყვებოდა. ჯუღაშვილის გადასახლების ადგილი – ტურუხანსკის მხარე ფართობით იმაზე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია ერთად აღებული. თუმცა, იქ მხოლოდ 12 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. 26-დღიანი მოგზაურობის შემდეგ, 10 აგვისტოს სტალინი, ტურუხანსკის პროვინციის ცენტრში – მონასტირსკოეში ჩავიდა, საიდანაც სოფელ მიროედიხაში გადაიყვანეს. 2 კვირის შემდეგ, სტალინი სოფელ კოსტინოში გადავიდა საცხოვრებლად.

სტალინი კვლავ გაქცევისთვის ემზადებოდა, თუმცა, ტურუხანსკიდან გაქცევა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. უკვე ნოემბრის დასაწყისში იქ ტემპერატურა მინუს 33 გრადუსამდე, ხოლო ზოგჯერ მინუს 50 გრადუსამდე ეცემოდა. წარმატებული გაქცევისთვის ამ შემთხვევაში თბილი ტანსაცმელი და საგზალი საკმარისი არ იყო. გაქცევისთვის აუცილებელი იყო დიდი რაოდენობით ფული, რისი შოვნაც ჯუღაშვილს ძალიან გაუჭირდებოდა, თუ მას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა არ დაეხმარებოდა. 1914 წლის იანვარში სტალინმა მართლაც მიიღო 140 მანეთი ეს ფული სავსებით საკმარისი იყო ყალბი დოკუმენტების შესაძენად. სტალინისთვის ფულის გაგზავნის შესახებ შეიტყო ოხრანკის აგენტმა რომან მალინოვსკიმ. მალინოვსკისგან მიღებული ინფორმაციის შემდეგ რუსეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ტურუხანსკში დეპეშა გაგზავნა და ადგილობრივ პოლიციას აცნობა, რომ სტალინი გაქცევისთვის ემზადებოდა. დეპეშის მიღების შემდეგ, ჯუღაშვილი გადასახლების ახალ ადგილას, 290 კილომეტრით ჩრდილოეთით, სოფელ კურეიკაში გადაიყვანეს. ეს სოფელი არქტიკული პოლარული წრიდან 130 კილომეტრით იყო დაშორებული. კურეიკა, პრაქტიკულად, სოფელიც არ იყო. იქ ერთმანეთის მონათესავე 38 მამაკაცი და 29 ქალი 8 ქოხში ცხოვრობდა. კურეიკაში სტალინი, ალექსი და ანტისა ტარასევების ქოხში ცხოვრობდა. 1914 წლის 27 აპრილს ჟანდარმერიამ მიიღო ცნობა, რომ სტალინი გაქცევას აპირებდა. ამის მიზეზი გამხდარა ის, რომ ჯუღაშვილი ხშირად თხოულობდა ნავს ფიოდორ ტარასევისგან. მალე მდინარე ენისეიზე ნაოსნობა გაიხსნებოდა, ამიტომ ჟანდარმერიამ სტალინს მდინარეზე ნავით სეირნობა აუკრძალა.

გადასახლებიდან სტალინის გაქცევით, დიდად იყო დაინტერესებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობა. 1915-1916 წლებში სტალინმა პარტიისგან გაქცევისათვის აუცილებელი სოლიდური თანხა მიიღო, თუმცა, გაქცევა მაინც ვერ მოახერხა.

1915-1916 წლის ზამთარი სტალინმა ახალ ბინაზე, პერეპრიგინების ქოხში გაატარა. გაზაფხულდა თუ არა, მან ისარგებლა იმით, რომ მდინარე ენისეი ჯერ კიდევ გაყინული იყო და მარხილით კურეიკადან მონასტირსკოეში გაემგზავრა. გაქცევა ჯუღაშვილმა ამჯერადაც ვერ შეძლო.

1916 წლის ოქტომბერში სხვა გადასახლებულებთან ერთად სტალინი პირველ მსოფლიო ომში გაიწვიეს. მას მართალია, ომში წასვლა არ ეპიტნავებოდა, მაგრამ, თანხმობა იმიტომ განაცხადა, რომ ტურუხანსკიდან თავის დაღწევა სურდა. 12 დეკემბერს, სტალინი გადასახლებულთა ჯგუფთან ერთად კრასნოიარსკში გაემგზავრა. გადასახლებულებს ირმებშებმული მარხილებით უნდა ემგზავრათ. სტალინი მგზავრობას სხვადასხვა მიზეზით განგებ აჭიანურებდა. ამის გამო ხშირად ერთ ადგილზე 2-3 დღე ჩერდებოდნენ. ომში გაწვეულმა გადასახლებულებმა კრასნოიარსკში მხოლოდ 1917 წლის 9 თებერვალს ჩააღწიეს. პოლიციისგან, გადასახლებულები სამხედროებს უნდა გადაებარებინათ. ამასაც რამდენიმე დღე დასჭირდა. სამხედრო სამედიცინო კომისიამ, იოსებ ჯუღაშვილი მკლავის დაზიანების გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად მიიჩნია. 16 თებერვალს ჯუღაშვილმა ენისეისკის გუბერნატორს თხოვნით მიმართა, გადასახლების დარჩენილი 4 თვე სოფელ აჩინსკში გაეტარებინა, რაზეც თანხმობა მიიღო. აჩინსკში სტალინი 21 თებერვალს ჩავიდა. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში რევოლუცია მძვინვარებდა. იოსებ სტალინს გადასახლების ვადის დასრულება აღარ მოუხდა. რევოლუციამ რომანოვების იმპერიას ბოლო მოუღო – 1917 წლის 2 მარტს იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა. 12 მარტს პეტროგრადში (ამ პერიოდისთვის უკვე ასე ჰქვია პეტერბურგს) ჩავიდა ყოფილი პოლიტპატიმარი, იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი – მომავალი რუსეთის მბრძანებელი.

**ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ასრათაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ასრათა**, რომელიც არაბული წარმოშობისაა და „ნატვრას“ ნიშნავს. ნაცვალი **ასრათა** 1705 წელს კათალიკოს დომენტი მეორის სათარხნოს წიგნშია მოხსენიებული. **ასრათა** მოიხსენიება ამირინდო ამილახვრის მიერ 1744 წელს, თავისი ქალიშვილის – თამარისთვის მზითვად მიცემული ყმების წიგნში.

1886 წელს, ოჰანეზ, ანდრო და ივანე **ასრათაშვილები** მოიხსენიებიან დიდ თონეთში.

საქართველოში 169 **ასრათაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 54, თეთრი წყაროში – 33, რუსთავში – 6. არიან სხვაგანაც.

### კილიასანიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კილასანი**, რომელიც ორი ფუძისგან შედგება: **კილა** და **სანი**.

1858 წლის აღწერაში, ბორბალოში, სპირიდონ **კილიასანიძე** მოიხსენიება.

ამავე ძირისაა გვარები: **კილასონია, კილასონიძე, კილოსანიძე.**

საქართველოში 55 **კილიასანიძე** ცხოვრობს: 23 – **კილასონიძე**. 22 – **კილოსანიძე**. 2 514 – **კილასონია**: სენაკში – 539, თბილისში – 416, მარტვილში – 325. არიან სხვაგანაც.

### თეიმურაზიშვილი

გვარის ფუძეა ირანული საკუთარი სახელი **თეიმურაზი**, რაც „სხეულით ძლიერს“ ნიშნავს. მისი უძველესი ფორმაა ინდური სახელი **თაჰმაურუპა**, რაც „ძლიერ მელიას“ ნიშნავს.

**თეიმურაზის** კნინობითი ფორმებია: **თემო, თემუკა, თემიკო.**

1791 წელს ვაშლოვანში მოხსენიებულია ეშიკაღაბაშის ყმა ფარსადან **თეიმურაზიშვილი**.

მოგვიანებით **თეიმურაზიშვილები თეიმურაზოვებად** ჩაუწერიათ რუსული დაბოლოებით.

საქართველოში 35 **თეიმურაზიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 23, გარდაბანში – 3, დედოფლისწყაროში – 2. არიან სხვაგანაც.

176 – **თეიმურაზოვი.**

### გვარიშვილი

**გვარიშვილების** ისტორია გადახლართულია დადეშქელიანებთან, ხალვაშებთან, თურქეთის გენერალ გვარელუდისთან და ასე შემდეგ.

„პირველად ჩაქვში, 1644 წელს მოიხსენიება პაატა დადეშქელიანი ცოლიანად. ქედის რაიონში მკვიდრობდა პაატა დადეშქელიან-**გვარიშვილი** და ნათელა ხალვაშის შთამომავალთა შტო. **გვარიშვილი** პაატა დადეშქელიანისა და ნათელა ხალვაშის ნამრავლია. **გვარიშვილები** ძირძაგარი გვარია. მათ ოჯახში მეფესაც კი უმგზავრია. მეფეს უკითხავს, რა გვარის ხართო. უპასუხიათ, **გვარიშვილიო.** ეს ამბავი ყველამ იცის“.

საქართველოში 342 **გვარიშვილი** ცხოვრობს: ბათუმში – 141, ქობულეთში – 122, ქედაში – 24. არიან სხვაგანაც.

### ბუთბაია

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბუთა.**

**ბუთ-ბა-ია** ორსუფიქსიანი გვარ-სახელია. სუფიქსები **ბა** და **ია** ქართულია და ნიშნავს შვილს, ძეს, შობილს, დაბადებულს. **ბუთბაიები** ცხოვრობენ როგორც ზუგდიდსა და წალენჯიხაში, ასევე აფხაზეთში.

საქართველოში 256 **ბუთბაია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 145, თბილისში – 50, წალენჯიხაში – 12. არიან სხვაგანაც.

### ბეღელაური

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეღელა**.

**ბეღელი** პურეულის შესანახი ნაგებობაა ფშავში, ხევსურეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ფარცხისში 1818 წელს ნიკოლოზ პეტრეს ძე ადულასშვილის თავდებად მოიხსენიება გიორგი ზურაბის ძე **ბეღელაური**. ამავე ძირისაა გვარები: **ბეღელაძე** და **ბეღელაშვილი**.

საქართველოში 230 **ბეღელაური** ცხოვრობს: გორში – 97, თბილისში – 89, თეთრი წყაროში – 14. არიან სხვაგანაც.

### ანთაური

გვარის ფუძედ წინაპრებს გამოუყენებიათ სიტყვა **ანთა.** ამ ფუძითაა ნაწარმოები ქართული გვარები: **ანთაძე, ანთაური, ანთელავა, ანთია, ანთიძე, ანთაიძე.**

სავარაუდოდ, **ანთაიძე** და **ანთაური** ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს. არსებობს მოსაზრება, რომ, **ანთაი, ანთა** ქართველთა წარმართული ღვთაების – **ანთარის** ბოლომოკვეცილი ფორმაა, რომელიც დროთა განმავლობაში საკუთარ სახელად ქცეულა. სხვა ვარაუდით, **ანთები** იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართული გვარები: **ანთია, ანთიძე, ანთელავა** და სხვა.




ამავე ძირისაა გვარები**: ანთაიძე, ანთაური**.

საქართველოში 109 **ანთაური** ცხოვრობს: თბილისში – 33, დუშეთში – 19, თელავში – 17. არიან სხვაგანაც.

### ყირიმელაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ყირიმა.**

ბესო **ყირიმელაშვილი** მოიხსენიება 1843 წლის აღწერისას დიდ თონეთში. დიდ თონეთში 1885 წელს კონსტანტინე მჭედლიძის თავდებად მოიხსენიება სვიმონ **ყირიმელაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარები: **ყირიმელი, ყირიმლიშვილი, ყირიმელიშვილი.**

საქართველოში 47 **ყირიმელაშვილი** ცხოვრობს: 126 – **ყირიმელი**; 138 – **ყირიმლიშვილი;** 72 – **ყირიმელიშვილი.**

### თეზელაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თეზი, თეზია**. მისი კნინობითი ფორმებია: **თეზიკო, თეზულა.**

იასე **თეზელაშვილი** 1873 წლის აღწერაში სოფელ წვერში მოხსენიებულია, როგორც დროებით ვალდებული გლეხი. ამავე ძირითაა გვარები: **თეზელიშვილი, თეზიაშვილი**.

საქართველოში 299 **თეზელაშვილი** ცხოვრობს. 105 – **თეზელიშვილი**; 75 – **თეზიაშვილი**.

### პოჩიკაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **პოჩიკა.**

**პოჩიკაშვილი** მოიხსენიება სოფელ კოდაში 1851 წელს. კამერული აღწერის ამავე სიაში არიან მოსე და საქულა **პოჩიკაშვილები**. 1873 წელს ერთ-ერთ **პოჩიკაშვილს** ერქვა ყვავილა. 1886 წლიდან კი ჩნდება გვარი **ყვავილაშვილი**. გვხვდება ვარაუდი იმის შესახებაც, რომ თუში იჭარაული კოდაში გადასულა და **პოჩიკაშვილის** გვარი მიუღია.

საქართველოში 31 **პოჩიკაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 28, რუსთავში – 2, თბილისში – 1.

### კარიჭაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კარიჭა**.

1729 წელს ატენელი ზაქარია გიორგაშვილის მიერ იორამ თარხნიშვილისადმი გაცემულ პირობის წიგნში მოიხსენიება ბერი **კარიჭაშვილი**. 1721 წელს სამღერეთში მოიხსენიება ბაბაჯანა **კარიჭაშვილი.**

საქართველოში 259 **კარიჭაშვილი** ცხოვრობს: გორში – 191, თბილისში – 65, რუსთავში – 3.

### ელუაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ელუა**.

აქედან მომდინარეობს გვარები: **ელიაშვილი, ელაძე, ელიავა.** 1727 წელს მოიხსენიება დათუნა გერმანოზიშვილის ყმა – გოუა **ელუაშვილი.**

საქართველოში 65 **ელუაშვილი** ცხოვრობს. გორში – 37, თბილისში – 9, თეთრი წყაროში – 5. არიან სხვაგანაც.

### დოხნაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დოხნა.**

ივანე ჯავახიშვილის აზრით, თანამედროვე სიტყვა თოხის წინარე სახე – თოფიანი უნდა ყოფილიყო. **დოხნაძეში** წარმოდგენილი ფუძე ემთხვევა თოხის სავარაუდო არქაულ ფორმას.

საქართველოში 632 **დოხნაძე** ცხოვრობს: თბილისში – 260, ამბროლაურში – 116, ტყიბულში – 56. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

## მსოფლიოს საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული ფენომენი



ექსტრასენსთა ბრძოლის (გრანდების) საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებული ფენომენი, მაია ძიძიშვილი, უკვე საქართველოშია და შეუძლია მსურველთა მიღება 4 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით. ტელეკომპანია „მზის“ პროექტის „მეექვსე გრძნობის“ ფინალისტმა აღნიშნული კონკურსის დამთავრებიდან დღემდე წარმატებით მოიარა მსოფლიოს საერთაშორისო კონკურსები და მხოლოდ ახლა მიეცა საშუალება, თავისი უნიკალური ნიჭითა და უჩვეულო ფენომენური შესაძლებლობებით დახმარებოდა საქართველოს მოსახლეობას. მისი შედეგებით აღტაცებული დარჩა მსოფლიოს უდიდესი ფენომენი იური დელერი, რომელიც იყო ჟიურის წევრი უკრაინის ტელეკომპანია „ესტებეს“ პროექტის „ექსტრასენსი გრანდების ბრძოლა“, სადაც მაია ძიძიშვილმა დაჩრდილა წინასწარმეტყველების ნიჭით განთქმული შამანებიც კი. მაია ძიძიშვილის დახმარებით თქვენ შეგიძლიათ, იპოვოთ ბედნიერების გასაღები, წარუმატებლობა შეცვალოთ წარმატებებით... ბევრს აღარ გავაგრძელებთ და გთავაზობთ მასთან საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს:

**577-48-48-84; 2-29-06-20; 2-36-48-81; 2-30-10-40.**

# გამოვა შენგან თოვლის ბაბუა?!



*გიყვართ, როცა ადამიანებს საჩუქრებთან ერთად სიხარულსაც ანიჭებთ? ყველაზე ხელგაშლილი და კეთილი თოვლის ბაბუაა. ჰგავხართ მას?*

**1. როდისმე ყოფილხართ თოვლის ბაბუის როლში?**

ა) არასოდეს – 5 ქულა;
ბ) საკმაოდ ხშირად – 10 ქულა;
გ) უკვე დიდი ხანია, ამ როლში ვარ – 15 ქულა.

**2. გყავთ შვილები?**

ა) ერთი შვილი მყავს – 5 ქულა;
ბ) მხოლოდ ორი შვილი მყავს – 10 ქულა;
გ) ყველა ბავშვი ჩემი შვილია – 15 ქულა.

**3. როგორ ფიქრობთ, იუმორის გრძნობა გაქვთ?**

ა) მგონი, კი – 5 ქულა;
ბ) დიახ, ასე ამბობენ ჩემი მეგობრები – 10 ქულა;
გ) შესანიშნავი იუმორის გრძნობა მაქვს – 15 ქულა.

**4. იცით სიმღერები ახალ წელზე?**

ა) მხოლოდ ერთი, ისიც შეცდომით – 5 ქულა;
ბ) მინიმუმ, ხუთი ვიცი – 10 ქულა;
გ) რამდენიც გინდათ – 15 ქულა.

**5. „სნეგუროჩკა" – ვინ არის ის?**

ა) თოვლის ბაბუის „მარჯვენა ხელი" – 5 ქულა;
ბ) ლამაზი გოგონა – 10 ქულა;
გ) თოვლის ბაბუის შვილიშვილი – 15 ქულა.

**6. როდის დგება ახალი წელი?**

ა) 1 იანვარს – 5 ქულა;
ბ) 14 იანვარს – 10 ქულა;
გ) როცა ფული მაქვს – 15 ქულა.

**7. რამდენი საჩუქარი უნდა ეტეოდეს თოვლის ბაბუის ტომარაში?**

ა) ოცი მაინც – 5 ქულა;
ბ) ოცდაათი მაინც – 10 ქულა;
გ) ძალიან, ძალიან ბევრი – 15 ქულა.

**დათვალეთ ქულები**

*45 ქულაზე ნაკლები: შეჩერდით! თქვენგან თოვლის ბაბუა არ გამოვა. როცა ვინმეს საჩუქარს აძლევთ, ისე ცუდად ხდებით, აღარაფერი გიხარიათ. თოვლის ბაბუის როლი თქვენთვის მძიმეა და დამღლელი. მძიმე ბავშვობა გქონდათ?*

*45-80 ქულა: გაქვთ შანსი, კარგი თოვლის ბაბუა იყოთ. მხიარულება შეგიძლიათ. არც ძუნწი ხართ. რა გაკლიათ?! მონდომება და გამოცდილება. თამამად, უფრო თამამად!*

*80 ქულაზე მეტი: მეტისმეტი მოგდით. ჩაიხედეთ სარკეში. თავი მართლა თოვლის ბაბუა ხომ არ გგონიათ? გაკოტრდებით, თუ ამ როლიდან დროულად არ გამოხვალთ.*

# „უცნობი" თოვლის ბაბუა!

***ადამიანებს უნდათ, რომ ის მართლაც არსებობდეს... დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ, ბიზანტიის ქალაქ ლიკიაში არქიეპისკოპოსი ნიკოლოზი ცხოვრობდა – კეთილი, ღარიბებისა და ბავშვების დამცველი... ყველას სიყვარული დაიმსახურა და სიკვდილის შემდეგ წმიდანად შერაცხეს. მისი ხსენების დღეს, დეკემბერში წესად იქცა ბავშვებისთვის საჩუქრების ჩუქება. ამას ის თავად აკეთებდა... როდის იქცა ის თოვლის ბაბუად და როდის შეიძინა სხვა, უამრავი სახელი, ეს ზუსტად არავინ იცის. მთავარი ხომ სხვაა – დაიჯერო უდიდესი სიკეთის.***

პირველად ახალი წელი ამომავალი მზის ქვეყანაში შებრძანდება. თუმცა იქ საზეიმო ზარი თორმეტჯერ კი არა, 108-ჯერ რეკავს. იაპონელებს სჯერათ, რომ ადამიანებს 108 უბედურება ემუქრებათ და გონგის თითოეული ჩამოკვრით, თითოს აფრთხობენ.

იაპონელ თოვლის ბაბუას ***სეგაცუ სანი*** – მისი უდიდებულესობა ახალი წელი ჰქვია. მას რომ აამონ, იაპონელები სახლების წინ სამი ბამბუკის ჯოხითა და ნაძვის ტოტებით პირამიდას დგამენ. მთავარი აქსესუარი ნიჩბებია, რომლითაც ოჯახმა ხვავი უნდა მოხვეტოს. მათ ან კართან აწყობენ, ან დირესთან ჰკიდებენ. სახლებში ნაძვის ხესაც დგამენ და იაპონელები მას მოტიბანას ეძახიან – ეს არის კენარისა და ბამბუკის ტოტები, რომელსაც ბრინჯის ფქვილისგან გამომცხვარი ბურთულებით რთავენ. 108-ჯერ გონგის ჩამოკვრის შემდეგ, ოჯახის წევრები სათითაოდ ხსნიან და ჭამენ ამ ბურთულებს. თან სურვილებს ჩაუთქვამენ ხოლმე.



იაპონელების საახალწლო სუფრაზე (მნიშვნელობა არა აქვს, რისი წელია) აუცილებლად არის გრძელი მაკარონი – მრავალი წლის სიცოცხლის აღსანიშნავად, ბრინჯი – შემოსავლისთვის, თევზი – ძლიერებისთვის, ლობიო – ჯანმრთელობისთვის. სუფრასთან ჩუმად სხედან და მომავალზე ფიქრობენ. ეს ერთგვარი მედიტაცია-რიტუალია. ფანჯრებსა და კარებზე აუცილებლად აკრავენ წითელ ქაღალდს. დილამდე სახლიდან ცხვირსაც არავინ გამოყოფს, თორემ ძველ წელს ბედნიერებაც თან გაჰყვება. საახალწლო სუფრის ცენტრში ბრინჯში ჩამჯდარი შემწვარი იხვი დევს, რომელიც ოჯახის უფროსმა აუცილებლად ათას ნაწილად უნდა გაჭრას. მაშინ ახალი წელი სრულ ჰარმონიასა და სიხარულში ჩაივლის.

ლაპლანდიელი, სახელგანთქმული თოვლის ბაბუის ***იოულუპუკის*** სახელი, ორიგინალში ასე ჟღერს – საშობაო თხა. სინამდვილეში ის საყვარელი, თეთრწვერა მოხუცია, წითელი ცხვირითა და კეთილი თვალებით.

***ბაბა ნატალე*** – იტალიელი, ცელქი თოვლის ბაბუა, რომელიც იტალიელებს, ახალი წლის ღამეს, ფანჯრებიდან ძველ ავეჯს აყრევინებს. შეიძლება, საკმაოდ მძიმე ნივთიც დაგეცეთ თავში. ბაბა ნატალე ტემპერამენტიანი და ენერგიულია. ჰყავს ფერიაც – ბეფანა. ის უფრო რუს „ბაბა იაგას" ჰგავს, ვიდრე ზღაპრულ ფერიას. „საფრენი აპარატი" – ცოცხიც აქვს და ძალიან ცელქია. იტალიელების საახალწლო სუფრაზე აუცილებლად არის ყურძენი, ნიგოზი და ქერი – ჯანმრთელობის, ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრების სიმბოლო.

***ნიკოლაუსი*** – გერმანელი თოვლის ბაბუა. ის ძალიან უყვართ ბავშვებს, რატომაც არა?! შეგიძლია, შენი ცელქობები მას დააბრალო. ახალი წლის ღამეს ბევრი ტკბილეული მოაქვს. მაგრამ ნიკოლაუსი მარტო არ დადის, თან ავი სულებიც დაჰყვებიან. მაგალითად, პოლიცნიკელი, რომელსაც ქურქი უკუღმა აცვია, დადის ქუჩებში და ურჩ, მარტო მოსეირნე ბავშვებს აგროვებს. აჭმევს მათ ხახვსა და ნიორს.

***მიკულაში*** – ჩეხი თოვლის ბაბუა მოდის მიმდევარია. აცვია გრძელი ქურქი და მაღალი შლაპა ახურავს. თან თეთრი, ქათქათა ანგელოზი დაჰყვება. ასევე, ფუმფულა ჭინკაც. კარგ ბავშვებს ასაჩუქრებს, ცუდებს კი კარტოფილსა და ნახშირს ურიგებს.

ჩეხებს სადღესასწაულო სუფრებზე აუცილებლად აქვთ ვაშლითა და ნიგვზით მომზადებული კერძი. ვაშლი სიკეთის ნიშანია. უფრო ხშირად ვაშლს ნიგვზით გამოტენიან ხოლმე და შეწვავენ.

***სანტა კლაუსი*** – ის ამერიკული თოვლის ბაბუაა. წითლებში გამოწყობილი. ეწევა ჩიბუხს, ბევრს მოგზაურობს ირმებით ცაში. სახლებში კი ბუხრებიდან ჩადის.

სხვათა შორის, ავსტრალიური თოვლის ბაბუა ამერიკელ ძმას ძალიან ჰგავს. თუმცა, ქურქი არ აცვია და საცურაო, წითელი ტრუსებით კმაყოფილდება. წელიწადის ამ დროს ხომ ავსტრალიაში ძალიან ცხელა. ორივე ქვეყანაში აცხობენ საახალწლო ღვეზელებს. ერთ-ერთში კი მონეტას აყოლებენ. ვისაც მონეტა შეხვდება, მისთვის ახალი წელი განსაკუთრებით ბედნიერი და წარმატებული იქნება.

***წმიდა ვასილი*** – ბერძენი თოვლის ბაბუა. კვიპროსზეც ჩადის ხოლმე. ღიპიანია და საჩუქრების დარიგება უყვარს. სახლის კართან მძიმე ქვებს ტოვებს – დე, ამ სახლის პატრონს ჯიბეები ფულმა ამ ქვასავით დაუმძიმოსო.

***ბაბუა შობა*** – ასე ეძახიან ინგლისში თოვლის ბაბუას. კეთილდღეობის სიმბოლო ამ ქვეყანაში ღორი და ბუხრის მწმენდავია.

დაკიდეთ ძველი წინდა ბუხართან ან კართან, რომ ის თოვლის ბაბუამ ტკბილეულით აავსოს.

***„იულ ტომტენი"*** – თოვლის ბაბუის შვედი „მოადგილე". შვედები თავმდაბალი ხალხია და ამბიციები ნაკლებად აწუხებთ. იულ ტომტენი თარგმანში „საშობაო გნომს" ნიშნავს. ის ჯადოსნურ ტყეში ცხოვრობს, თავის ერთგულ მეგობართან, თოვლის კაცუნა – დასტისთან ერთად. შიკრიკებად ელფები ჰყავს.

***პიერ ნოელი*** – თოვლის ბაბუის ფრანგი ბიძაშვილი. ახალი წლის ღამეს ის სახურავებზე დასეირნობს. სახლებში ბუხრებიდან ჩადის და საჩუქრებს ბუხართან აწყობს.

საფრანგეთში დღესასწაული ვერ ჩაივლის შებრაწული ინდაურის გარეშე.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# შეთავაზებული მკვლელობა

## ოლივია დარნელი

მელისა ფანჯარასთან იდგა და რაღაცას დაჟინებით აკვირდებოდა. მისი მეუღლე, რობერტ უემსტერი, ღიმილით ადევნებდა თვალს. ბოლოს ვერ მოითმინა:

– მელისა, ნუთუ არ მოგწყინდა მაგ კაცის თვალყურის დევნება? ახალი არაფერი ხდება – ყოველდღე მოდის და მიდის. მგონი, გიჟია.

– სულაც არა. ის იმ კაცს ეძებს, რომლის გამოც მისმა ორსულმა ქალიშვილმა თავი მოიწამლა. როცა იპოვის იმ ნაძირალას და გაუსწორდება, დამშვიდდება კიდეც. მანამდე კი სულ ასე ივლის საფლავზე.

– საინტერესოა, როგორ გაიგებს, ვინ შეაცდინა მისი ქალიშვილი? – მხრები აიჩეჩა რობერტმა, – ცუდია, სასაფლაოსთან ასე ახლოს რომ ვცხოვრობთ.

– პირიქით, ძალიან საინტერესოა... – მელისამ ამოიოხრა და ფანჯარას მოსცილდა, – რაო, იმ ნაძირალამ, სტუმრად უნდა გეწვიოთო?

– თუ შენს სიძეს გულისხმობ, სავარაუდოდ, ხვალ დაგვაფასებს ვიზიტით და, ძალიან გთხოვ, ჩხუბისგან თავი შეიკავო.

– მან ჩემი და მოკლა, დეიდაჩემის მემკვიდრეობა კი მიითვისა.

– შენი და აბაზანაში დაიხრჩო. ეს უბედური შემთხვევა იყო. პოლიციამ საეჭვო ვერაფერი დაადგინა და საქმე დახურა.

– ჰმ, როგორ უნდა დამხრჩვალიყო? დაფიქრდი, განა ეს შესაძლებელია?

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ნასვამი იყო...

– ვითომ არ იცი, რომ ჩემი და არ სვამდა, და იმ ნაძირალასთანაც განქორწინებას აპირებდა. დეიდა ენიმ, არ ვიცი, რატომ, მთელი თავისი ქონება ლილიენს დაუტოვა.

– ამის მერე გადაწყვიტა მან, ქმარს გაშორებოდა?

– ჰო, აბა, რა?! ეს ნაძირალა ყოველ ნაბიჯზე ატყუებდა. არასდროს ჰყვარებია, მარტო კარგი ცხოვრება უნდოდა. მთელი ქონების ხელში ჩაგდება მოინდომა და გამოუვიდა კიდეც. ო, რა დიდი სიამოვნებით მოვკლავდი!

– არც იფიქრო ამაზე! შენ არ გამოგივა ეგ ამბავი და დაგიჭერენ. მკვლელობა ოსტატურად მხოლოდ ნაძირლებს გამოსდით.

– მერე, ჩემი ყოფილი სიძე ნაძირალა არ არის?

– ისევ თავიდან იწყებ? ნუღარ ფიქრობ ამაზე. პოლიციას შენი სიძე არ დაუდანაშაულებია.

– იდიოტები არიან და იმიტომ. თურმე, მეზობლებმა დაადასტურეს, ცოლ-ქმარი არასდროს ჩხუბობდაო. ჩემი და ამაყი იყო და ის თავის პრობლემაზე ხმამაღლა, უცხოებთან არ ილაპარაკებდა. ის ქმარმა მოკლა, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. ჯერ დაათრო, მერე კი აბაზანაში ჩაახრჩო.

– ყოველ შემთხვევაში, როცა მოვა, მაინც შეეცადე, თავი შეიკავო. სხვათა შორის, ჩვენი ცნობილი ექიმიც გამოჩნდა. იცოდი, ვეგეტარიანელი ყოფილა?

მელისამ მხრები აიჩეჩა:

– არ ვენდობი ვეგეტარიანელებს, უცნაური ხალხია.

ნორმან ტაილი მეორე საღამოსვე ესტუმრა ნათესავებს. უემსტერის შიშის მიუხედავად, მელისას საკმაოდ მშვიდად ეჭირა თავი. მხოლოდ ის ჰკითხა, რატომ მოხველიო.

– იმიტომ, რომ მენახეთ. თქვენ ხომ ყოველთვის ზემოდან მიყურებდით, ახლა კი მეც მდიდარი ვარ. დიახ, თქვენი და ფულისთვის შევირთე. თუმცა, მართლა ვერ ვიფიქრებდი, რომ თქვენი საყვარელი დეიდა მთელ თავის ქონებას იმას დაუტოვებდა. გულახდილად გეტყვით, დეიდათქვენს კეთილმეგობრულად ვუთხარი, როგორ მოიხსენიებდი მას, როცა თქვენთან არ იყო. ჰოდა, ამან ნაყოფიც გამოიღო. თან, მე ყოველთვის მოვწონდი ქალებს... – ნორმანმა ამაყად შეათვალიერა საკუთარი გამოსახულება ბუხრის ზემოთ დაკიდებულ სარკეში.

მელისამ ამოიოხრა:

– აქ აპირებ ცხოვრებას?

– ჰო, რაღაც პერიოდის განმავლობაში მომიწევს. სანამ ანდერძი ძალაში შევა, მეზობლები ვიქნებით. ისე, ეს ლამაზი სახლი ყოველთვის მომწონდა. ვეგეტარიანელიც გავხდი – ესეც ანდერძის ნაწილია...

მელისამ ტუჩები გაბუსხა – ეს იმის ნიშანი იყო, რომ რაღაცაზე ფიქრობდა.

– იცი, რას გეტყვი? რადგან საქმე ასე წავიდა და დეიდაჩემის სახლში აპირებ ცხოვრებას, იქნებ, ვარდებიც მიგეტანა მის საფლავზე? ხალხი აკვირდება ასეთ წვრილმანებს. ხვალ საღამოს კი, შეგიძლია, ვახშმად გვეწვიო კეთილმეზობლობის ნიშნად.

– კარგი, – ნორმანმა ირონია ვერ დაინახა ქალის სიტყვებში და დასთანხმდა.

– მაშინ, აღარ გადავდებ, ვარდებს ბაღში დავკრეფ...

ის იყო, მისტერ დევისი მოშორდა ქალიშვილის საფლავს... მელისამ შორიდან დაანახვა ყოფილ სიძეს თეთრი, სადა ქვა...

– აი, ის საფლავია. მიდი, დადე თაიგული, მე აქ დაგელოდები.

სანამ ნორმანი საფლავზე თაიგულს დებდა, დევისი მელისას მიუახლოვდა:

– ვინ არის ის ახალგაზრდა კაცი? რაღაც, ვერ ვიცანი...

– ჩემი ყოფილი სიძეა, დის ქმარი... ჩემი და ორი თვის წინ გარდაიცვალა... უბედური შემთხვევა...

– აა, მახსოვს ეს ამბავი, მახსოვს...

– ხვალ საღამოს ვახშმად მობრძანდით და უფრო ახლოს გაგაცნობთ. ისე, თქვენი ქალიშვილი, მგონი, იცნობდა მას... თუმცა, არ იფიქროთ, რომ რამეზე მიგანიშნებთ...

– აუცილებლად მოვალ, – სწრაფად დაეთანხმა დევისი და ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა...

მელისა კმაყოფილი და გაბრწყინებული სახით ფუსფუსებდა სამზარეულოში. რობერტმა დაეჭვებით შეხედა ცოლს:

– მითხარი, რა ჩაიფიქრე?

– არაფერი. საიდან მოიტანე, რომ რამე ჩავიფიქრე? უბრალოდ, ვახშმად რამდენიმე ადამიანი დავპატიჟე.

– ჰო, რა თქმა უნდა. ყოფილი სიძე და დევისი... უცნაურია, ეგ კაცი რაღასთვის გჭირდებოდა? წესიერად არც კი იცნობ.

– ისეთი საყვარელია და უბედური... რა მოხდება, თუკი ჩვენთან ივახშმებს? ჩემი ორი მეგობარიც მოვიპატიჟე მეუღლეებითურთ.

ნორმან ტაილმა შემზარავი იხვის სუნი სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე იგრძნო... ის სტუმართაგან ყველაზე ბოლოს მოვიდა.

– ხორცის სუნია თუ მეჩვენება? მელისა, დაგავიწყდა, რომ ვეგეტარიანელი ვარ?

– არა, მაგრამ, ცუდი რეცეპტების კრებული შემხვდა და ჩემი ვეგეტარიანული მცდელობები კრახით დასრულდა. გამონაკლისს ვერ დაუშვებ? შესანიშნავი იხვია, ვაშლით.

ნორმანმა შეიგინა.

– როგორ მშიოდა. ვეჭვობ, სპეციალურად მოიქეცი ასე. სულელი ვარ, რომ მოვედი!

– თუ ნებას დამრთავთ, მე დაგპატიჟებთ სოკოს რაგუზე, – საუბარში ჩაერია მისტერ დევისი, – არ მიცნობთ, მაგრამ, მეც ვეგეტარიანელი ვარ და ერთმანეთს გავუგებთ. აქვე ახლოს ვცხოვრობ.

– სიამოვნებით. მელისა, ჩემი ფეხი არ იქნება შენთან...

დევისისა და ნორმანის წასვლა მელისას სულაც არ სწყენია. მან დარჩენილი სტუმრები მხიარულად მიიპატიჟა სუფრასთან:

– იმედია, თქვენ მაინც შეაფასებთ ჩემს კულინარიულ ოსტატობას...

მეორე დილით ცოლ-ქმარს პოლიციის ინსპექტორმა მიაკითხა:

– სამწუხარო ამბავი მაქვს. თქვენი სიძე გარდაიცვალა. უბედური შემთხვევაა – სოკოთი მოიწამლა.

– მართლა? ასე იცის ვეგეტარიანელობამ, – თქვა მელისამ და იქვე დაამატა – ბატონო ინსპექტორო, ვერ მოგატყუებთ და ვერ გეტყვით, რომ მისმა სიკვდილმა ღრმა მწუხარებაში ჩამაგდო. ჩემი და ჯერ სამი თვეც არ არის, რაც მიწას მივაბარეთ.

– საქმეც ეგაა... – ინსპექტორი რაღაცით შეფიქრიანებული ჩანდა, – თქვენ გქონდათ მოტივი, მოგენამლათ ის, თუ გავითვალისწინებთ დის ამბავს და იმასაც, რომ ნორმანს სხვა ნათესავი არ ჰყოლია, ანუ, ერთადერთი მემკვიდრეები თქვენ ხართ... მიუხედავად ამისა, რკინისებური ალიბი გაქვთ და ოთხი მოწმე, რომ მას თქვენს ოჯახში ერთი ლუკმაც არ ჩაუდევს პირში. დევისს კი მოტივი საერთოდ არ ჰქონია... უნდა ვაღიარო, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან გვაქვს – შეიძლება, მის ულუფას ერთი შხამიანი სოკო შეჰყვა... მეტი შეკითხვა აღარ მაქვს.

– მე მაქვს შეკითხვა, – თქვა უემსტერმა და ცოლს მკაცრად შეხედა, როცა ინსპექტორმა კარი გაიხურა, – როგორ ჩააგონე მისტერ დევისს, რომ სწორედ ნორმანი იყო მისი ქალიშვილის გამაუბედურებელი? რა უთხარი?

– არაფერი, აბსოლუტურად არაფერი. უბრალოდ, ნორმანი ისეთი სულელი და თავდაჯერებული იდიოტი იყო, არც დაუხედავს წარწერისთვის საფლავის ქვაზე, სადაც ყვავილები დააწყო. რა თქმა უნდა, ეს დეიდას საფლავი არ ყოფილა... დევისმა კი საკუთარი თვალით დაინახა, როგორ დადო თაიგული ვიღაც ახალგაზრდა კაცმა მისი ქალიშვილის საფლავის ქვაზე – სულ ეს იყო...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მგლები 5

## უკანასკნელი ქურდი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №26-52(626)

გუსმანი ყოყმანობდა. ეს მის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა – წამები, წუთები გადიოდა. ის კი გაშეშებული იდგა და გადაწყვეტილების მიღება ვერ გაებედა. ამავდროულად ყურში განუწყვეტლივ ჩაესმოდა თავისი პირადი მცველის სიტყვები: „როგორ მოვიქცეთ?"

„როგორ მოხვდა ეს იდიოტი ბორისპოლის გზატკეცილზე? – ფიქრობდა გუსმანი, – ელოდნენ გეგეშიძეს და შეხვედრის ადგილზე კაცუბა მოვიდა!.. თევზის დასაჭერად ნამდვილად არ მივიდოდა. ოჰ, გეგეშიძე, როგორ გამაბი ასე! ამის გათვლა შეუძლებელი იყო. იგრძნო... არაბუნებრივად აქვს განვითარებული საფრთხის შეგრძნება, ან კიდევ, მართლაც ჯოჯოხეთის მბრძანებელი მფარველობს. ვინ იფიქრებდა, რომ თავის მაგივრად შეხვედრაზე ამ ბედოვლათს გამოგზავნიდა! რას კარგავდა? კაცუბას ისედაც უნდა შევხვედროდი და, თუ მეც იქ მივიდოდი, იმპროვიზებული შეხვედრა გამოგვივიდოდა სუფთა ჰაერზე. და თუ ის მოხდებოდა, რაც მოხდა, გეგეშიძეს ძალიანაც არ დაწყდებოდა გული. ჩანს მასაც მოაბეზრა თავი ამ უხერხემლო კრეტინმა"...

– როგორ მოვიქცეთ? – ისევ გაისმა ტელეფონიდან მცველის ხმა.

– მძიმედაა დაჭრილი? – ჰკითხა გუსმანმა.

– ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ, იცოცხლებს.

– საავადმყოფოში უნდა მიიყვანოთ, – თქვა გუსმანმა.

– ჩვენ მივიყვანოთ საავადმყოფოში? – გაუკვირდა მცველს, – მერე, იქ რა განმარტება მივცეთ?

„მართალია, არ ივარგებს ჩემი ხალხის საავადმყოფოში გამოჩენა. დაე, ბედისწერამ გადაწყვიტოს: თუ საცოცხლებელია – იცოცხლებს, თუ არა – მოკვდება. იქნებ, ესეც შედიოდა გეგეშიძის გეგმებში? ნამდვილად ასე იქნებოდა. თუ მიხვდა, რომ ჩემ მაგივრად სხვა ხალხი დახვდებოდა ტბასთან, იმასაც მიხვდებოდა, რომ უკან ცოცხალი ველარ დაბრუნდებოდა. მიხვდა და შეხვედრაზე კაცუბა გამოგზავნა. უნდოდა, ჩემთვის აეკიდებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს კურატორის „ტრუპი"?! კეთილი... ვნახოთ, რას შემომთავაზებ ხვალ. შენ უკვე აურ-დაურიე ჩემი გეგმები, გეგეშიძე, ახლა ჩემი ჯერია", – გაიფიქრა გუსმანმა და მცველს უბრძანა, თავისივე მანქანით მიიყვანეთ გზატკეცილამდე, მანქანაში დატოვეთ, სასწრაფო დახმარება გამოიძახეთ და იქაურობას მოშორდით.

– გასაგებია, – უპასუხა მან და ტელეფონი გათიშა.

„ხომ არ ავჩქარდი? – ისევ ფიქრს მიეცა გუსმანი, – რას იტყვის კაცუბა, როცა გონს მოეგება? ცხელ გულზე პირი არ მოალოს და ყველაფერი არ დაფქვას! თუმცა, რა აქვს სათქმელი? იმას ხომ არ იტყვის, კანონიერმა ქურდმა გეგეშიძემ გუსმანთან შესახვედრად გამგზავნა! ისე, მართლა საინტერესო იქნებოდა, ასეთი განცხადება რომ გაეკეთებინა. დარწმუნებული ვარ, ქირურგიული განყოფილებიდან, ფსიქიატრიულში გადაიყვანდნენ! ჯანდაბას კაცუბა, მასზე ფიქრიც კი არ ღირს. მას ისე პანიკურად ეშინია გეგეშიძის, თავდაყირაც რომ დაკიდონ, მის სახელს მაინც არ ახსენებს. აქედან გამომდინარე, არაფერს იტყვის ჩემზეც. აი გეგეშიძეზე კი მართლაც ღირს დაფიქრება. ის კაცუბა არ არის, რომ სოროში შეძვრეს და გადარჩენისთვის ილოცოს. ამის კაცი რომ ყოფილიყო, უკვე მოძებნიდა სოროს, ის კი, პირიქით, აქეთ მიტევს. კაცუბას იმ შეხვედრაზე გამოგზავნა გამოწვევაა და სხვა არაფერი. არ მენდო, ეჭვი შეეპარა ჩემში, შემამოწმა და მეც ვჭამე! მაგრამ, არც მე ვაპირებ სოროში შეძვრომას. არც ვიკადრებ და აზრიც არ აქვს. გეგეშიძისგან თავის დაღწევის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს – ის უნდა მოკვდეს, სხვანაირად ვერავინ შეძლებს მისი შმაგი ბუნების დაოკებას!.."

გუსმანი ადგა, მცირე ხანს ბოლთას სცემდა სამუშაო ოთახში. საპატიო ყარაულის ჯარისკაცივით გამოზომილი ნაბიჯებით დადიოდა ერთი კედლიდან მეორისკენ. უცებ, სწრაფად შემობრუნდა. მაგიდას მიუახლოვდა, მობილური ტელეფონი აიღო და ნომერი აკრიფა...

ორიოდე ზუმერის შემდეგ ყურმილიდან ლუკას ხმა გაისმა:

– იმაზე გვიან დარეკე, ვიდრე ველოდი!

– ჩანს, არ მქონდა დარეკვის მიზეზი, – უპასუხა გუსმანმა.

– ახლა გაქვს?

– მაქვს!.. რა დაგიშავა კაცუბამ?.. თითქოს შენი კაცი იყო, წლების განმავლობაში ერთგულად გემსახურებოდა. არ მეგონა ასე იოლად თუ გაწირავდი!

– მე ის არ გამიწირავს. არ იმსახურებდა, მაგრამ, მაინც გადავარჩინე, – უპასუხა ლუკამ.

– გადაარჩინე?! – ცივად გაიცინა გუსმანმა, – არა, იმ ტბაზე გამოგზავნით შენ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანე!

– არ მეგონა, შენი ხალხი პირველივე შემხვედრს თუ დაუწყებდა სროლას...

– ჩემი ხალხი სხვა ვინმეს ელოდა, – თქვა გუსმანმა, – და, შენც კარგად იცი, ვის!

– მაოცებს შენი გულწრფელობა. ისე, კი მსმენია, ყველა მომაკვდავს უჩნდება აღსარების სურვილიო!

– აღსარების?! არა... არც მე ვარ მომაკვდავი და არც შენ – წმიდა მამა, რომელსაც აღსარებას ვეტყოდი!

– ერთ რამეში მართალი ხარ – წმინდა მამა ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, შენ ნაღდად მომაკვდავი ხარ. შეიძლება, ჯერ ვერ გრძნობ, თუმცა, მერწმუნე, ძალიან მალე შეიგრძნობ ამას! – ცივად უთხრა ლუკამ.

– არ დაიჯერებ, მაგრამ, ყოველივე ამის შემდეგ, მაინც კარგად ვარ განწყობილი შენ მიმართ, – ჩაილაპარაკა გუსმანმა, – ახლა გეტყვი ამას. მერე, შეიძლება, ამის შესაძლებლობა აღარ გვქონდეს: მიყვარს ქართველები და საქართველო. ბავშვობაში ჩემს მეზობლად ქართველების ოჯახი ცხოვრობდა, თბილისელები იყვნენ. იმ ოჯახში ჩემი თანატოლი ბიჭი იზრდებოდა – ანდრო, ჩვენებურად – ანდრეი. უდიდესი მეგობრობა გვაკავშირებდა. სკოლის ასაკი ერთმანეთის გვერდით გავატარეთ. დღედაღამ ერთად ვიყავით. მისგან ქართული ენაც კი შევისწავლე. შემდეგ ის ოჯახი თბილისში დაბრუნდა საცხოვრებლად... ჯარში მსახურების დროსაც ქართველებთან ვმეგობრობდი... ინსტიტუტშიც ყველაზე ახლო მეგობრები ქართველები მყავდა. თბილისსა და საქართველოშიც ბევრჯერ ვარ ნამყოფი. უამრავ ქართველს ვიცნობ. მიმაჩნდა, რომ გონიერი, სანდო ხალხი ხართ, თავისებურად ფიცხი, თამამი და გიჟმაჟი, მაგრამ, მამაკაცი ხომ ასეთიც უნდა იყოს. ასე მეგონა, ვიდრე შენ გაგიცნობდი. ჩემი შეხედულებები ქართველებზე შენ მოგაწერე და ამაში შევცდი... მეგონა, შენც ისევე გონიერი იყავი, როგორც ყველა ის ქართველი, რომელსაც აქამდე შევხვედრივარ. გონიერი კაცი მიხვდებოდა, რომ ჩემი მდგომარეობის ადამიანი შენნაირ პიროვნებასთან საქმეს არ დაიჭერდა. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდებოდა მაგრამ, სანამ შენ საჭირო იქნებოდი ჩემთვის. ასე რომ, ნურავიზე იქნები ნაწყენი. ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალე! გული მწყდება, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა. ჯობდა, საქმე გაგეკეთებინა და შემდეგ მშვიდად, ზედმეტი ხმაურის გარეშე გასცლოდი აქაურობას – ასეთ შემთხვევაში არავინ შეგეხებოდა. მაგრამ, არა!.. როცა მიხვდი, რომ აქციებს ვერ მიიღებდი, აქეთ შემოგვიტიე. ახლა კაცუბას სისხლითაც დაიმძიმე სული და ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, შენს ბოგინს წერტილი უნდა დაესვას და, მინდა იცოდე, რომ მე ვიქნები ის ადამიანი, ვინც ამას გააკეთებს!

– ვხედავ, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი გქონია, – ირონიით თქვა ლუკამ.

– გადაწყვეტილი კი არა, მოგვარებული, – შეუსწორა გუსმანმა, – მე შენს გასასრულად სახლიდან გასვლაც არ დამჭირდება, ჩემი ერთი სიტყვა იკმარებს და შენ სამუდამოდ გაქრები ჩემი ქვეყნიდან!

– იმ ნაბიჭვრების იმედად ხომ არ ხარ, ტბის პირას რომ უნდა დაგეხვედრებინა ჩემთვის?

– შენ კიდევ მოგელის მათთან შეხვედრა! – მუქარით წამოისროლა გუსმანმა.

– არა მგონია, – მშვიდად უპასუხა ლუკამ, – ბრიგადაში სხვა ნაბიჭვრებიც გეყოლება, მაგრამ, ამათ ნაღდად ველარ შეუხვდები!

– რა თქვი? – დაიძაბა გუსმანი.

– მე უფრო გონიერი მეგონე... – ჩაილაპარაკა ლუკამ და მობილური გათიშა.

გუსმანი რამდენიმე წამი გაშეშებული დარჩა. უსიამოვნო შეგრძნებამ, რომ ამჯერადაც რაღაც ვერ განსაზღვრა, მოსვენება დაუკარგა. ბოლოს ისევე მობილურ ტელეფონს მიუბრუნდა და სწრაფად აკრიფა თავისი ერთ-ერთი მცველის ნომერი. ზარს არავინ გამოხმაურებია. გუსმანმა მეორე მცველის ნომერი აკრიფა. შედეგი იგივე იყო



– ზარს არავინ უპასუხა. მესამე მცველის ნომრის აკრეფისას შენიშნა, როგორ უკანკალებდა ხელი. თავს ძალა დაატანა, მარჯვენა დაიმორჩილა და ისე აკრიფა – კვლავ დუმილი. გუსმანმა გაგრძელება ვეღარ შეძლო, მობილური მაგიდაზე დააგდო, სავარძელში ჩაეშვა, თვალები დახუჭა და ფიქრს მიეცა.

* * *

ვარდისფერმა ნისლმა მძიმედ დაიხია უკან და ადგილი ჩვეულ შეგრძნებებს დაუთმო. პირველი, რაც კაცუბამ შეიგრძნო, სიცივე იყო. ისე სციოდა, თითქოს ჩრდილოეთ პოლუსზე იყო. კანკალის ტალღა ფეხებიდან დაიძრა და სხეულის ყველა წერტილს დაუარა. დაუბრუნდა სმენაც, ოღონდ, ეჩვენებოდა, რომ ხმები ძალიან შორიდან ჩაესმოდა. ბოლოს კაცუბამ გაჭირვებით აზიდა ქუთუთოები და მზერა თეთრ ჭერს მიაპყრო.

– როგორ გრძნობთ თავს? – ჩაესმა გვერდიდან.

კაცუბამ მძიმედ შეაბრუნა თავი და ხმის მიმართულებით გაიხედა. მისი საწოლის გვერდით თეთრ ხალათებში გამოწყობილი ქალი და ჭაღარათმიანი მამაკაცი იდგნენ.

– სად ვარ? – იკითხა კაცუბამ.

– საავადმყოფოში, – უპასუხა მამაკაცმა და პულსის გასაზომად მისი მაჯა თითებში მოიქცია.

– საავადმყოფოში? – გაუკვირდა კაცუბას, – რატომ, მე ხომ ავად არ გავმხდარვარ!

შემდეგ კი გონებაში ტვინის ჩაბნელებული სანაპირო გაცოცხლდა: ორი შავი „ჯიპი“. იქიდან გადმოსული მამაკაცები, რომლებმაც ავტომატები მოიმარჯვეს. კაცუბა გვერდითა სავარძელზე გადაწვა და მოიკუნტა, რომ ასე მაინც გადაერჩინა თავი. ავტომატების კაკანი. გვერდსა და თეძოზე ზედიზედ იგრძნო მძიმე დარტყმები, რასაც მწველი ტკივილი მოჰყვა. თავდამსხმელები სირბილით მოუახლოვდნენ მანქანას, კარი გააღეს და კაცუბა ძირს გადმოათრიეს. ერთ-ერთი მათგანი სახეში ჩააცქერდა, შემდეგ შეიგინა, გვერდზე გადგა და ტელეფონი მოიმარჯვა... რა მოხდა შემდეგ, აღარ ახსოვდა – კაცუბას თავისთავად დაეხუჭა თვალები და ვარდისფერ ნისლში ჩაიძირა.

– თქვენი მდგომარეობისთვის არც ისე ცუდია, – ჩაილაპარაკა ექიმმა და თითები შეუშვა.

– რატომ მცივა? – ჰკითხა კაცუბამ.

– ბევრი სისხლი დაკარგეთ.

– სად ვარ დაჭრილი?



– ერთი ტყვია გვერდში მოგხვდათ. ორი – თეძოში. ნუ ღელავთ. მოსასმენადაა მძიმე, სინამდვილეში საშიში არაფერია. ერთ კვირას გაგაჩერებთ საავადმყოფოში. შემდეგ კი შინ განაგრძობთ მკურნალობას, – უპასუხა ექიმმა, – საავადმყოფოში დროულად რომ მოეყვანეთ, ამდენ სისხლს არ დაკარგავდით და ბევრად მალე დაგაყენებდით ფეხზე. თავბრუ ხომ არ გესხმით?.. შეძლებთ საუბარს?

– განა ჩვენ არ ვსაუბრობთ? – გაუკვირდა კაცუბას.

– ჩემთან არა, თქვენს კოლეგასთან. შეიძლება, ამ საუბარმა აგაღელვოთ, რაც ერთობ არასასურველია თქვენს მდგომარეობაში. თუ თქვენ თავს შეუძლოდ გრძნობთ, მე მას სხვა დროს მოსვლას ვთხოვ, – თქვა ექიმმა.

– არა... მოიწვიეთ...

– კეთილი, – უპასუხა ექიმმა, მერე კი ქალს ანიშნა – გამომყევიო და კარისკენ წავიდა.

ორიოდ წუთში პალატაში კაცუბასთვის კარგად ნაცნობი ანატოლი ზიბკო შემოვიდა.

მისი გამოჩენა ცუდად ენიშნა კაცუბას. ამ ჩია, ჩინელივით ყვითელსახიანი მამაკაცის დანახვას გენპროკურატურის საგამოძიებო ჯგუფთან შეხვედრა ერჩივნა. ოფიციალურად ზიბკო კანცელარიაში უმნიშვნელო თანამდებობას იკავებდა, მაგრამ, ხელისუფლების შიდა სამზარეულოში ჩახედულთათვის ცნობილი იყო, რომ ის მთავრობის უმაღლესი რგოლის წარმომადგენლების არაოფიციალურ დავალებებს ასრულებდა და, როგორც წესი, მას ავალებდნენ ყველა საჩოთირო საკითხის მოგვარებას.

ზიბკო კატასავით უხმაურო ნაბიჯებით მიუახლოვდა საწოლს, ტაბურეტზე ჩამოჯდა და ჰკითხა:

– როგორ ხარ, სერგეი?

– უკეთესადაც შეიძლებოდა, – ყრუდ ჩაილაპარაკა კაცუბამ.

– ჰო... ცუდია... ძალიან ცუდი, – დაეთანხმა ზიბკო, – მაგრამ, არა უშავს. მთავარია, რომ გადარჩი. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

– ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მაქვს საფიქრალი – ჯანმრთელობა და მხოლოდ ჯანმრთელობა! – უპასუხა კაცუბამ.

– ხვალ პროკურატურის გამომძიებელი რომ მოგაკითხავს, იმავეს ეტყვი? – შემპარავად ჰკითხა ზიბკომ.

კაცუბამ გამომცდელად შეხედა და შემდეგ უთხრა:

– პირდაპირ მითხარი, ანატოლი, რისთვის მოხვედი?

– უცნაური საქმეა, ძალიან უცნაური. სიმართლე რომ გითხრა, ასეთს არასდროს შევხვედრივარ... – წამოიწყო ზიბკომ.

– რა გეჩვენება უცნაური, ჩემზე თავდასხმა? – ჰკითხა კაცუბამ.

– არა... ასეთი თავდასხმები ბოლო ხანებში ხშირად ხდებოდა. ჩემი ვარაუდით, „ნორდსტრიმის“ საქმის დამთავრების შემდეგ ეს სისხლისღვრაც უნდა შეწყდარიყო, მაგრამ, არ შეწყდა. ეს კი ძალიან ბევრს აღელვებს მთავრობაში. შენ რას იტყვი ყოველივე ამის შესახებ?..

– ჯერჯერობით ვერაფერს. მე ისიც კი არ ვიცი, ვინ დამესხა თავს, – უპასუხა კაცუბამ.

ზიბკო წინ გადაიხარა, ტუჩები ყურთან მიუტანა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– სერგეი, ნუ ბავშვობ. ამ საქმეში „არ ვიცი, არ მინახავს და არ მახსოვს“ – არ გამოვა, ყვე-


# საჩუქარი „მედისგან“

კლინიკა **„მედი“** გილოცავთ შობა-ახალ წელს და საშუალებას გაძლევთ, დაზოგოთ თქვენი დრო და ენერგია, შეიძინოთ „მედის“ სასაჩუქრე ვაუჩერი და მისცეთ თქვენთვის ძვირფას ადამიანს საშუალება, თავად გააკეთოს არჩევანი!

ბარათი არის ნებისმიერი ნომინალის: 50, 100, 150, 200, 300, 500 ლარის ღირებულების და მოქმედებს ყველა სახის პროცედურაზე (ლაზერული ეპილაცია, კოსმეტოლოგია, სტომატოლოგია, ფიტნესი და აუზი). **„მედის“** სასაჩუქრე ვაუჩერის შეძენა შეგიძლიათ თბილისში არსებულ ათივე ფილიალში!

არ გამოტოვოთ! მხოლოდ საახალწლოდ, 15 იანვრამდე, კლინიკა **„მედი“** აცხადებს უპრეცედენტო, 50 პროცენტამდე ფასდაკლებას, უამრავ საჩუქარსა და ბონუსებს ყველა სახის პროცედურაზე.

**იჩქარეთ და დაგვირეკეთ ნომერზე: 2 91-00-00. web: www.medi.ge**



ლა კარტის გახსნა მოგიწევს. დამიჯერე ყველასთვის ასე აჯობებს. მე თუ არ დამელაპარაკები, სხვა მოვა. ისეთი კაცი მოვა, რომელსაც უარს ვერ შეჰბედავ. თქმით მაინც ყველაფერს იტყვი, მაგრამ, შემდეგ შენს ნათქვამს სხვა ფასი ექნება.

კაცუბა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა:

– რა გაინტერესებს?

– სად დაგესხნენ თავს? – ჰკითხა ზიბკომ.

– იქ, სადაც მიპოვეს.

– საინტერესოა... – ცივად გაეღიმა ზიბკოს, – ესე იგი, საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში?

– სად? – გაოცებულმა შეხედა კაცუბამ.

– შენ რა, მართლა არაფერი გახსოვს?

– გონების დაკარგვამდე ყველაფერი მახსოვს. მაგრამ, ნამდვილად არ ვიცი, როგორ მოხვდი საავადმყოფოში, – უპასუხა კაცუბამ.

– საავადმყოფოში შენივე მანქანით მოგიყვანეს. ვინც ეს კეთილი საქმე გააკეთა, მიმღებ განყოფილებასთან მიგატოვა და წავიდა. კეთილშობილური საქციელია. დღეს იშვიათია ადამიანი, რომელიც კეთილი საქმის სანაცვლოდ არაფერს ელის, – ზიბკომ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა – ესე იგი, გონების დაკარგვამდე ყველაფერი გახსოვს?

– რა თქმა უნდა.

– ვინ იყვნენ ისინი? – ჰკითხა ზიბკომ.

– არ ვიცი. ორი „ჯიპით“ იყვნენ. ოთხი კაცი დავინახე. მანქანიდან გადმოსვლისთანავე გახსნეს ცეცხლი. პირველ თუ მეორე ჯერზე დამჭრეს. გონება მალევე დავკარგე.

– რით იყვნენ შეიარაღებულები? – განაგრძო ზიბკომ.

– „ბიზონებით“, – უყოყმანოდ უპასუხა კაცუბამ.

– გინდა, საინტერესო ამბავი გიამბო?

კაცუბამ დუმილით უპასუხა. ზიბკოსთან საუბარი უჭირდა. ალღოს ვერ ულებდა, რა სურდა მას და საით მიჰყავდა საუბარი.

– დილით კიევი-ბორისპოლის გზატკეცილის მეთერთმეტე კილომეტრზე ორი „ჯიპი“ აღმოაჩინეს. მანქანებში ექვსი გვამი იყო. იქვე ეყარა მათი იარაღიც, საერთო ჯამში, ოთხი ცალი ავტომატი „ბიზონი“... რას იტყვი ამაზე?!

– არ მესმის, რაზეა საუბარი, – ყრუდ ჩაილაპარაკა კაცუბამ.



– ისინი გუსმანის პირადი დაცვის წევრები იყვნენ... ვერც ამაზე მეტყვი რამეს? – ჰკითხა ზიბკომ.

– შეუძლებელია! – დაიბნა კაცუბა.

– მომისმინე, სერგეი, – განაგრძო ზიბკომ, – ნუ გგონია, რომ მხოლოდ შენ იცი, რაც იცი!.. ვხედავ, რომ გულწრფელი საუბარი გიჭირს. მე დაგეხმარები და უახლოეს წარსულს შეგახსენებ: არც ისე დიდი ხნის წინ შენ დაგიკავშირდა სტეფანე გუსმანი და შეხვედრის მოწყობა გთხოვა ქართველ კანონიერ ქურდთან, გეგეშიძესთან, რომელთანაც შენ გარკვეული ურთიერთობა გაკავშირებს და შენც მოაწყვე ეს შეხვედრა. გავაგრძელო?!

– არ არის საჭირო.

– კეთილი... ახლა მე მაინტერესებს რა მოხდა გუსმანსა და გეგეშიძეს შორის და შენ რატომ დაგესხნენ თავს? – ჰკითხა ზიბკომ.

– გუსმანის თხოვნით, გეგეშიძე „ნორდსტრიმის“ საქმეში ჩაერთო. ამის სანაცვლოდ, გუსმანმა დოსიეს გაწმენდისა და აქციების პაკეტის „ვერშინასთვის“ გადაცემის პირობა მისცა. თავის მხრივ გეგეშიძემ შეთანხმების ყველა პირობა შეასრულა – საქმიდან გაიყვანა კლიმი და მისი სასტავი, რომლებიც რუსული „ეფესბეს“ სასარგებლოდ მოქმედებდნენ, მაგრამ, გუსმანმა გადააგდო...

– და თავდასხმაც მოუწყო, – ჩაურთო ზიბკომ.

– ჰო, მოუწყო... მაგრამ არ ღირდა ამის გაკეთება. ამით გუსმანმა საქმე კი არ მოაგვარა, კრაზანის ბუდე გააღიზიანა, – უპასუხა კაცუბამ.

– და შენც მათ ჭიდაობაში გაიჭყლიტე?

– ვეჭვობ, რომ ასეა, – დაეთანხმა კაცუბა, – ისე კი, დაზუსტებით ვერაფერს გეტყვი. გუშინ საღამოს გეგეშიძემ გუსმანთან შეხვედრა მთხოვა. შეხვედრაზე „ვერშინისთვის“ გადასაცემ აქციებზე უნდა შევთანხმებულიყავით. მაგრამ, გუსმანის მაგივრად შეხვედრის ადგილზე „ბიზონებით“ შეიარაღებული მკვლელები დამხვდნენ.

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს იგივე სასტავია, რომელიც ბორისპოლის გზატკეცილზე აღმოაჩინეს, – თქვა ზიბკომ.

– მეც ასე მგონია, – დაეთანხმა კაცუბა.

– მაშინ, თავისთავად ისმევა კითხვა: ვინ დახოცა ისინი და ვინ მიგიყვანა საავადმყოფოში? – განაგრძო ზიბკომ.

– ლოგიკურად, გეგეშიძის გარდა, ამას ვერავინ გააკეთებდა, – უპასუხა კაცუბამ.

ზიბკო მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა:

– შეგიძლია გეგეშიძე შემახვედრო?

კაცუბამ დაძაბული მზერა შეავლო და შემდეგ წამოიძახა:

– თავი გამანებეთ!.. გესმით? თავი გამანებეთ!.. ვისაც სურვილი აქვს, თავად მოძებნოს გეგეშიძე!..

– კარგი, მაშინ, სხვანაირად გეტყვი: შენ მე გეგეშიძესთან შეხვედრას მომიწყობ! – მკაცრად თქვა ზიბკომ.

– შენ რა გგონია, მე ვიტყვი და გეგეშიძე სასწრაფოდ გეახლება?! ჯერ ერთი, მე მას არ მოვატყუებ. მკითხავს და ვეტყვი, ვისაც უნდა მასთან შეხვედრა.

– უთხარი, რა პრობლემაა, – მხრები აიჩეჩა ზიბკომ.

– როგორ გგონია, გუსმანის შემდეგ, მოინდომებს ხელისუფლებასთან დაკავშირებულ პირთან შეხვედრას? – ჰკითხა კაცუბამ.

– ეგ უკვე შენი საქმეა.

– საქმეც ეგაა, რომ ჩემი საქმეა. იქ რაიმე გაუგებრობა რომ მოხდეს, გეგეშიძე მე მომთხოვს პასუხს!

– არაფერი მოხდება. შევხვდები, მშვიდად დაველაპარაკები და ასევე მშვიდად დავშორდებით ერთმანეთს. დამიჯერე, ისეთ საქმეს შევთავაზებ, კმაყოფილიც კი დარჩება, – უთხრა ზიბკომ.

კაცუბამ გამომცდელად ახედა და შემდეგ უპასუხა:

– მოდი, ასე მოვილაპარაკოთ: მე მაგ საქმეში არ ჩავერევი...

ზიბკო რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ, კაცუბამ არ დააცალა. ხელის აქნევით ანიშნა, მაცადეო და ლაპარაკი განაგრძო:

– არ ჩავერევი, მაგრამ, მიგასწავლი კაცს, რომელიც შეძლებს გეგეშიძის შეხვედრაზე დათანხმებას... „ვერშინის“ ადვოკატს, ვასილიჩს დაუკავშირდი. ეგ ერთადერთი კაცია, ვისაც გეგეშიძე ენდობა. თუ მას დააჯერებ, რომ მართლაც საქმიანი წინადადება გაქვს, შეგახვედრებს გეგეშიძეს; თუ ვერა, მაშინ, მეც ვერაფერში დაგეხმარები!..

* * *

პროკურატურის გამომძიებელი მაგიდას მიუჯდა, წინ საქაღალდე დაიდო და გუსმანს სახეში შეხედა. სტეფანეს უმალ წაუხდა ხასიათი – მაშინვე მიხვდა, რომ მძიმე საუბარი ელოდა, მაგრამ, მაინც სცადა ფონს ჩვეული მეთოდით გასვლა. სახეზე გულისხმიერი მასპინძლის ნიღაბი მოირგო და ღიმილით შესთავაზა გამომძიებელს:

– რას მიირთმევთ – ვისკი, ტეკილა – სამარკო კონიაკი...

– არ ვსვამ, – მოკლედ მოუჭრა გამომძიებელმა.

– მინერალური წყალი, ჩაი, ყავა, ხილის ცივი წვენი, – უცვლელი ტონით განაგრძო გუსმანმა.

– უკვე გითხარით, რომ არ ვსვამ. თუ თქვენ ხართ დალევის ხასიათზე, შემიძლია, წავიდე და სხვა დროისთვის პროკურატურაში დაგიბაროთ! – უპასუხა გამომძიებელმა.

– მე დამიბარებთ პროკურატურაში?! – გუსმანს უმალ გაუქრა სახიდან ღიმილი.

– რა გეჩვენებათ ამაში დაუჯერებელი? – მშვიდად ჰკითხა გამომძიებელმა.

– იცით, ვის ელაპარაკებით?

– ვიცი.

– კეთილი... – გუსმანი ბარს მოშორდა და გამომძიებლის პირისპირ დაჯდა, – გისმენთ.

გამომძიებელმა საქაღალდე გახსნა, რაღაც დოკუმენტებს გადახედა და გუსმანს ჰკითხა:

– რა შეგიძლიათ, მითხრათ თქვენი დაცვის წევრებზე მომხდარი თავდასხმის შესახებ?

– მე უნდა გითხრათ? – გაიკვირვა გუსმანმა, – მე თქვენგან ველოდი განმარტებებს.

– იქნებ, ის მაინც ამიხსნათ, რას აკეთებდა თქვენი დაცვის რვა წევრი ღამით, კიევი-ბორისპოლის გზატკეცილზე? – განაგრძო გამომძიებელმა.

– რა გითხრათ... – მხრები აიჩეჩა გუსმანმა, – ისინი ზრდასრული ადამიანები არიან, აქვთ პირადი ცხოვრება და მე არ მაბარებენ ანგარიშს, რას აკეთებენ სამსახურიდან თავისუფალ დროს. შეიძლება, რესტორანში იყვნენ, ან – მეძავებთან...

– თქვენი დაცვის წევრები რესტორნებსა და მეძავებში ავტომატებით შეიარაღებულები დადიან? – ირონიით ჰკითხა გამომძიებელმა.

– არ ვიცი, ისინი თავად წყვეტენ შეიარაღების საკითხებს.

– საიდან აღმოაჩნდათ თქვენი დაცვის წევრებს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებისთვის განკუთვნილი ავტომატები? მე ვგულისხმობ „ბიზონებს“, რომლებიც თქვენი დაღუპუ-



ლი პირადი მცველების მანქანებში ალმოაჩინეს, – ჰკითხა გამომძიებელმა, – მე ყურადღებით გავეცანი მათთვის განკუთვნილ საშტატო შეიარაღებას, ის ამ ტიპის იარაღს არ ითვალისწინებს.

– არ ვიცი, – მოკლედ უპასუხა გუსმანმა, რომელიც უკვე ნერვული აფეთქების პირას იყო.

– ძალიან მშვიდად მპასუხობთ, იმის გათვალისწინებით, რომ ერთი დღის წინ თქვენი პირადი დაცვის რვა წევრი დაიღუპა.

– აქ ჩემი სიმშვიდის ხარისხის დასადგენად მოხვედი, შვილო? – ცივი ირონიით ჰკითხა გუსმანმა.

– მე თქვენი „შვილო" არ ვარ! – მკაცრად თქვა გამომძიებელმა.

– აქ ჩემი სიმშვიდის ხარისხის დასადგენად მოხვედი, ბატონო გამომძიებელო?! – გაიმეორა გუსმანმა.

– ვნახოთ, როდემდე გაგყვებათ სიმშვიდე. მე გულდასმით გავეცანი შეკვეთილი მკვლელობების სტატისტიკას და, იცით, რა აღმოვაჩინე? – განაგრძო გამომძიებელმა.

– ავსტრალია ან ამერიკა. არა... ატლანტიდა!.. – ივარაუდა გუსმანმა.

– ცდებით... უფრო საინტერესო რამ და, დარწმუნებული ვარ, თქვენც დაგაინტერესებთ. აღმოჩნდა, რომ ამგვარ დანაშაულებებში „ბიზონები" მხოლოდ ორჯერ ფიგურირებდა. აქამდე ერთმანეთს მამაპაპური „კალაშნიკოვებით" ხოცავდნენ, სნაიპერული შაშხანებით, ტყვიამფრქვევებით, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებითაც კი. მაგრამ, „ბიზონები" მხოლოდ ბოლო ორი კვირის განმავლობაში გამოჩნდა: პირველ შემთხვევაში ისინი გამოიყენეს კანონიერ ქურდ გეგეშიძეზე თავდასხმისას და მისი გვამი ჯერაც არ არის აღმოჩენილი; მეორე შემთხვევა ორი დღის წინ დაფიქსირდა – „ბიზონით" დაჭრეს შინაგან საქმეთა კურატორი და პრეზიდენტის მრჩეველი, სერგეი კაცუბა. მას სამი ტყვია ამოუღეს ჭრილობებიდან. იმავე დილით კი კიევი-ბორისპოლის გზატკეცილზე დაღუპული თქვენი პირადი მცველების მანქანებიდან მილიციის თანამშრომლებმა ოთხი „ბიზონი" ამოიღეს!.. ამჟამად ეს იარაღი ბალისტიკურ ექსპერტიზას გადის. ძალიან მაინტერესებს თქვენი სახის დანახვა, როცა ექსპერტიზა დაადგენს, რომ ორივე თავდასხმისას ეს იარაღი იყო გამოყენებული.

– შენ მაგას ვერ მოესწრები. ასე თუ განაგრძე, ექსპერტიზის დამთავრებისას პროკურატურიდან ძალიან შორს იქნები! – დაუფარავი ბრაზით მიუგო გუსმანმა.

– ესე იგი თქვენ ამ კითხვაზეც არ გაქვთ პასუხი?

– არა! – ცივად მოუჭრა გუსმანმა.

– კეთილი... მაშინ, იქნებ, ამ ფოტოებმა გამოგიცოცხლოთ მეხსიერება და მომდევნო შეხვედრისას რაღაცაზე მაინც გამცეთ პასუხი!.. – ამ სიტყვებთან ერთად, გამომძიებელმა მაგიდაზე კონვერტი დადო, ფეხზე ადგა და დაუმშვიდობებლად გავიდა ოთახიდან.

როგორც კი გამომძიებელმა კარი გაიხურა, გუსმანმა კონვერტი გახსნა და ამღვრეული მზერით დააცქერდა თავისი პირადი მცველების სხვადასხვა მდგომარეობაში გაშეშებულ ცხედრებს, რომლებიც ფოტოსურათებზე იყვნენ აღბეჭდილნი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## 2012 წლის 10 ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევა

ჰიგსის ბოზონისა და მაიორანას კვაზინაწილაკების აღმოჩენა, „დენისოვის ადამიანის" გენომის გაშიფვრა, ნეიტრინოს თვისებების შესახებ ახალი მონაცემების მიღება და აპარატ CurioSity-ის მარსზე დაჯდომა მთავარი სამეცნიერო მიღწევები აღმოჩნდა 2012 წლის საუკეთესო სამეცნიერო მიღწევების რეიტინგში, რომელიც ჟურნალმა Science-მ შეადგინა.

სამეცნიერო გარღვევებში პირველი ადგილი ეკუთვნის დიდი ადრონული კოლაიდერის მიერ „ღმერთის ნაწილაკის" – ჰიგსის ბოზონის აღმოჩენას. რევოლუციური აღმოჩენის შესახებ ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრს ზაფხულში შეატყობინეს. ჰიგსის ბოზონი იყო უკანასკნელი ელემენტი, რომელიც სამყაროს მოწყობის თეორიას აკლდა. ჰიპოთეზა ასეთი ნაწილაკის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 40 წლის წინათ, პროფესორმა პიტერ ჰიგსმა წარმოადგინა. 89 წლის მეცნიერმა დიდი სიხარული განიცადა, როდესაც შეიტყო, რომ მისი თეორია დადასტურდა.

ექსპერტებმა ღირსეულად შეაფასეს ამ წელს წაკითხული გენომი ეგრეთ წოდებული „დენისოვის ადამიანისა" – ადამიანების სახეობისა, რომლებითაც დასახლებული იყო სამხრეთ ციმბირი და შუა აზია დაახლოებით 40 ათასი წლის წინათ. ამ სახეობის ნარჩენები აღმოაჩინეს ალტაის მხარეში, სოლონეშენსკის რაიონში, დენისოვის გამოქვაბულში.

ლაიფციგის მაქს პლანკის სახელობის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა გაშიფრეს „დენისოველების" გენომი, რითაც გაირკვა ამ სახეობის ნათესაობა პაპუა ახალი გვინეის აბორიგენებთან, აგრეთვე, ფაქტი მათი თანაცხოვრებისა თანამედროვე ადამიანის წინაპრებთან და ნეანდერტალელებთან.

გარღვევათა სიაში ფიგურირებს გენომის „რედაქტირების" მეთოდიკის შექმნა. მეცნიერებს შესაძლებლობა აქვთ, შეცვალონ ან გაააქტიურონ ცხოველების სპეციფიკური გენები. პერსპექტივაში, ამ ინსტრუმენტს შეუძლია, დაგვეხმაროს ადამიანთა გენეტიკურ დარღვევათა გასწორებაში.

მნიშვნელოვან მიღწევად ჩაითვალა ათწლიანი პროექტის – დნმ-ის ელემენტების ენციკლოპედიის დასრულება. მისი შედეგი იყო დასკვნა, რომ ადამიანის გენეტიკური კოდი უფრო ფუნქციურია, ვიდრე ადრე ითვლებოდა – გენომის 80 პროცენტი ბიოლოგიურად აქტიურია.

რევოლუციურ მოვლენათა რიცხვში ფიგურირებს, აგრეთვე, ნეიტრინოს დეტექტორებით ექსპერიმენტის შედეგები. პროექტის ასეულობით მონაწილე ჩინეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჩეხეთიდან, რუსეთიდან იკვლევდა ნეიტრინოს შტამების გარდაქმნას ერთი სახეობიდან მეორეში. ამ ექსპერიმენტს შეუძლია მკვლევრებს დაეხმაროს, ახსნან, რატომ შეიცავს სამყარო ასე ბევრ მატერიას და ასე ცოტა ანტიმატერიას.

რეიტინგში, აგრეთვე, ფიგურირებს ნანოტექნოლოგების მიერ აღმოჩენილი ეგრეთ წოდებული „მაიორანას კვაზინაწილაკები". მათი არსებობა 1930 წელს იწინასწარმეტყველა იტალიელმა ფიზიკოსმა ეტორე მაიორანამ. მიმდინარე წელს ნიდერლანდებში ფიზიკოსებისა და ქიმიკოსების ჯგუფმა დაადასტურა მათი არსებობა. აღმოჩენის პრაქტიკული გამოყენება შეიძლება კვანტური კომპიუტერების შექმნაში.

ექსპერტებს მნიშვნელოვან მიღწევად მიაჩნიათ, ასევე, ამერიკის კოსმოსური სააგენტოს – „ნასას" მიერ მარსმავალ CurioSity-ის წითელ პლანეტაზე დასმა. აპარატმა მარსზე მუშაობა 6 აგვისტოს დაიწყო. ექსპედიციის ძირითადი მიზანია, დაადგინოს, არსებობდა თუ არა ოდესმე პლანეტაზე ცოცხალი ორგანიზმები.

შესაბამისად შეფასდა ინჟინრების ძალისხმევა იმპულსებით მართული მექანიკური ხელის ტვინის შასაქმნელად. ინჟინრებმა საზოგადოებას წარუდგინეს 52 წლის ქალბატონი, რომელიც 13 წლის წინ ტვინის დაავადების გამო სრულიად უმოქმედო აღმოჩნდა. ჩანერგილი ელექტროდების საშუალებით იგი უკვე მექანიკურ ხელს მართავს.

სიაში მე-10 ადგილზე აღმოჩნდა ექსპერიმენტი, რომლის დროსაც, რენტგენის ლაზერის დახმარებით, მკვლევრებმა ისტორიაში პირველი ცილის მოლეკულის რენტგენოსტრუქტურული სურათი გააკეთეს. აღმოჩენა მედიკოსებს იშვიათი დაავადებების მკურნალობაში უნდა დაეხმაროს.

## მეცნიერებმა სანტა კლაუსის საიდუმლო ახსნეს

სანტა კლაუსის მარხილის ჯადოსნური ფრენისა და უცნაური სტუმრობის საიდუმლო სულაც არ აიხსნება წმიდა ნიკოლოზის სასწაულმოქმედებით და არც მოგონილი ზღაპარია. კალიფორნიის კოლეჯის თანამშრომლებმა, სიერა ჯონ რაშის ხელმძღვანელობით, შობის კეთილი ბაბუის ისტორიის, მათი აზრით, არგუმენტირებული ვერსია წარმოადგინეს: სანტა კლაუსი სოკოებით გამოწვეული ჰალუცინაციებით წარმოშობილი წარმოდგენების ნაყოფია.

ციმბირელი შამანები, რომლებიც წითელთავა, თეთრწინწკლებიანი შხამა სოკოებით იყვნენ გატაცებული, რათა სულების სამყაროსთან დაემყარებინათ კავშირი, ცუდს ვერაფერს ხედავდნენ იმაში, ზამთრის პოლარული ღამეების დროს ხალხისთვის გამომშრალი სოკოები დაერიგებინათ. ისინი შხამა სოკოებით სავსე უზარმაზარ ტომარას მოიკიდებდნენ და მიდიოდნენ, რათა მოსახლეობისთვის თავიანთი სიყვარული დაემტკიცებინათ. მაგრამ, რადგან დიდ თოვლს თითქმის ყველა კარი ჩაგმანული ჰქონდა, შამანები საკვამურებიდან ან ბუხრებიდან ძვრებოდნენ და უკანაც იმავე გზით ბრუნდებოდნენ. ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ რაკი კი ამატებს, რომ შამანები, ძირითადად, წითელი და თეთრი ფერების ტანსაცმლით იმოსებოდნენ, რაც იმით აიხსნება, რომ ისინი შხამა სოკოს ფერების გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ეს ჩრდილოეთის ირმის – სანტა კლაუსის „რუდოლფის" წითელ ცხვირზეც აისახა. სანტა კლაუსის ისტორიის მსგავსი ჰიპოთეზაა მოყვანილი ჯეიმს არტურის წიგნში „ჯადოსნურ სოკოებზე", თუმცა, იქ ციმბირის ნაცვლად ლაპლანდიაა მოხსენებული.

აღსანიშნავია, რომ მკვლევრებმა ნაძვის ხის საახალწლო ტრადიციაც სოკოებს დაუკავშირეს – სოკო ხომ ძირითადად წიწვოვანი ხეების ქვეშ იზრდება.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# რატომ შეხვდა ლევან ფაცაცია დის გათხოვებას ტირილით და რატომ დაიჩაგრა თიკას გამო მისი ძმა

**ორივე ძალიან წარმატებულია თავის საქმეში, ერთი მომღერალი და წამყვანია, მეორე კი – კალათბურთელი. გარეგნობითაც ჰგვანან ერთმანეთს, ხასიათის ზოგიერთი თვისებითაც. რაც მთავარია, ორივე დადებითი, ხალისიანი, ენერგიულია და მათთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. მკითხველი თუ ვერ მიხვდა, შევახსენებ, რომ საახალწლო აურზაურში ჩვენი სტუმრები და-ძმა თიკა და ლევან ფაცაციები არიან.**

**ლევან ფაცაცია**: ჩვენი გუნდი – „ოლიმპი", საკმაოდ წარმატებულ სეზონს ატარებს. პირველი წრის დამთავრების შემდეგ, პირველ ადგილზე ვართ. ძალიან კმაყოფილი ვარ, საკმაოდ წარმატებული სეზონია. ნაკრებშიც საკმაოდ დიდი წარმატება გვქონდა, სლოვენიაში გავედით ევროპის ჩემპიონატზე. ზაფხულში ისევ შევიკრიბებით და იმედია, ეს წელი უფრო წარმატებული იქნება. ამ ეტაპზე ნაკრები ისვენებს და ყველანი გუნდურ ჩემპიონატებში ვართ ჩართული.

**თიკა ფაცაცია**: როცა თამაშობს, იმ დროს, ალბათ, ძალიან ცუდი დასანახი ვარ. არ ვერიდები რუპორს, ყვირილს, სასტვენს, ფეხზე წამოხტომას, მოკლედ, ყველაფერს ჩავდივარ. ამიტომაც, ფოტოებში სულ გიჟური სახე მაქვს. სულ ვფიქრობ, ჩემი შვილი რომ თამაშობდეს, ალბათ, სულ ვერ წავიდოდი. გაირკვა, რომ ძალიან ემოციური ვარ: სულ მეტირება, მეცინება, მოკლედ, ჰიპერემოციური გავხდი. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ შემიძლია, კაცი მოვკლა ამის თამაშზე. სახლში თუ ვუყურებ, მაშინაც სულ ხმამაღალი შეფასებები მაქვს: ფაცაცია, მიდი!

**– ლევან, თიკა მთელი ცხოვრება სულ თავისი საქმითაა დაკავებული. პატარაობიდანვე ძალიან წარმატებულია. ეს ყველაფერი, ალბათ, შენთვის, როგორც უმცროსი ძმისთვის, საამაყო და სასიამოვნო იქნებოდა.**

**ლევანი**: თიკა ბავშვობიდანვე წარმატებული იყო. ამისთვის ძალიან ბევრს შრომობდა და ჩემთვისაც სულ მაგალითი იყო.

**თიკა**: აქვე ვუხდი ბოდიშს იმისთვის, რომ ძალიან ბევრჯერ წავართვი დედა – ამას ვაღიარებ.

**ლევანი**: რაღაც მომენტში ამას უფრო სჭირდებოდა დედა, მე – მამა. მოკლედ, ასე გავინაწილეთ მშობლები. თიკას წარმატება თავიდანვე ერთგვარი სტიმული იყო ჩემთვის. ყველაფერს თავისი შრომით აღწევდა, სამაგალითო იყო ჩემთვის, შესაბამისად, ჩემს წარმატებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის. ბავშვობაში უფრო მე მიწევდა მისი გულშემატკივრობა.

**თიკა**: მაშინ შენ ემზადებოდი წარმატებისთვის, ხოლო მე ვიმკიდი შედეგებს.

**ლევანი**: ახლა ორივეს გვიწევს ერთმანეთის გულშემატკივრობა.

**– ლევანი დიდი ხნის განმავლობაში უცხოეთში ცხოვრობდა.**

**თიკა**: თავიდან ჩვენ წავედით და ჩამოვშორდი ოჯახურ ამბებს. მერე ჩვენ დავბრუნდით და ლევანი წავიდა. მართალია, ღამე რომელ კლუბში მიდიოდა, არ ვიცოდით, ამ კუთხით ვერ ვახორციელებდით კონტროლს, მაგრამ ახლა, აქ რომ ჩამოვიდა, მაინც გვინდა ვიცოდეთ, ღამე სად არის. უსაფრთხოების მომენტზე ვღელავ, თან მილიონი სიტუაციაა, სადაც მამაკაცი თავისდაუნებურად შეიძლება, ჩაერთოს. მოკლედ, როცა ადამიანი ღამე გარეთ გადის, დაძაბულობის ბევრი მიზეზი არსებობს, ამიტომაც ვღელავ ხოლმე. მაგრამ, როცა არ ვიცი, მაშინ მშვიდად მძინავს, ლევანიც უფრო ხშირად ამ გზას მიმართავს.

**ლევანი**: 16-17 წლიდან მივეჩვიე მარტო ცხოვრებას, ჯერ ესპანეთში მომიწია ასე, შემდეგ ამერიკაში და ახლა, თბილისში რომ დავბრუნდი, ცოტა რთული იყო მშობლებთან ერთად ყოფნა. ამიტომ დღემდე ვაგრძელებ მარტო ცხოვრებას.

**თიკა**: ისეთი სასიძოა, გოგონებს რომ გაუხარდებათ. ხომ არის თემა: „ჩვენ ცალკე გადავალთ", უკვე ცალკეა, გადასულია.

**– გოგონას თემა ოჯახში, გარკვეულწილად, მტკივნეული იქნება. მის არჩევანში თუ ჩაერევი აქტიურად?**

– გააჩნია ურთიერთობის სიღრმეს, ანუ, რა ეტაპზეა. თუ ხანგრძლივი ურთიერთობაა და საჭიროდ ჩათვლის, მე ჩამაყენოს საქმის კურსში და გამაცნოს, ეს მომხდარა კიდეც. არ მინდა, აქტიურად ჩავერიო, რადგან დიდია და ეს უკვე უტაქტობადაც მეჩვენება. უბრალოდ, ჩემს აზრს აუცილებლად ვიტყვი და თუ საჭიროა, გაითვალისწინებს. თან, არ მინდა, იმ ადამიანში ცუდი ვეძებო. როცა ჩემს ბიჭებზე ვსაუბრობ, მთავარია, იმ ადამიანს ძალიან უყვარდეს. თუ ხელს შეუწყობს ლევანს, მასთან ერთად ჰარმონიაში იქნება, ჩემი ძმის წარმატებაშიც გარკვეულ წვლილს შეიტანს, ბევრ რამეზე დავხუჭავ თვალს, ხმა მექნება ჩაგდებული. თუმცა, რა თქმა უნდა, საუკეთესო მინდა.



ლევანი: „რაღაც მომენტში ამას უფრო სჭირდებოდა დედა, მე – მამა. მოკლედ, ასე გავინაწილეთ მშობლები"

**ლევანი**: თიკას აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თან, არ მგონია, ისეთი ადამიანი მომეწონოს, რომელიც თიკას არ მოეწონება. ისე ვუგებთ ერთმანეთს, და ბევრ რამეზე, მათ შორის ადამიანებზეც, ერთნაირი შეხედულებები გვაქვს, რომ მე თუ მომეწონება, ჩემი დისა და ოჯახისთვისაც მისაღები იქნება. ერთმანეთს ყოველთვის ვეკითხებით აზრს და ვითვალისწინებ კიდეც.

**– თიკა რომ გათხოვდა, პატარა იყავი. როგორ შეეგუე იმ ეტაპზე მის ნაბიჯს?**

– ძალიან პატარა ვიყავი და მახსოვს, თიკა სახლიდან და ქვეყნიდანაც მიდიოდა. თავი მარტოდ ვიგრძენი და მაშინ ვიტირე პირველად თიკას გამო.

**– რა საერთო თვისებები გაქვთ?**

**თიკა**: ლევანი რაღაც გადაწყვეტილებებში ძალიან რისკიანია. ყოფილა შემთხვევა, ყველასთვის უკითხავს აზრი, ჩვენც კონსილიუმი მოგვიწვევია, გვიმსჯელია, გადაგვიწყვეტია, მაგრამ ბოლოს მაინც თავისებურად გადაუჭრია ყველაფერი. შეიძლება, რაღაცეები სასწორზე დაუდია, ან თანხმობა უთქვამს, ან უარი, ყოველ შემთხვევაში, სწორი გადაწყვეტილება მიუღია. ჩემთვის ეს წარმოუდგენელია, გამორიცხული. ლევანი ძალიან სამართლიანია, იმდენად, რომ მე თუ მტყუანი ვიქნები, არ გამამართლებს. შეუძლია, ცივი გონებით ყველაფერი დაალაგოს. მე ძალიან ემოციური ვარ და ეს არ გამომდის. ასევე, ძალიან თბილი, ყურადღებიანი, გულისხმიერია, თავისი საქმე უყვარს და მუდმივად რეჟიმშია. რაც მთავარია, ჩემი შვილებისთვის მისაბაძია, კუმირია. ამიტომ, არ ვაპატიებ არც ერთ შეცდომას, რადგან მერე ჩემი შვილებიც გააკეთებენ.

**ლევანი**: თიკა ძალიან მშრომელია, უყვარს თავისი საქმე და ამას ძალიან ვაფასებ. მისი დამსახურებაა, რომ ის, რასაც ვაკეთებ, გულით შემიყვარდა. ძალიან თბილი და მოსიყვარულეა. თავისი ოჯახის წევრებისთვის, საყვარელი ადამიანებისთვის ყველაფერს ბოლომდე აკეთებს.

**თიკა**: ისე მომეწონა, რასაც შენ ამბობ, რომ მინდა, მასეთი ვიყო.

**ლევანი**: ძალიან მიკვირს, როგორ ასწრებს, იყოს საუკეთესო მომღერალი, წამყვანი, დედა, მეუღლე, და – ეს ჩემთვის მაგალითია.

**– როგორც მივხვდი, გიყვარს ოჯახური კონსილიუმების მოწყობა.**

**თიკა**: ტრადიციად გვაქვს – კვირაში ერთხელ ვსადილობთ დედასთან. ზოგჯერ არ ხერხდება კონსილიუმის მოწყობა, მაგრამ თუ ისეთი რამეა გადასაჭრელი, ადამიანს ცხოვრებას რომ შეუცვლის, მაშინ ვაწყობთ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, მე ეს მჭირდება, რადგან ოჯახის წევრების აზრს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

**– ბავშვობის დროინდელი ახალი წელი ყველას განსაკუთრებულად ახსოვს. ალბათ, თქვენს შემთხვევაშიც ასეა.**

– მახსოვს, ძალიან მიყვარდა ეს დღე და ერთი სული მქონდა, როდის ავაწყობდით ნაძვის ხეს. ახალი წლის ღამის გათენება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მერე მეორე დღეს ბავშვებისთვის გვეთქვა: იცი, მე ახალი წლის ღამე გავათენე. მამაჩემი აუცილებლად თავად წვავდა გოჭს, დედაჩემი აკეთებდა ბაჟეს, მეგრულ კერძებს. 12 საათი რომ გახდებოდა, ჩვენთან თოვლის ბაბუა მოდიოდა. დედაჩემს ეს ყველაფერი ისე კარგად ჰქონდა ორგანიზებული და ისე დამაჯერებელი იყო ჩემთვის, რომ დედაჩემს ვეუბნებოდი: დავინახე, როგორ მიდიოდა თოვლის ბაბუა-მეთქი. კარზე რეკავდა, სათამაშოებს ტოვებდა და მერე ზურგიდან ვხედავდი ხოლმე.

**ლევანი**: მერე მთელ სადარბაზოში დავრბოდით, რომ იქნებ სადმე დაგვეჭირა, მაგრამ ვერ დავიჭირეთ, ძალიან ეჩქარებოდა.

**თიკა**: ერთ მშვენიერ დღეს, მახსოვს, ბავშვებთან ერთად მივედი დედასთან და ვუთხარი: ჩვენ ხომ თოვლის ბაბუა გვყავს-მეთქი. ბავშვები სხვა რამეს მეუბნებოდნენ და მინდოდა, მათთვის დამემტკიცებინა, რომ ჩვენ გვყავდა თოვლის ბაბუა. დედამ მითხრა: რადგან ასე მოინდომე, გაიგე ეს ამბავი, ახლა იყავი თოვლის ბაბუის გარეშე.

**ლევანი**: ამის მერე აღარ მოდის ჩვენთან თოვლის ბაბუა, ერთად შეგვიწყდა საჩუქრებიც. მაგრამ, ვინ იყო ამის მიზეზი, ახლა გავიგე, თურმე თიკას ბრალი ყოფილა. შენ მოასწარი ყველაფერი და ჩემთვის ადრე იყო – ასე დამჩაგრეს.

**თიკა**: ლევანი ახალი ჩამოსულია ამერიკიდან და ამერიკული კარგი ამბები ისევ გამოყოლილი აქვს. ამიტომ შარშან, ახალ წელს მშვენიერი საჩუქარი გამიკეთა.

**ნათია უტიაშვილი**

# ვის მიუძღვნა თავისი მეგაპოპულარული ჰიტი „განგნამ სტაილი" PSY-მ და იცნობს თუ არა ის ბერკლის ქართველებს

*969 მილიონმა ადამიანმა ნახა ეს ვიდეორგოლი „იუთუბიზე" და ამ მონაცემით კორეელი პაკ ჩე სანი, იგივე ყველასთვის კარგად ცნობილი PSY, გინესის წიგნის რეკორდსმენი გახდა. მისი კომპოზიცია „განგნამ სტაილი" პოპულარობის ყოველგვარ მასშტაბებს გასცდა და 2012 წლის ნომერ პირველ სიმღერად, ცეკვად, ვიდეორგოლად და საკულტო მიმდინარეობად იქცა მთელ მსოფლიოში და, მათ შორის საქართველოშიც. PSY-ის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისით გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი დაინტერესდა და მასთან ერთად წაიცეკვა კიდეც ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში. გაეროს გენმდივანს, ალბათ, არ გაუჭირდა კორეელ ვარსკვლავთან შეხვედრა, მე კი PSY-თან დაკავშირების რამდენიმე ხერხს მივმართე და, ხანგრძლივი ძიებისა და უამრავი ადამიანის შეწუხების შემდეგ, ნიუიორკელმა მეგობრებმა ტელეფონით სეულში დამაკავშირეს ამ მომენტისთვის მსოფლიოს ნომერ პირველ პოპ-ვარსკვლავთან და ექსკლუზიურად „თბილისელებისთვის" PSY-მ რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხა.*

**– PSY უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა, რომ გამონახეთ დრო ჩვენთვის. მინდა, გითხრათ, რომ თქვენ ძალიან პოპულარული ხართ საქართველოში, თქვენი სიმღერა თითქმის ყველამ იცის და ცეკვის ილეთებსაც ყოველი მეორე იმეორებს. თქვენ შესახებ ჩვენთან ცოტა რამ არის ცნობილი. იქნებ, რამდენიმე სიტყვით დაგვიხასიათოთ საკუთარი თავი.**



**PSY**: გამარჯობა, მე ვარ PSY კორეიდან და მოხარული ვარ, რომ თქვენ გესაუბრებით. სინამდვილეში, პაკ ჩე სანი მქვია, PSY კი ჩემი სასცენო ფსევდონიმია, რომელიც იკითხება როგორც „საი". ვარ 34 წლის და სულ მალე დაბადების დღე მექნება *(31 დეკემბერს, – ავტორი).* მყავს ორი შვილი, ტყუპები, ისინი 4 წლის არიან და უკვე იციან, რომ მათი მამა მომღერალია. მიყვარს ვისკის დალევა. ბავშვობიდან ვუსმენდი „ქუინს" და ფრედი მერკური ჩემთვის ნამდვილი კერპი იყო. ალბათ, საკმარისია დახასიათებისთვის *(იცინის).*

**– თუ მოელოდით, რომ ასეთი პოპულარული გახდებოდა თქვენი კლიპი „განგნამ სტაილი" და, იქნებ, გვითხრათ რაზეა ეს სიმღერა?**

– ეს კომპოზიცია ივლისში ჩავწერე და ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ასეთი პოპულარული გახდებოდა. მანამდე, 12 წლის განმავლობაში, მხოლოდ კორეაში ვიყავი ცნობილი, ახლა კი ყველგან მცნობენ. „განგნამ სტაილი" კორეულად „ფუფუნებაში ცხოვრებას" ნიშნავს. ეს სიმღერა სეულის ფეშენებელური უბნის – კანამგუს მცხოვრებლებს მივუძღვენი და ამის გამო ისინი, ალბათ, არ გამიბრაზდებიან *(იცინის).*

**– როგორც ვიცით, თქვენ მუსიკალური განათლება ამერიკაში, ბერკლის კოლეჯში გაქვთ მიღებული. მანდ ჩვენი თანამემამულეები: ვაჟა მანია, გიორგი მიქაძე, ბაჩა მძინარიშვილი სწავლობენ. ხომ არ გსმენიათ მათ შესახებ?**

– ბერკლიში სწავლა ვერ დავასრულე, დამწყები მოსწავლე ვიყავი კოლეჯში და იმ მომენტისთვის ნაადრევი იყო ჩემთვის იქ სწავლა. უნდა გითხრათ, თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ამერიკული ჯორჯიიდან მირეკავდით და არ მეგონა, თუ ასეთი შორეული ქვეყნიდან დამიკავშირდით. მინდა, წარმატება ვუსურვო თქვენს თანამემამულეებს ბერკლიში. სამწუხაროდ მათ არ ვიცნობ.

**– ახალი წელი ახლოვდება და რას უსურვებდით თქვენს ქართველ თაყვანისმცემლებს 2013 წელს?**

– ვულოცავ საქართველოს ახალ წელს, ვუსურვებ ყველას ჯანმრთელობას და წარმატებას თავიანთ საქმეებში. ჩემს თაყვანისმცემლებს კი ვუსურვებ, ჩაიცვან გემოვნებით და იცეკვონ ეფექტურად *(იცინის).*

*საგანგებოდ „თბილისელებისთვის"*
*ტატა დევდარიანი ნიუ-იორკიდან*

## რესტორანმა „მონოპოლმა" და „ჯეომოდელსმა" საქველმოქმედო ღონისძიება ჩაატარეს

27 დეკემბერს რესტორანმა „მონოპოლმა", საკუთარ დაბადების დღეზე, სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელსთან" ერთად, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ბავშვებსა და მრავალშვილიან ოჯახებს სიურპრიზი მოუწყო. სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის გაიმართა სპეციალური ღონისძიება, რომელიც საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას უწყობს ხელს. „ჯეომოდელსის" სტუდიის ბავშვებმა მათთვის ჯერ ჩვენება გამართეს. ხოლო შემდეგ სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული საცეკვაო ნომერი შეასრულეს. ამის შემდეგ, სცენაზე „ორი ჯუჯა" და სხვა მომღერლები ავიდნენ. საღამო დისკოთეკით დასრულდა, რომელშიც სოციალურად დაუცველ ბავშვებთან ერთად ამ საღამოს ორგანიზატორებიც მონაწილეობდნენ. რაც მთავარია, საღამო ძალიან მხიარულად ჩაიარა და ბავშვებმა, რომლებსაც თითოეული ჩვენგანის დახმარება და თანადგომა სჭირდებათ, ერთი ლამაზი, ბედნიერი დღე გაატარეს.



**თაკო ჩხეიძე**: „ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველაზე საპატიო სტუმრებისთვის – ბავშვებისთვის, რომლებსაც ჩვენი დახმარება და თანადგომა სჭირდებათ, ჩაგვეტარებინა საქველმოქმედო საღამო. მოხარული ვარ, რომ ამ საქმეში ჩვენი პატარა წვლილი შეგვაქვს. მე თავად შევარჩევ რამდენიმე ბავშვს, რომლებიც ჩემს სააგენტოში უფასოდ ისწავლიან."

# რატომ ვერ მოხვდა თამთა შედანია „მის უნივერსზე" ტოპ-16-ში და რაში ადანაშაულებს ის ია კიწმარიშვილს

(38-ე გვერდიდან)

**– თუ გენერალურ რეპეტიციაზე ტოპ-16-ეულში მოხვდი, მერე რა მოხდა?**

– ფინალური შოუს წინა დღეს ტრამპი მოვიდა და ყველა გოგონას შეგვხვდა. მან ასეთი რამ მითხრა: ძალიან ლამაზი ქვეყნიდან ხარ, ვიცნობ თქვენი ქვეყნის პრეზიდენტს. საქართველოს ძალიან ლამაზი წარმომადგენელი ჰყავს, ასეთი არც ერთ წელს არ მინახავს. არა, ამას ლამაზი არ ჰქვია, ულამაზესი ხარო. იმდენად თბილად მიმიღო, ეჭვი აღარ შემპარვია იმაში, რომ, მინიმუმ, თექვსმეტეულში მაინც მოვხვდებოდი. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ოთახში რეპეტიციას გავდიოდი, ტოპ-16-ეულში კითხვებს რომ დამისვამდნენ, ჯერ ჟიურისთვის უნდა შემეხედა თუ აუდიტორიისთვის. მე და ჩემი რუმეითი, „მის პუერტო-რიკოც" მეცადინეობდა, რომელიც, ასევე, არ გავიდა ტოპ-16-ეულში, არადა, ორივეს დიდი შანსი გვქონდა. თუმცა, არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ გავიდოდა პერუ ან ინდოეთი, რომელმაც სიარულიც კი არ იცოდა. 16-ეულის არჩევა, ალბათ, უფრო პოლიტიკური სიტუაციიდან მომდინარეობს – ტრამპს, როგორც ჩანს, იმ ქვეყნებში თავისი ბიზნესინტერესები აქვს და არ სურს, ურთიერთობა გაიფუჭოს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ, როგორი კარგი წარმომადგენელიც არ უნდა ჰყავდეს საქართველოს, ასეთ კონკურსებზე ქვეყნის სტატუსი დიდ როლს თამაშობს. მე არ ვამბობ იმას, რომ, რადგან სააგენტომ მხარი არ დამიჭირა, ამის გამო ვერ მოვხვდი ტოპ-თექვსმეტეულში-მეთქი; უბრალოდ, მათ ამ ყველაფრის გაკეთება ევალებოდათ, რადგან, ყველა ორგანიზატორი ცდილობდა, რომ მისი წარმომადგენელი კარგად წარმოჩენილიყო და ეს ყველაფერი გარკვეულ როლს თამაშობს. გარდა ამისა, „მისი" არ უნდა ყიდულობდეს ბილეთს, კაბას და სხვა რაღაცეებს. კონკურსის შემდეგ ფართი ჩატარდა, სადაც არ წავედი, რადგან, გულდაწყვეტილი ვიყავი, თან, გარკვეული სტრესიც მივიღე და ვერ გადავხარშე, რადგან, ყველაფერი ჩავდე და მოლოდინიც შესაბამისი მქონდა. ბევრი გოგონა არ წავიდა, მათ შორის პუერტო-რიკოც და მისი ოჯახის წევრებთან ერთად წავედი ვახშამზე. შემოთავაზება მივიღე ტრამპის სააგენტოდან, მაგრამ, უარი ვთქვი. იცი, რაზე მწყდება ყველაზე მეტად გული? ია გამოდის ტელევიზიით და ამბობს, მე გავუკეთე ყველაფერიო და ამით ამაყობს. წერილიც კი მომწერა: უი, რა ლამაზად ჩანდა შენი კაბა სცენაზეო. მე მივწერე: აა, ახლა მოგწონს? აბა, თანახმა, რომ იყავი „მარიონელას" კაბით გამოვსულიყავი-მეთქი?! გაუკვირდა, რომ „მის უნივერსის" ორგანიზატორებმა დაიწუნეს „მარიონელას" კაბა. ყოველდღიური ტანსაცმელიც კი ჩემი გარდერობიდან მქონდა წაღებული, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს კი სპონორები ასპონსორებდნენ ტანსაცმლით, აქსესუარებით. მე არ ვითხოვ იმას, რომ ორმოცდაათი ათასდოლარიანი კაბა გაეტანებინათ ჩემთვის, უბრალოდ, უნდა მეგრძნო ჩემი სააგენტოს მხარდაჭერა და ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ მომავალ წელს მაინც გაითვალისწინონ. მომავალ კონკურსანტს ყველაფერს ავუხსნი სიტყვასიტყვით, ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ და მეც ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ეს ჩემთვის ვინმეს გაეკეთებინა. ია უკვე ამდენი წელია, გზავნის გოგონებს და გაკვირვებული ხმით მეკითხებოდა: „უი, მართლა?!" – თითქოს მე ვიყავი პირველი კონკურსანტი, რომელიც ამ კონკურსზე გაუშვა.

**ნათია უტიაშვილი**

# რამდენად რთული პოლიტიკური ვითარებაა მოსალოდნელი გველის წელიწადში



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
**მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

2013 წელი წყლის შავი გველის წელიწადია. ის გამოირჩევა გაძლიერებული ინტუიციითა და სურვილების ასრულების დიდი ალბათობით. ეს წელი მშვიდად, აუჩქარებლად და გამახვილებული ყურადღებით უნდა განვლოთ.

2013 წელი, აღმოსავლური ასტროლოგიის თანახმად, დედამიწაზე 10 თებერვალს შემოაბიჯებს და 2014 წლის 31 იანვრამდე გასტანს.

გველის წელი ბევრ საინტერესო მომენტს გვპირდება. ამიტომ, ის ჩვენგან მოითხოვს, გამოვიჩინოთ ბრძოლის უნარი, სამართლიანობა და ინტელექტუალური შესაძლებლობები მაქსიმალური დოზით. არავითარ შემთხვევაში არ გარისკოთ გაუაზრებელი მოქმედებით. განსაკუთრებით წარმატებულია ეს წელიწადი იმ ადამიანებისთვის, ვინც აწარმოებს გამოძიებებს.

წლის მბრძანებელს არ უყვარს მფლანგველი ადამიანები, ამიტომ, წელს ეკონომიურად ხარჯეთ ფინანსები. ასევე, არ გირჩევთ რომანტიკულ ვნებებში გადაჩეხვას, რადგან გველს არ უყვარს ემოციებზე დამყარებული სასიყვარულო კავშირები. ის მეტად მგრძნობიარე, მაგრამ, ამავდროულად, რეალურად მოაზროვნეა პირად ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების მიმართ. არც ექვიანობის მომხრეა, ამიტომ, დიპლომატიური საუბრით მოაგვარეთ სიტუაციები საყვარელ ადამიანთან. ეს წელი საუკეთესოა დაოჯახებისთვის.

რაც შეეხება, გეოპოლიტიკურ პროგნოზს, 2013 წელი მეტად მშფოთვარე და კონფლიქტური აღმოჩნდება. წლის დასაწყისშივე თვალშისაცემი იქნება პოლიტიკური სკანდალები, ხელმძღვანელი პირების ერთმანეთის მიმართ უსამართლო ბრალდებები და კამათი პოლიტიკურ არენაზე. წლის მეორე ნახევარში კი, სიტუაცია შედარებით დამშვიდდება. განსაკუთრებით გახშირდება არა საგარეო, არამედ, შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტები და დაპირისპირებები. არაერთი სახელმწიფოს ლიდერი შეძლებს, საკუთარ ქვეყანაში გაატაროს ისეთი ეკონომიკური პროცესები, რაც კრიზისს ააცილებს თავიდან და მის მოსახლეობას უკეთეს საცხოვრებელ პირობებს შეუქმნის.

ბუნებრივი კატაკლიზმები არაერთხელ შეგვახსენებს თავს. მოსალოდნელია ფართომასშტაბიანი მიწისძვრები, წყალდიდობები, ვულკანების გააქტიურება და ხანძრები, განსაკუთრებით – წლის ბოლოსთვის. ეს დიდ ზარალს მიაყენებს ბევრ სახელმწიფოს და ბევრი ადამიანის სიცოცხლესაც შეიწირავს. საგრძნობლად შეიცვლება კლიმატი. მოსალოდნელია ყინვები, რომელიც დედამიწის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს კატასტროფულ პრობლემებს შეუქმნის.

ბევრ ქვეყანაში მოსალოდნელია კარდინალური ცვლილებები, აღებული კურსის შეცვლა, ხელისუფლების ცვლილება, სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური შეუთანხმებლობა. ხელმძღვანელ პირებს შორის დაპირისპირება ხელქვეითებზე უარყოფით გავლენას მოახდენს, თუმცა, წლის ბოლოს სიტუაცია დასტაბილურებას დაიწყებს და მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდება.

გველის წელიწადში ბევრი ეცდება დაკარგული საკუთრების დაბრუნებას და სამართლიანობის აღდგენას. მთავარია, ნებისმიერი სახელმწიფოებრივი საკითხი ხელძღვანელმა პირებმა გადაჭრან მოლაპარაკებების გზით და არა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით. წელს დიპლომატიური მიდგომა უფრო დაფასდება, ვიდრე ძალადობა. აუცილებელია, ადამიანებმა ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა და სხვების შეცდომებზე ჭკუის სწავლა. გველს გააზრებული ქმედება და მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა უყვარს.

2013 წელი მშვიდი ნამდვილად არ იქნება და ის არაერთ სიურპრიზს გვთავაზობს პოლიტიკურ სარბიელზე. თუმცა, მიუხედავად სიძნელეებისა, წლის ბოლოს ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური პრობლემა მოგვარებას დაიწყებს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1994 წლის 15 აპრილს. უცხოეთი თუ არის ჩემთვის კარმულ-კოსმიური მისია და რომელი ქვეყნებია ამ მხრივ მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენთვის აუცილებელია, რათა დაკისრებული მისია შეასრულოთ, წარმატებებს მიაღწიოთ ცხოვრებაში და მეტად გაგიმართლოთ. ქვეყნებიდან კი მისაღებია: იტალია, არგენტინა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, ეგვიპტე, ტიბეტი, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები, ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია და პორტუგალია. აქვე გეტყვით, რომ უნდა მოერიდოთ ურთიერთობას შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთი, შვედეთი, პოლონეთი, ჩილე, კოლუმბია, სამხრეთ აფრიკა, ნიკარაგუა, ეთიოპია, კანადა, ახალი ზელანდია.

**კითხვა: დავიბადე 1987 წლის 25 დეკემბერს, დილის საათებში. გთხოვთ, მითხრათ, ასტროლოგიური კუთხით რომელი პროფესიებია ჩემთვის უფრო მისაღები?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატების მომტანი პროფესიებია: სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმე, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის, საკონსტრუქტორო, საგამომგონებლო სფერო და ფსიქოთერაპიის ფართო სპექტრი.

**კითხვა: დავიბადე 1974 წლის 5 მარტს. გთხოვთ, მითხრათ, უცხოეთი თუ არის ჩემთვის მისაღები და კერძოდ, რომელი ქვეყანა?**

**პასუხი:** სხვათა შორის, უცხოეთი თქვენი კარმული მისიაა. ამიტომ, იქ გამგზავრება კარგია. იქ დაგროვილი ცოდნით, გამოცდილებითა და ფინანსებით დიდ წარმატებებს მიაღწევთ. ქვეყნებიდან კი კარგია: რუსეთი, პოლონეთი, შვედეთი, სამხრეთ აფრიკა, კანადა, ახალი ზელანდია, ფინეთი, ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, პორტუგალია, ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, გერმანია, აღმოსავლეთი ინგლისი.

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 8 აპრილს. მინდა უცხოეთში სწავლის გაგრძელება, რომელ ქვეყანას მირჩევთ?**

**პასუხი:** თქვენი კარმული მისია უკავშირდება უცხოეთს. ამიტომ, აუცილებელია, წახვიდეთ და იქ მიღებული ცოდნითა და დაგროვილი კაპიტალით წინ წაიწიოთ ცხოვრებაში. ქვეყნებიდან კი კარგია: იტალია, არგენტინა, ჩინეთი, ტიბეტი, ესპანეთი, სან-მარინო, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები, ავსტრია, ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სლოვენია, სერბეთი, პორტუგალია.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 1 აგვისტოს. რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან გამიმართლებს სიყვარულში?**

**პასუხი:** თქვენთვის კარგია ლომის, მორიელის, მშვილდოსნის, ვერძის ან ტყუპების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებთან ურთიერთობა. ისინი თქვენთვის საუკეთესო პარტნიორები არიან სასიყვარულო-რომანტიკული თვალსაზრისით.

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 2 ნოემბერს. გთხოვთ, მითხრათ, რომელი სფეროა ჩემთვის წარმატების მომტანი?**

**პასუხი:** სპეციალობებიდან თქვენთვის წარმატებების მომტანია: ავიაციის სფერო, მთარგმნელობითი საქმე, იურისპრუდენცია, პროფესიული დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმიანობა, დასვენებისა და გართობის ინდუსტრია (მაგალითად, კაზინო, ლატარია, რესტორანი და ასე შემდეგ).

**კითხვა: დავიბადე 1980 წლის 19 აპრილს. მინდა უცხოეთში გამგზავრება და იქ ძალების მოსინჯვა. იქნებ, მითხრათ, არის თუ არა უცხოეთი ჩემი კარმულ-კოსმიური მისია და რომელ ქვეყანაში მელის წარმატება?**

**პასუხი:** სხვათა შორის, გეტყვით, რომ თქვენი კარმულ-კოსმიური მისია სწორედ უცხოეთს და მასთან კონტაქტს უკავშირდება. ქვეყნებიდან კი წარმატებების მომტანია: ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, პორტუგალია, ინდოეთი, ისლანდია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, კუნძული შრი-ლანკა, ფინეთი, ურუგვაი, პაკისტანი.

## ვერძი



მიზნის მისაღწევად მოგიწევთ დათმობებზე წასვლა. ეცადეთ, არ შეცვალოთ გეგმები, რათა ამან არ შეგიქმნათ პრობლემები საქმეებთან მიმართებაში. არ გირჩევთ მოგზაურობას. საყვარელ ადამიანთან გატარებული დრო დაუვიწყარი იქნება, ენერგიული განწყობა კი, ხელს შეგიწყობთ ახალ ურთიერთობებში.

## კურო



ოჯახის წევრები და ახლობლები არ მოგცემენ მოწყენის საშუალებას. მიუხედავად გადაღლისა და ფიზიკური ძალის ნაკლებობისა, თავს კარგად იგრძნობთ, რაც გაზრდის კონტაქტების რაოდენობას და ეს სასიკეთოდ აისახება თქვენს მომავალ საქმიანობაზე. გამოცდილი ადამიანები გადაწყვეტილებების მიღებასა და მომავალი მიზნის მიღწევაში დაგეხმარებიან.

## ტყუპები



კარგი დროა ახალი კავშირების დასამყარებლად და მხიარულებისთვის. სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობებში ჰარმონიული დამოკიდებულება დაგეხმარებათ პროფესიონალურ წინსვლაში. მიუხედავად სირთულეებისა, შეძლებთ მიზნის მიღწევას, თუ სწრაფად გამოიყენებთ ახალ ინფორმაციას. დასაშვებია მცირეოდენი რისკიც. მოგზაურობას კი არ გირჩევთ.

## კირჩხიბი



შესაძლოა, შეცვალოთ ცხოვრების სტილი და მიზნები. ბევრ ხალხთან ურთიერთობა დაარღვევს თქვენს სიმყუდროვეს. გაგიადვილდებათ თამამი გადაწყვეტილებების მიღება. თუ თქვენს რჩეულს დროულად არ გააგებინებთ თქვენს ჩანაფიქრს, შესაძლოა, მან სხვა ადამიანზე გააკეთოს არჩევანი. ამიტომ, გირჩევთ მის წინაშე თამამად გამოხატოთ გრძნობები.

## ლომი



მიზანდასახულობა ხელს შეგიწყობთ იდეების ჩამოყალიბებასა და ხორცშესხმაში. ინტუიცია დაგეხმარებათ, ამოიცნოთ ყველა არაკეთილმოსურნე. კარგი იქნება, თუ მოახერხებთ ქალაქგარეთ წასვლას დასასვენებლად. თავი შეიკავეთ საყვარელ ადამიანთან სერიოზული კამათისგან, რათა არ გაირთულოთ მასთან ურთიერთობა.

## ქალწული



მხიარული განწყობითა და გონებამახვილობით ეცადეთ, მოახდინოთ თქვენი ნიჭის დემონსტრირება. გაზრდილი ფიზიკური აქტივობით, დროსაც მხიარულად გაატარებთ და არაერთ პრობლემასაც მოაგვარებთ. საყვარელ ადამიანთან გააკონტროლეთ ემოციები. კარგია მოგზაურობაც.

## სასწორი



გათავისუფლდებით ფსიქოლოგიური პრობლემებისგან და ნელ-ნელა შეცვლით ყველაფერს. რომანტიკული ურთიერთობებით ძალიან ნუ გაერთობით, რათა უსიამოვნება არ შეგემთხვათ. ეცადეთ დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ, ნუ გადაჰყვებით დროსტარებას. კარგია მოგზაურობა და უძრავი ქონების ყიდვა.

## მორიელი



ეს პერიოდი გამორჩეული იქნება ბევრი კონტაქტით, ხანმოკლე მოგზაურობებითა და ახალი ნაცნობობით. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ოჯახის წევრებს, მშობლებსა და ნათესავებს. მათგან ბევრ სითბოსა და მზრუნველობას იგრძნობთ. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მოერიდეთ ეჭვებსა და განხეთქილებებს.

## მშვილდოსანი



თავისუფლების შეუზღუდავი მოთხოვნილება კრიზისულ მდგომარეობამდე მიგიყვანთ. კარგი დროა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად. ენერგიის ნაკლებობის მიუხედავად, თავს ძალა დაატანეთ და იბრძოლეთ მიზნის ახდენამდე. მოგზაურობისას, არ არის გამორიცხული, გაიცნოთ ადამიანი, ვისთანაც სასიყვარულო გრძნობა დაგაკავშირებთ.

## თხის რქა



მთელ დროსა და ძალას დროსტარებასა და სახლის საქმეებზე ნუ დახარჯავთ. მოერიდეთ ფულის უყაირათო ხარჯვას. პირად ურთიერთობებში მოერიდეთ აგრესიას, რათა არ გაირთულოთ ურთიერთობები საყვარელ ადამიანებთან. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა და ახალი ინფორმაციის მიღება.

## მერწყული



მხიარულებისა და დროსტარებისას მოერიდეთ კანონის დარღვევას, რათა არ აღმოჩნდეთ მძიმე მდგომარეობაში. შეიტანეთ თქვენს ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები. გაუფრთხილდით თქვენს ემოციურ მდგომარეობას. კარგია ამ პერიოდში ახლო მანძილზე მოგზაურობა.

## თევზები



ახლობლების წრეში გაიზრდება თქვენი პოპულარობა. წარმატებას მოგიტანთ მოგზაურობა და ახალი ხალხის გაცნობა. გაიზრდება ფლირტის, სასიყვარულო და ინტიმური შეხვედრების რაოდენობაც. კარგი გუნება-განწყობა დაგეხმარებათ ამ პერიოდის მხიარულად გატარებაში.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი



**ახალმთვარეობა – 11 იანვარი, 19 სთ: 43 წთ.**

## ორშაბათი

გამახვილდება ინტუიცია და აზროვნება. კარგი დღეა საახალწლო საჩუქრების შესაძენად, გართობისთვის, ახლობლებთან და მეგობრებთან დროის სატარებლად. კარგია ჩადენილი შეცდომების მონანიება. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, შავი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. განეწყვეთ მხიარულად და დადებითი განწყობით შეხვდით ახალ წელს.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

## სამშაბათი

შესაძლებელია ცხოვრებაში სიახლეების შეტანა. გამახვილდება ინტუიცია, თუმცა, ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ. არ დაკარგოთ ობიექტურობა. ატარეთ ლურჯი, შავი, წითელი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, შინდისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია საჩუქრების ყიდვა, მეგობრული კონტაქტები, ხელოვნებასთან ურთიერთობა, თმის შეჭრა. მოერიდეთ პრეტენზიების გამოთქმას, ახალ სასიყვარულო კავშირებს. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა და ნაწლავთა სისტემები.

***პოზიტიური დღეა: თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის.***

## ოთხშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

გილოცავთ ბედობას! მეტად გამოავლინეთ მოთმინება და თავდაჭერა. მოერიდეთ მოგზაურობას. ამ დღეს სასიცოცხლო პოტენციალი შედარებით დაბალია. მოჰკიდეთ ხელი ისეთ საქმეს, რისი კეთებაც გსიამოვნებთ. ნუ იქნებით კრიტიკული. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, მალაქიტი ან ონიქსი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას ცუდ სიზმრებს. კარგია ახალი კონტაქტები, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. არ ვარგა ფარული სასიყვარულო ურთიერთობები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## ხუთშაბათი

მეტი ყურადღება გამოიჩინეთ წვრილმანების მიმართ. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას. გადაწყვიტეთ საყოფაცხოვრებო პრობლემები. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი. ნუ დაარღვევთ წესებსა და კანონებს. ატარეთ ნაცრისფერი, ყავისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, ვერცხლისფერი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი ყვითელი ან მწვანე იასპი, ქრიზოლითი, ოპალი ან ზურმუხტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას ცუდ სიზმარს, რადგან სათუოა მისი ახდენა. კარგია თმის შეჭრა და გარეგნობის მოწესრიგება. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

## პარასკევი

მოერიდეთ აზარტულ თამაშებსა და ფინანსურ ავანტიურებს. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. იყავით გულწრფელი და ეცადეთ მიაღწიოთ კომპრომისულ გადაწყვეტილებებს. ნუ აჰყვებით აგრესიას და ნუ იქნებით ზედმეტად პრინციპული. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, ბეჟი, მწვანე ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. კარგია სასიყვარულო კავშირები, მეგობრებთან კონტაქტი, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

## შაბათი
## გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს დაძაბულობა, უსამართლობა და გაუგებრობები. მოერიდეთ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებას. კარგია პატიება და მონანიება. მოერიდეთ თმის შეჭრას. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ბეჟი, ნაცრისფერი, მწვანე ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, აკვამარინი ან საფირონი. სიზმრების ახდენა საეჭვოა. კარგია გართობა, სასიყვარულო შეხვედრები. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## კვირა
## გეომაგნიტური დღეა

მაღალია კონფლიქტების ალბათობა. მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მოქმედებების დროს. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, ვალის აღებას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ქრიზოლითი, ამეთვისტო, იასპი ან ლალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია თვითშემეცნება, თმის შეჭრა, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, იმიჯის შეცვლა და გარეგნობის მოწესრიგება. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***



ჩემი შვილი რომ იტყვის, ცოლი მოვიყვანეო, ყოველთვის ქალის მხარეზე დავდგები, ხელსაც მოვაწერინებ, ფეხსაც მოვაწერინებ და ჯვარსაც დავაწერინებ. გინდა ცოლი?! – ესე იგი, ცოლი უნდა ერქვას, აბა როგორ?!

**ანრი ჯოხაძეს თუ იცნობთ, მაშინ, უთუოდ გეცოდინებათ დედამისიც – ქალბატონი რუსუდან ჩხაიძე, რომელიც ძალიან მოგაგონებთ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" პერსონაჟს – მანანა დეიდას. ის ძალიან ენერგიული, თბილი, უშუალო, მოსიყვარულე, სტუმართმოყვარე, თავისი შვილივით უკომპლექსო და ხალისიანი ადამიანია; აქვს კარგი იუმორის გრძნობა და, შვილებზე, რომ იტყვიან, გადამკვდარი დედაა. მასთან შეხვედრის შემდეგ აუცილებლად მთელი დღის განმავლობაში გაგყვებათ დადებითი მუხტი და გაგიჩნდებათ მისი ხშირად ნახვის სურვილი. ქალბატონი რუსუდანი ბევრი კარგი სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორია, რომლებსაც ძირითადად ანრი ასრულებს.**

# რატომ ჩაუწვინა ანრი ჯოხაძეს დედამ უცხო ქალი ლოგინში და როგორ შეულოცავს ის შვილის პერანგებს

**– ქალბატონო რუსუდან, მოგწონთ ანრის კლიპები? მის კლიპებს ყველა სკანდალურს უწოდებს. აი, სულ ახლახან, პორნოგრაფიული კლიპიც გადაიღო. თქვენთვის როგორია ისინი?**

– ვის უკვირს დღეს რამე? მაგრამ, გაუბედურებული მამაკაცი ქალს ეუბნება – მომატყუე, რომ გიყვარვარო, წავა და ნავში ჩაწვება და ეს მონათლეს საშინელებად, თურმე, უკვირთ. თუ არ გაიძრე ტრუსიკი, აბა, როგორ იქნება?! შენ რომ მოხვიდე ახლა ჩვენთან, უცებ დაინახო ნახევრად შიშველი ანრი და შენს ფოტოგრაფებს დაურეკო და მოიყვანო, არ გეტყვის – მაცალე, ქალო, ცოტა ხანს და მერე შენს განკარგულებაში ვარო?! რცხვენია და ვერ გეტყვის რამეს თუ რა! რას ანერვიულებ ტყუილა, ან შენ რას ნერვიულობ, როგორი გამოვა?! ასე ადვილია ეს ყველაფერი? კლიპი „ბედნიერი ერი" გადაიღო კაცმა, ამდენი როლი მარტომ ითამაშა, რა გარდასახვა გააკეთა – ამას არ უნდა დაფასება?!

**– შიშველ ანრის რომ დაინახავ, რა თქმა უნდა, სურათი უნდა გადაუღო, აბა, შიშველთან უნდა დაჯდე და ინტერვიუ ჩაწერო?! გავიგე, ყოველწუთს ურეკავთ ანრის, რაც, თურმე, ძალიან აღიზიანებს.**

– გავიდოდა სახლიდან და ეგრევე ვურეკავდი, ერთი საათის შემდეგ ისევ დავურეკე. რა დაგემართა, დედა, რას მირეკავ წამდაუწუმ, მშვიდობა ხომააო... ძალიან აღელვებული ვიყავი, ეს ადვილი გადასაღებია?! ყოველდღე ვურეკავდი, ძლივს დავწყნარდი. თქვენ არ იცით, ხმალაობით მაქვს ცხოვრება გატანილი, ჩემს შვილებს ჭერი და ყველაფერი რომ ჰქონოდათ. ამას არ დავწერ, არ არის საჭირო, მაგრამ, მინდა, ყველაფერ ავს ავარიდო საკუთარი სამი შვილი. ერთი რომ წაიფორხილებს, იცოდეთ, რომ ის ორიც დაემატება. ახლაც ვურეკავდი მთელი ღამე, იმიტომ რომ, იყო შემთხვევა, ჩაეძინა და სიგარეტით გამოიწვა პერანგი, სასწაულად არის გადარჩენილი და გამოყოლილი მაქვს შიში. ჰოდა, რომ დავურეკავ, მპასუხობს: „დედა, მიშლი ხელს!" რა ხელს ვუშლი, გოგო, გამაგებინე!

**– როცა თქვენს შვილს ვიღაც აკრიტიკებს, ალბათ, ვერ იტანთ.**

– წამოვიდა ახლა უხმოების ბუმი და ის უხმოები ირჩევენ უხმოებს. ჩემს შვილს როცა ვუსმენ, ჩვეულებრივი მსმენელი ვარ, არც კომპოზიტორი ვარ, არც დედა ვარ, ვარ საშინელი კრიტიკოსი. ისეთები შემიძლია, ვწერო, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში არ ვიზამ ამას, იმიტომ რომ იმის უკან მისი დედიკო და მამიკო დგას, ნაწვალები გაზრდილი შვილი ჰყავთ, თავმოყვარეობა აქვს ოჯახს, შენ კი მიდი და დასცხე ვიღაცის შვილს. შენ ხარ მუსიკოსი და შეგიძლია ეს გააკეთო, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში. დრო თვითონ გიჩვენებს ვინ ვინ არის და რას წარმოადგენს.

**– როგორია ანრი სახლში, გვითხარით, ვინც არ ვიცით. სახლის მოწყობა, სახლის საქმეები თუ აინტერესებს?**

– რომ შემოვა – ეს მინდა, ის მინდა, არა, ეს არ მინდა... აბა, ჩქარა – იქით გავრბივარ, აქეთ გამოვრბივარ, ყველაფერი ქოთქოთით უნდა მიაწოდო. გამოიცვლის თუ არა ტანსაცმელს, ეგრევე ვურეცხავ და ვუშრობ, ყველაფერი წესრიგში უნდა ჰქონდეს, აბა, როგორ?! ღამე არ სძინავს, სახლშიც ისეთ რამეებს მოიფიქრებს, რომ იმუშაოს. სახლის ინტერიერი, ყველაფერი აინტერესებს. ჩვენი სახლი ორსართულიანია, გარედან არ ჩანს, მაგრამ, ქვემოთ დიდი ოთახები გვაქვს. ახლა უნდა მესამე სართული დაადგას; სულ შუშაში უნდა, ჩავსვაო – ამბობს. ვიღაც მთვრალმა რომ გამოაქანოს და ჩალეწოს, მერე სად მიდიხარ?! ან, საიდან უნდა გააკეთოს, სად აქვს ამდენი ფული, ბიზნესმენია თუ რა?! რაშიც ვცხოვრობთ, იმაში ვიყოთ ტკბილად და ბედნიერად. ეს ამდენი „რასტვორი" ამოვიდა ყელში, რა! მაგრამ, როდესაც არ გაქვს სათანადოდ დაწყობილი ფული, ასეა. რა დაამთავრებს ამ რემონტს? ახლა კიდევ სხვა რაღაც გამოხტა. რაჭველი კაცის ბუნება ასეთია.

**– ქალბატონო რუსუდან, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, თქვენს შვილს რომ ფარული კამერა დაუყენეთ, უცხო ქალი მიუწვინეთ ჩუმად და უთხარით, შენი ცოლიაო, ეს როგორ მოხდა?**

– მე თუ არ შევუწყე ხელი, ისე როგორ იქნება? მისი მეგობარიც დავიხმარეთ. იმას არ იფიქრებდა ტელევიზია თუ იყო, ეგონა ოჯახმა გავალადავეთ. მხიარული ოჯახი გვაქვს, გენაცვალე. რომ შემომთავაზეს, უცებ ავვარდი. მიხარია ასეთი რაღაცეები, მაგრამ, მერე რომ დავფიქრდი, ამას უცხოეთში წასული ქართველობაც უყურებს და მეც ვჩანვარ ვიდეოში, თან, იმაზე ვფიქრობდი, გადაცემა არ გავუფუჭო-მეთქი.

**– ანრიმ რომ მოიყვანოს ცოლი, მაგრამ, არ დაიწეროს ჯვარი, ხელი არ მოაწეროს და ისე იცხოვრონ, ეს თუ იქნება თქვენთვის მისაღები?**

– რომელი კარიდანაც უნდა, იქიდან შემოვიდნენ, მაგრამ, ჩემი შვილი რომ იტყვის, ცოლი მოვიყვანეო, ყოველთვის ქალის მხარეზე დავდგები: ხელსაც მოვაწერინებ, ფეხსაც მოვაწერინებ და ჯვარსაც დავაწერინებ. გინდა ცოლი?! – ესე იგი, ცოლი უნდა ერქვას, აბა, როგორ?! მაგრამ, თუ საქმეს ასე სჭირდება, დროებით, კი ბატონო, იყვნენ ისე. მე შვილიშვილები მინდა, სამი მყავს და მეოთხეს ველოდებით ახლა, მაგრამ, როცა ცოლი მოჰყავს, მისი შვილიც უნდა დავინახო. კაცი რომ ქალთან ხელს არ აწერს და არც ჯვარს იწერს, იმ კაცის იმედი როგორ უნდა გქონდეს ქალს?! ამიტომ, მე ყოველთვის ქალის მხარეზე ვიქნები, დედამთილიც ვიქნები და მეგობარიც. არ მომწონს ავი დედამთილები რომ არიან, სამზარეულოს რომ არ უთმობენ რძალს. იმას ვენაცვალე, დავუთმობ კი არა, მეტსაც ვიზამ. ჩემთვის ერთი პატარა ოთახიც მეყოფა. სულ ნუ გააკეთებს ნურაფერს, თუ არ უნდა, ოღონდ ცხვირი არ ჩამოუშვას ინდაურივით. ჩემი რძალი მხიარული უნდა იყოს. არ არსებობს, ანრიმ ცუდი გოგო მოიყვანოს და, რა ეშველება მის ცოლს, თუ ის ვაჟკაცური შემართება არ ექნება, რაც მე გამოვიჩინე ოჯახის მიმართ. სულ მოვლენების ცენტრში ვიყავი.

**– ახლა ანრის უარყოფითზეც ვისაუბროთ.**

– უარყოფითი? ცოტა მოუწესრიგებელია – კარადიდან ერთ რამეს რომ გამოიღებს, დანარჩენს ძირს ჩამოყრის. თურმე, ბევრი ბიჭი ყოფილა ასე – დაწკრიალებული, დაუთოებული, დალაგებული აქვთ ყველაფერი და ურევენ.

**– სახლში ყველაფერს თვითონ აკეთებთ, არავინ გეხმარებათ?**

– როგორ შეიძლება ვინმე დაგეხმაროს სახლის დალაგებაში? შენი ხელით უნდა გააკეთო ყველაფერი, შენი აურა უნდა გადასცე ტანსაცმელს, სულ ლოცვა ლოცვით უნდა გარეცხო და დაუთოო. აქ მთავარი ის არის, რომ მოვემსახურო ანრის – ანრი ისევ პატარა ბავშვია ჩემთვის. სიმართლე გითხრა, არაფერიც არ მიყვარს. მე დედად ვვარგივარ, თორემ, არც დამლაგებელი ვარ – ესეც პროფესიაა, არც მრეცხავი – ესეც პროფესიაა და არც მზარეული – ესეც პროფესიაა. მჭირდება და ვაკეთებ. როდესაც ქალი დაღლილია, ის ვერ იქნება კაცისთვის საინტერესო, მამაკაცს არ უნდა მობეზრდე. მაგას არ ვიზამ, სანამ პირში სული მიდგას. ისე გავაკეთებ, რომ ჩემი რძალი თავის ქმარს დაღლილი არასდროს დახვდეს. სიმართლე გითხრა, არაფერიც არ მიყვარს, მაგრამ, ვაკეთებ. მე რა წიკები მჭირს რომ იცოდე: სარეცხის მანქანაში მხოლოდ დიდი სარეცხი ირეცხება, დანარჩენს ხელით ვრეცხავ. როგორ, შვილის პერანგები მქონდეს გასარეცხი და მანქანაში შევყარო?! ოჯახის დანარჩენ წევრებსაც ასე ვუკეთებ. როგორ, ჩემი ხელმონაკიდი არაფერი არ უნდა ეცვათ?! ტანსაცმელს, იცი, რამხელა მნიშვნელობა აქვს? მე რომ მას ფერებ-ფერებით გავრეცხავ, იცი, მერე როგორი სითბოთი მიდის სახლიდან? ის თბილი აურა მიჰყვება. ესენი კიდე, მაშაყირებენ – გარეცხილს თავიდან რეცხავსო...

**ეკა პატარაია**

## სტუდია „მვირილამ" და ლუდსახარშმა „ზედაზენმა" ბავშვებს ულამაზესი დღესასწაული მოუწყვეს



***მთელ მსოფლიოში ახალი წლის დადგომას გამორჩეული მღელვარებით ელიან ბავშვები, რადგან, სჯერათ, რომ სწორედ ახალ წელს მოხდება ყველაზე დიდი სასწაული და ყველა სურვილი აუსრულდებათ. ლუდსახარშმა „ზედაზენმა" 29 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მართლაც სასწაული მოახდინა – მოაწყო საქველმოქმედო ფესტივალი – „ზედაზენის" ნაძვის ხე – ბავშვებს," რომელსაც ესწრებოდნენ სოციალურად დაუცველი და უნარშეზღუდული ბავშვები. ფესტივალს უძღვებოდნენ ნუგზარ კვაშალი და ნინო ჩიხლაძე.***

**ნინო ჩიხლაძე**: ჩვენ შევეცადეთ, ერთი ლამაზი დღე გვეჩუქებინა ბავშვებისათვის და, რომ არა კომპანიების მხარდაჭერა, ჩვენ დღეს ერთად ვერ შევიკრიბებოდით. დიდი მადლობა ღონისძიების გენერალურ სპონსორს, ლუდსახარშ „ზედაზენს"; ოქროს სპონსორს, სამშენებლო კომპანია „ორბი ჯგუფს", ლოგისტიკურ ცენტრ „ლილო ერთს", კომპანია „კულას" და კომპანია „ბეკოს!"

**ერნა წიფურია**: ჩვენ შევეცადეთ, გაჟღერებულიყო ის სიმღერები, რომლებიც ძალიან მოენატრა მაყურებელს. მომზადდა საახალწლო დუეტი, რომელიც შეასრულეს ბესო კალანდაძემ და 4 წლის ნუცა გოგუაძემ – მათ შეასრულეს სიმღერა კინოფილმიდან „კუჩხი ბედნიერი"; სიმღერით – „ბარდნის;" ახალი წელი მაყურებელს მიულოცეს სოფო ბედიამ, ანი ჩაგუნავამ და გიორგი ღოღობერიძემ; ხოლო, ნუგზარ კვაშალმა – ყველა დროის საყვარელმა თოვლის ბაბუამ და მისმა პატარა ფიფქიამ – მარიამ სოზაშვილმა, შეასრულეს ულამაზესი საახალწლო სიმღერა. ასევე, მონაწილეობა მიიღეს დევნილმა ბავშვებმა, ანსამბლი (The Cranes) თბილისის წეროვნიდან ესტუმრა.

**ჩვენი რესპონდენტი უკვე წლებია, საქართველოში ცხოვრობს და მას მეორე სამშობლოდაც მიიჩნევს. მისი კარიერა უკვე რამდენიმე წელიწადია, კომპანია „ბეკოს" უკავშირდება – მეჰმედ მელექი საქართველოში მისი გენერალური დირექტორია. მართალია, ბატონ მეჰმედთან არაერთხელ გვისაუბრია, მაგრამ, პირად ცხოვრებაზე – არასდროს. ის საკმაოდ საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა, რომელმაც გულახდილად გვიამბო თავისი ოჯახისა და კარიერის შესახებ. ჰყავს მეუღლე, ია თადიაშვილი-მელექი და ორი ქალიშვილი.**

# რატომ არის საქართველო მეჰმედ მელექის მეორე სამშობლო და რა აკავშირებს მას გოგი დოლიძესთან



**ორი დოკუმენტური ფილმი მაქვს გადაღებული: ერთი ხანჯლებზე, დანებსა და თოფებზე იყო, მეორე კი – ქართულ სამოსზე**

**– რამდენი წელია, რაც საქართველოში ცხოვრობთ და როგორ მოხვდით ჩვენს ქვეყანაში?**

– 1999 წლის 16 სექტემბერს პირველად ჩამოვედი საქართველოში ტურისტის სტატუსით და სამ დღეში უკან დავბრუნდი. აქაურობა ძალიან მომეწონა და, ამიტომ, რომ ჩავედი, ჩემებს დაველაპარაკე, საქართველოში სასწავლებლად წასვლაზე. იმ პერიოდში თურქეთში ადგილობრივ ტელევიზიაში ვმუშაობდი. მათაც ვუთხარი ჩემი გამგზავრების შესახებ და ცოტა ხანში წამოვედი კიდეც საქართველოში. ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში დოკუმენტური ფილმების სარეჟისორო ფაკულტეტზე. ჯერ მანანა ანასაშვილის ჯგუფში ვიყავი, შემდეგ კი გია ჭუბაბრიასთან გადამიყვანეს. ჩვენი რექტორი გოგი დოლიძე იყო, რომელიც ყოველთვის ამბობდა, რომ მისი მესამე შვილი ვიყავი. თეატრალურში სწავლის პარალელურად კაზინოში ვმუშაობდი. 2001 წლიდან 2003 წლამდე ვიმუშავე კაზინოში, მერე კი თურქეთში დავბრუნდი სამუშაოდ. ახლა ვისიც არის „ბეკო," ის ტელევიზიაც მისია, სადაც მაშინ ვმუშაობდი.

**– ტელევიზიაში ჟურნალისტად მუშაობდით?**

– ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი ვიყავი. 2003 წელს „ბეკოში" გადმოვედი, მერე კი დავოჯახდი. მე და ჩემი მეუღლე უკვე მეცხრე წელია, ერთად ვცხოვრობთ.

**– მეუღლე საქართველოში გაიცანით?**

– დიახ, აქ გავიცანი, თან, ძალიან საინტერესოდ: ერთ-ერთ კაფეში მე და ჩემი ორი მეგობარი ვისხედით, გვერდითა მაგიდასთან კი სამი გოგონა იჯდა, მათ შორის ერთ-ერთი ჩემი მომავალი მეუღლე იყო. ჩემს მეუღლეს ძალიან ლამაზი თვალები აქვს და, როგორც კი დავინახე მაშინვე მომეწონა. კი მომეწონა, მაგრამ, როგორ უნდა გამეცნო, არ ვიცოდი. ცოტა ხანში საპირფარეშოში შევიდა, მეც გავყევი და იქვე დაველოდე. მერე ვუთხარი, ძალიან ლამაზი ხარ და შენი გაცნობა მინდა-მეთქი. მივეცი ჩემი ტელეფონის ნომერი, მაგრამ, ექვსი თვე არ დაურეკავს. ექვსი თვის მერე კი მისმა მეგობარმა დამირეკა – გახუმრება უნდოდათ ჩემთან. ისე შევიჭერით რომლებში, ბოლოს ორივეს ერთად შევხვდი.



სამი თვე ძალიან მაწვალეს, პაემანზე ორივე ერთად მოდიოდა. მე და ჩემმა მომავალმა მეუღლემ ერთმანეთი კარგად რომ გავიცანით, დავქორწინდით კიდეც და დღემდე ბედნიერად ვცხოვრობთ. ძალიან მიყვარს და ბედნიერი ვარ, რომ ის არის ჩემი მეორე ნახევარი. გვყავს ორი გოგონა: უფროსი 7 წლის არის, რომელიც დემირელის სკოლაში სწავლობს და „ერისიონში" ცეკვავს, უმცროსი ჯერ 4 წლისაა. ჩემი მეუღლეც ძალიან დატვირთულია, ტანსაცმლის ორი მაღაზია გვაქვს – „ქსინთი," რომელსაც ის კურირებს, მარკეტინგიდან ფიარამდე ყველაფერს ის განაგებს.

**– სარეჟისორო ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული. პროფესიით თუ გიმუშავიათ?**

– ორი დოკუმენტური ფილმი მაქვს გადაღებული. ერთი ხანჯლებზე, დანებსა და თოფებზე იყო, მეორე კი – ქართულ სამოსზე. ორივე ძალიან კარგი ფილმია, მაგრამ, რატომღაც, არ ვაჩვენეთ ტელევიზიაში. ახლა უკვე ვფიქრობ, რომელიმე ტელევიზიას მივცე და აჩვენონ.



**– გოგი დოლიძე მესამე შვილს მეძახდაო, თქვით. მასთან ახლაც გაქვთ კავშირი?**

– რა თქმა უნდა, დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ის ჩემთან სახლშიც არის ნამყოფი თურქეთში. იზმირში მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი იმართებოდა, სადაც სტუდენტები ვიყავით ჩასული და ბატონი გოგიც იქ იყო. ფესტივალის დასრულების შემდეგ სახლში მივიპატიჟე და ჩემი ოჯახი გავაცანი. გიორგი კალანდიაც ჩემი ძალიან ახლო მეგობარია. პირველი დოკუმენტური ფილმები რომ გადაიღო თურქეთში, პირველ ორ სერიაში ჩემი ოჯახის წევრებიც არიან გადაღებული.

**– დედმამიშვილი თუ გყავთ?**

– დიახ, და-ძმა მყავს, ორივე ჩემზე უმცროსია. ჩემი და მშენებელი ინჟინერია, ძმამ ტურიზმის ფაკულტეტი დაამთავრა და მაგ სფეროში მუშაობს.

**– ქართულად კარგად ლაპარაკობთ. ადვილად შეისწავლეთ ჩვენი ენა?**

– რატომ, არ ვიცი, მაგრამ, თეატრალურში სამი წელი რუსულ სექტორზე ვსწავლობდი. თუმცა, აქ რომ ჩამოვედი, არც ქართული ვიცოდი და არც რუსული. ქართულად ლაპარაკი ქუჩაში ვისწავლე, ბევრი ქართველი მეგობარი მყავდა. ქართული ენის შესწავლა არ გამჭირვებია, რადგან ლაზი ვარ და ძალიან ჰგავს ეს ორი ენა ერთმანეთს. საქართველოს მოქალაქეობაც მაქვს მიღებული. ძალიან მიყვარს აქაურობა, ეს ჩემი მეორე სამშობლოა.

**– როგორი მეუღლე და როგორი მამა ხართ?**

– ბავშვების მიმართ ცოტა მომთხოვნი ვარ, რადგან, მინდა, კარგად ისწავლონ და ყველაფერი წესრიგში ჰქონდეთ. მიუხედავად ამისა, ძალიან რბილი და მოსიყვარულე მამა ვარ. მაქსიმალურად ვცდილობ, მათთვის კარგი მეგობარი ვიყო. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ერთმანეთს იმდენად ვგავართ, ხშირად და-ძმა ვგონივართ. იმასაც ამბობენ, რომ ერთმანეთს ძალიან ვუხდებით. სამსახურში წარმატებული ადამიანი რომ ვარ, ერთი მხრივ, ოჯახის დამსახურებაა. თუ ოჯახში ხარ წარმატებულად და კარგად, სამსახურშიც იგივენაირად იქნები – მე ასე მგონია.

**– მართალია, წარმატებული ადამიანი ხართ, მაგრამ, ალბათ, უფრო დიდ წარმატებაზეც ოცნებობთ.**

– არა. თავის დროზე ღმერთს ყოველთვის იმას შევთხოვდი, ღმერთო, ეს, ეს და ეს შემისრულემეთქი. მადლობა მას, რომ ყველაფერი შემისრულა და აბსოლუტურად ყველაფერი მაქვს: მყავს კარგი ოჯახი, მაქვს კარგი სამსახური, თუ საჭიროა – კარგი მანქანაც და ასე შემდეგ. ამის გარდა რა უნდა შევთხოვო ღმერთს?! ახლა, ერთადერთი, ის მინდა, რომ ჯანმრთელად და კარგად ვიყოთ.

**– როგორც აღნიშნეთ, ძალიან გიყვართ თქვენი მეუღლე, რომელსაც, ალბათ, ბევრ სიურპრიზსაც უკეთებთ და სიყვარულს ამითაც გამოხატავთ.**

– ეგ ერთი მინუსი ნამდვილად მაქვს – გრძნობებს ვერ გამოვხატავ. ძალიან იშვიათად მექნება მისთვის ნათქვამი – „მე შენ მიყვარხარ". ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასი სიტყვებია, რომლებიც, რა თქმა უნდა, გულში მაქვს, მაგრამ, ყოველთვის ვერ ვამბობ. მართალია, სხვებთან ხშირად ვამბობ, რომ ძალიან მიყვარს ჩემი მეუღლე, მაგრამ, როცა მის პირისპირ ვზივარ და თვალებში ვუყურებ, ცოტა მიჭირს ამის თქმა. ჩემგან განსხვავებით, თვითონ ყოველთვის მეუბნება, რომ ვუყვარვარ.

**– თურქულად თუ ლაპარაკობს?**

– თურქული ძალიან კარგად იცის და უკვე ლაზურსაც სწავლობს. თავიდან ცოტა გაუჭირდა – სხვა ქვეყანა, სხვა ტრადიციები და ასე შემდეგ, მაგრამ, ეს ადრე იყო, თორემ, ახლა უკვე ჩემ გარეშეც მიდის თურქეთში. ყოველ ზაფხულს ბავშვებთან ერთად ერთი თვით ჩადის, თან, ზღვა ძალიან ახლოს არის ჩვენს სახლთან. აი, ეს არის ჩვენი ოჯახი და ცხოვრება. სამომავლოდ, ღმერთის ნება თუ იქნება, ერთი ბიჭი გვინდა რომ გვყავდეს.

**– საქართველოში წარმატებული ადამიანი ხართ. აქ გეგმავთ ცხოვრების გაგრძელებას თუ თურქეთში?**

– მართალია, საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა, მაგრამ, სამომავლოდ თურქეთში ვაპირებ წასვლას. ბავშვები იზრდებიან და, მინდა, უფრო კარგად იცხოვრონ და უფრო კარგ უნივერსიტეტებში ისწავლონ. თურქეთი იქნება ეს, ევროპა, თუ სხვა ადგილი – არ ვიცი, მაგრამ, გვინდა, რომ ბავშვებისთვის ყველაფერი მაქსიმალურად გავაკეთოთ. ამისთვის მე და ჩემი მეუღლე უკვე ვემზადებით.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**დიდრო**: მშობლებს თავიანთი შვილები მოუსვენარი და მოწყალებითი სიყვარულით უყვართ, რაც აფუჭებს ბავშვს. არსებობს მეორე სიყვარული – ყურადღებიანი და მშვიდი, რომელიც პატიოსან ადამიანად ზრდის ბავშვს და ასეთია ნამდვილი სიყვარული მამისა.

**ვოლტერი**: როდესაც პირველად ვკითხულობთ კარგ წიგნს, ჩვენ განვიცდით იგივე გრძნობას, როგორსაც პირველი მეგობრის შეძენისას. წაკითხული წიგნის ხელახლა წაკითხვა უკვე ძველი მეგობრის ხელახლა ნახვას ნიშნავს.

**მონტენი**: საჭიროა, ეცადო, გამოარკვიო – არა ვინ მეტი იცის, არამედ ვინ იცის უკეთესად.

**კონსტანტინე**: ცილისწამებისგან უმცირესი ჩრდილი მაინც მიადგება ადამიანს.

**ოთარ ჭილაძე**: თუ ტოლერანტი ხარ, ძლიერიც უნდა იყო, სუსტმა, უპირველეს ყოვლისა, ტოლერანტობა უნდა დაივიწყოს, თავად რომ გადარჩეს.

**ეზოპე**: ვინც ნაცნობს ეტრაბახება, სასაცილოდ იგდებს თავს.

**ბალზაკი**: გრძნობათა განადგურება იგივე სიკვდილია.

**ბუასტი**: ვისაც არაფერი ეწყინა, მას გული არა აქვს, უგრძნობი კი პიროვნება ვერ იქნება.

**ბეკონი**: ის, ვისაც მეგობრებთან გულახდილი საუბარი უყვარს, საკვებად საკუთარ სულს იყენებს.

**პუბლიუსი**: არსებობს საერთო ზოგადი კანონი, რომლის მიხედვითაც, იბადებიან და კვდებიან.

**ჰორაციუსი**: ბევრს შეუძლია იქიდან აღორძინდეს, რაც უკვე მოკვდა.

**ლოპე დე ვეგა**: გამოუსწორებელი შეურაცხყოფისთვის დროს მოაქვს გამოჯანმრთელება.

**კამიუ**: გრძნობა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, არ გარდაგვქმნის ჩვენ, მაგრამ გვკარნახობს გარდაქმნის აზრს. ასევე, სიყვარული არ გვათავისუფლებს ჩვენ ეგოიზმისგან, მაგრამ გვაიძულებს, შევიცნოთ იგი და თან მოგვაგონებს შორეულ სამშობლოზე, სადაც ეგოიზმის ადგილი არ არის.

**ბრენტანო**: ეგოიზმი გვაიძულებს, მივისწრაფვოდეთ იქითკენ, რომ სხვებს მოვწონდეთ.

**კატონ უფროსი**: ენა ყველას აქვს, ჭკუა კი – ცოტას.

**ნეკრასოვი**: ეჭვიანობა ადვილად მორწმუნეა, როგორც ბავშვი და ცოფიანია, როგორც ველური მხეცი.

**ჰერბარტი**: ზნეობრივი აღზრდის გამომუშავება მხოლოდ თავისუფლებით შეიძლება.

**არისტოტელე**: გაბრაზება ყველას შეუძლია – ეს ადვილია, მაგრამ გაბრაზება იმაზე, ვისზეც საჭიროა და იმდენად, რამდენადაც საჭიროა, იმ დროს, რა დროსაც საჭიროა და იმ მიზეზით, რა მიზეზითაც საჭიროა და როგორც საჭიროა, ყველას არ შეუძლია.

**გოეთე**: ხელოვნება გამოუთქმელის შუამავალია.

**სტანისლავსკი**: გიყვარდეთ ხელოვნება თქვენში და არა თქვენი თავი ხელოვნებაში.

**მიჩურინი**: ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისგან, ჩვენი ამოცანაა – წავართვათ ეს წყალობა მას.

**უაილდი**: მამაკაცს უნდა ჰქონდეს კარგი მომავალი, ხოლო ქალს კარგი წარსული.

**მოპასანი**: მთავარი ის კი არ არის, რამდენი ქალი მყავდა ცხოვრებაში, არამედ, რამდენი სიცოცხლე იყო ჩემს ქალებში.

# თუ გამოიცნობთ

1. ამან უამრავი ადამიანი იმსხვერპლა ევროპაში. სევილიაში ეს უკანასკნელად 1781 წელს მოხდა, შვეიცარიაში – 1782 წელს, ავსტრიაში კი ეს 1748 წელს აკრძალა მარია ტერეზამ. **რა იყო ეს?**

2. **რომელ სიტყვას** არ გამოიყენებენ ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენები?

3. მეცხრამეტე საუკუნეში ჩინეთში საზოგადოების გარკვეული ფენა აჯანყდა. თავიანთ ორგანიზაციას მათ უწოდეს „სამართლიანობის დასაცავად შემართული მუშტი“. **რას უწოდებენ ევროპელები ამ მოვლენას?**

4. **რომელი ნაგებობა გაჩნდა** მეჩვიდმეტე საუკუნეში ერთ ევროპულ დედაქალაქში, რომელსაც მოგვიანებით სხვა დედაქალაქებმაც მიჰბაძეს. ამ ნაგებობას ჰქონდა ორი ფუნქცია – თავისი პირველადი და საზოგადოებისთვის გასართობი.

5. **რას უწოდებენ** სამხედროები „ცოცხალ ხიდს“?

6. ეს ცნობილი წარწერა 1923 წელს გაჩნდა. თავდაპირველად, მასში კიდევ ოთხი ასო შედიოდა და მიწის ნაკვეთის გასაყიდი რეკლამა იყო. ვარაუდობდნენ, რომ რეკლამა ორი წლით იყო გაკეთებული. მაგრამ, თანდათან ამ მიწის ნაკვეთმა ისეთი დანიშნულება შეიძინა, რომ ბოლო ოთხი ასო მოაკლეს. წარწერა დატოვეს, რამდენჯერმე გაარემონტეს და დღეს ის ქალაქის სახე და ისტორიული ძეგლია. **დაასახელეთ წარწერა.**

7. ძველ სლავურ წიგნებში არსებობს ლეგენდა სამი ძმის – კიეს, ჩეკესა და ხორივას შესახებ. ლეგენდის თანახმად, კიემ დააარსა კიევი, ორი დანარჩენი ძმა უფრო დასავლეთით დასახლდა და სხვადასხვა ერს მისცა დასაბამი. **რომლებს?**

8. ამერიკული ქიმიური კომპანია უკვე დიდი ხანია, უშვებს სუნიან ნივთიერებას, რომლებსაც უცნაურ სახელებს არქმევს: „ამფეთქებელი მოწყობილობა“, „გვამი“, „დამხრჩვალი“, „კოკაინი“, „შიში“ და სხვა. **ვისთვის მზადდება ეს „სუნამოები“?**

9. ტერმინი სტადიონი წარმოდგა სიტყვისგან „სტადიუმი“, რომელიც ანტიკურ ხანაში სიგრძის საზომ ერთეულს ნიშნავდა. ეს უდრიდა 192,27 მეტრს. ამ სიგრძის იყო ოლიმპიური სარბენი ბილიკი. **რატომ აირჩიეს ეს ერთეული?**

10. ოლიმპიურ თამაშებზე ძველ საბერძნეთში ქალები არ დაიშვებოდნენ. მაგრამ, იყო ერთი სახეობა, რომელშიც შეიძლებოდა გამარჯვება ქალს მოეპოვებინა. **რომელი სახეობა?**

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* 153 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომაელი ელჩები კართაგენში ჩავიდნენ. მათმა ხელმძღვანელმა მარკუს პორციუს კატონმა ნახა აყვავებული და ძლიერი კართაგენი და შეშინდა, რომს საფრთხე არ დამუქრებოდა. მას შემდეგ ყველა გამოსვლისას სიტყვას ამთავრებდა ფრაზით: „კართაგენი უნდა დაინგრეს!“, რაც შეასრულეს კიდეც.

* მეთოთხმეტე საუკუნეში წარჩინებული ოჯახის წარმომადგენლები – უფროსი ძმა ანდრე მარი ჟან ჟაკ დიუპენი – გენერალური პროკურორი და რამდენიმე შრომის ავტორი ფრანგულ სასამართლო პროცედურებზე, უმცროსი – ფრანსუა შარლ პიერ დიუპენი – ცნობილი მათემატიკოსი და ეკონომისტი... სწორედ მათი ნაშრომები გამოიყენა ედგარ ალან პომ თავის შემოქმედებაში.

* მონტესუმა კეტსალკოატლით ჯამაგირს უხდიდა მეომრებს. 1519 წელს კი კორტესმა, რომელიც აცტეკებმა უზენაეს ღმერთად მიიჩნიეს, ევროპელთაგან პირველმა, შეძლო შეეფასებინა ის. ევროპელთათვის რთულად აღსაქმელი და წარმოსათქმელი ეს სიტყვა შეცდომით გაიგონეს და არასწორად გამოთქვეს ჩოკოატლი – შოკოლადი. 1991 წელს სწორედ შოკოლადისგან გააკეთეს ბარსელონაში ესპანური კარაველა, რომლის წონა 4 ტონა, ხოლო სიგრძე 18 მეტრი იყო.

* რომაელები კარგად იცნობდნენ ბროწეულს და „პუნიურ ვაშლს“ ეძახდნენ. დანარჩენ ევროპაში კი ის არაბებმა შემოიტანეს იბერიის ემირატის ქალაქის – გრენადის გავლით. სწორედ ამიტომ რამდენიმე ენაში ბროწეულს სახელი ამ ქალაქის გავლენით დაერქვა.

* 1902 წელს არაბმა ემირმა დაამარცხა ქუვეიტის მმართველი და დაიკავა ერ-რიადი, დაამარცხა რაშიდიდების დინასტიის მმართველები და გაიფართოვა თავისი სამფლობელოები. ეს ძლიერი ემირი არანაკლებ ძლიერი წინაპრის საუდის შთამომავალი იყო, რომლის სახელიც ქვეყანას უწოდეს.

* ცნობილია ფიდელ კასტროს მიერ წარმოთქმული ხანგრძლივი სიტყვა, თუმცა მას დიდად არც ამერიკელები ჩამორჩებიან: ორეგონას სენატორმა უეინ მარსმა 53 წლის ასაკში 22 საათი და 26 წუთი ილაპარაკა, სამხრეთ კაროლინას სენატორმა, 55 წლის სტრომ ტერმონდმა – 24 საათი და 19 წუთი.

* 1303 წელს რომში პაპ ბონაფაცი მერვის ედიქტით დაარსდა უნივერსიტეტი სახელით, Sapienza, რომელიც ბოლონიის უნივერსიტეტის ფილიალი გახდა.

* შუა საუკუნეებში ხომალდის კაპიტნები მეზღვაურებს უფლებას არ აძლევდნენ ბორტზე სათამაშო კარტი აეტანათ.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. კe1-g3!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



შუა საუკუნეებია. მეფე სანადიროდ წასასვლელად ემზადება და დედოფალს „ერთგულების ქამარი“ გაუკეთა.




– მეფეო, რა საჭიროა ქამარი, ეგ ისეთი მახინჯია, მაინც არავინ მიეკარება.
– ვიცი, მაგრამ, როცა დავბრუნდები, ვეტყვი, რომ გასაღები დამეკარგა...

***

– წამოდი, საახალწლო შუშხუნებს ჩემი სახლის ფანჯრებიდან ვუყუროთ. ხომ იცი, მეცხრე სართულზე ვცხოვრობ და მთელი ქალაქი ჩანს...
– პრეზერვატივის გარეშე შუშხუნების საყურებლად არ წამოვალ...

***

– რას მაჩუქებ საახალწლოდ?
– გა-გა-უ-პა-ტი-უ-რებ! – არტისტულად წარმოთქვა ქმარმა.
– თუ არ დაგნებდები? – კეკლუცობს ცოლი...
– ჰოდა, დარჩები უსაჩუქროდ.

***

– ბიჭო, რა დრო წამოვიდა – სანტა კლაუსის ნახევარი საათით გამოძახება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ფიფქიასი – მთელი ღამით...

***

გაცნობის ბიურო
– გისმენთ! როგორს აირჩევთ, მონაცემები...
– 20-30 წლის, 175 სანტიმეტრი სიმაღლის, 90-60-90-ზე, ქერა...
– იცით, თქვენ 55 წლის ხართ, 165 სანტიმეტრი სიმაღლის, ცოტა ღიპიანიც... თქვენი მატერიალური მდგომარეობაც არ იძლევა საშუალებას... იქნებ, ცოტა დაბალი შეგერჩიათ?
– არა!
– მაშინ, ზომები შევცვალოთ...
– არავითარ შემთხვევაში!
– უკაცრავად, მაგრამ, ასეთი მონაცემებით, მხოლოდ სულელი თუ დასთანხმდება თქვენს ცოლობაზე...
– იყოს სულელი!..

***

– მიხო, გულზე ხელი დაიდე და იგრე მითხარი, რას განიცდი ჩემ მიმართ?
– მოთმინებას, ქალო, მოთმინებას...

***

– აბა, როგორ მოგწონს სიძე?
– ეჰ... კარტის თამაში არ იცის...
– ეგ ძალიან დიდი პლუსია!
– არა, მინუსია – არ იცის და თამაშობს.

***

ქმარი ცოლს საყვედურობს:
– რატომ უყურებ ამ კულინარიულ გადმოცემებს, მაინც არაფრის მომზადება არ გეხერხება...
– მერე რა, შენც ხომ უყურებ პორნოებს...

***

ყველა არხის საინფორმაციოს ვუყურებ, მაგრამ, ზოგჯერ მინდა, გავიგო, სინამდვილეში რა ხდება.

***

ერთ კაცს ძალიან უნდოდა დასვენება – უბრალოდ, დამჯდარიყო ბალახზე და არაფერი ეკეთებინა... და, წავიდა ჰოლანდიაში.

***

– დედა, მიტუამ მითხრა, ხეზე აძვერიო...
– მაყვალ, შვილო, როდემდე უნდა იყო ეგეთი გულუბრყვილო, შენი ტრუსიკის დანახვა უნდოდა და იმიტომა...
– განა ეგეთი შტერი ვარ, მეც მივხვდი, ჰოდა, გავიხადე, ჯიბეში ჩავიდე და ხეზე ისე ავედი...




***

მეორე ახალგაზრდობა – ეს არის სისულელეებში დაბრუნება, ოღონდ, სიამოვნების გარეშე.

***

– მოდი, დავნიძლავდეთ 10 დოლარზე, რომ შენ თვალწინ დავხევ 100-დოლარიან კუპიურას.
– მიდი!
– მომეცი 100-დოლარიანი...

***

– არა, ძმაო, მეგრელები ვაჭრობისთვის არიან დაბადებულები...
– სისულელეა! ვაჭრობა ყველას ძალიან კარგად შეუძლია...
– ა, ბატონო, ჩამოვიაროთ და შევამოწმოთ.
მივიდნენ ერთთან:
– ცაციასთვის თუ გაქვთ ყავის ჭიქები?
– სად გინახავთ, ძამია მაგნაირი ჭიქა... არ არსებობს... არაჩვეულებრივი ჭიქები გვაქვს აგერ, ყველანაირი – დაბალფასიანი, ხარისხიანი. ა, ბატონო, ნახეთ, აიჩიეთ ზომა, ფერი...
ახლა სხვასთან მივიდნენ:
– ცაციასთვის ყავის ჭიქა გვინდა საჩუქრად.
– მაგფერი არაფერი გამიგია, ძამა, მაგრამ, ა, „მადონას“ სერვიზი აილე, პირდაპირ დუბაიდან ჩამომიტანეს, გერმანულიც მაქვს – თანამედროვე... ცალობითაც მაქვს.... იეფად მოგცემთ...
მივიდნენ მეგრელთან:
– ცაციასთვის ყავის ჭიქას ვეძებთ...
– ახლავე, პატენი... ეგ დეფიციტია, მაგრამ მე მაქვს...
ყველაზე ზემოთა თაროდან ჩამოიღო ყუთი, ამოიღო ჭიქა, შეაბრუნა, სახელური მარცხნივ მოუქცია და წინ დაუდგა...
– სპეციალურად ცაციებისთვის გამოუშვეს. სიახლეა, მაგრამ, ჩვენ პირდაპირი კავშირი გვაქვს, პირველი ხელი ვარ, პატენი... შეგიხვევთ, სასაჩუქრე უპაკოვკა – 50 თეთრი, მშვიდობაში მოიხმარეთ...
გადაიხადეს ძმაკაცებმა ფული...
– აბა, რას იტყვი, ხომ მართალი ვიყავი?
– ვაჭრობის რა გითხრა, მაგრამ, დიდი მოხერხებულები რომ არიან, კავშირები რომ აქვთ და მაგრად ჩალიჩობენ, ვხედავ...

***




– ალო, უშიშროებიდან გირეკავთ!
– დიახ, ვიცი.
– საიდან.
– გამორთულ მობილურზე დამირეკეთ.

***

„ინტერპოლმა გამოავლინა დამნაშავე, რომელმაც 90-იან წლებში ორბიტა 63184A-ზე ხელოვნური თანამგზავრის ტელეკომუნიკაცია M118-დან 124 კილოგრამი ფერადი ლითონი მოიპარა“.

***

წარწერა მუნიციპალურ ტრანსპორტზე:
„პატივცემულო მგზავრებო! გთხოვთ, დაუთმოთ ადგილი ხანში შესულ ადამიანებს – პენსიონერებს, ასევე, ინვალიდებს, მოსწავლეებს... ყველას, ვინც შეღავათიან ფასში ან უფასოდ მგზავრობს ტრანსპორტით და, სხვათა შორის, თქვენს ხარჯზე“...

***

– ლიკ, გაიხადე!
– რატომ?
– შეგხედავ და გეტყვი...

***

– თქვენ ებრაელი ხართ?
– პასპორტით – კი, ცხოვრებით – არა!

***

დაავალეს კახელს, მეგრელსა და სვანს, ქუჩის გაყოლებაზე ელექტრობოძები ჩაედგათ.
კახელმა ჩადგა 50, მეგრელმა – 70, სვანმა – 3.
– ნახე, იმათმა რამდენი ჩადგეს, შენ 3-ზე მეტი რატომ ვერ მოახერხე?
– იმათ მარტო წვერები ჩასვეს, მე კიდევ მთლიანად...

# როგორ „გამოიჭირეს“ 31 დეკემბერს ავტოინსპექტორებმა ლოთი „მძღოლი“

31 დეკემბრის სუსხიანი საღამოა.

თერჯოლის ავტოინსპექციის გზისპირა ჯიხურში სამი ავტოინსპექტორი მოწყენილად ადევნებს თვალს კანტიკუნტად გავლილ ავტომობილებს. უილბლო დღე იყო. ყველა საქეიფოდ და ახალი წლის შესახვედრად მიიჩქარის შინ. ვერც ერთი მთვრალი მძღოლი ვერ დააფიქსირეს. არადა, ახალ წელს ჯიბეცარიელი არ უნდათ, რომ შეხვდნენ.

შებინდებულზე თოვა დაიწყო, ბარაქიანად და საფუძვლიანად. ინსპექტორებმა სიგარეტის ქაჩვას უმატეს და უსაშველო ბოლი დააყენეს ოთახში.

ეს სიტუაციაა და, უცებ, კარზე მორიდებულად დააკაკუნეს.

– ვინც არ უნდა იყო მანდ... ნაცნობი თუ უცნობი, მტერი თუ მოყვარე, სიხარულით გიღებთ კარს! – შაყირის ხასიათზე დადგა უფროსი ინსპექტორი ანზორა.

კარი გაიღო და საშუალო ტანის „დუტისკურტკიანი“ კაცი შემოვიდა.

– ს ნასტუპაიუშჩიმ, ბიჭებო!

– იცოცხლე! თქვენც გილოცავთ!

უცნობმა შარვლის ჯიბიდან ექვსი ცალი რკინის მანეთიანი მონეტა დააძრო და ხმაურით დადო მაგიდაზე:

– ა, ჩემო ძმებო, მეტი არ მაქვს ამ წუთში და ამას უნდა დამჯერდეთ.

ინსპექტორებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მერე ერთ-ერთს გონება გაუნათდა:




– ლოთი ანდა, მთვრალი ხომ არ ხარ შენ, თუ ძმა ხარ?

– კი, ნამდვილად გახლავართ ნასვამი. სიმამრთან დავლიე და ახლა სახლში მივდივარ.

გახარებულმა უფროსმა ინსპექტორმა ოქმის ფურცელი ამოაშრიალა უჯრიდან და საწერ-კალამი მოიმარჯვა.

– სახელი.

– ლობერტი – დაასლოკინა რობერტმა.

– გვარი?

– ზიბზიბაძე.

– მანქანის მარკა და ნომერი.

– რა მანქანის, ბატონო?

– შენი მანქანის.

– სად მყავს, ბატონო, მე მანქანა. მანქანა ბაბუაჩემს არ ჰყოლია და მამაჩემს. სადაა მაგის ფული?

ინსპექტორებმა მეორედ გაიკვირვეს:

– კი მაგრამ, ეს ექვსი მანეთი რატომ დააწყვე აქ?

– უჰ, თქვენ რა გითხარით! – ალალად გაიცინა მომხვდურმა, – თქვე კაი ხალხო, ქართველები არ ხართ?

– ვართ, აპა არ ვართ?

– ჰოდა, თქვე ოჯახაშენებულებო, ახალი წელი მოდის და ხელცარიელი ხომ არ მოგილოცავდით? არიქა, ადექით ახლა რომელიმე და გამიჩერეთ მაშინა, სახლამდე რომ მიმიყვანოს.

– მართლა, შენ რა გითხარი... წამოხტა უფროსი ინსპექტორი და მანქანის გასაჩერებლად გავიდა...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# სარჩევი


**რამდენი უნდა ღირდეს საქართველოში ერთი ლიტრი საწვავი მისი ხარისხის გათვალისწინებით ...... 6**

**რატომ მიიჩნია გაერომ, რომ გაუპატიურებას, როგორც დანაშაულს არ აქვს ხანდაზმულობის ვადა და რატომ არ უმატებენ პატიმრებს სასჯელს ევროპულ ქვეყნებში გაქცევის მცდელობის გამო ...... 10**

**რა ანიჭებს სიამოვნებას მილიარდერ ჩაკ ფინის და რა მიზეზით არ არის ის „ფორბსის“ მილიარდერთა რეიტინგში ...... 12**

**ადვოკატი გირჩევთ ...... 17**

**როგორ ატყუებენ კაცებს ცოლები და იმსახურებენ თუ არა მამაკაცები მათგან ღალატს ...... 20**

**როგორ დაკარგეს ნათესავებმა ერთმანეთი და ვის ეძებს ზეგაანში მცხოვრები 62 წლის ქალბატონი სტავროპოლში ...... 21**

**რა დანიშნულება ჰქონდა ნაღარხანასა და ქიაბაბხანას და რა სახელით იყო ცნობილი მექუდეთა რიგი მეცხრამეტე საუკუნის თბილისში ...... 23**

**რა დათმობებზე უნდა წავიდეს ადამიანი საკუთარი ხორცის მიმართ და როდის უხეშდება და ცხოველდება ქრისტიანის სული ...... 24**

**ივერიის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები ...... 25**

**მოძღვარი გვირჩევს ...... 25**

**რის გამო აჩვენებდა თითით მეძავზე მარიო ბალოტელი და რომელი თამაშის დროს ერთობოდა ის „აიპადით“ ...... 26**

**ექიმის რჩევები ...... 29**

**რატომ მიჰყავდა ნუგზარ ჯულელს ფეხბურთის რეპორტაჟი მოსკოვში ტუალეტიდან ...... 30**

**რა უნდა გაითვალისწინოთ ახალი წლის დღეებში და არასასურველი სტუმრის თქვენი სახლიდან გასვლის შემდეგ ...... 32**

**მაკოლეი კალკინი – ყველა დროის ყველაზე ცნობილი ბავშვი მსახიობი ...... 34**

**თავის მოვლის წინასაახალწლო რჩევები ...... 47**

**მკაცრი დიეტის ნაცვლად – პროდუქტების კალათა ...... 47**

**კოსმეტოლოგის რჩევები ...... 47**

**როგორ მიჰყიდა მოსკოვის ოლიმპიური სოფელი არაბ შეიხს ცნობილმა ქართველმა თაღლითმა ...... 48**

**როგორ ვერ გაიყო ორმა ქალბატონმა ერთი მამაკაცი ...... 50**

**რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ...... 51**

**ვეტერინარის რჩევები ...... 57**

**ფლორის სამყაროში ...... 57**

**მე – დაქირავებული მკვლელი ...... 58**

**ჰყავდა თუ არა უკანონო შვილი სტალინს ...... 62**

**როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ...... 63**

**შეთავაზებული მკვლელობა ...... 65**

**მგლები 5 ...... 66**

**რატომ შეხვდა ლევან ფაცაცია დის გათხოვებას ტირილით და რატომ დაიჩაგრა თიკას გამო მისი ძმა ...... 70**

**შეკითხვა ასტროლოგს ...... 72**

**რამდენად რთული პოლიტიკური ვითარებაა მოსალოდნელი გველის წელიწადში ...... 72**

**კვირის დღეების ასტროპროგნოზი ...... 73**

**რატომ ჩაუწვინა ანრი ჯოხაძეს დედამ უცხო ქალი ლოგინში და როგორ შეულოცავს ის შვილის პერანგებს ...... 74**

**რატომ არის საქართველო მეჰმედ მელექის მეორე სამშობლო და რა აკავშირებს მას გოგი დოლიძესთან ...... 75**

**როგორ „გამოიჭირეს“ 31 დეკემბერს ავტოინსპექტორებმა ლოთი „მძღოლი“ ...... 78**


რატომ ვერ მოხვდა
თამთა შედანია
„მის უნივერსზე“
ტოპ-16-ში და რაში
ადანაშაულებს ის
ია კიწმარიშვილს
გვ. 38